

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა ამირანაშვილი

სპეციალურ ტერმინთა შედგენის ზოგადი პრინციპები
და სიტყვაწარმოების საკითხები თანამედროვე
სამედიცინო ტერმინოლოგიაში

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი

დისერტაცია

10.02.07. – ტიპოლოგიური და შედარებითი ენათმეცნიერება

მეცნიერი ხელმძღვანელი:

მიხეილ ქურდიანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

თბილისი

2006

შინაარსი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება.

შესავალი.

- 0.1. განსხვავება დარგობრივ ლექსიკასა და ტერმინოლოგიას შორის.
- 0.2. ტერმინის მახასიათებლები და მისი ფუნქციონირება მართებულ არეში.
- 0.3. ტერმინის ზოგადლინგვისტური თეორიის შესახებ .
- 0.4. ტერმინთქმნადობის საწყისი პერიოდი საქართველოში.
- 0.5. სამედიცინო ტერმინოლოგიის აღდგენისა და შექმნის რობლემები.
- 0.6. სპეციალურ ტერმინთა შედგენის ზოგადი პრინციპები.

თავი პირველი.

რეფიქსაცია.

- 1.1. ლათინური პრეფიქსები.
- 1.2. ბერძნული პრეფიქსითა და ბერძნული ძირით ნაწარმოები თერმინები.
- 1.3. ბერძნული რიცხვითი სახელები, რომლებიც გამოყენებულია პრეფიქსებად.

თავი მეორე.

შუფიქსაცია.

- 2.1. არსებითი სახელების მაწარმოებელი ლათინური სუფიქსები.
- 2.2. I და II ბრუნების ზედსართავ სახელთა მაწარმოებელი ლათინური სუფიქსები.
- 2.3. III ბრუნების ზედსართავ სახელთა მაწარმოებელი ლათინური სუფიქსები.

თავი მესამე.

ლათინური აფიქსების მონაწილეობით შედგენილი ტერმინები .

- 3.1. ლათინურ ფუძეზე ორმაგი სუფიქსის დართვით გამოწვეული

თავისებურებანი.

- 3.2. ლათინური პრეფიქსის, ძირისა და სუფიქსის გამოყენებით ნაწარმოები ტერმინები.
- 3.3. ორი ლათინური ძირითა და ლათინური სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები.
- 3.4. ლათინურ-ბერძნულ ძირებზე ლათინურ სუფიქსდართული ტერმინები.
- 3.5. ბერძნულ-ლათინურ ძირებზე ლათინურ სუფიქსდართული ტერმინები.

თავი მეოთხე.

ბერძნული აფიქსების მონაწილეობით შედგენილი ტერმინები.

- 4.1. ბერძნული პრეფიქსით, ლათინური ძირითა და ლათინური სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები.
- 4.2. ბერძნული პრეფიქსით, ბერძნული ძირითა და ლათინური სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები.
- 4.3. ბერძნული ძირითა და ბერძნული სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები.
- 4.4. ბერძნული პრეფიქსით, ბერძნული ძირითა და ბერძნული სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები.
- 4.5. ორი ბერძნული ძირითა და ლათინური სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები.

დასკვნები.

ბიბლიოგრაფია.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა. უშუალო კავშირები ბერძნულ, რომაულ, არაბულ სამყაროსთან, მათ აღიარებულ სამედიცინო ცენტრებთან განაპირობებდა სამედიცინო ლექსიკის შემოტანას და დამკვიდრებას. დროთა განმავლობაში იგი ორგანულად ერწყმოდა ქართული მედიცინის სკოლების ორიგინალურ შემოქმედებას. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში, როცა სამედიცინო ტერმინოლოგია ლათინურ ენაზე დაკანონდა და ყველა ქვეყანას მიეცა მისი თარგმნის უფლება, საქართველოში დაიწყო ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შემუშავების ახალი ეტაპი. ამ მნიშვნელოვან წამოწყებას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი მოღვაწეები: სპ.ვირსალაძე, ს.ყაუხჩიშვილი, ალ.ნათიშვილი, ზ.მაისურაძე, ნ.ყიფშიძე და სხვები. ათწლეულების მანძილზე ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია იხვეწებოდა, მდიდრდებოდა, ივსებოდა. დადებით ელემენტებთან ერთად ამ მოვლენას თან ახლდა რიგი უარყოფითიც. ტერმინთა მრავალფეროვნებას თან მოჰყვა მათი სიჭრელეც. პროფ.ზ.მაისურაძემ თავის დროზე (1947წ) იტვირთა ამ ტერმინოლოგიის უნიფიკაცია, რაც მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შემუშავებისა და დამკვიდრების გზაზე, მაგრამ თვითონ მის ნაშრომშიც და სამედიცინო დარგის ცნობილ სპეციალისტთა სახელმძღვანელო შრომებში დღემდე რჩება გარკვეული სიჭრელე, რაც სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით აიხსნება. განსხვავებული თარგმანები ხშირად გვხვდება განსაკუთრებით ლათინური წარმოებული სიტყვების გადმოსაცემად. ამიტომ დავინტერესდით ამ საკითხებით.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება სიტყვაწარმოების საკითხებს ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში. სამედიცინო ტერმინოლოგიის ჩვენი კვლევის ობიექტად არჩევა იმანაც განაპირობა, რომ ლათინურ-ქართული ტერმინოლოგიის მონაცემები სპეციალური ანალიზის საგანი დღემდე არ გამხდარა. ამ ორი სისტემის ენის მასალა შედარების საფუძვლად არ ქცეულა. ჩვენ შევისწავლეთ ლათინური პრეფიქს-სუფიქსიანი

სამედიცინო ლექსიკა და კომპოზიტები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება ანატომიასა და კლინიკურ დისციპლინებში. შევეცადეთ, გამოგვერკვია, როგორ თარგმნიან ამგვარ ლათინურ ტერმინებს მნიშვნელოვანი და საეტაპო სამედიცინო სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების ავტორები: პროფ.ს.ყაუხჩიშვილი, ალ.ნათიშვილი, ზ.მაისურაძე, ლ.შელია, ზ.კაციტაძე და სხვ. ნაშრომში შესწავლილია და გამოვლენილია ყველა ის კანონზომიერება და თავისებურება, რომლითაც ზემოთჩამოთვლილი ავტორები ხელმძღვანელობდნენ წარმოებული ლათინური სამედიცინო ლექსიკის ქართულ ენაზე თარგმნისას. სხვადასხვა სისტემის იმ ორი ენის შედარებითი შესწავლა სამედიცინო ტერმინოლოგიის მასალაზე დაყრდნობით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ტერმინოლოგიის განვითარების გზებისა და მიმართულებების გასარკვევად, თეორიული და პრაქტიკული საკითხების ერთმანეთთან შესათანხმებლად, ტენდენციების გასათვალისწინებლად.

კვლევის აქტუალობა იმაშიც გამოიხატება, რომ მან, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ზოგიერთი სასწავლო-მეთოდური ხასიათის, ლექსიკოგრაფიის, აგრეთვე თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების გადაწყვეტას.

ჩვენი აზრით, თარგმნის დროს, ლათინური სიტყვის ცალკეულ ნაწილთა შედგენილობის გარდა, ანგარიში ეწევა ქართულ ტრადიციას, რუსულ შესატყვისებს, სუბიექტურ ფაქტორებს, ქართული ენის ბუნებას და სხვ.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის არსებობის დიდი ხნის ისტორიის მიუხედავად, მისი თეორიული კვლევის ისტორია შედარებით მოკრძალებულია. ლათინური წარმოებული სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე გადმოტანის საკითხებს სპეციალურად არავინ შეხებია.

ჩვენს ნაშრომში პირველად არის გაანალიზებული და ლათინურთან შეჯერებული წარმოებული სამედიცინო ლექსიკა, რომელსაც სამედიცინო დარგის სხვადასხვა ცნობილი ავტორი იყენებს. შეძლებისდაგვარად ახსნილია ის მოტივები, რის გამოც ისინი უპირატესობას ანიჭებენ ამა თუ იმ ქართულ შესატყვისს.

წარმოდგენილ დისერტაციაში შევეცადეთ, სრულყოფილად შეგვესწავლა ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიის ის ნაწილი, რომელიც აფიქსაციით ან ფუძეთა

შეერთებით არის ნაწარმოები და გაგვეანალიზებინა, როგორ ითარგმნება სხვადასხვა გზით წარმოებული ლათინური სამედიცინო ტერმინები ქართულად, რა საფუძველს ემყარება მათი ქართულ ენაზე გადმოტანა, რა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები უშლის ხელს ლათინურის ადეკვატურის მოძებნასა და დამკვიდრებას ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში.

ნაშრომის მიზანია შესწავლილ იქნას ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის ერთი ნაწილი (წარმოებული სახელები) ლათინურ შესატყვისებთან მიმართებაში და შეიქმნას ლათინურ სამედიცინო ტერმინთა ქართულ ენაზე თარგმნის სისტემა, რომელიც დაემყარება როგორც ლათინური, ისე ქართული ენის ბუნებას, მაგრამ ამავე დროს, ქართულ თარგმანში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება ლათინური წარმოებული ტერმინის როგორც სტრუქტურა, ისე სემანტიკა.

ნაშრომის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეძლებისდაგვარად შეგვესწავლა ლათინურ ენაზე არსებულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში გამოყენებული წარმოებული სახელების სტრუქტურული და სემანტიკური შემადგენლობა, აღვეწვსხვა მათი ქართულად გადმოტანის გზები სხვადასხვა ცნობილ ავტორთან და შემდეგ დაგვედგინა ის კანონზომიერებანი, რამაც განაპირობა ქართული შესაბამისი ტერმინოლოგიის მრავალფეროვნება და სიჭრელე. შევეცადეთ, სიცხადე შეგვეტანა ამ ნაირგვარობაში, რადგან საუკეთესო ვარიანტად მიგვაჩნია, თუ ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიაც ისეთივე სისტემური და ადვილად აღსაქმელი იქნება, როგორც ლათინურენოვანი.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სამედიცინო სამყაროში სახელმძღვანელოდ აღიარებული ნაშრომები, სამედიცინო ლექსიკონები, თეორიული ხასიათის ტერმინოლოგიური ნაშრომები, ქართველ და უცხოელ ენათმეცნიერთა შრომები, რომლებიც სიტყვაწარმოების საკითხებს ეხება.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება შემდგომში მდგომარეობს:

1. თავმოყრილი და გაანალიზებულია სამედიცინო დარგის ქართველ სპეციალისტთა შრომებში გამოყენებული მრავალრიცხოვანი სამედიცინო ტერმინოლოგია,

რომელიც ლათინური წარმოებული სიტყვების თარგმანს წარმოადგენს.

2. დაჯგუფებულია და სტრუქტურულად და სემანტიკურად შესწავლილია როგორც ლათინური წარმოებული სამედიცინო ტერმინები, ისე მათი ქართული შესატყვისები.
3. გამოთქმულია ზოგიერთი მოსაზრება, რომ მრავალფეროვან ტერმინთა შორის უპირატესობა მიენიჭოს ლათინურის ადეკვატურს როგორც სტრუქტურულად, ისე სემანტიკურად, თუ ქართული ენის ბუნება ამის საშუალებას იძლევა.
4. ზემოთქმული მოსაზრებების საფუძველზე, შევეცადეთ, გაგვერკვია ლათინური წარმოებული სამედიცინო ტერმინების ოპტიმალური ქართული შესატყვისები და ჩვენი ლოგიკური მსჯელობით ხელი შეგვეწყო მათი დამკვიდრებისათვის.
5. ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს სამედიცინო დარგის სპეციალისტებს ტერმინოლოგიაში შექმნილ მრავალფეროვნებაში გასარკვევად, ასევე ღირებული იქნება სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთათვის, რომელთაც მიაწვდის ლათინური ტერმინების ადეკვატურს დასაბუთებული ფორმით და ამით გაუადვილებს მათ დაუფლებას.
6. ნაშრომი, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება და ერთად თავმოყრილ ერთი დარგის მასალას მიაწვდის ტერმინოლოგიით, სიტყვაწარმოებითა და თარგმნით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

შესავალი

0.1. განსხვავება დარგობრივ ლექსიკასა და ტერმინოლოგიას შორის

დარგობრივი ლექსიკა ენათა ლექსიკის უძველეს ფონდს განეკუთვნება. ის ასახავს ამა თუ იმ ენობრივ ერთეულზე მეტყველთა სამეურნეო საქმიანობასა თუ სოციალურ დამოკიდებულებებს. მაგ.: მესაქონლეობის, მიწათმოქმედების, ხელოსნობის, ზღვაოსნობისა და მეთევზეობის, სამხედრო და სამონადირეო საქმიანობის ატრიბუტებს: მასალას, პროცესს, იარაღებს და ა.შ. მაგრამ, რაკი ამა თუ იმ ენის სხვადასხვა დიალექტზე მეტყველ ტომებს გეოგრაფიული გარემო და, შესაბამისად, სამეურნეო ყოფაც განსხვავებული აქვთ, თითოეული ამ დიალექტთაგანი შეიცავს იმ დარგთა ლექსიკას, რომელიც მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი და ეს დარგობრივი ლექსიკა განეკუთვნება კულტურას ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით და, შესაბამისად, დარგობრივი ლექსიკა აქვს ყველა ენის ყველა დიალექტს, მიუხედავად მისი განვითარების დონისა, ანუ დარგობრივი ლექსიკა აქვს ე.წ. პირველყოფილი კულტურის მატარებელ ტომებსაც.

სრულიად განსხვავებული სიტუაციაა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. ტერმინოლოგია ახასიათებს მხოლოდ ენებს, ამ სიტყვის სოციო-ლინგვისტური გაგებით, ანუ იმ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც ფუნქციონირებენ ოფიციალური (resp. სახელმწიფო ან რეგიონალური) ენის სტატუსით. ისინი წარმოადგენენ პოლივალენტურ ენობრივ ერთეულებს და უკავშირდებიან ცივილიზაციის ცნებას.

ცივილიზაცია თავისი გენეზისით სოციალური ორგანიზაციის ისეთ ფორმას უკავშირდება, როგორც ქალაქია, ხოლო იგი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია. ქალაქის გარეშე ვერ იარსებებს სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფო წარმოუდგენელია უქალაქოდ. ქალაქის მთავარი მახასიათებლები შეიძლება გავყოთ როგორც ენობრივი და არაენობრივი, თუმცა ეს უკანასკნელი უშუალოდ არის დაკავშირებული ენასთან: ეს არაენობრივი მახასიათებლები არის კანცელარია (სამეფო კარი) და ბაზარი. სწორედ, ამ ორი სოციალური ორგანიზმის არსებობაა სახელმწიფო ენის გამაპირობებელი ფაქტორი:

1. სახელმწიფოს სჭირდება ენა და, უპირველეს ყოვლისა, არა სალაპარაკო, არამედ ტერმინოლოგიური მნიშვნელობით. ამიტომ სახელმწიფო ატარებს დიდ

მუშაობას სხვადასხვა ენიდან სიტყვათა სესხების ან კალკირების თვალსაზრისით, რათა შექმნას ტერმინოლოგია, რომლის გარეშე სახელმწიფოს ფუნქციონირება წარმოუდგენელია, რადგან მას სჭირდება იურიდიული, სამეცნიერო, სამხედრო, ტექნიკური ტერმინები თავისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის;

2. ბაზარი არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენლები, რადგან მათ აქ უნდა ჩამოიტანონ თავთავიანი ერთმანეთისგან განსხვავებული სამეურნეო პროდუქცია. მათი ურთიერთობის პროცესში ხდება ინტერდიალექტური ან ზედიალექტური კონტაქტის ფორმირება, რომელსაც ეფუძნება საერთო ეროვნული ანუ სახელმწიფო ენა. შესაბამისად, ამ ენაში თავს იყრის სხვადასხვა დიალექტში არსებული დარგობრივი ლექსიკა, რომელიც სწორედ სალიტერატურო ენაში იძენს ტერმინის სტატუსს, ანუ ენაში არის ის, რაც ცალ-ცალკე არც ერთ დიალექტში არ არის თავმოყრილი. დიალექტებში არსებული მოდელის მიხედვით ენა აწარმოებს ტერმინთქმნადობას, რაც ასევე ნასესხობებთან და კალკირებასთან ერთად აყალიბებს ტერმინოლოგიას.

რაც შეეხება ქალაქის (resp. სახელმწიფოს) ენობრივ მახასიათებელს, ის გამოიხატება სახელმწიფო ანუ ოფიციალური ენის არჩევასა და დაკანონებაში და მის დანერგვაში სავალდებულო სახით კანცელარიასა და განათლების სისტემაში. ჩვენ ამის მაგალითები ჯერ კიდევ უძველესი ქალაქ-სახელმწიფოების ისტორიიდან ვიცით (შუამდინარეთი, ანატოლია, საბერძნეთი და სხვ.).

0.2. ტერმინის მახასიათებლები და მისი ფუნქციონირება მართებულ არეში

ტერმინისთვის დამახასიათებელია ფუნქციონირება მხოლოდ ისეთ ლექსიკურ და სემანტიკურ ველში, რომელშიც მას ცალსახა მნიშვნელობა აქვს. ასეთი ველი თანამედროვე ლინგვისტიკაში განისაზღვრება როგორც „მართებული არე“. ტერმინი გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის (ქურდიანი 1999). ერთი სამეცნიერო დისციპლინის (resp. მართებული არის) შიგნით ტერმინს არ შეიძლება, სხვა სიტყვებით, არ უნდა ჰქონდეს პოლისემიური მნიშვნელობა, ხოლო ორ სამეცნიერო დისციპლინას, მით

უმეტეს, ორ მეცნიერებას (resp.მართებული არის) შორის ტერმინს არ შეიძლება, ან უფრო ზუსტად, არ უნდა ჰქონდეს სინონიმური მნიშვნელობა.

სამაგიეროდ, ერთი სამეცნიერო დისციპლინის შიგნით შეიძლება გვხვდებოდეს და, როგორც წესი, გვხვდება კიდევ ტერმინთა სინონიმურობა, რაც გაპირობებულია მათი წარმოშობის სინქრონიული და დიაქრონიული მიზეზებით და მათი სალიტერატურო (resp.სამწერლობო) ენაში მოხვედრის გზებით. მაგ.: ორი ან მეტი სხვადასხვა დიალექტიდან სიტყვის შემოსვლითა და დამკვიდრებით სახელწიფო ენაში, რაც შეიძლება მომხდარიყო სინქრონიაში ან დიაქრონიაში სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე, ენაში პოვნის ტერმინის პარალელურად, რომელიმე ენიდან შესატყვისი ტერმინის სესხებით და მისი პარალელური ფუნქციონირებით ენაში; ენის ისტორიის სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის, ანუ ძველი და ახალი ტერმინების თანაარსებობით; პურისტული მიზანსწრაფულობით, ანუ ენაში დამკვიდრებული უცხოური ტერმინის ეროვნული ერთეულით (კალკირებული ან ოკაზიონალურით) ჩანაცვლების მცდელობით, რამაც შეიძლება ბოლომდე ვერ გამოაძევეს უცხოური ტერმინი, მაგრამ პარალელურად დაიწყო ფუნქციონირება და სხვ.

ყველა ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ის მომენტი, რომ ერთი დისციპლინის შიგნით სხვადასხვა ტერმინის არსებობა არ აბუნდოვანებს და ხელს არ უშლის მეცნიერულ კომუნიკაციას. ამის შესანიშნავი მაგალითია ენათმეცნიერება, სადაც სპეციალური ტერმინები თავისუფლად ჩანაცვლებადნი არიან:

ლინგვისტიკა : ენათმეცნიერება

დიალექტი : კილო

სპირანტი : ნაპრალოვანი

ერგატივი : მოთხრობითი

ატრიბუტივი : ზედსართავი და ა.შ.

ასევეა მეცნიერებათა უმრავლესობაში, მათ შორის, სამედიცინო ტერმინოლოგიაში, რასაც ჩვენი დისერტაცია ეძღვნება და ქვემოთ დაწვრილებით შევხებით.

0.3. ტერმინის ზოგადლინგვისტური თეორიის შესახებ

ტერმინის ზოგადლინგვისტურ თეორიაში ტერმინოლოგია შემდეგი

დეფინიციით არის მოცემული: „ტერმინოლოგია გაიაზრება, როგორც სპეციალური დანიშნულების ენა, პროფესიული (დარგობრივი) ენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი – ცნებათა სისტემის სიტყვიერი სუბსტანცია, რომელიც ექვემდებარება შეგნებულ მოწესრიგებას, სტანდარტიზაციას, უნიფიცირებას“ (ჭირაქაძე 1999: 10), ხოლო ტერმინის მახასიათებლად მიჩნეულია:

1. ტერმინი არის სპეციალური დანიშნულების ენის ერთეული
2. ტერმინი არის ცნების სახელწოდება
3. ტერმინის გვარული მახასიათებელია ცნება „სიტყვა“
4. ტერმინი განეკუთვნება სიტყვის მნიშვნელობის სფეროს და არის ლექსემის ფუნქციური სახესხვაობა. მისი ინტეგრაციული ნიშნებია: სისტემურობა, კომუნიკაციურობა, ნომინაციურობა, მოტივირებულობა. დიფერენციალური ნიშნებია: კონვენციურობა-დარგობრიობა, ერთმნიშვნელოვანება
5. ტერმინის, როგორც ენობრივი ერთეულის შინაგანი ფორმაა დარგობრივი შინაარსი, გარეგნული ფორმა – ლექსიკური მნიშვნელობა
6. ტერმინს, გამოხატულების პლანისა და ლექსიკურ-სემანტიკური დაჯგუფების მიხედვით მოეპოვება ენობრივი სუბსტრატი, ხოლო შინაარსის პლანის, ანუ ტერმინთა სისტემაში მისი ღირებულების მიხედვით ტერმინული ნიშნები
7. ტერმინი განეკუთვნება საკუთარი სახელის კატეგორიას და ახორციელებს სახელდების იმავე პრინციპს – ლექსიკური ფონდიდან აღებულ ერთეულს მიამაგრებს ახალ მნიშვნელობას, რითაც შეჰყავს ის ახალ სემანტიკურ ველში. ეს არის კიდევაც სახელდებისას საგნობრიობას მოცილებული ინდივიდუალიზაციის პრინციპი (ჭირაქაძე 1999: 10, 25).

ჩვენთვის მისაღებია ტერმინის ეს მახასიათებლები და ტერმინის სწორედ ასეთ გაგებას ვემყარებით, თუმცა, ჩვენი კვლევის საგანი ძირითადად, რა თქმა უნდა, ტერმინთა შედგენის პრინციპები და მოდელებია ლათინური და ბერძნული ენების ძირეული და აფიქსალური მორფემების გამოყენებით, მაგრამ წინამდებარე ზოგადლინგვისტურ თეორიასთან მიმართებაში გვინდა შევეხოთ ერთ პრინციპულ საკითხს: როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტერმინის არსთან დაკავშირებით ჩვენ ვიზიარებთ ერთი მართებული არის შიგნით ტერმინთა პოლისემიურობის

შეუძლებლობას, ხოლო ორ მართებულ არეს შორის – ტერმინთა სინონიმურობას, მაგრამ ტერმინის ზოგადლინგვისტურ თეორიაში გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება ერთი მართებული არის შიგნით ტერმინთა სინონიმურობის გამორიცხვის ანუ შეუძლებლობის შესახებ: სინონიმის ილუზია იქმნება, როცა სხვადასხვა სისტემის კუთვნილ, მნიშვნელობით მახლობელ ცნებებს შეიძლება სხვადასხვა სახელი ერქვას. სინონიმის მაგალითად სპეციალური ლიტერატურა ასახელებს ე.წ. „ტერმინულ დუბლებს“. სამაგალითოდ განვიხილოთ ერთ-ერთი ასეთი დუბლი: „cancer“ – „კიბო“. თუ დავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ამ ორ გამონათქვამს არა მარტო ონკოლოგიის დარგობრივ ლექსიკაში, არამედ თვით საერთო-სამედიცინო პროფესიულ ენაშიც კი არა აქვს იდენტური ლექსიკური ღირებულება: შინაარსით ეს ორი გამონათქვამი თუმცა ერთსა და იმავე რეალიას მიემართება, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ისინი წყვილი მაინც არაა: ქართულ სამედიცინო მეტყველებაში „cancer“, ჩვეულებრივ, იხმარება ნომენკლატურის ფუნქციით – ავადმყოფის ისტორიაში დიაგნოზის გაფორმებისას და იწერება ლათინური ასოებით. რაც შეეხება „კიბოს“, ეს ტერმინი ფართოდ იხმარება. საპირისპიროა მათი ტერმინწარმოებითი უნარი: „კანცერ“ – პროდუქტიული ფორმაა (შდრ. „კანცეროგენული“, „ფსევდოკანცერული“ და მისთ.), ხოლო „კიბო“ სიტყვაწარმოებაში არ მონაწილეობს. იგივე ითქმის ქართულ-ლათინური სამეცნიერო ტერმინული დუბლების უპირატეს უმრავლესობაზე. შესაბამისად, ქართულ-ლათინური დუბლები სინონიმურ წყვილებად ვერ ჩაითვლება, სპეციალურ მეტყველებაში მათი დისტრიბუციის გამო (ჭირაქაძე 1999: 18-19). ეს აკრძალვა, ჩვენი აზრით, არც მკაცრია და არც უეჭველი და აი, რატომ: შეიძლება, რომელიმე ტერმინს არ ჰქონდეს თავისი სრული სინონიმი და ეს ბუნებრივიცაა. სრული ანუ აბსოლუტური სინონიმების არსებობა არც მოსალოდნელია და არც პოზიტიური, თუ, რა თქმა უნდა, შემდეგ თვალსაზრისს არ გავიზიარებთ: „თუ სიტყვის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა, აუცილებლად იქნება არათანხვდომა შეხამებადობის მხრივ და, აქედან გამომდინარე, გამოყენების სხვადასხვა სიხშირე. ასეთ სინონიმებს შეიძლება სემანტიკურად იდენტური ვუწოდოთ. სემანტიკურად იდენტური სინონიმების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაფიო მაგალითს ტერმინები წარმოადგენს. განსხვავების ნიშნები მათში ვერ ფარავენ მსგავსების ნიშნებს. აბსოლუტურად იგივეობრივ სინონიმებად კი შეიძლება

მივიჩნიოთ ის სინონიმები, რომლებშიც მსგავსების ნიშნები საშუალებას გვაძლევს უგულებელვყოთ განსხვავების ნიშნები“ (აბალაკი 2006: 25).

მაგრამ შეგვიძლია სინონიმებად, თუ გნებავთ, აბსოლუტურ სინონიმებად მივიჩნიოთ ერთი დისციპლინის (resp.მართებული არის) ფარგლებში არსებული ისეთი ტერმინები, რომლებიც თანაბრად მონაწილეობენ ტერმინთქმნადობის პროცესში, ანუ ავლენენ ტერმინთწარმოების იდენტურ უნარს. მაგალითებს ისევ ლინგვისტიკის სფეროდან მოვიყვანთ:

{ ლინგვისტიკა : ლინგვისტი : ლინგვისტური
ენათმეცნიერება : ენათმეცნიერი : ენათმეცნიერული

{ ასპირატი : ასპირაცია : ასპირატულობა
ფშვინვიერი : გაფშვინვიერება : ფშვინვიერება

{ ლაბიალური : ლაბიალიზაცია : ლაბიალურობა
ბაგისმიერი : გაბაგისმიერება : ბაგისმიერობა და სხვ.

სინონიმურობის ცნება სავალდებულოდ არ უნდა გულისხმობდეს და არც გულისხმობს ფორმაცვალებადობასა და ფუნქციონირებას. შეიძლებოდა სინონიმის ნაცვლად დუბლეტის გამოყენება, რასაც ჩვენ მივმართავთ კიდევ იმ შენიშვნით, რომ დუბლეტებს შორის სინონიმურობის სხვადასხვა ხარისხი მაინც დაცულია.

0.4. ტერმინთქმნადობის საწყისი პერიოდი საქართველოში

ყველა ქართველურ ენასა და დიალექტში, რა თქმა უნდა, ფართოდ იყო წარმოდგენილი სხვადასხვა დარგის ლექსიკა, მათ შორის ნამემკვიდრევი საერთო ქართველური ფუძეებიდან, მაგრამ ეს ისტორიამდელი პერიოდი, რომელიც დოკუმენტურად ან წერილობით არ იყო ფიქსირებული და ტერმინთქმნადობაზე მსჯელობა იმ პრეისტორიული ხანისათვის მხოლოდ კომპარატივისტული მეთოდით რეკონსტრუირებული მასალის მიხედვით ხდება შესაძლებელი. რაც შეეხება საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნის პერიოდს, რომელიც მანამდე არსებული ქართულ-ქართველური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისგან განსხვავებით, დოკუმენტურად

არის ფიქსირებული და ჩვენთვის გარკვეული ათვლის წერტილს წარმოადგენს ამ შემთხვევაში. ტერმინთქმნადობის პროცესის დაწყების თვალსაზრისით, ის სათავეს მეფე ფარნავაზის მიერ საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნის დროიდან (ძვ.წ. 304-303 წწ.) იღებს და მოიცავს ორ უმნიშვნელოვანეს ეტაპს: პირველი, ეს ქართული ენის გამოცხადებაა სახელმწიფო ენად ძვ.წ. 284 წელს: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თანერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ყაუხჩიშვილი 1955: 26); და მეორე, დიდი ტერმინოლოგიური სამუშაო, რომლის შესახებ ჩვენ გარკვეულ ინფორმაციას ვიღებთ როგორც „ქართლის ცხოვრებიდან“, ასევე მხითარ აირივანეცის „ქრონოგრაფიული ისტორიიდან“.

ამ ინფორმაციის ინტერპრეტაცია ცალსახად უნდა მოვახდინოთ ტერმინთქმნადობის და ზოგადად ტერმინოლოგიური მუშაობის დაწყების პოზიციიდან: დასახელებული ექვსი ენიდან ქართული ენის შექმნა უნდა გულისხმობდეს ამ ენებიდან ტერმინთა სესხებას, რათა სახელმწიფო ენად გამოცხადებული ქართული ზედიალექტური თუ ინტერდიალექტური კოინედიან, რომელიც დედაქალაქში (დიდ საბაზრო ადგილზე) იყო ჩამოყალიბებული, მიგველო სახელმწიფო ანუ პოლივალენტური ენა ამ სიტყვის სოციო-ლინგვისტური მნიშვნელობით, ე.ი. ფუნქციონალური თვალსაზრისით.

სოციო-ლინგვისტიკაში არსებობს ე.წ. „დიდი ტრადიციის“ ცნება, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ ენობრივ ერთეულზე მეტყველთა რწმენას, დაფუძნებულს სოციალურ ისტორიასა თუ მითოლოგიებზე, მისი ეროვნული ენის განსაკუთრებულ როლსა და ღირსებებზე. ეს „დიდი ტრადიცია“ იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ შეიძლება სამწერლო ტრადიციადაკარგულმა ენამ, რომელიც რეალურად სხვა, შეიძლება, სულაც უცხო სახელმწიფო ენის სოციო-ლინგვისტურ დიალექტად იყოს ქცეული, არ შეწყვიტოს ტერმინთქმნადობა და ესა თუ ის ტერმინი კი არ ისესხოს დომინანტური ენიდან, არამედ თავად აწარმოოს დამოუკიდებლად საკუთარი ენობრივი მასალითა და შესაძლებლობებით, როგორც მაგ. ქართული ენა იქცევა დღესაც თურქეთსა და ირანში (ქურდიანი 1997: 25-26).

0.5. სამედიცინო ტერმინოლოგიის აღდგენისა და შექმნის პრობლემები

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში იქმნებოდა მრავალი ახალი დარგი. ამან დღის წესრიგში დააყენა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დამუშავების საკითხი. როგორც ამ წლების პრესიდან არის ცნობილი, ამავე პერიოდიდან დაისვა ქართული ლექსიკონების შედგენის გადაუდებელი ამოცანაც.

1880 წლის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა რ.ერისთავის პოლემიკური სტატია: „რაოდენათ მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს?“ (1880 დროება 1212). წერილის საბაზი გამხდარა გორის სასულიერო სემინარიის დირექტორის სემიონოვის მოხსენება ქუთაისის გუბერნიის სოფლების მასწავლებელთა კრებაზე (1880 დროება 1204-6: 208-9). სემიონოვი ცდილობდა, დაერწმუნებინა მასწავლებლები, რომ საქართველოში აუცილებელია რუსულ ენაზე სწავლება ქართულ ენაში „შესაბამის ტერმინთა უქონლობის გამო.“ რ.ერისთავი საქმის ცოდნით ამტკიცებს, რომ ქართველებს წიგნებიც ჰქონდათ და სასწავლო საგანთა სახელებიც: “ბევრი სიტყვები მოიპოვება უცხო ქვეყნისა რუსულ ენაში, რომლების სახელწოდება ქართველებს სასესხებლად არ გაჰხდომიათ” (გაჩეჩილაძე 1959: 194). რ. ერისთავი მიუთითებს, რომ ქართველებს აქვთ შესაბამისი ტერმინები, მაგრამ ფაქტი იყო, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ისინი ჯერ კიდევ არ იყო თავმოყრილი და ამის გადაუდებელი საჭიროება იგრძნობოდა საზოგადოებაში. სამედიცინო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების საჭირობოროტო საკითხს დროულად შეეხნენ სახელოსნო მასწავლებლის მასწავლებლები: ანდრ. ლულაძე და იოს. მრევლიშვილი. “ტერმინოლოგიის უქონლობა აბრკოლებს როგორც სხვადასხვა სახელმძღვანელოთა შედგენას, ისე დედაენაზეც სწავლებას” (1882 დროება 1225: 2-3), - წერდნენ ისინი. მათ მიერ ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა წარმართულიყო მუშაობა ამ მიმართულებით. “ტერმინები გვაქვს, მაგრამ გაფანტულია, საჭიროა მათი შეკრება და გამოცხადება საყოველთაო სახმარებლად. რომ ყველგან ერთგვარი ტერმინების ხმარება იქნეს შემოღებული და არ ხელმძღვანელობდეს მასწავლებელი თავისთავად მოგონებულის ტერმინით” (1882, დროება 1225: 33).

როგორც ჩანს, ტერმინოლოგიის აუცილებლობა პირველად ყველაზე მწვავედ მასწავლებლებმა იგრძნეს.

მოგვიანებით “დროება” ისევ ალაპარაკდა ტერმინოლოგიის საჭიროებაზე და

მკითხველს აცნობდა იმ ვითარებას, რომელიც ამ დარგში სუფევდა: “დღევანდლამდის, ვინც კი მოჰკიდებდა ხელს, მარტო თავის ქეიფზედ ადგენდა ტერმინებს და ამის გამო ლიტერატურაში ერთსა და იმავე საგნის სახელად ათას ტერმინს შეხვდებით, რომელიც რევს და უკან აყენებს საქმეს”.

ამ პრობლემის გადაჭრაში ჩაერია რაფიელ ერისთავი და გადაწყდა სატერმინოლოგიო სხდომების მოწვევა. პირველი სხდომა შედგა 1882 წლის 20 ნოემბერს ქალაქის სამმართველოს დარბაზში რაფიელ ერისთავის თავმჯდომარეობით. სხდომას ესწრებოდნენ წევრები: ი.ჭავჭავაძე, აკ.წერეთელი, ივ.მაჩაბელი, ი.გოგებაშვილი, ზ.ჭიჭინაძე, ა.ღულაძე, ი.მრევლიშვილი, ს.ჭრელაშვილი. სხდომის მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ აქ დამუშავდა ტერმინოლოგიის შედგენის პრინციპები, მიუხედავად იმისა, რომ აზრთა სხვადასხვაობა იყო: რ.ერისთავი და აკ.წერეთელი ამბობდნენ, რომ შეიკრიბოს ძველ ქართულ ენაში ნახმარი ტერმინები, რაც კარგია, პირდაპირ შემოვიტანოთ, რაც არა – გავასწოროთ, რაც არა გვაქვს, შემოვიტანოთ სხვა ხალხის ენიდანო. ი.ჭავჭავაძე და ი.გოგებაშვილი მოითხოვდნენ: “უმჯობესია კრება თავიდანვე შეუდგეს ტერმინების დამუშავებას და დრო არ დაჰკარგოს ძველი წიგნების ჩიჩქნაში” (იორდანიშვილი 1968: 106).

“დროებაში” იბეჭდებოდა სატერმინოლოგიო კრების ოქმები და აქ მიღებული ტერმინები საყოველთაოდ ცხადდებოდა. “დროებაში” გამოქვეყნებულ მასალებს შორის რ. ერისთავმა მოიყვანა სამედიცინო ტერმინებიც: გულისეზო – артерия, მუნი – желтуха, დისპნოი – астма... (1880 დროება 1212).

ლ. იორდანიშვილი განიხილავს და აფასებს რ.ერისთავის მოღვაწეობას ტერმინოლოგიის შემუშავებაში: “მოტანილ ტერმინოლოგიათა ნიმუშებში რ.ერისთავს ამოსავლად აღებული აქვს ხან ქართული, ხან რუსული მასალა. შესატყვის ტერმინთა უმეტესობა კარგად აქვს შერჩეული. აღნიშნული ტერმინები უმეტესად საბას “ქართული ლექსიკონიდან” აქვს ამოღებული. ყველაფრიდან ჩანს, რომ რ.ერისთავი იბრძვის წარმოაჩინოს ქართული ენის ბუნება, ტრადიციები და შესაძლებლობანი ტერმინთქმნადობაში” (იორდანიშვილი 1968: 109, 111).

ვფიქრობთ, რ.ერისთავი სწორი მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობდა ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხში და ჩამოაყალიბა ტერმინოლოგიისადმი მიდგომის

მართებული პრინციპები: “ჩემის აზრით, უმჯობესია ისევ ჩვენი სიტყვები აღვადგინოთ, ვიდრე სხვებისაგან სესხობას. და თუ აღარ ვიცით ძველი ქართული ენა, - გავიცნოთ და გავაცოცხოთ. შესწავლა ხომ ძველს სიტყვებსაც დასჭირდებათ და ნასესხებთაც. და თუ ვინიცობაა, ჩვენს ენაში აღარ მოიძებნება სამაგიერო ლექსები, მაშინ ჩვენც ვისესხოთ ისინი. ამ შემთხვევაში ვეღარც ჩვენ ვითაკილებთ სესხობას” (ერისთავი საარქივო ფონდი №124). ამ პერიოდის პრესაში ლექსიკონისა და ტერმინოლოგიის შედგენის აუცილებლობის აღიარებით სისტემატურად გამოდიან ა.სარაჯიშვილი (1888 ივერია №152), სილოვან ხუნდაძე (1895 კვალი №8), მ.ჯანაშვილი (1895 ივერია №206), ვ.როსტომაშვილი (1897 ცნობის ფურცელი №1), კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი (1897 ცნობის ფურცელი №206), სპ.ჭელიძე (1897 ცნობის ფურცელი №910). ეს უკანასკნელი აღნიშნავდა, რომ დიდი მოთხოვნილებაა „რიგიან ლექსიკონზე“. იგი ეთანხმებოდა ვ.როსტომაშვილს და მიაჩნდა, რომ უნდა შეიქმნას რედაქცია და სთავაზობს ორ კანდიდატურას, რომელთა შორის აღსანიშნავია ფარმაცევტი ბურდული, რომელსაც სპ.ჭელიძის ინფორმაციით, ვრცელი სამეცნიერო სამკურნალო ტერმინები აქვს შედგენილი, რომლის დაბეჭდვასაც ეს 2 წელიწადია ცდილობს, მაგრამ ვერ მოუხერხებია. მაშინდელი საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევი ერთგვარად შეაჯამა თ.სახოკიამ თავის სტატიაში “ქართული ლექსის შედგენის გამო”. მისი აზრით, “დროისა და მოთხოვნილების ლექსიკონია საჭირო” და ამას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება უნდა ჩაუდგეს სათავეში (1897 ცნობის ფურცელი 12 ივნისი). პ.გაჩეჩილაძე თავის გამოკვლევაში აჯამებს ამ ოცწლეულის შედეგებს და აღნიშნავს, რომ მე-19 ს-ში სულ 4 ლექსიკონი დაიბეჭდა (გაჩეჩილაძე 1968: 202):

1. ლ. აღნიაშვილი, უბის ლექსიკონი (რუსულ-ქართული), ტფილისი, 1897
2. კ. ყიფიანი, Русско-грузинский словарь по Астрономии, Зоологии, Минералогии и разных терминовъ и технических словъ. Составилъ Конст.Димитрович Кипиани, Тифлисъ, 1896
3. თ. სახოკია, ლექსიკონი, ტფილისი, 1897
4. კ. ბაღაშვილი, Опытъ грузино-русского словаря, составилъ для начальныхъ училищъ К.Багаев, Тифлисъ, 1899

ამ ლექსიკონებმა ოდნავადაც ვერ ამოავსო ის ხარვეზი, რომელსაც მაშინდელი საზოგადოება ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებოდა, ამიტომაც 900-იან წლებში

“ივერია” კვლავ გამოდიოდა მოწოდებით “ქართული სიტყვის მოყვარეთა” მიმართ. მან ისევ წამოჭრა ქართული ლექსიკონის შედგენის საკითხი და აქვე გამოთქმულია აზრი, რომ “საჭიროა სამნაირი მუშაკი”, რომელთაგან ზოგი ცოცხალი მეტყველებიდან აიღებდა მასალას, ნაწილი ჟურნალ-გაზეთებიდან და წიგნებიდან, ხოლო ზოგიერთები – ძველი ხელნაწერებიდან. ასევე მოითხოვდა იგი ივერიზმებისა და პოეტური სიტყვა-საქცევების გათვალისწინებას (სარედაქციო წერილი ივერია, 1900 №79, 80). ძალიან მალე მირიანაშვილმა დაიწყო სალექსიკონო მასალის გამოქვეყნება. მას გამოუჩნდნენ მიმდევრები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილ ლექსიკას ბეჭდავდნენ (გაჩეჩილაძე 1959: 208-210). ამით მზადდებოდა ნიადაგი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შესადგენად. როგორც ამ წლების პრესის გაცნობით ირკვევა, ინტელიგენცია ენისა და ტერმინოლოგიის საკითხებს ყველაზე საჭირობოროტო თემებს შორის მოიაზრებდა. ქართული სამედიცინო მეცნიერული ენის შემუშავებასაც მაშინდელი ექიმები ასეთ საზრუნავად მიიჩნევდნენ. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის მოღვაწეობა. მან ვრცელი წერილები გამოაქვეყნა ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენის თაობაზე (1892, “მწყემსი”, №15, 16, 20). მათში დასმულია კონკრეტული საკითხები და დასახულია გეგმა სამეცნიერო-ტერმინოლოგიური მუშაობის წარმართვისათვის, ჩამოთვლილია სამედიცინო დისციპლინები, მოცემულია კონკრეტული მასალა, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს შესაბამისი ტერმინოლოგიის დამუშავება.

სწორედ თერაპევტი და პედიატრი ვახტანგ ღამბაშიძე არის ქართულ ენაზე პირველი სამედიცინო ჟურნალის – “ქართული სამკურნალო ფურცელი” (1908) რედაქტორ-გამომცემელი.

1913 წელს სპირიდონ ვირსალაძის ინიციატივით, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა სატერმინოლოგიო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სპ.ვირსალაძე, სპ.ვაწაძე და სხვ. სამედიცინო წრეებში ცნობილია, რომ “ეს კომისია კრეფდა ძველი და ახალი ლიტერატურიდან ტერმინებს, ამუშავებდა სამედიცინო ტერმინოლოგიას (ჟღენტი და სხვ. 1971: 201).” სატერმინოლოგიო კომისიაში შედიოდა 3 ქვეკომისია:

I ქვეკომისია, სპ.ვაწაძის თავმჯდომარეობით, სამედიცინო ხასიათის ტერმინებს

კრებდა ძველი ქართული კარაბადინებიდან და სხვა წერილობითი ძეგლებიდან;

II ქვეკომისია, ივ.თიკანაძის მეთაურობით, აგროვებდა ხალხში გავრცელებულ ტერმინებს;

III ქვეკომისია, რომელსაც გრ.მაღალაშვილი ხელმძღვანელობდა, არჩევდა XIX-XX საუკუნეების ბეჭდურ გამოცემებში გამოყენებულ სამედიცინო ტერმინებს.

ამ კომისიებში საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა, სახანო I მსოფლიო ომის დაწყებამ (1914 წ) არ შეწყვიტა ეს ახლადწამოწყებული საქმე, „მაგრამ მათი ნამუშევარი მაინც დარჩა და შემდგომ იქნა გამოყენებული, როდესაც სამედიცინო ფაკულტეტის დაარსების დროს საჭირო გახდა ქართული ანატომიური, ქირურგიული, სამეანო-გინეკოლოგიური და მედიცინის სხვა დარგების ტერმინოლოგიის აღდგენა, განახლება და გადამუშავება (ჟღენტი და სხვ. 1971: 201).“

როგორც ვხედავთ, ტერმინოლოგიაზე მუშაობა მე-20 ს-ის დასაწყისშიც მიმდინარეობდა იმავე გზით, რომელიც რ.ერისთავმა ათწლეულების წინ გაკვალა.

მოგვიანებით, ტერმინოლოგიის შექმნის ამავე მეთოდოლოგიას უჭერს მხარს ლ.ცაგარელი: “როცა ენას არ მოეპოვება ტერმინი, ბატონი ბრძანდებით, მაგრამ როცა არის, არ ვიცით და ამიტომ შემოგვაქვს და თან ენის სიღარიბეზე გავკვივით, ეს დიდი დანაშაულია (ცაგარელი, 1914: .469).” აქვე მოჰყავს მას სამედიცინო ტერმინთა რუსულ-ქართული შესატყვისები: მაგ. *прирожденный* - თანდაყოლილი (იყო თანშობილი), *поры* - ფორები (იყო ნახვრეტები), *мала* - წელის მძივი (ხალხ.), ზურგის ძვლის ნაკვეთი (*საბა*), *подагра* - ნეკრესის ქარი ... (ცაგარელი, 1914: .472).

სამეცნიერო ტერმინოლოგიის უქონლობით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე ჩივის ჟურნალ “განათლების” ამავე ნომერში ე.ალშიბაია: “მეცნიერული ტერმინების უქონლობა ერთგვარად ტრაგიზმს იწვევს მომუშავე ახალგაზრდობაში. ტერმინების უქონლობა კი, სხვათა შორის, გამოწვეულია კრიტიკა და ბიბლიოგრაფიის განუვითარებლობით” (ალშიბაია 1914: №6 466). ჟურნალი “განათლება” დიდი ხნის მანძილზე აქვეყნებდა ამ წლებში შემუშავებულ სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიებს და თეორიულ მოსაზრებებსაც უთმობდა ადგილს. მოგვყავს ამონაწერი ერთ-ერთი სარედაქციო წერილიდან, რომელშიც ალბათ აღბეჭდილია მაშინდელ საზოგადო მოღვაწეთა აზრი ქართული ტერმინოლოგიის შესწავლის, შემოღებისა და

დამკვიდრების თაობაზე: “დღეს, როცა ზოგიერთს სასწავლებელში მაინც სწავლება დედაენაზე უნდა შემოიღონ, ფრიად საჭიროა ყოველი საგნის ტერმინი ნათლად გამორკვეული იქმნას და სამუდამოდ მიღებული. ბევრს უფრო ახალგაზრდა მასწავლებელს ჰგონია, თითქოს ძველად არ გაეკეთებინოსთ რა ამ დარგში. არა, ბატონებო, ჩვენს ძველებს დიდი დრო დაუხარჯავთ სხვა და სხვა ტერმინების შეთხზვაზედაც, მრავალი სამეცნიერო წიგნები მოგვეპოვება ქართულად ნაბეჭდი თუ ხელნაწერი და მათი შესწავლა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყველასათვის, ვინც ქართულ მეცნიერებას ეწაფება და ცდილობს მის აყვავებას”... (1915 ”განათლება“, №7: 473)

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაში **ახალი ეტაპი** მაშინ დგება, როცა მას **ივანე ჯავახიშვილი უდგება სათავეში**. 1915 წლის 8 ივნისის გაზეთი “სახალხო ფურცელი” აქვეყნებს წერილს (ჯავახიშვილი, კეკელიძე 1915: №305), რომელსაც ხელს აწერენ: ივ.ჯავახიშვილი, კ.კეკელიძე, იუსტ.აბულაძე, იოს.ყიფშიძე, ს.გორგაძე, ვ.ლამბაშიძე, ვუკ.ბერიძე, პ.ინგოროყვა, ა.შანიძე. ამ მეცნიერთა შორის სამკურნალო და საბუნებისმეტყველო დარგის ტერმინოლოგიის შედგენა ექიმ ვახტანგ ლამბაშიძეს მიენდო. ივ.ჯავახიშვილის მოსაზრებები მეცნიერების სხვადასხვა დარგში ტერმინოლოგიის შექმნის შესახებ კარგად არის ჩამოყალიბებული 1915 წლის 22 ივლისს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის – გიორგი ყაზბეგისადმი მიწერილ წერილში: “ჩვენ თანამედროვე ცხოვრებაში განსაკუთრებით სატერმინოლოგიო ლექსიკონია საჭირო. ეს შეადგენს ჩვენ განათლებული წრეებისათვის, განსაკუთრებით “გაზეთის კაცთათვის” (როგორც ხალხში ჟურნალისტებს ეძახიან) აუცილებელ საჭიროებას, იგივე შეადგენს ქართველ მასწავლებელთა, ექიმების და სხვების ოცნებას”... (ივ. ჯავახიშვილის ფონდი №1495; ნ. ჯავახიშვილი 1979: 179) როგორ უდგებოდა ივანე ჯავახიშვილი სატერმინოლოგიო მუშაობის საკითხებს, რამდენად ჰქონდა გააზრებული მისი სირთულე, როგორ ესახებოდა აქედან გამოსვლის გზები, ან რას აკეთებდა თავად იმისათვის, რომ მეტი სიცხადე და კონკრეტული წვლილი შეეტანა ამ საქმეში, ვფიქრობთ, ამ კითხვებზე საუკეთესო პასუხს ამ წერილის ერთ-ერთი ვრცელი მონაკვეთი იძლევა: “...მაგრამ ტერმინების შეთხზვა კი ადვილია? ჰკითხეთ ბ-ნ გ. გ. მაღალაშვილს, რომელიც

ქართველ ექიმთა სატერმინოლოგიო კომისიის თავმჯდომარე იყო და ის გიამბობთ, რამოდენა ტანჯვა და წვალეზა გამოიარეს, რომ ქართულად გადმოეთარგმნათ მრავალი ანატომიური და განსაკუთრებით ოსტეოლოგიური ტერმინები და მაინც ხშირად ვერას გახდნენ, იმ დროს, როდესაც ძველ ქართულ მწერლობითგან ამოკრებილმა საანატომიო ტერმინებმა, რომლებიც მე შეკრებილი მქონდა და მათ გადავეცი, მრავალი საკამათო საკითხი საბოლოოდ გამოარკვია. როგორ გადასთარგმნის თქვენი ლექსიკონის შემდგენელი მაგ. ამგვარ სიტყვებს, როგორიც არის невменяемость, иммунитет...და მრავალ სხვას, თუ რომ ძველ ქართულ მწერლობითგან ეს ტერმინები შესწავლილი არა აქვს? თითონ შეთხზავს? მერე რა მნიშვნელობა ექნება ამგვარ შეთხზულ ტერმინებს? ან რა სამსახურს გაუწევს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ქართველობას ამგვარ შეთხზულ ტერმინების გავრცელებით? ჩვენ ხომ ველურები არა ვართ, რომ ყოველი საქმე მუდამ თავითგან დავიწყოთ და წინაპართა ნამუშევარს ზურგი შევაქციოთ: მდიდარი ძველი სამეცნიერო მწერლობა გვაქვს შენახული, რომელშიაც სამეცნიერო ტერმინების მომეტებული ნაწილი შენახულია და განა ჩვენ მხრივ ველურობა არ იქნება და საკულტურო მუშაობა უფრო არ გაგვიძნელებოდა, თუ რომ წარსულის ძვირფასს მემკვიდრეობას არ შევისწავლიდით და არ გამოვიყენებდით და ამის მაგიერ სამეცნიერო ტერმინების ზეპირად და ზერელედ შემთხვევლობას შევუდგებით? აი, რა მაწუხებს მე"... (ჩხუბიანიშვილი 1980: 146).

ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის ერთ-ერთი მკვლევარი, დ. ჩხუბიანიშვილიც აღნიშნავს, რომ ივ.ჯავახიშვილს დახმარება გაუწევია სატერმინოლოგიო კომისიისათვის: “მრავალი საკამათო საკითხი გადაიჭრა ივ.ჯავახიშვილის მიერ გადაცემული ანატომიური ტერმინების გათვალისწინების საფუძველზე, რომელიც მას ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან ჰქონია ამოკრებილი.” აქვეა ძალიან კარგი მაგალითები იმისა, თუ ფარმაკოქიმიური ინსტიტუტის მიმართვის პასუხად როგორ თარგმნის დიდი მეცნიერი ზოგიერთ ტერმინს რუსულიდან:

листочки - ფოთოლაკები

клеточными железистыми волосками - უჯრედიანი რკინოვანი ბუსუსები

буковата - ზანგელა

с продольными морщинами - გასწვრივ ანაოჭებულია

млечные сосу́ды - სარბევე მილაკები (ჩხუბიანიშვილი 1980: 146)

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგიაზე მუშაობის პრინციპების აღიარება უკვე მოხდა და ამ მხრივ ჩვენს მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს შორის აზრთა ურთიერთთანხვედრა იყო, პირველი ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენისას საკმაო მეთოდოლოგიური ხასიათის სიმწელები გამოვლინდა.

1920 წელს საქართველოს ტექნიკურმა საზოგადოებამ გამოსცა “რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი).” ამ წიგნის მეორე შვესებული გამოცემა _ ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული _ განხორციელდა 1921 წელს. “ამ ტერმინოლოგიამ უთუოდ დიდი როლი ითამაშა: ქართული ტექნიკური სიტყვა ითქვა, ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას დასაბამი მიეცა. ამ ლექსიკონის შემდგენელთა მიერ შემოღებული ბევრი ტერმინი დღეს ისე გაჯდა და დაინერგა ჩვენს მეტყველებაში, თითქოს ამ სიტყვების გარეშე არასოდეს ყოფილა ქართული ენა...” (ღამბაშიძე 1986: 102; ბერიძე 1952: 30). მიუხედავად ასეთი მაღალი შეფასებისა და იმ მნიშვნელობისა, რომელიც ტექნიკური ინტელიგენციის ამ ნაშრომს ჰქონდა თავის დროზე და დღესაც არ დაუკარგავს, თვალში საცემია ის ხარვეზები, რაც ამ ლექსიკონზე მუშაობისას გამოვლინდა: “ლექსიკონის შემდგენელთა მიერ ტერმინების შემუშავებისას არჩეული პრინციპები ყოველთვის ერთგვარი არ ყოფილა და არც ერთნაირი ღირებულებისა...სხვა შემთხვევებში მათ მიერ არჩეული გზა და საშუალებები ტერმინის დადგენისა გაუმართლებელი და მიუღებელი იყო. შემდგენელთა მთავარ მიზანს ინტერნაციონალურ ტერმინთა სრული უგულებელყოფა შეადგენდა, ხოლო მათ მიერ შექმნილი ქართული ვარიანტი მეტწილად ხელოვნურად იყო შეთხზული, არ ემყარებოდა ქართული სიტყვაწარმოების წესებს,” (ღამბაშიძე 1972: 18) _ წერდა როგნედა ღამბაშიძე, როცა ამ ნაშრომის დადებით და უარყოფით მხარეებს აანალიზებდა. იგივე მეცნიერი მოგვიანებით უფრო დეტალურად ეხებოდა ლექსიკონის შედგენის პრინციპებს: “ამოსავალი ავტორებისათვის ხან ხალხური ეტიმოლოგიზაციის პრინციპია, ხან ემოციურ-ექსპრესიული, ხან კეთილხმოვანებისა (ანუ ევფონიისა). ენის კანონები კი მხედველობაში მიღებული არაა, ტერმინები ხელოვნურია და არ ემყარება ქართული სიტყვაწარმოების წესს” (ღამბაშიძე 1981: 160) როგორც ვხედავთ, ამ

ლექსიკონის შემდგენლებს მარტო ერთი პრინციპი გაუტარებიათ შეურყევლად, ინტერნაციონალურის მაგივრად ქართული ტერმინი შეეთხზათ, რაკი ამოსავალი პოზიცია მცდარია, აქედან გამომდინარეობს დანარჩენი შეცდომები და ენის კანონების უგულვებლყოფაც. ეს მიზანი აიძულებდა შემდგენლებს, უმართებულო წარმოების სუფიქსები გამოეყენებინათ: -ო (კოშკო), -ობ (ცილობი), -არ (წილარი), -ნარ (კრებნარი), -ად (რიცხვადი), -ან (ხუთანნი), -მან (ნახშირმანი), -ირ (მთიხირი), -იალ (მრავალტკბილიალი), -ით (მაჩვენითი). “ცხადია, ასეთი გამოგონებული აფიქსები ტერმინებს კიდევ უფრო გაუგებარსა და ბუნდოვანს ხდიდა, ტერმინების სიცხადე და მათი აგების გამჭვირვალობა კი ტერმინოლოგიური მუშაობის აუცილებელი პირობაა” (დამბაშიძე 1981: 162).

“ტექნიკური ლექსიკონის” ავტორები მიიჩნევდნენ, რომ ნამდვილი ტერმინოლოგია ბოლომდის დედაენაზედ უნდა იყოს გამოსახული” (დამბაშიძე 1981: 2) და იმედს იტოვებდნენ, რომ “ჩვენი ნაბიჯით ქართული ენა სამუდამოდ დაიძვრის ევროპული სქოლასტიკის ჰიპნოზის მკვდარი წერტილიდან და ამ ნაბიჯის საფუძველზე ჩვენი მომავალი სამეცნიერო ენა აღმოცენდება” (დამბაშიძე 1981: 104, 105). სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა ის გზა, რომლითაც ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია უნდა განვითარებულიყო. ტერმინების ხელოვნურად შედგენა სწორედ ის მცდარი მიმართულებაა, რომელსაც ივ.ჯავახიშვილი მხარს არ უჭერდა და უდიერად მოიხსენიებდა, როგორც “სამეცნიერო ტერმინების ზეპირად და ზერელედ შემთხვევლობას” (ივ. ჯავახიშვილი 1915: 9). ვუკოლ ბერიძეც აღნიშნავდა, რომ ეს წიგნი “წარმოიშვა როგორც რეაქცია, როგორც პასუხი თვითმპყრობელური გამარუსებელი პოლიტიკისა – აქედან ყველაფრის გაქართულება, ინტერნაციონალურ ტერმინთა სრული უგულვებლყოფა” (ბერიძე 1952: 30). მეცნიერი იქვე აყალიბებს ტერმინოლოგიისადმი მიდგომის მისაღებ პრინციპებს, რომლებიც შეცდომებს აგვაცილებს: “უკიდურესობა არ ვარგა: ჩვენ უნდა გავარჩიოთ კოსმოპოლიტიზმი ინტერნაციონალიზმისაგან... ყოველი სიტყვა, რომელიც ყველა ერს აქვს მიღებული, უმთავრესად ლათინურ-ბერძნული ძირების სიტყვები, ჩვენც უნდა მივიღოთ, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, მაგრამ აქაც გარკვეული გეზი უნდა გვქონდეს: თუ ინტერნაციონალურ ტერმინს ქართულ-ხალხურ სასაუბრო ენაში გააჩნია თავისი

პარალელი, ჩვენც უთუოდ უნდა შემოვიღოთ იმ ვარაუდით, რომ ახლო მომავალში უცხო ტერმინი მოიხსნება და მშობლიური დარჩება სახმარებლად” (ბერიძე 1952: 32).

ასე რომ, თითქმის 40 წელი (1880-1920) ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მუდმივად იყო საუბარი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემოღების აუცილებლობაზე, ამ ტერმინოლოგიის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებზე, ქვეყნდებოდა სხვადასხვა დარგის ლექსიკა, მცირე ზომის ლექსიკონები, მაგრამ ეს იყო უმნიშვნელო. ტერმინოლოგიაში არსებულ ხარვეზებს ვერც ერთეული გამოცემები ავსებდა და მით უმეტეს, ცალკეულ მეცნიერებათა ტერმინოლოგიური სიტყვარი.

სისტემური, მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში ქართული უნივერსიტეტის დაარსებას უკავშირდება, როცა ტერმინოლოგიის შედგენა სახელმწიფოებრივ ამოცანად იქცა და განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა სამეცნიერო საბჭო, რომელიც გახდა ტერმინოლოგიური მუშაობის კოორდინატორი. საბჭოს თავმჯდომარედ ივ.ჯავახიშვილი დაინიშნა. “მის სახელს უკავშირდება ჩვენში ტერმინოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, განვითარება, მისი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება” (ღამბაშიძე 1986: 104).

0.6. სპეციალურ ტერმინთა შედგენის ზოგადი პრინციპები

ტერმინის მნიშვნელობის განსაზღვრა ამოსავალია ყოველი ტერმინოლოგიური სამუშაოსათვის.

ტერმინი ტერმინოლოგიის ძირითადი ელემენტია, მაგრამ მისი განსაზღვრება მეტად არაერთგვაროვანია, თუმცა, ამ მრავალფეროვნებაშიც შეიძლება გამოიყოს ორი მიმართულება. პირველი მიმართულების შრომებში ტერმინის დეფინიცია დადის იქამდე, რომ ის არის “განსაკუთრებული ფუნქციის მქონე სიტყვა, რაც გამოიხატება სპეციალური ცნების საგნის ან მოვლენის დასახელებაში” (ვინოკური 1939: 38). ის მიჩნეულია ენის ერთეულად, რომელსაც საერთო ენის ყველა თვისება ახასიათებს (კუზკინი 1962: 136-146; კომაროვა 1979: 3-13; პროხოროვა 1981: 23-31). ე.ი. ტერმინი ასრულებს ნომინაციურ და დეფინიციურ ფუნქციებს (ვინოგრადოვი 1947: 12-13;

ლევკოვსკაია 1962: 196-197).

მეორე მიმართულება ტერმინს უპირისპირებს სიტყვას, როგორც განსაკუთრებულ ერთეულს. მაგ. ლ.კუტინა წერს: “ეს წინააღმდეგობა ეხება ტერმინისა და სიტყვის შინაარსობრივ მხარეს, როგორც განსაკუთრებულ სემასიოლოგიურ ერთეულებს და სისტემურ დახასიათებას, რაც განსაზღვრულია ამ ერთეულების განსაკუთრებული კუთვნილებით სხვადასხვაგვარად ორგანიზებული სისტემებისათვის (კუტინა 1970: 83-84).

ჩვენი აზრით, განსხვავება სიტყვასა და ტერმინს შორის იმაშია, თუ რა შინაარსისაა აღსანიშნი ცნება.

ცნება შეიძლება იყოს ყოფითი, ყოველდღიური, თუ ის რეალიზდება საყოველთაო სიტყვით, ხოლო მეცნიერული – ტერმინით. სამეცნიერო ცნების შინაარსი ბევრად ღრმა და მდიდარია ჩვეულებრივთან შედარებით, რადგან ყოფითი სიტყვები სტიქიურად გროვდება, სამეცნიეროში კი ასახულია საგნების ყველა ზოგადი და არსებითი თვისების ერთობლიობა, რომლებიც მეცნიერებამ შემეცნების განსაზღვრულ ეტაპზე შეითვისა (კოვტუნა 1955: 69-74).

ტერმინებს საერთო ენის სიტყვებთან შედარებით ახასიათებს დიდი **სემანტიკური განსაზღვრულობა**. როგორც ვ.პ.დანილენკო წერს: “თუ საერთო ლიტერატურული ენის ლექსიკის თავისებურებად შეიძლება დავასახელოთ სემანტიკური განუსაზღვრელობა, ტერმინოლოგიის არსებით თავისებურებად უნდა დავასახელოთ მისი სემანტიკური განსაზღვრულობა” (დანილენკო 1977: 59). როგორც ამ განსაზღვრულობის შედეგი, თითოეულ ტერმინს აქვს დეფინიცია – ვერბალური განსაზღვრა, რომელშიც გამოყოფილია ცნების ძირითადი, არსებითი ნიშნები და რომელიც, სხვადასხვა ავტორის აზრით, ადგენს ტერმინის ენობრივ მნიშვნელობას (კანდელაკი 1970: 5). ვ.პ. დანილენკო ტერმინის განსხვავებას საერთო-სალიტერატურო ენის სიტყვისაგან იმაში ხედავს, რომ “ტერმინის შინაარსი ვლინდება დეფინიციის საშუალებით”, ზუსტი და ლოგიკური განსაზღვრებით იგი ადგენს ამ “ტერმინით დასახელებული ცნების არსებით ტერმინოლოგიურ ნიშნებს”, ჩვეულებრივი სიტყვის მნიშვნელობა კი განსაზღვრულია მისი ლექსიკური მნიშვნელობით, რომელიც არ გულისხმობს დასახელებული საგნის, მოვლენის და ა.შ. აუცილებელი და საკმარისი განმასხვავებელი ნიშნების ლოგიკურ

გამოცალკევებას (დანილენკო 1970: 308).

მეცნიერთა ნაწილი ემხრობა იმ აზრს, რომ აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არსებობს საგნობრივ-ლოგიკური შეფარდება, ტერმინის ე.წ. “ინტელექტუალური სიწმინდე”, რადგან ის მოკლებულია ფუნქციას, რომელიც უკავშირდება ემოციურ-ექსპრესიულ და მოდალურ შინაარსს (კაპანაძე 1965: 81-82; რეფორმატსკი 1961: 52).

ვ. პროხოროვა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ “ტერმინში შეიძლება გამოიხატოს დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულება ცნების შინაარსთან, რომელსაც ეს ტერმინი აღნიშნავს. მაგალითად მოჰყავს კნინობით-ემოციური ფორმები, რომლებიც რეგულარულია მთელ რიგ ტერმინოსისტემებში და, მათ შორის, სამედიცინო ტერმინოლოგიაშიც (პროხოროვა 1983: 8, 9).

გ.ე. კრაკოვეცკაიამ აჩვენა, რომ ტერმინოლოგიის მატარებელნი არ გრძნობენ ასეთი ტერმინების ემოციურ შეფერილობას, ისინი მას იღებენ როგორც ნიშანს, სამედიცინო ტერმინოლოგიის სიმბოლოს, რომელიც გარკვეულ ორგანოს ან სხეულის ნაწილს უკავშირდება. ტერმინის **არაემოციურობა** მტკიცდება კნინობით და არაკნინობით სუფიქსიანი ტერმინების საგნობრივი დიფერენციაციით (голова – головка кости) (კრაკოვეცკაია 1979: 9). ა.ხომერიკს საეჭვოდ მიაჩნია სმირნოვას აზრი, რომ მთელი რიგი რუსული ტერმინები (проказа, парша, чесотка) შეიცავენ უარყოფით ემოციას ამ დაავადებათა “არაეთიკურობის” გამო (ხომერიკი 1986: 13; სმირნოვა 1985: 9). ამ ტერმინებს მართლაც შეიძლება ჰქონდეთ ემოციური საწყისი, მაგრამ პროფესიული სფეროს, ტერმინოსისტემის გარეთ, ენის საერთო შემადგენლობაში დაბრუნებისას, ტერმინოსისტემაში კი, ა.რეფორმატსკის აზრით, “ტერმინის ურთიერთობა ამოიწურება მისი ლოგიკური და საგნობრივი მიმართულებით, მისი ინტენციით საგნისა და ცნების მიმართ” (რეფორმატსკი 1961: 52).

ტერმინის ერთ-ერთი თავისებურებაა მისი ტენდენცია **ერთმნიშვნელოვნობისაკენ**. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად არის ხაზგასმული, რომ ჩვეულებრივი სიტყვებისაგან განსხვავებით, ტერმინს მხოლოდ ერთი ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ როგორც რუსული, ისე სხვა ენების სამეცნიერო, და მათ შორის სამედიცინო, ტერმინოლოგიის ანალიზი აჩვენებს, რომ ტერმინი ხშირად არის მრავალი მნიშვნელობის შემცველი (ჩუპილინა 1967: 5). განსაზღვრულია, რომ

პოლისემია ტერმინოლოგიაში ვლინდება არასრული მოცულობით, ის უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი (დანილენკო 1977: 66-69). ამასთან დაკავშირებით კვლავ აქტუალურია ა.რეფორმატსკის მითითება იმაზე, რომ ტერმინი ერთმნიშვნელოვნობისაკენ მიისწრაფვის: “ტერმინები – ეს სპეციალური სიტყვებია, რომლებიც შემოიფარგლება თავიანთი განსაკუთრებული მნიშვნელობით: სიტყვები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნობისაკენ მიისწრაფვიან, რომ რაც შეიძლება ზუსტად გამოხატონ ცნება და საგნების დასახელება” (რეფორმატსკი 1967: 110).

ყოველი ტერმინი თითქოს ერთ ცნებას უნდა შეესაბამებოდეს, მაგრამ სამედიცინო ტერმინოლოგიაში გამორიცხული არ არის პოლისემიაც – ერთი სიტყვით რამდენიმე ცნების გადმოცემა (მაგ. axis - 1. ღერძი 2. კისრის II მალა; truncus - 1. ტანი 2. ღერო; planta - 1. მცენარე 2. ტერფის ძირი; crus - 1. წვივი 2. კანჭი 3. პატარა ფეხი; ampulla- 1. ამპულა 2. კოლბისებრი სისხლძარღვი). პოლისემიის ძირითადი მიზეზი, როგორც წესი, მეტონიმიაა, მაგრამ ხშირად თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რა არის პოლისემიის გამომწვევი ძირითადი მიზეზი. ხშირად მხოლოდ კონტექსტით შეიძლება დადგინდეს ტერმინის მრავალი მნიშვნელობიდან ერთი (ფოჩხუა 1974: 107-112). სამართლიანადაა აღნიშნული, რომ პოლისემია ტერმინოლოგიაში დიდ დაბრკოლებას ქმნის სამეცნიერო ლიტერატურის კითხვისას და იწვევს პრაქტიკულ შეცდომებს, ისე, როგორც ომონიმია (ლოტე 1961: 19, 61).

ქართული და ლათინური ენების შედარებისას პოლისემიის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კნინობითი ფორმების ხმარება ძირეული ფუძესიტყვის მნიშვნელობით: tuber და tuberculum – ბორცვი, canalis და canaliculus – არხი, tuba და tubulus – მილი, caput და capitulum – თავი, lingua და lingula – ენა, fossa და fossula – ფოსო, nodus და nodulus – კვანძი. ცხადია, პოლისემიურობაზე როცა ვლაპარაკობთ, ერთ - მედიცინის ტერმინოლოგიურ ველს ვგულისხმობთ. ქვემოთ ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ როცა ქართული ენა ამის საშუალებას იძლევა, აუცილებლად უნდა გავასხვაოთ ლათინური კნინობითი ფორმები ფუძესიტყვისაგან და ქართულადაც შეძლებისდაგვარად ზუსტად შესატყვისი ვიხმაროთ: ბორცვი და ბორცვაკი, თავი და თავაკი, მილი და მილაკი, ენა და ენაკი, ფოსო და ფოსუკი, ან არხი და პატარა არხი, კვანძი და პატარა კვანძი და ა. შ.

სამეცნიერო ტერმინის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევა აგრეთვე **სისტემურობა**. “ტერმინის ღირებულება შეფასებული უნდა იქნეს ტერმინთა მთელი სისტემისა და სისტემაში მომყვანი თვისებების თვალსაზრისით”. მისი აზრით, ტერმინის შერჩევას განაპირობებს თითოეული ცნების ადგილის განსაზღვრა საკვალიფიკაციო რიგში (ლოტე 1961: 28, 73).

ტერმინის სისტემურობას, როგორც მის ძირითად ნიშანს, ხაზს უსვამს ს. ბარხუდაროვიც. მისი განსაზღვრებითაც, “ტერმინები ცნებათა კავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების მრავალმხრივ სახეს გამოხატავს” (ბარხუდაროვი 1970: 9). ტერმინთა ანუ ნიშანთა სისტემა კი, ტ. კანდელაკის განმარტებით, თავს უყრის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ ტერმინებს, რომლებიც, როგორც წესი, ერთი დარგის ტერმინოლოგიურ სისტემას ქმნიან (კანდელაკი 1970: 40). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს სისტემა არ არის რაიმე თავისთავად არსებული, მისი მოწესრიგებულობა სპეციალისტების დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული (დანილენკო 1977: 52). დ.ლოტე იმოწმებს შუხარდტის გამონათქვამს, რომ “ტერმინოლოგიური ბუნდოვანება მეცნიერებისათვის იგივეა, რაც ნისლი ზღვასნობისათვის. ის კიდევ უფრო საშიშია, რამდენადაც, ჩვეულებრივ, ადამიანი მას უნებლიედ ანგარიშს არ უწევს” (ლოტე 1961: 19).

ტერმინოლოგია არის ქვესისტემა, რომელიც ენის საერთო სისტემის წიაღში გამოიყოფა. თემატური თვისებებით ის, თავის მხრივ, იყოფა ქვესისტემებად, რომელთა შინაარსი და კავშირები ცოდნის ერთი სფეროს ფარგლებშია მოქცეული. ასეთი ქვესისტემები ქმნიან ერთ **ტერმინოლოგიურ ველს**, რომელიც საერთო ენის სემანტიკურ ველის პრინციპებს შეესაბამება (რეფორმატსკი 1967: 121-122). ა.რეფორმატსკი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ტერმინი სემანტიკურად პარადიგმატულია, მაგრამ თითოეული მათგანი ერთ გარკვეულ ცნებას უკავშირდება რომელიმე ერთი დარგის ტერმინოლოგიის ფარგლებში. “ველი ტერმინისათვის – ეს არის მოცემული ტერმინოლოგია, რომლის მიღმა ტერმინი კარგავს თავის თვისებას” (რეფორმატსკი 1961: 51). ნიშანთა სისტემის შესაბამისად, ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში ნიშანი არ უნდა განმეორდეს (ტოლიკინა 1970: 58).

ტერმინის ერთმნიშვნელოვნობის პრინციპის დარღვევა იმიტომ ხდება, რომ ის

არასოდეს წყვეტს იმპულსების მიღებას საერთო ენიდან – ტერმინოლოგიის განვითარებისა და ფორმირების ძირითადი ბაზიდან (პიოტროვსკი 1952: 23). ტერმინის ერთმნიშვნელოვნობაზე რომ ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტერმინები არ “ჩნდება”, არამედ გამოიგონება (придумывается), ხდება მათი მოფიქრება, ისინი იქმნება (творятся) მათი აუცილებლობის შემთხვევაში (ვინოკური 1939: 21). ტერმინთქმნადობა დღეს გააზრებული ენობრივი საქმიანობაა და ამიტომაც კიდევ ექვემდებარება რეგულირებასა და მართვას.

სინონიმები ტერმინოლოგიური ენის კიდევ ერთი პრობლემაა. მას დ. ს. ლოტე ტერმინოლოგიის დიდ ნაკლს უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ ისინი ზედმეტად ტვირთავენ მახსოვრობას და ქმნიან საშიშროებას, რომ ზოგიერთი ავტორის მიერ არასწორად იქნას გამიჯნული (ლოტე 1968: 9-10).

მეტად საინტერესოა ტერმინოლოგიაში სინონიმების ბუნება და ფუნქცია. აქ ისინი ერთ ცნებას ეხება და არა აქვთ ემოციურ-ექსპრესიული ფუნქცია, არც სტილური ნიუანსები, ამიტომაც მათ ეწოდებათ დუბლეტები (ტოლიკინა 1971: 78-79; დანილენკო 1971: 7-67; ამირანაშვილი და სხვ. 2002: 188-196).

სინონიმების გაჩენის მიზეზი ტერმინოლოგიაში არის სხვადასხვა წყარო ტერმინების ფორმირებისა (დანილენკო 1977: 73), როგორცაა: ეროვნული ტერმინის გამოყენება ინტერნაციონალურის გვერდით (перикард-околосердечная сумка) (შუმოვი 1973: 19). სინონიმია განსაკუთრებით დამახასიათებელია ტერმინოლოგიის ფორმირების საწყის ეტაპზე, როცა მეცნიერული ცნება ხშირად წარმოდგენილია ტერმინების სერიით-ანალოგებით (კუტინა 1970: 85). ასეთი ტერმინოლოგიური სერიები დიდხანს არ არსებობს. ამიტომ სინონიმია ტერმინოლოგიაში შედარებით მცირე მოცულობით ჩნდება, ვიდრე საერთო ენაში, და როგორც პოლისემია, რეგულაციას ექვემდებარება.

“სამედიცინო ტერმინები, რომლებიც ფუნქციონირებენ სამედიცინო ტერმინოლოგიაში – ანატომიურსა თუ კერძო, ლექსიკურ-სემანტიკურ ქვესისტემაში, ტერმინისა და ტერმინოლოგიის ყველა მითითებულ ძირითად ნიშან-თვისებას შეესაბამება” (ხომერიკი 1986: 16). კონკრეტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ისინი ზუსტად განსაზღვრულ და დეფინიციით დაფიქსირებულ ცნებებს აღნიშნავენ, ხასიათდებიან

სიტყვაწარმოებითი მორფემების სპეციალიზირებითა და რეგულაციით, ერთმნიშვნელოვნებითა და სინონიმის შეზღუდულობით (სმირნოვა 1985: 4, 6-7), ემოციურობისა და ექსპრესიულობის არარსებობით (კრაკოვეცკაია 1979: 9). სინონიმური წყვილები ერთ აღსანიშნზე მიუთითებენ (მაგ.: fovea - ორმო, ღრმული, ჩაღრმავება, foveola - ორმო, ჩაღრმავება, fossa - ორმო, ფოსო, ღრმული...). ცხადია, ასეთ შემთხვევაში ჭირს გარჩევა, ქართული სინონიმებიდან რომელია უფრო ზუსტი თარგმანი. განსაკუთრებულ სიძნელეს ქმნის აბსოლუტური სინონიმები, ანუ ლექსიკური დუბლეტები. გრამატიკულ სინონიმებს შეიძლება შედარებით მარტივად ავუაროთ გვერდი და დავადგინოთ მათგან ერთ-ერთი (სამფერა ან სამფეროვანი, ორმუცელი ან ორმუცლიანი, ჯვარედინი, ჯვრისებრი ან ჯვრისფორმის, ნამგლისებრი ან ნამგლისფორმის, გვირგვინოვანი ან გვირგვინიანი, მოსაზღვრე, სასაზღვრე ან საზღვროვანი, ტრაპეციული ან ტრაპეციისებრი, რგოლისებრი, ბეჭდისებრი, რგოლური ან რგოლებიანი, დაცხავებული, დაცხრილული ან ცხავისებრი, სუნთქვის ან სასუნთქი, სმენითი ან სასმენი...). მაგალითების გაზრდა სამედიცინო ტერმინოლოგიიდან უსაზღვროდ შეიძლება. ამით იმის ჩვენებაც გვინდა, რომ გრამატიკული სინონიმების მოწესრიგების საკითხი სამედიცინო ტერმინოლოგიაში საკმაოდ აქტუალურია და მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს სწორედ ენათმეცნიერთა მხრიდან. ამაში მათ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით. ვფიქრობთ, ამ პრობლემების გადაწყვეტა შედარებით ადვილია, ვიდრე ლექსიკურ სინონიმებთან დაკავშირებული საკითხებისა.

ლექსიკური სინონიმების გაჩენის ძირითადი მიზეზი სამედიცინო ტერმინოლოგიაში ქართული სიტყვების გვერდით ლათინური ლექსიკიდან მომდინარე საერთაშორისო ტერმინის არსებობაა (შუა – მედიალური, გვერდითი – ლატერალური, ზურგის – დორსალური, დამწევი – დეპრესორი, იოდიზმი – იოდით მოწამვლა, ალკოჰოლიზმი – ავადმყოფური მიდრეკილება ალკოჰოლისადმი, მხედველობის – ოპტიკური – ვიზუალური, სფერული – ბურთისებრი, მობილური – მოძრავი, რესპირატორული – სასუნთქი, ანტეფლექსია – წინ მოხრა, ანესთეზია – გაუტკივარება, ამორფული – უფორმო). ეს პრობლემა განსაკუთრებით დგას კლინიკურ ტერმინოლოგიაში, რადგან აქ ერთსიტყვიან ლათინურ ტერმინს მრავალსიტყვიანი ქართული სინონიმი უპირისპირდება (მაგ.: ანემია – სისხლნაკლებობა,

მცირესიხლიანობა, სისხლში ერითროციტებისა და ჰემოგლობინის შემცველობის შემცირება, ატროფია – უჯრედის, ქსოვილებისა და ორგანოების ზომის შემცირება კვების მოშლის გამო, აფაგია – ყლაპვის შეუძლებლობა, აფაზია – მეტყველების მოშლა, ატონია – ტონუსის დაცემა). აქაც იგივე პრობლემა დგება, რაზედაც ზემოთ ვსაუბრობდით. ა – პრეფიქსის ზუსტი შესატყვისის დადგენა. როგორც ვხედავთ, ამ მაგალითების მიხედვით, ის ექვსი სხვადასხვა სიტყვით გადმოიცემა: *ნაკლებობა, მცირე, შემცირება, შეუძლებლობა, მოშლა, დაცემა*. სხვა ნიმუშებიდან კიდევ შეიძლება დავუმატოთ: *გამწვანება, შეფერხება, პრეფიქსი უ-*. ეს სიძნელე აუცილებლად დასაძლევია სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების საერთო ძალისხმევით. ამ საკითხებზე უნდა მოხდეს შეთანხმება, რაც საბოლოოდ ამ ტიპის ქართულ ტერმინებსაც სისტემის ხასიათს მისცემს.

“ერთი ენის ფარგლებში სინონიმების გაჩენას ტერმინოლოგიაში ხელს უწყობს სალიტერატურო სისტემის მასალიდან ე.წ. “ყოფითი სიტყვების” შემოტანა (ლამბაშიძე 1987: 51). მაგალითებს სამედიცინო ტერმინოლოგიიდან მოვიყვანთ: *ansa* - სახელური, ტარი; *nodus* – კვანძი, ნასკვი; *processus* – მორჩი, გამონაზარდი; *recessus* – ჩაღრმავება, უბე, ჯიბე; *arcus* – რკალი, თალი; *labium* – ტუჩი, ბაგე.

რ. ლამბაშიძე განიხილავს ტერმინოლოგიაში სინონიმთა არსებობის სხვადასხვა მიზეზს (ლამბაშიძე 1987: 52-56), რაც არააქტუალურია სამედიცინო ტერმინოლოგიისათვის, ამიტომ ამ საკითხებს ახლა გვერდს ავუვლით. სამაგიეროდ, ამავე ტერმინოლოგიისათვის მეტად პრობლემურია ბერძნულ-ლათინური დუბლეტები. რ. ლამბაშიძე აღნიშნავს, რომ რადგან ისინი “არავითარ ნიუანსობრივ სხვაობას არ იძლევა ენაში, მართლაც საზიანოა ტერმინოლოგიური სისტემისათვის” (ლამბაშიძე 1987: 57). სამედიცინო ტერმინოლოგიაში ბერძნულ-ლათინური დუბლეტების არეალი ძირითადად გამიჯნულია: ლათინური ლექსიკა უმეტესად ანატომიურ ტერმინოლოგიაში გვხვდება, ხოლო ბერძნული – კლინიკურში. მათი აღრევა თითქმის არ ხდება, ხოლო ერთეულ შემთხვევებში მათი მოწესრიგება შედარებით იოლია.

დანაილენკოს მიხედვით, “ტერმინის მოტივირებული ტიპები მთავარ როლს თამაშობს რუსულ ტერმინოლოგიაში” (დანაილენკო 1977: 64). **მოტივირება** – ცნება შემოიტანა ფ. დე სოსიურმა “მნიშვნელობისა და ბგერითი გახსნის, ამ მნიშვნელობის

გამომსახველის რაციონალური კავშირის შეცნობა. მოტივირებას აქვს სახეები: ა) აბსოლუტური (ბგერითი მიზანძვა) და ბ) შედარებითი (გაკი 1977: 264). შედარებითი მოტივაცია, რომელსაც ფსიქო-ესთეტიკურ (ოფჩარენკო 1971: 417-423) და ისტორიულ მოტივაციასაც (სოსიური 1933: 271) უწოდებენ, შეესაბამება სიტყვის შინაგან ფორმას, რომელიც განასახიერებს და განსაზღვრავს მოტივირებულობას (კუბრიაკოვა 1981: 200 გვ). “მოტივაცია ონომასიოლოგიის ერთ-ერთი საყრდენი პრინციპია” (დამბაშიძე 1987: 20), ასე რომ, ტერმინთა მოტივაცია დაკავშირებულია ცნებისა და ტერმინის შესაბამისობასთან.

ტერმინი მოტივირებულია, როცა შინაარსი თვითონ ნომინაციაშია. ამას, ცხადია, ვერც სამედიცინო ტერმინოლოგია უვლის გვერდს (მაგ.: ethmoidalis - ცხავისებრი, gastricus - კუჭის, tuberculum - ბორცვაკი). მაგრამ აქ ისიც არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ტერმინირებული ცნება, რომელსაც, შეიძლება, რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ერთი მათგანით იყოს განსაზღვრული და არა ზუსტად ცნების ადეკვატური. როგორც ყველა ტერმინოლოგიაში, სამედიცინოშიც მოტივირებულია უფრო მეტად აფიქსაციით მიღებული ტერმინები (cuboides - კუბური, quadratus - კვადრატული, tri-angul-ar-is - სამკუთხა, bi-ceps - ორთავა).

მოტივაცია მით უმეტეს გამჭვირვალეა რთულ სიტყვებში (aortic-o-ren-alis-აორტა-თირკმლის, vertibul-o-cochle-aris - კარიბჭე-ლოკოკინას, nas-o-pharyng-eus - ცხვირ-ხახის, radi-o-carp-eus - სხივ-მაჯის, zygomatic-o-maxill-aris - ყვრიმალ-ზედაყბის).

გამჭვირვალე მოტივაციის მქონე ტერმინთა რიცხვს მიაკუთვნებენ აგრეთვე ტერმინოლოგიურ გამოთქმებს: musculus biceps - ორთავა კუნთი, os cuboideum - კუბური ძვალი, musculus gracilis - ნაზი კუნთი, ligamentum teres - მრგვალი იოგი, ganglion impar - კენტი კვანძი, dosis letalis - სასიკვდილო დოზა, ligamentum falciforme hepatis - ღვიძლის ნამგლისებრი იოგი. “ამგვარ შესიტყვებათა სემანტიკური სტრუქტურა გამჭვირვალეა: თითოეულ სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს, საერთო კი ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობისაგან გამოიყვანება. ასეთი მოდელი - სახეობითი ცნების გამომხატველი შესიტყვება - მოტივაციის სიცხადით ხასიათდება” (ოფჩარენკო 1969: 110-113).

რაც შეეხება არამოტივირებულ ტერმინებს, ასეთია ძირითადად უცხო ენებიდან ნასესხები ლექსიკა (ამბულა, ტაბლეტი), თუმცა რ.დამბაშიძე იქვე აღნიშნავს, რომ

შეიძლება თავის დროზე ეს სიტყვები მოტივირებულიც იყო, მაგრამ დღეს მათი მნიშვნელობა უცნობია ან დაკარგულია (დამბაშიძე 1987: 23). ამგვარი მაგალითი გვაქვს მოყვანილი ჩვენს წიგნში pupilla–სთან დაკავშირებით, რომელიც დღეს თვალის გუგაა, ხოლო თავის დროზე პატარა თოჯინას ნიშნავდა (ამირანაშვილი და სხვ. 2002: 197).

არამოტივირებულია საკუთარი სახელისგან მეტონიმის გზით მიღებული ტერმინები (Leischmania, Botkini, facies Hipocratica – ჰიპოკრატეს სახე), ასევე გამოგონებული ტერმინები (გაზი, ნეილონი).

გასაზიარებელია მოსაზრება, რომ “ტერმინთა უმრავლესობა მოტივირებულია, რაც ტერმინოლოგიური სისტემის ღირსებაზე ლაპარაკობს. თავისთავად ცხადია, შინაგანი ფორმის მიხედვით გამჭვირვალე ტერმინები უფრო ადვილად შესათვისებელი და დასახსომებელია, ვიდრე მოტივაციისგან დაცლილი და არაფრისმთქმელი სიტყვები (დამბაშიძე 1987: 24-25; დანილენკო 1977: 64).

თავი პირველი

პრეფიქსაცია

აფიქსური სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახეა პრეფიქსაცია. ლათინურ ენაში პრეფიქსად გამოყენებულია ძირითადად წინდებულები, ზმნიზედები ან რიცხვითი სახელები. ზოგიერთ შემთხვევაში პრეფიქსი მოცილებადი თავსართია, მაგ., circum-, extra-, in... - ზოგჯერ კი – მოუცილებელი. მაგ., re-, se- ... პრეფიქსები გარკვეულად წინდებულის მნიშვნელობას ავითარებენ და სიტყვის ძირითად ფუნქციას კი არ ცვლიან, არამედ გარკვეულ ნიუანსობრივ ელფერს აძლევენ მას. პრეფიქსს ძირითადი მნიშვნელობის გარდა შეიძლება ჰქონდეს მეორეხარისხოვანი ან გადატანითი გამოხატულება. მაგ., de- პრეფიქსი უჩვენებს მოძრაობას ზევიდან ქვევით. მაგ., de-scendo – ჩამოვდივარ, მაგრამ ის აღნიშნავს აგრეთვე გაუარესებას და უარყოფას (de-generatio – გადაგვარება, de-sinfectio - გადადების უვნებელყოფა)

პრეფიქსი შეიძლება მოქმედებდეს ძირის დასაწყის თანხმოვანზე და იწვევდეს მის მოდიფიკაციას, ასიმილაციას (მაგ., ad-similatio//as-similatio – დამსგავსება). პრეფიქსი

ხშირად უცვლის ჟღერადობას ძირეული სიტყვის პირველ ხმოვანსაც. მაგ., super+facies=superficies, ei f – ზედაპირი; dis+facilis=difficilis, e – ძნელი.

სიტყვას შეიძლება ერთდროულად დაერთოს რამდენიმე პრეფიქსი. მაგ., re-infectio, onis f – განმეორებითი ინფექცია; შეიძლება ერთდროულად ბერძნული და ლათინური პრეფიქსებიც დაერთოს. მაგ., prae-hypo-physis, is f – ჰიპოფიზის წინა წილი (prae- ლათ. პრეფიქსია, hypo – ბერძნული).

ძირითადად ლათინური პრეფიქსები ლათინურ ძირებს დაერთვის, ბერძნული კი ბერძნული ფუძეებიდან აწარმოებს ახალ სიტყვებს. მაგ., de-formans, ntis – დეფორმირებული, hypo-glossus, a, um – ენისქვეშა. მაგრამ ხშირია აღრევაც, როცა ლათინური პრეფიქსი ბერძნულ ფუძეს დაერთვის, ბერძნული პრეფიქსი კი – ლათინურს. მაგ., inter-condylaris, e – როკთაშუა (inter – ლათ. პრეფიქსია, condyl – ბერძნული ძირია); epi-duralis, e – მაგარი სასის ზემოთ მოთავსებული (epi- ბერძნული პრეფიქსია, dur – ლათინური ძირი).

1.1. ლათინური პრეფიქსები

1. ა-, აბ-, აბს- (ც,ტ –ს წინ) - -დან, -გან, მოცილება, უარყოფა

ა) შეიძლება გადმოიცეს გა- ზმნისწინით:

აბ-დუცენს, აბ-დუცტორ – გამზიდველი

იმავე ტერმინის გადმოსაცემად გვხვდება ძველი ზმნისწინი გან_:

აბ-დუცენს - განმზიდველი (მუსცულუს, ნათიშვილი 1976: 107, შელია 1979: 10)

გან- პრეფიქსად გვხვდება აგრეთვე სხვა ტერმინშიც:

აბს-ტრაცტუს, ა, უმ – განყენებული

ბ)-აბ პრეფიქსის გადმოსაცემად არანაკლები სიხშირით გამოიყენება გამო-:

აბ-დუცენს, ნტის – გამომყვანი (ნერვუს) აბ-ორტუს, უს მ –

გამოგდება

აბს-ტრაცტუს, ა, უმ – გამოყოფილი

გ) როცა აბ- პრეფიქსი უარყოფას, გადახრას გამოხატავს, მაშინ ქართულში გვხვდება ზმნისწინი გადა_ ან პრეფიქსად გამოყენებული უარყოფითი ნაწილაკი არა-

აბ-ერრანს, ნტის – გადახრილი, ცდომილი (შელია 1979: 10), არასწორი, განზნეული (NA 1979: 88)

თითქოს ამასვე უახლოვდება შე- ზმნისწინით გამოხატული შინაარსი:

აბს-ტინენტია, აე ფ – შეკავება (ე. ი. არგამოყოფა – ნ. ა.)

დ) გვაქვს აბ- პრეფიქსის გადმოცემისას ისეთი შემთხვევები, როცა მისი კონკრეტული ფუნქცია ქართულში რაიმე სპეციალური ფორმით არ გამოიხატება:

აბს-ცესუს, უს მ – აბსცესი, ჩირქგროვააბს-ორბენს, ნტის – შთანმთქმელი, შემწოვი

აბს-ოლუტუს, ა, უმ – აბსოლუტური, სრული

2. პრეფიქსი ად- (აც-, აფ-, აპ-, ას-) – თან, მიახლოება

ად- პრეფიქსს ამ ძირითადი მნიშვნელობების გარდა მრავალი ნიუანსის გამოხატვა შეუძლია, ამიტომ მისი გადმოცემის საშუალებებიც მეტად განსხვავებულია და ზოგჯერ ისე გადადის ერთმანეთში, რომ გარეგნულად ძნელი გასარჩევია.

ა) დამატება ან დამატების შედეგად მიღებული. ეს შინაარსი ძირითადად გადმოცემულია ან უშუალოდ ამ სიტყვით, ან და- ზმნისწინით:

ად-დიტამენტუმ, ი ნ – დამატება

აპ-პენდიხ, იცის ფ - დამატება, დანართი, დამატებითი ორგანო

ბ) იმავე მნიშვნელობის გამოსახატავადაა გამოყენებული ზმნისწინი შე-

აც-ცუმულატუს, ა, უმ – შეერთებული, ერთად შეკრებილი, დაგროვილი

აგ-გრეგატუს, ა, უმ – შეჯგუფული (ნათიშვილი 1976: 259), ჯგუფური

ად-სტრიგენს, ნტის – შემკვრელი

გ) შედარებით ნაკლებად ეს ფუნქცია გამოხატულია მი- ზმნისწინით:

აფ-ფიხუს, ა, უმ – მიმაგრებული, მიწებებული, მიკრული

დ) ად- პრეფიქსით გამოიხატება აგრეთვე მიახლოება, შეგუება. ამის გადმოსაცემად ქართული რაიმე სპეციფიკურ ზმნისწინს არ იყენებს, უფრო შინაარსით გამოხატავს ამას:

აც-ცელერანს, ნტის – დამაჩქარებელი (ე.ი. მისაახლოებლად – ნ. ა.), მასტიმულირებელი

ას-სანატიო, ონის ფ – სანიტარული პირობების გაუმჯობესება (ე. ი. იდეალურთან მიახლოება – ნ. ა.)

ე) ად- პრეფიქსი აღნიშნავს აგრეთვე **მოახლოებას**, მოძრაობას იქიდან აქეთ, რომელსაც, როგორც წესი, ქართულში **მო-** ზმნისწინი გამოხატავს:

ად-დუცენს, ნტის – მომზიდველი აფ-ფერენს, ნტის – მომტანი

აფ-ფლუხუს, უს მ – მოწოლა სისხლის ცალკეულ ორგანოებთან

იშვიათად იგივე ნიუანსი მი- და შე- ზმნისწინებითაცაა გადმოცემული:

აფ-ცეპტუს, ა, უმ – მიღებული. მისაღები (იქიდან აქეთ ნ.ა.)

აფ-ქუისიტუს, ა, უმ – შეძენილი (იქიდან აქეთ მოტანილი ნ.ა.)

ვ) ად- პრეფიქსის ფუნქციაა, გამოხატოს –**თან**, გვერდზე ყოფნა

ად-ჯუვანს, ნტის – დამხმარე ას-სისტენს, ნტის – ასისტენტი, გვერდზე

მდგომი

როგორც ვნახეთ, ამ შემთხვევაში ქართულად გადმოტანისას რაიმე სპეციფიკა მნელი დასაჭერია.

ზ) ად- პრეფიქსი შინაარსობლივად ქვევიდან ზევით მოქმედებასაც გამოხატავს ა- , ად- ზმნისწინებით:

ას-ცენდენს, ნტის – ასწვრივი, აღმავალი

თ) ად- პრეფიქსით გამოიხატება აგრეთვე ისეთი ნიუანსებიც, რომელთა ქართულად გადმოცემაშიც რაიმე სისტემურობა არ შეინიშნება. მაგ.,

აფ-ციდენს, ნტის – შემთხვევითი, მეორეხარისხოვანი, არაარსებითი

აპ-პრიმუს, ა, უმ – სულ პირველი

აფ-ფეცტუს, ა, უმ – ძლიერი სულიერი ღელვა

აპ-პარატუს, უს მ – აპარატი, ხელსაწყო, სისტემა (ორგანოთა ერთობლიობა, რომლებიც საერთო ფუნქციას ასრულებენ)

3. **ცირცუმ – გარშემო.** ეს პრეფიქსი მხოლოდ გარშემოს ან წრიულის მნიშვნელობით იხმარება ლათინურ ენაში და ქართულადაც ან **შემო-** ზმნისწინით გადმოიცემა, ან უბრალოდ, შინაარსი მიუთითებს წრიულობაზე:

ცირცუმ-ფლუხუს, ა, უმ – შემომხვევი

ცირცუმ-სკრიპტუს, ა, უმ – შემოსაზღვრული

ცირცუმ-ფერენტია, აე ფ – სიმრგვალე, წრეწირი (შელია 1979: 45)

ცირცუმ-ფერენს, ნტის საბრუნებელი (ნათიშვილი 1976: 72)

4. პრეფიქსი ცონ- (ცო-, ცოლ-, ცომ-, ცორ-) – შეერთება, შეთანხმებული მოქმედება

ა) ცონ- პრეფიქსის მნიშვნელობა ქართულად, პირველ რიგში, მისი პირდაპირი თარგმანით – შეერთებით, შეთანხმებით, კავშირით არის გამოხატული

ცომ-მუნიცანს, ნტის – შემაერთებელი, დამაკავშირებელი

ცო-ნეხუს, უს მ – შეერთება, მჭიდრო კავშირი

ცონ-ცენტრატუს, ა, უმ – კონცენტრირებული, ერთ ადგილას თავმოყრილი

ცონ-ფლუნს, ნტის – შერთული

ცონ-სენსუს, უს მ – შეთანხმება, ერთსულოვნება, ერთიანობა

ცონ-ჯუნცტივა, აე ფ – თვალის შემაერთებელი გარსი

ცონ-ჯუნცტუს, ა, უმ – შეერთებული ცონ-სისტენტია, აე ფ –

შემადგენლობა

ბ) ცონ- პრეფიქსი იხმარება აგრეთვე რთულის, საერთოს გაგებით და ქართულადაც ეს სიტყვები დომინირებს:

ცომ-პოსიტუს, ა, უმ – რთული ცომ-მუნის, ე – საერთო

ცომ-პლიცატუს, ა, უმ – გართულებული

ცომ-პლესუს, ა, უმ – კომპლექსური, გადაჯაჭვული, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული

გ) ცონ- პრეფიქსი აღნიშნავს თან ყოფნასაც. ამის გადმოსაცემად ქართულშიც მოძებნილია თან(ა) პრეფიქსის როლში:

ცომ-იტანს, ნტის – თანამგზავრი ცონ-გენიტუს, ა, უმ –

ცომ-იტანს, ნტის – თანამგზავრი ცონ-გენიტუს, ა, უმ – თანდაყოლილი

დ) ისევე როგორც სხვა პრეფიქსების მნიშვნელობის შესახებ ვწერდით, აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ მრავალრიცხოვან მნიშვნელობებსა და პრეფიქსს შორის ზოგჯერ მხოლოდ შინაგანი კავშირი არსებობს და მის ქართულად გადმოცემაშიც რაიმე კანონზომიერების აღმოჩენა ძნელია. აქ უფრო ღრმად ჩადებული არსის გადმოცემა ხერხდება, ვიდრე სიტყვასიტყვითი თარგმნა:

ცონ-ცისუს, ა, უმ – დაჭრილი ცომ-პლეტუს, ა, უმ – სავსე, დასრულებული

ცონ-ტუსუს, ა, უმ – დანაყილი ცონ-ვოლუტ-უს, ა, უმ – დახვეული, დაგრავნილი

(და- ზმნისწინის გამოყენება ამ მაგალითებში, ვფიქრობ, შემთხვევითია და არა კანონზომიერი, ისე როგორც, ვთქვათ, შე- ზმნისწინი მომდევნო მაგალითებში):

ცონ-სერვატუს, ა, უმ – შენახული ცონ-ტაცტუს, ა, უმ – შესახები

ცონ-ტორტუს, ა, უმ – კლაკნილი (ნათიშვილი 1976: 300)

ცონ-ვალესცენს, ნტის – გამოჯანმრთელების პროცესში მყოფი

ცომ-პპოსის, ის ფ – ჩაჭდეულობა

5. დე- პრეფიქსი. ა) მოძრაობა ზევიდან ქვევით ბ) გაუარესება გ) უარყოფა

როცა პრეფიქსი ასახავს მოძრაობას ზევიდან ქვევით, ქართულში მას რამოდენიმე ზმნისწინი შეესაბამება:

ა) და-

დე-ცლივე, ის ნ – დაქანება, ფერდობი დე-სცენდენს, ნტის – დასწვრივი

დე-სცენსუს, უს მ – დაშვება

ბ) მო-

დე-ციდუ-უს, ა, უმ მოსავარდნი, მოსაცვლელი დე-სპუმატ-უს, ა, უმ – ქაფმოხდილი

გ) გამო-

დე-ფერენს, ნტის – გამომტანი დე-ცოცტუმ, ი ნ – ნახარში (გამონახარში)

დე-სტილლატ-უს, ა, უმ – გამოხდილი დე-სიცვანს, ნტის – გამომშრობი, გამომხმობი

დ) როგორც ხშირად ხდება, როცა გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი, მაშინ ეს რაიმე სპეციფიკური ზმნისწინით ან პრეფიქსით ვერ აისახება:

დე-ფლუვიუმ, ი ნ (ქვევით დინება) – თმის სრული ან დიფუზიური ცვენა რომელიმე გარკვეული ადგილიდან

როცა დე- პრეფიქსი გაუარესებას, გაუარესებისკენ ცვლილებას აღნიშნავს, ქართულად განსხვავებული გზებით გადმოიცემა. ძირითადად ტერმინის არსი თარგმანშიც ჩანს:

დე-ფორმანს, ნტის ფ – ფორმაშეცვლილი

დე-ცრემენტუმ, ი ნ – შემცირება, დაწევა, შესუსტება

დე-ფიცენს, ნტის – არასაკმარისი, დაკარგული, არასრული

იმ შემთხვევაშიც, თუ ტერმინი არა პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება, მაშინ შეიძლება ქართული თარგმანიც ამავე ტიპის გამოვიდეს, როგორც მაგ.,

დე-ლირანს, ნტის (პირდაპირი გზიდან გადახვევა) - ბოდვით მდგომარეობაში მყოფი

6) პრეფიქსი დის- (დი-, დიფ-) – გავრცელება, გაყოფა ან უარყოფა

იმ მაგალითებიდან, რომლებიც ჩვენს ხელთაა, **დის-** პრეფიქსის ქართულად გადმოცემაში რაიმე ერთგვაროვნობა არა ჩანს. ლათინურში ეს სიტყვები მიმღებობია და ქართულადაც მიმღებობის ფორმითაა თარგმნილი:

დი-ვისუს, ა, უმ – დაყოფილი **დი-ლუტუს, ა, უმ** – განზავებული

დის-სოლუტუს, ა, უმ – გახსნილი

რაც შეეხება მეოთხე მაგალითს, იქ **დის-** პრეფიქსი უარყოფის მნიშვნელობით იხმარება და თარგმანიც შესაფერისია:

დის-პარ, ის - არათანაბარი, განსხვავებული

7. პრეფიქსი ეხ- (ე-, ეფ-) - დან, გან (შიგნიდან გარეთ)

ეხ- პრეფიქსის ფუნქცია ყველაზე კარგად გამოხარულია ტერმინში

ეფ-ფერენს, ნტის – გამომტანი

ქართულად გამო- ზმნისწინიც კარგად შეესაბამება ამ შინაარსს. დანარჩენ ტერმინთა ქართული თარგმანი მხოლოდ მეტ-ნაკლებად გამოხატავს უშუალოდ ამ მნიშვნელობას:

ეხ-სიცცანს, ნტის – გამშრალი, გამხმარი (ეხ- პრეფიქსს უფრო კარგად შეესაბამებოდა **გამომშრალი**)

ეფ-ფეცტუს, უს მ – ძლიერი სულიერი აგზნება

ე-მინენტია, აე, ფ – შემალღება

ეხ-ტერნუს, ა, უმ – გარეგანი

8) პრეფიქსი ინ- (ილ-, იმ-, -ირ) – აღნიშნავს განლაგებას რაღაცის შიგნით

ამ პრეფიქსის ქართულად გადმოსაცემად ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა -ში თანდებული ან ადგილის ზმნიზედა **შიგნით**, რისი ერთი მაგალითი გვაქვს კიდევაც:

ინტერნუს, ა, უმ - შიგნითა (შელია 1979: 107)

ზოგიერთ შემთხვევაში ინ-პრეფიქსი ქართულად თავის ფუნქციას შემწინსწინით გამოხატავს:

ინ-ტუმესცენტია - შემსხვილება

სხვა მაგალითებში სა-ელ ან სა-ე აფიქსები გადმოსცემს ინ-პრეფიქსით გამოხატულ შინაარსს:

ინდებ, იცის მ – საჩვენებელი, მაჩვენებელი /თითი/ (შელია 1979: 105)

იმ-პლეტუს, ა, უმ – სავსე

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართულ თარგმანში ინ-პრეფიქსს თან-პრეფიქსი შეესაბამება

ინ-ნატუს, ა, უმ - თანდაყოლილი

რაც შეეხება ტერმინს ინ-ფარცტუს, უს მ – ინფარქტი, მკვდარი ქსოვილის შემოსაზღვრული უბანი. არცერთ თარგმანში ინ-პრეფიქსის შესაბამისი არა ჩანს, თუმცა მის პირველ მნიშვნელობაში (ავსება, შევსება) ეს შინაარსი გამოკვეთილია.

ინ-(იმ-) პრეფიქსი მეორე მნიშვნელობითაც გამოიყენება და აღნიშნავს უარყოფას. ინ-პრეფიქსის დართვით სიტყვის დადებითი მნიშვნელობიდან მიიღება მისი ანტონიმი. ამ თვისების გამოსახატავად ქართულ თარგმანში ხშირად გამოიყენება უარყოფითი ნაწილაკი არა:

ინ-ცონტანს, ნტის – არარეგულარული, არამუდმივი, ცვალებადი

ინ-ფაუსცუს, ა, უმ - არასასიამოვნო

ინ-ცომპლეტუს, ა, უმ – არასრული, შეუვსებელი

პრეფიქს არა-ს ქართულში ენაცვლება, როგორც ბოლო მაგალითიდანაც ჩანს, უ-პრეფიქსი

ინ-ტაცტუს, ა, უმ – ხელუხლებელი, დაუზიანებელი

იმ-მუნის, ე – შეუვალი, იმუნური

იმ-პურუს, ა, უმ-გაუწმენდავი, გაუსუფთავებელი, არაწმინდა, მინარევებიანი

როგორც ზოგიერთი თარგმანიდანაც ჩანს (ცვალებადი...), ხანდახან არა-ს და უ-ს გარეშეც გადმოიცემა ინ-პრეფიქსის უარყოფითი მნიშვნელობა:

იმ-პარ, არის – კენტი

იმ-მინენს, ნტის – საშიში

9. პრეფიქსი ინტერ – შორის, შუა

სუფიქსების გარეშე მხოლოდ ერთი ტერმინი იყენებს ინტერ-პრეფიქსს და ის შინაარსობლივი ეკვივალენტით ითარგმნება:

ინტერ-მიტტენს, ნტის - ხანგამოშვებითი

10. პრეფიქსი **ობ-** (ოც-, ოპ-) – წინააღმდეგ, შემხვედრი მოქმედება

ობ- პრეფიქსის არსი შინაარსობლივად ყველაზე კარგად ჩანს ტერმინში:

ობ-პონენს, ნტის - დამაპირისპირებელი (NA 1979: 62) პირისპირ დამყენებელი (ნათიშვილი 1976: 200; შელია 1979: 150)

სხვა შემთხვევებში პრეფიქსის შინაარსი უფრო შეფარულია, ვიდრე ასე აშკარად გამოხატული:

ოც-ცულტუს, ა, უმ – ფარული, მალული **ობ-ლიქუუს, ა, უმ** - ირიბი

11. პრეფიქსი **პერ-** 1) საშუალებით

პერ- პრეფიქსი იშვიათად გვხვდება. ერთი ძირის სიტყვებზე დართვით ის ქართულში **გა-** ზმნისწინით გადმოდის:

პერ-ფორანს, ნტის - გამხვრეტი **პერ-ფორატუს, ა, უმ** - გახვრეტილი

სხვა შემთხვევაში **პერ-** პრეფიქსი თავის ძირითად მნიშვნელობას ქართულ თარგმანში ვერ ავლენს:

პერ-მანენს, ნტის – მუდმივი

პრეფიქსის დართვა აძლიერებს აგრეთვე სიტყვის მნიშვნელობას და, როგორც წესი, ქართულ აღმატებითი ხარისხის ფორმას შეესაბამება და, ამდენად, უ-ეს სუფიქსით გადმოიცემა:

პერ-გრავის, ე – უმნიშვნელოვანესი, უმძიმესი

პერ-მაგნუს, ა, უმ - უდიდესი **პერ-აცუტუს, ა, უმ** – უმწვავესი

პერ- აღმატებითი ხარისხის შინაარსით შეიძლება ითარგმნოს როგორც **ზე-**

პერ-ობყდუმ, ი ნ - ზეჟანგი

12. პრეფიქსი **პრე-(პრაე-)** – წინ (დროში და სივრცეში)

პრე- პრეფიქსი ზოგჯერ პირდაპირ ითარგმნება როგორც **წინა** და აღნიშნავს სივრცეში **წინ** მდებარეობას:

პრე-ცუნეუს, ი მ – წინა სოლი **პრე-ცორდიუმ, ი ნ** – წინა გული

იმავე სიტყვებით გადმოიცემა ის მდგომარეობა, როცა ერთი მოქმედება **წინ**

უსწრებს მეორეს დროში

პრე-ცომა, ატის ნ - კომისწინა

პრე-სენიუმ, ი ნ - 1) მოხუცებულობისწინა მდგომარეობა 2) ადრეული მოხუცებულობა

პრე-სესტოლე, ეს ფ - დიასტოლის ნაწილი, რომელიც წინ უსწრებს სისტოლეს ამავე მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს სიტყვები წინასწარი, ადრეული ან

ნაადრევი

პრე-ცოხ, ოცის - წინასწარი

პრე-მატურუს, ა, უმ - წინასწარიმომწიფებული, ადრემომწიფებული, ნაადრევი (ყაუხჩიშვილი 1961)

ზოგიერთ ტერმინში პრე- პრეფიქსის ფუნქცია თვალნათლივ არა ჩანს:

პრე-პარატუს, ა, უმ - დამზადებული

პრე-პარატუმ, ი ნ - პრეპარატი (ე. ი. წინასწარ დამზადებული - ნ. ა.)

13. პრეფიქსი **პრო წინ, წინიდან, წინა**

ეს სიტყვები ხშირად გვხვდება ქართულში პრო- პრეფიქსის გადმოსაცემად:

პრო-დრომუს, ი მ - წინამორბედი პრო-გრესუს, უს მ - წინსვლა

პრო-ფერმენტუმ, ი ნ - წინა ფერმენტი (რომელიც ფერმენტად იქცევა)

პრო-გრედენს, ნტის - წინსვლითი, პროგრესული

პრო- პრეფიქსი შეიძლება გადმოიცეს წარ- ან შე- პრეფიქსებით, რომლებიც შინაარსობრივად წინ წაწევას გულისხმობს:

პრო-მინენტია, აე ფ - წარზიდულობა პრო-მინენს, ნტის - წარზიდული

პრო-ტუბერანტია, აე ფ - შემადლება პრო-მონტორიუმ, ი ნ - შემადლება, კონცხი

ზოგიერთ თარგმანში პრო- პრეფიქსი კონკრეტულ გამოხატულებას ვერ პოვებს (როგორც მაგ., კონცხი)

პრო-ფუსუს - უხვი, მეტისმეტი, ძალიან ძლიერი

პრო-ფუნდუს, ა, უმ - ღრმა პრო-ცესუს, უს მ - 1) მორჩი 2)

პროცესი

14. რე- პრეფიქსი მიუთითებს საპასუხო ან განმეორებად მოქმედებაზე,

შებრუნებაზე

რე-ცურრენს, ნტის – **შებრუნებული**, განმეორებადი; შებრუნებითი, შექცევითი (დგებუაძე 1988: 234)

რე-ფლახუს, ა, უმ – **შებრუნებული** (ნათიშვილი 1976: 187)

რე-ფლახუს, ას მ – უნებური რეაქცია ორგანიზმის გარეგან და შინაგან გარემოზე დანარჩენ ტერმინებშიკი, რომლებსაც ქვემოთ მოვიყვანთ, რე-პრეფიქსის მნიშვნელობა გამოკვეთილი არ არის:

რე-ციპიენს, ნტის - მიმღები რე-უნიენს, ნტის – შემაერთებელი, დამაკავშირებელი

რე-ლახანს, ნტის - მომადუნებელი რე-ცესსუსუს, უს მ – ჩაღრმავება, ჯიბე, უბე

15. პრეფიქსი რეტრო- აღნიშნავს უკან

იმ მაგალითებში, რომლებიც მოგვეპოვება, რეტრო-ს მნიშვნელობა ითარგმნება როგორც უკან (ან დროში უკან წასული, ან მოქმედება, რომელიც უკან ან შემდეგ სრულდება). შეიძლება მას შეენაცვლოს შე- ან გადა- ზმნისწინებიანი სიტყვები:

რეტრო-გრადუს, ა, უმ - უკან წასული, გადაგვარებული, ნორმალური განვითარების უკუსვლა

რეტრო-ფლახუს, ა, უმ – უკან გადაღუნვა

16. პრეფიქსი სემი- ნახევარს ნიშნავს და ქართულ თარგმანშიც ეს სიტყვა ყოველთვის სახეზეა:

სემი-ცანალის, ის ფ - ნახევარარხი

სემი-სომნუს, ი მ – ნახევრადმილი, ნახევრადუგონო მდგომარეობა

16. სუბ- პრეფიქსი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება

ა) ქვეშ

როცა სუბ- პრეფიქსი ამ მნიშვნელობას ანიჭებს ტერმინს, მაშინ ქართულ თარგმანშიც ფიგურირებს სიტყვა ქვეშ, როგორც კომპოზიტის მეორე ნაწილი:

სუბ-ცუტის, ის ფ – კანქვეშა ფენა სუბ-მუცოსა, აე ფ – ლორწოქვეშა ფენა

ბ) უჩვენებს შემცირებას. ასეთ შემთხვევაში სუბ- პრეფიქსი ქართულად შემცირებით ან სისუსტით გადმოდის:

სუბ-დელირიუმ, ი ნ – **სუსტად** გამოხატული ბოდვა

სუბ-ილეუს, ი მ - **სუსტად** გამოხატული ნაწლავის გაუვალობა

სუბ-იცტერუს, ი მ – სიყვითლის ყველაზე **სუსტი** ფორმა

გ) **მო-** ან **ქვე-**ს მნიშვნელობას **სუბ-** პრეფიქსი ქართულშიც ამავე პრეფიქსებით გამოხატავს:

სუბ-რუბერ, ბრა, ბრუმ – მოწითალო **სუბ-ალბუს**, ა, უმ - მოთეთრო

სუბ-აცუტუს, ა, უმ – ქვემწვავე

დ) **სუბ-** პრეფიქსის თარგმნის უჩვეულო შემთხვევაა ქვემოთ მოყვანილ ტერმინში:

სუბ-ლიმის, ე – ზედაპირული: ზედაპირზე, მწვერვალზე მყოფი

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემადგენელი კომპონენტები ტრადიციული მნიშვნელობით ითარგმნება: **სუბ** – ქვემ- **ლიმეს**, ის – ზღვარი.

18. სუპერ- პრეფიქსი ითარგმნება როგორც **ზედა**, **ზევით**, **ზემოთ**:

სუპერ-იორ, ი უს – **ზედა** **სუპერ-ფიცის**, ეი ფ - **ზედაპირი**

იმ თარგმანში, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ, სიტყვა ზევით არ მოგვეპოვება, მაგრამ ტერმინის შინაარსი ამას გვიდასტურებს:

სუპერ-ცილიუმ, ი ნ – წარბი (წამწამის ზედა)

როცა **სუპერ-** პრეფიქსი მეტობას გამოხატავს, მაშინ ქართულში მას შეესაბამება **მეტისმეტი**:

სუპერ-აცუტუს, ა, უმ – **მეტისმეტად** მწვავე

19. ტრანს- **გადა-**, **გადაადგილება**

იმ ორიოდე ტერმინში, რომელსაც ტრანს- პრეფიქსი აწარმოებს, მისი მნიშვნელობა თარგმანში უშუალოდ არ აისახება:

ტრანს-ვერსუს, ა, უმ - განივი

ტრანს-სუდატუმ, ი ნ – არაანთებითი გამონადენი სხეულის ღრუში

პრეფიქსებად გამოიყენება აგრეთვე ლათინური **რიცხვითი სახელები**, რომლებიც სხვა მეტყველების ნაწილებს აწარმოებენ:

1. უნი- – **ერთი**. ქართულ თარგმანში უნი- პრეფიქსით გამოხატულ შინაარსს გადმოსცემს **ერთ(ი)**, **ერთხელ**:

უნი-ცორნის, ე - **ერთრქიანი**

უნი-პარა, აე ფ – ქალი, რომელიც ერთხელ მშობიარობს

2. ბი- ორი. ქართულ თარგმანში ორი ყოველთვის შედის ტერმინის შემადგენლობაში. ერთ შემთხვევაში ის კომპოზიტის პირველი ნაწილია:

ბი-ცეპს, იპიტის - ორთავა ბი-ვენტერ, ტრა, ტრუმ - ორმუცელა

ბი-ცორნის, ე – ორრქიანი (NA 1979: 8, შელია 1979: 29)

ბი-გემინუს, ა, უმ - ორმაგი

ცალკე გამოვყოფთ 2 ტერმინს, რომლებსაც სხვადასხვა ავტორი განსხვავებულად თარგმნის:

ბი-ფურცუს, ა, უმ - გაორკაპებული (NA 1979: 8), ორკაპიანი (შელია 1979: 29)

ბი-ფიდუს, ა, უმ - გაორებული, გაყოფილი (NA 1979: 8), გაორებული(შელია 1979: 29)

გაორკაპებული და გაორებული ერთი ტიპის ტერმინებია. ქართულში ისინი მიმღობებია და გა-ულ აფიქსითაა ნაწარმოები. რაც შეეხება ქართულ ტერმინს გაყოფილი, ამ შემთხვევაში ის ძალიან ზოგადი თარგმანია, რომელშიც ბი-ს მნიშვნელობა დაკარგულია, ე. ი. სიზუსტე აკლია, გაორებულის სინონიმი მხოლოდ ორად გაყოფილი შეიძლება იყოს.

3. ტრი- სამ. ის ლათინური ტერმინები, რომლებიც ტრი- პრეფიქსით არიან ნაწარმოები, ქართულად გადმოიცემა კომპოზიტის სახით, რომლის პირველი ნაწილია სამ-:

ტრი-ცეპს, იპიტის - სამთავა ტრი-ცოლორ, ორის - სამფერა

ტრი-გემინუს, ა, უმ – სამმაგი ტრი-პლექს, იცის – სამმაგი, სამნაწილიანი

ტრი-გონუმ, ი – სამკუთხედი ტრი-ანგულუს, ა, უმ - სამკუთხედი

ტრი-ქუერტუს, ა, უმ - სამწახნაგიანი (ნათიშვილი 1976: 73), სამკუთხიანი (შელია 1979: 224)

4. ქუადრ-ოთხ- ქუადრ- პრეფიქსით ნაწარმოები ლათინური სამედიცინო ტერმინები ქართულად გადმოიცემა კომპოზიტებით, რომლებიც პრეფიქსად იყენებენ რიცხვით სახელს ოთხ-:

ქუადრ-ანგულუმ, ი ნ – ოთხკუთხედი, ოთხკუთხა (NA 1979: 17)

ქუადრ-ი-გემინუს, ა, უმ – ოთხმაგი, ოთხწვერა ქუადრ-უპლექს, იცის -

ოთხმაგი

ქუადრ-ი-ლატერუს, ა, უმ - ოთხმხრივი ქუადრ-ი-მენსის, ე -

ოთხთვიანი

5. **პრეფიქსი მულტი-** ქართულად ითარგმნება როგორც **მრავალი**, რომელიც ქართულ ტერმინში პრეფიქსის როლს ასრულებს:

მულტი-ფიდუს, ა, უმ – **მრავალწილადი**, დანაწევრებული, **მრავალწილა**, **მრავალწილოვანი** (შელია 1979: 134)

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ავტორი გვთავაზობს ერთი ტერმინის თარგმნის განსხვავებულ ვარიანტს, ყველა მათგანი ნაწარმოებია პრეფიქსით **მრავალი-**. რაც შეეხება ტერმინს **დანაწევრებული**, მისი შინაარსი სავსებით შეესაბამება **მულტი-**პრეფიქსისას.

ასე რომ, როდესაც ლათინური სამედიცინო ტერმინები დაირთავენ მხოლოდ ლათინურ პრეფიქსებს, ქართულ თარგმანში პრეფიქსის ძირითადი მნიშვნელობა თითქმის ყოველთვის შენარჩუნებულია (არის მცდელობა, რომ ასე იყოს), მაგრამ როცა ქართული ენის ბუნება ამის საშუალებას არ იძლევა, მაშინ გამოყენებულია ამ პრეფიქსის მნიშვნელობასთან მიახლოებული სიტყვები. თუ ამის მიღწევაც შეუძლებელია ქართულში, ასეთ შემთხვევებში არის ცდები, შინაარსი მაინც იყოს გადმოცემული ზუსტად.

1.2. ბერძნული პრეფიქსითა და ბერძნული ძირით ნაწარმოები ტერმინები

ბერძნული პრეფიქსი, როგორც წესი, ბერძნულ ფუძეს დაერთვის. პრეფიქსებად, ჩვეულებრივ, გამოყენებულია ბერძნული წინდებულები, ზმნიზედები და რიცხვითი სახელები, რომლებიც ძირითადად ამ მეტყველების ნაწილთა ფუნქციებს ავითარებენ და ძირითად მნიშვნელობას მხოლოდ ნიუანსობრივად ასხვავებენ.

ბერძნულ პრეფიქსებს შორის ყველაზე ხშირად ხმარდხმარებული აღმოჩნდა **a-**(*a-privatum*), რომელიც ხმოვნების წინ **an-** ფონეტიკური ვარიანტით გამოიყენება და პოზიტიური მნიშვნელობის სიტყვიდან მის ანტონიმს აწარმოებს. ქართულად მისი ძირითადი შესაბამისი არის უყოლობა-უქონობის პრეფიქსი **უ-** ან მისი მსგავსი

შინაარსის სხვადასხვა სიტყვა, რომლებზედაც კონკრეტულ მაგალითებზე მსჯელობისას შევჩერდებით.

a-dynamia, ae, f – უძლურება – ძალის დაკარგვა

a-galactia, ae, f – ურძეობა (ახალშობიარე ქალის)

a-genesia, ae, f – განუვითარებლობა (რომელიმე ორგანოსი)

a-lalia, ae, f – მეტყველების უუნარობა ბავშვებში

a-morphus, a, um - უფორმო an-algia, ae, f - გაუტკივარება

an-hydrus, a, um - უწყლო an-kylosis, is f – სახსრის უმოძრაობა

a-tomus, i m - განუყოფელი a-sthenia, ae, f –უძლურება, საერთო სისუსტე

a-(an-) პრეფიქსის გადმოსაცემად ქართულში უ-ს შემდეგ ყველაზე ხშირად გამოიყენება **დაკარგვა, სრული ან ნაწილობრივი**, რაც, ასევე უქონლობას ნიშნავს.

a-blepsia, ae f – მხედველობის დაკარგვა ცალ ან ორივე თვალში (ე.ი.სრული ან ნაწილობრივი დაბრმავება)

a-geusia, ae f – გემოს დაკარგვა

a-mnesia, ae f – მახსოვრობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა

an-aesthesia, ae f – 1) ამა თუ იმ რეცეპტორთა ფუნქციის სრული დაკარგვა რომელიმე უბანზე; 2) ადგილობრივი გაუტკივარება

an-opsia, ae f – ცალ თვალში სინათლის დაკარგვა

an-osmia, ae f – ყნოსვის უნარის დაკარგვა

a-phonia, ae f – ხმის სრული დაკარგვა

a-(an-) პრეფიქსის ფარდად ქართულში აქტიურად გამოიყენება **დარღვევა**:

a-gnosia, ae f – საგნების შეცნობის უნარის დარღვევა

a-praxia, ae f – მიზანმიმართული მოქმედების დარღვევა

a-rythmia, ae f – გულის მოქმედების ნორმალური რიტმის დარღვევა

a-taxia, ae f – მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა

a-(an-) პრეფიქსის ქართული შესატყვისი, როგორც მაგალითებიდან ჩანს, არის **შეწყვეტაც, სრული ან ნაწილობრივი**:

a-cholia, ae f – ნაღვლის გადასვლის შეწყვეტა თორმეტგოჯა ნაწლავში

a-kinesia, ae f – მოძრაობის შეწყვეტა

an-hidrosis, ae f – ოფლის გამოყოფის შეწყვეტა

an-uria, ae f – შარდის გამოყოფის სრული შეწყვეტა თირკმელების მიერ

a-systolia, ae f – გულის ყველა ან ართი ნაწილის მოქმედების სრული შეწყვეტა

a-sialia, ae f – ნერწყვის გამოყოფის შეწყვეტა

ზოგიერთ შემთხვევაში a-privatum-ის ქართულად გადმოსაცემად პირდაპირ გამოიყენება სიტყვა **უქონლობა**, არქონა:

a-cheilia, ae f – დაბადებიდანვე ბაგეების არქონა

an-iridia, ae f – თვალის ფერადი გარსის უქონლობა

a-thyreosis, is f – ფარისებრი ჯირკვლის უქონლობა

a-biosis is f – ორგანიზმის რომელიმე სისტემის ან ორგანოს სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითება

ასე რომ, როგორც ამ ნიმუშებიდან ჩანს, უქონლობას ხშირად ენაცვლება **დაქვეითება**. a- პრეფიქსი ქართულად გაჩერებას//შეჩერებასაც აღნიშნავს:

a-pnoë ès f – სუნთქვის გაჩერება

a-sphyxia, ae f – სუნთქვის შეჩერება, გაგუდება

a-trichosis, is f – თმის სრული უქონლობა ან ზრდის შეჩერება

უარყოფის a- პრეფიქსს კიდევ მრავალი სხვადასხვა ქართული სიტყვა შეესაბამება, რომლებიც საბოლოო ჯამში უქონლობის სინონიმებია. ესენია: **შემცირება**, **ნაკლებობა**, **დაცემა**, **მოშლა**, **შეუძლებლობა**:

an-aemia, ae f – სისხლნაკლებობა; მცირესისხლიანობა, სისხლში ერითროციტების და ჰემოგლობინის შემცველობის შემცირება

a-trophia, ae f – 1) უჯრედის ქსოვილებისა და ორგანოების ზომის შემცირება კვების მოშლის გამო; 2) ძლიერი გამოფიტვა არასაკმარისი და არასრულყოფილი კვებისას

an-hydraemia, ae f – წყლის შემცველობის დაცემა სისხლში

a-phasisia, ae f – მეტყველების მოშლა თავის ტვინის დაზიანების გამო

a-phagia, ae f – ყლაპვის შეუძლებლობა **a-tonia**, ae f – ტონუსის დაცემა

ასე რომ, a- პრეფიქსიანი ბერძნული ფუძეები ქართულად, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, უყოლობა-უქონლობის უ-პრეფიქსით გადმოიცემა. ამავე დროს, ხშირად

გამოიყენება ტერმინის აღწერა, რომელშიც მთავარ როლს თამაშობს უქონლობის, შემცირების, შეწყვეტის გამომხატველი სიტყვა. უფრო მოხერხებული ერთსიტყვიანი არსებითი სახელით გამომხატული ტერმინი სულ თითო-ორი დაავადებისთვის:

an-algia - გაუტკივარება

a-blepsia - დაბრმავება

a-sphixia - გაგუდვა

a-trophia - გამოფიტვა

რა თქმა უნდა, ეს გამომხატვის საუკეთესო ფორმებია და შესატყვის ტერმინთა მოძიება ამ გზით უნდა წარიმართოს, მაგრამ არც თუ იშვიათად, პროფესიონალებს შორის, მრავალსიტყვიანობის თავიდან აცილების მიზნით, პირდაპირ ლათინური ტერმინები გამოიყენება ხოლმე. ზოგიერთი მათგანი ისეა გავრცელებული, რომ ჩვეულებრივ მეტყველებაშიც კი დამკვიდრდა:

amorphus, a, um - ამორფული

anonymus, a, um - ანონიმური

arythmia, ae f - არითმია

aphonia, ae f - აფონია

anaesthesia, ae f - ანესთეზია

amnesia, ae f - ამნეზია

asphyxia, ae f - ასფიქსია

anaemia, ae f - ანემია

ცხადია, ამგვარ ნეოლოგიზმებს ენა თავს ვერ დააღწევს, მაგრამ სხვა შემთხვევაში ალბათ ქართულ შესატყვისთა ძიება და დამკვიდრება აჯობებს.

და დასკვნისათვის კიდევ ერთი უნდა აღინიშნოს. იმ მრავალრიცხოვანი სინონიმებიდან, რომლითაც **a-(an-)** პრეფიქსი გადმოიცემა ქართულად, უნდა შეირჩეს ალბათ რამოდენიმე: **დაკარგვა, უქონლობა, არქონა**. ამ ტერმინებიდან შეიძლება ავირჩიოთ რომელიმე. ასევე, ვთქვათ, **შეწყვეტა** შეიძლება შეცვალოს **შეჩერება** და **გაჩერება**. **შემცირება, დაქვეითება, დაცემა** იქნებ ერთმანეთს შეენაცვლოს, მით უმეტეს, რომ სხვადასხვა სპეციალურ ლიტერატურაში ეს ტერმინები თავისუფლად იხმარება ერთმანეთის პარალელურად, ხოლო როცა მათ რუსულიდან ვთარგმნით (ცხადია, ეს ყველა სპეციალისტს ხშირად უწევს რუსულენოვანი ლიტერატურით სარგებლობისას), მაშინ ჩვენ სრული დამოუკიდებლობით ვსარგებლობთ და, შესაბამისად, ამას არ მოაქვს სარგებლობა ერთიანი ტერმინოლოგიის დამკვიდრებისათვის.

პრეფიქსი **dys-(δυσ-)**- ფაქტობრივად, ზოგიერთ შემთხვევაში, მთლიანად ფარავს **a-(an-)** პრეფიქსით წარმოებულ ლათინურ ტერმინს, როცა მას ვთარგმნით როგორც **დარღვევას, მოშლას**. **dys-** პრეფიქსიანი ბერძნული სიტყვები საკმაოდ ხშირად

გამოიყენება კლინიკურ ტერმინოლოგიაში არანორმალური, პათოგენური პროცესების გადმოსაცემად. ამ ტერმინთა გადმოტანაშიც ერთიანი პოზიცია არ არის შემუშავებული, მაგრამ dys- პრეფიქსით გამოხატულ მდგომარეობათა გადმოცემა რამდენადმე შეზღუდულია, ყველაზე ხშირად მაინც გვხვდება **დარღვევა**:

dys-geusia, ae f - გემოს შეგრძნების **დარღვევა**

dys-kinesia, ae f - მოძრაობის კოორდინაციის **დარღვევა**

dys-lalia, ae f - მეტყველების **დარღვევა**

dys-ostosis, is f - ძვლოვანი სისტემის ნორმალური განვითარების **დარღვევა**

dys-ponia, ae f - ხმის წარმოქმნის **დარღვევა**

dys-trophia, ae f - ქსოვილისა და ორგანოების კვების **დარღვევა**

დარღვევის პარალელურად თარგმანში არანაკლებ გამოიყენება **გაძნელება** ან **გაძნელებული**:

dys-acusis, is f – სმენის **გაძნელება**, სმენის შესუსტება

dys-chesia, ae f – **გაძნელებული** დეფეკაცია

dys-phagia, ae f – ყლაპვის **გაძნელება**

dys-pnoë, es f – **გაძნელებული** სუნთქვა, ქოშინი

dys-uria, ae f – შარდის **გაძნელებული** გამოყოფა

მოშლა, ნორმიდან გადახვევა, არანორმალური, არასწორი ერთმანეთის შემცვლელად ხშირად გვხვდება ქართულ ტერმინში:

dys-hidrosis, is f – ოფლის გამოყოფის **მოშლა**, **არანორმალური** ოფლიანობა

dys-osmia, ae f – ყნოსვის **მოშლა**, შესუსტებული ყნოსვა

dys-peosia, ae f – საჭმლის მონელების **მოშლა**, შეფერხება

dys-thyreosis, is f – ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის **მოშლა**

dys-ergia, ae f – **არანორმალური** რეაქტიულობა

dys-plasia, ae f – არასწორი, **არანორმალური** განვითარება

dys-topia, ae f – ორგანოს ან ქსოვილის **არანორმალური** მდებარეობა

dys-coria, ae f – გუგების **არასწორი** ფორმა (არათანაბარი სიგანე)

dys-tonia, ae f – **ნორმიდან გადახვევეული** ტონუსი კუნთებისა და სისხლძარღვებისა

dys-arthrosis, is f – ცრუსახსარი, მანკიერად განვითარებული (გაფორმებული) სახსარი

შეფერხება, როგორც ვთქვით, dys-პრეფიქსის ძირითად არსს გამოხატავს, მაგრამ ქართულად ის ხშირად არ გამოიყენება და თითქმის ისევე შემთხვევით გვხვდება, როგორც ავადმყოფობის გამომხატველი ზოგიერთი სხვა სიტყვა:

dys-arthria, ae f – დანაწევრებული მეტყველების **შეფერხება**

dys-basia, ae f – სიარულის **შეფერხება, კოჭლობა**

dys-aesthesia, ae f – ზოგიერთი შეგრძნების აღქმის **დაკარგვა**

dys-chromia, ae f – კანის ფერის **ცვლილება** ავადმყოფობის გამო

რაც შეეხება ქართულ ტერმინებს, როგორცაა ქოშინი და კოჭლობა, ისინი ვერ ცვლიან საერთო სურათს, რომ dys- პრეფიქსიანი ტერმინები აღწერილობით გადმოიცეს, ეს კი სიტყვათა მრავალფეროვნებას განაპირობებს. რა თქმა უნდა, ამ პრეფიქსიან ტერმინებსაც სპეციალისტები ხშირად ლათინურ ენაზე წარმოთქვამენ, ამიტომ, შესაძლოა, მათ ეს მრავალფეროვნება სულაც არ უშლის ხელს და ეს უფრო თეორიული საკითხია, ვიდრე პრაქტიკული.

პრეფიქსი **hypo-** თითქმის იმავე მნიშვნელობით იხმარება ბერძნულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში, რა ფუნქციითაც გამოიყენება dys- ან a-(an-) – **დაქვეითება, შემცირება, დაწევა**:

hyp-acusis, is f – სმენის **დაქვეითება**

hyp-aesthesia, ae f – მგრძნობელობის **დაქვეითება**

hyp-algesia, ae f – ტკივილების შეგრძნების **დაქვეითება**

hyp-ergia, ae f – ორგანიზმის რეაქტიულობის პათოლოგიური **დაქვეითება**

hypo-mnesia, ae f – მახსოვრობის **დაქვეითება**

hypo-thyreosis, is f – ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის **დაქვეითება**

hyp-oxia, ae f – ჟანგბადის შემცველობის **შემცირება** ქსოვილებში

hypo- პრეფიქსი ზოგიერთ ქართულ ტერმინში ითარგმნება როგორც **დაცემა**:

hypo-glykaemia, ae f – სისხლში შაქრის რაოდენობის **დაცემა**

hypo-tonia, ae f – **დაბალი წნევა, წნევის დაცემა**

hypo-thermia, ae f – ორგანიზმის ნორმალური ტემპერატურის **დაცემა**

hypo- პრეფიქსი, გარდა დაწვევისა, აღნიშნავს აგრეთვე ქვედა, ქვევით, ქვეშ:

hypo-pharynx, ngis m – ხორხის ქვედა ნაწილი

hypo-stasis, is f – სისხლის გაჩერება სხეულის ქვევით მდებარე ნაწილებში

hypo- პრეფიქსით გამოხატული ზუსტად საწინააღმდეგო მოქმედებები გადმოიცემა პრეფიქსით **hyper-** – მომატება, აწევა, გაზრდა, სიჭარბე, საერთოდ, დაგაჭარბება:

hyper-aesthesia, ae f – აწეული მგრძნობელობა სხვადასხვა გამლიზიანებლის მიმართ

hyper-ergia, ae f – ორგანიზმის აწეული მგრძნობელობა

hyper-thyreosis, is f – ფარისებრი ჯირკვლის აწეული მგრძნობელობა

hyper-geusia, ae f – გემოს შეგრძნების აწევა

hyper-osmia, ae f – ყნოსვის მგრძნობელობის აწევა

hyper-kinesis, is f – არათვითნებური გაზრდილი მოძრაობები

hyper-plasia, ae f – ცალკეული ქსოვილების შემადგენელი ელემენტების რაოდენობრივი ზრდა მათი უჯრედების გამრავლებით

hyper-trophia, ae f – ქსოვილის ან ორგანოს მოცულობის ზრდა

hyper-glykaemia, ae f – სისხლში შაქრის შემცველობის მომატება

hyper-tonia, ae f – მაღალი წნევა, არტერიული წნევის მომატება

hyper- პრეფიქსის შინაარსობრივი დატვირთვა შეიძლება გადმოიცეს ზედსართავი სახელითაც: გადაჭარბებული, მეტისმეტი, არანორმალური:

hyper-acusis, is f – სმენის არანორმალური გამახვილება

hyper-thymia, ae f – გადაჭარბებული ემოციურობა

hyper-trichosis, is f – თმის მეტისმეტი ზრდა, უხვთმიანობა

ქვემოთმოყვანილ სამ ამ პრეფიქსიან ტერმინს ზუსტად ეხამება ქართული სიტყვათშეთანხმებები:

hyper-aemia, ae f -სისხლმეტობა **hyper-metropia**, ae f - შორსმხედველობა

hyper-thermia, ae f - გადახურება

ასეთ კარგად შეხამებულ ქართულ ტერმინთა შორის უნდა დავასახელოთ მაღალი წნევა, დაბალი წნევა, უხვთმიანობა. ასეთი მაგალითები იშვიათია, უფრო ხშირად კი

ქართულ თარგმანში ან ავადმყოფობის აღწერა ან პირდაპირ ლათინური ტერმინები იხმარება. მაგ.: ჰიპერგლიკემია, ჰიპერტროფია, ჰიპომენეზია. ყველაზე ხშირად კი ჰიპერტონია, რაც ხელს უშლის ამ ტერმინთა ქართული შესატყვისების დამკვიდრებას.

hyper- პრეფიქსით ოთხივე განხილულ სიტყვაწარმოებაში, როგორც წესი, თითქმის ერთიდაიგივე ბერძნული ლექსიკა მონაწილეობს: aesthesia, algia, geusia, osmia, kinesia, aemia, trophia, thermia, ergia, tonia, acusis და ზოგიერთი სხვა.

პრეფიქსი **dia-**ს პირველადი მნიშვნელობა არის **საშუალებით, გავლით**. ტერმინის არსში, რა თქმა უნდა, ფუნქცია აისახება, თუმცა სიტყვიერად ქართულ თარგმანში ეს თითქმის არსად გამოიხატება. მაგალითები გვიდასტურებს, რომ **dia-** პრეფიქსის არსი ქართულ თარგმანში შენიღბულია და კონკრეტულად არცერთი სიტყვა არ ატარებს ძირითად დატვირთვას, წინა პრეფიქსების (a-(an-), dys-, hypo-, hyper-) შემთხვევისაგან განსხვავებით:

dia-pedesis, is f – თითქმის დაუზიანებელი კაპილარებიდან და მცირე ვენებიდან ერითროციტებისა და ლეიკოციტების შეღწევა (ე.ი. შეღწევა რაღაცის საშუალებით ნ.ა.)

dia-phoresis, is f – ოფლის დიდი რაოდენობით გამოტანა

dia-arthritis, is f – ძვლების მოძრავის ანუ სახსრული შეერთება

dia-rrhoea, ae f – ფაღარათი, გამოწვეული ნერვული, ტოქსიკური ან ბაქტერიული მიზეზებით

dia-thermia, ae f – დაბალი ძაბვის მაღალხარისხოვანი დენის გამოყენება ღრმადმდებარე ორგანოების გასათბობად სამკურნალო მიზნით

di-phtheria, ae f – მწვავე ინფექციური დაავადება, ძირითადად ბავშვებში

dia-thesis, is f – დიათეზი, ორგანიზმის მიდრეკილება ამა თუ იმ დაავადებისადმი

dia-encephalon, i n – შუამდებარე ტვინი

dia-meter, tri f – დიამეტრი

dia-phragma, atis n – დიაფრაგმა, შუასაძგიდი

პრეფიქსი **auto-** მომდინარეობს სიტყვიდან autos- რაც ნიშნავს **თვითონ, თვით**, ამიტომ, ბუნებრივია, კარგია, როცა ქართულ თარგმანში ეს სიტყვა ჩანს. სამწუხაროდ, მხოლოდ ორიოდ ტერმინი აღმოჩნდა ბერძნულ ფუძესთან შეერთებული, რომლებიც ამ სიტყვით ითარგმნება:

auto-lysis, ae f – თვითდაშლა (უჯრედებისა და ქსოვილების ფერმენტების საშუალებით ბაქტერიების გარეშე)

auto-phagia, ae f – თვითშთანთქმა (ორგანიზმის მიერ საკუთარი ცხიმის გამოყენება შიმშილობისას)

პრეფიქს auto-ს შემცველ სიტყვათა თარგმანში დატვირთვას იღებს აგრეთვე **საკუთარი**, მაგრამ ის მრავალსიტყვიანი ტერმინის მხოლოდ ერთი კომპონენტია:

auto-haemotherapia, ae f – საკუთარი სისხლის გადასხმით მკურნალობა

auto-plastica, ae f – საკუთარი ქსოვილის გადანერგვა ერთი ორგანოდან მეორეზე სხვა შემთხვევებში პრეფიქსის უშუალო მნიშვნელობა არ ჩანს, მაგრამ ის ტერმინის არსს წარმოადგენს

aut-opsia, ae f – გვამის გახსნა - მისი გამოკვლევა

auto-chthonus, a, um – ადგილობრივი წარმოშობის, დამოუკიდებელი (მაგ. თრომბი)

პრეფიქსი ex- აღნიშნავს **გარედან, გარეთ, არქონას**, ძირითადი ცნების დამთავრებას ან გაძლიერებას

ex-aeresis, is f – მოცილება, ამოჭრა (ძირითადად ნერვის)

ex-ostosis, is f – ძვლის წანაზარდი

ex- პრეფიქსთან თავისი მნიშვნელობით ახლოს დგას **exo-** **გარე, გარეთა**

exo-genes – **გარეგანი** ქმედებით წარმოშობილი (გამოწვეული), **გარედან** გამოტანილი

პრეფიქსები en- და **endo-** -ში, **შიგნით**. ამ მნიშვნელობას ბერძნულ ენაში რამდენიმე პრეფიქსი გამოხატავს, რომლებიც სამედიცინო ტერმინოლოგიაშიც შემოვიდა. ქართულ თარგმანში **_ში** თანდებულის სახით მონაწილეობს:

en-anthema, atis n – სილა ლორწოვან გარსში

en-ophthalmus, i m – თვალის ბოლქვის ჩაშვება ორბიტაში

სხვა შემთხვევაში **-ში** ტერმინის შინაარსშია გააზრებული

en-cephalon, i n – თავის ტვინი

en-arthritis, is n – კაკლისებრი ან ბუმტისებრი სახსარი

endo- პრეფიქსი ასევე აღნიშნავს **შიგნით** და ქართულ თარგმანშიც მისი

სინონიმები დომინირებს _ შინაგანი, შიგნითა:

endo-lympha, ae f – შიგნითა ყურის აპკისებრი ლაბირინთის სითხე

endo-crinologia, ae f – მეცნიერება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების შესახებ

endo-crinologus, i m - შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების სპეციალისტი

endo-cardium, i n – გულის შინაგანი ზედაპირის სეროზული გარსი

endo-metrium, i n – საშვილოსნოს ლორწოვანი გარსი, (რომელიც, ცხადია, შიგნით მდებარეა – ნ. ა.)

endo-toxinum, i n – შხამი, რომელიც გამოიყოფა ბაქტერიების სხეულიდან (ე. ი. შიგნიდან გარეთ) მათი დალუპვის შემდეგ

endo-scopia, ae f – ღრუ ორგანოს გამოკვლევა (შინაგანი - ნ.ა.) ენდოსკოპის საშუალებით

endo-scopus, i m – ენდოსკოპი, ღრუ ორგანოების გამოსაკვლევი ხელსაწყო

თუ ზოგჯერ სიტყვა შინაგანი არ მონაწილეობს ქართული ტერმინის შექმნაში, ის შინაარსობრივად იგულისხმება.

პრეფიქსი ento- ასევე ნიშნავს შიგნით:

ento-derma, atis n – შიდა ჩანასახოვანი ფურცელი

პრეფიქსი ana- აღნიშნავს მოქმედებას ზევით, ან გაძლიერებულ უკუქმედებას. თუმცა იმ მაგალითებში, რომლებსაც ქვემოთ მოვიყვანთ, ეს პრეფიქსები ან შესაბამისი სიტყვები პირდაპირ არ ჩანს, თვით ისეთ ცნობილ ტერმინში კი, როგორც არის ანატომია, ის ითარგმნება როგორც გაკვეთა და არა გაკვეთა ქვევიდან ზევით. ასეა სხვა თარგმანშიც:

ana-lysis, is f – ანალიზი, დაშლა

ana-mnesis, is f - გახსენება

ana-phyloxia, ae f – შეძენილი აწეული მგრძნობელობა განსაზღვრული ანტიგენის მიმართ

ana-plasia, ae f – უჯრედთა ბიოლოგიური თვისებების შეცვლა

ana-biosis, is f – ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების დროებითი, თითქმის სრული შეწყვეტა

ბერძნული პრეფიქსი **ana-** შეიძლება თანაბარსაც ნიშნავდეს. ეს შინაარსია ჩადებული ტერმინში **ana-logia**- შესაბამისობა, პროპორციულობა, ანალოგია, თანაბრობა.

პრეფიქსი **apo-** ნიშნავს მოცილებას, მოშორებას, გამოცალკავებას, ჩამორჩენას, შეწყვეტას, დამთავრებას:

apo-plexia, ae f – რომელიმე შინაგანი ორგანოს ფუნქციის მოულოდნელი შეწყვეტა როგორც ვხედავთ, **შეწყვეტა** ამ ქართულ თარგმანში ერთ-ერთი საკვანძო სიტყვაა. სხვა ტერმინების ქართულ თარგმანში კი **apo-**ს ფუნქცია გაფერმკრთალებულია, უფო მეტიც, საერთოდ არ ჩანს:

apo-crinus, a um – გამომყოფი, გამყოფი

apo-physis, is f – აპოფიზი, მორჩი, ძვლის წანაზარდი

apo-neurosis, is f – ბრტყელი ფართო მყესი

(ამ ბოლო ტერმინში neuron გამოიყენება თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით – მყესი)

პრეფიქსი **ec-** ასევე გამოცალკავებას, გამოყოფას, მოცილებას, დამთავრებას აღნიშნავს. შეიძლება –დან ან –გან მნიშვნელობითაც გამოიყენებოდეს, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, ქართულში არ გააჩნია შესაბამისობა. გამონაკლისს წარმოადგენს **ectropium**, რომელშიც **ec-**ის შესატყვისად გვხვდება ქართულში ზმნიზედა გარეთ.

ec-chrymosis, is f – კანქვეშა სისხლჩაქცევა

ec-tasia, ae f – გაგანიერება, გაჭიმვა

ec-tomia, ae f – ამოკვეთა, ამოჭრა (ე. ი. მოცილება – ნ. ა.)

ec-topia, ae f – ორგანოს თანდაყოლილი გადაადგილება

ec-tropium, i n – ქუთუთოების გარეთ გადმოზრუნება

პრეფიქსი **cata-** ქვევით, ძალიან შორს, შემდეგ, იქით. როგორც წინა შემთხვევებში ვწერდით, პრეფიქსის მნიშვნელობა აქაც შინაარსშია მოქცეული, გარეგნულად კი თითქოს გაწყვეტილი აქვს კავშირი ამ წინდებულთან:

cata-leptia, ae f – დიდი ხნის მანძილზე სხეულის ხელოვნური მდგომარეობის შენარჩუნება

cata-plexia, ae f – კუნთის ტონუსის მოულოდნელი დაკარგვა

cata-plasma, atis n – კატაპლაზმა

cata-tonia, ae f – შიზოფრენიის სახეობა (ხასიათდება კუნთების ტონუსის აწევით)

cata-mnesis, is f – ავადმყოფობის დასრულების შემდეგ მის შესახებ მიღებულ ცნობათა ერთიანობა

პრეფიქსი ecto- გარედან, გარეთ. იმ ერთადერთ მაგალითში, რომელიც ტერმინოლოგიაში გვხვდება, **ecto-** თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ითარგმნება:

ecto-derma, atis n – ჩანასახოვანი ფურცელი, რომლიდანაც ვითარდება ეპიდერმისი

მისი სინონიმია **ecto-blastus, i m**, რომლის შესატყვისი ქართული ფორმა არ მოგვეპოვება.

პრეფიქსი epi- - ზე, ზევით, ახლოს, თანხლება, დამატება და სხვ.

აღსანიშნავია, რომ **epi-** პრეფიქსი ხშირად გამოიყენება ანატომიურ ტერმინოლოგიაში. ამ შემთხვევაში ის შეიძლება დაიწეროს სიტყვასთან ერთად შერწყმულად თავში, ბოლოში ან ცალკე. **ზედა** თითქმის ყოველთვის ფიგურირებს ქართულ თარგმანში:

epi-condyl-us, i m – ზედაროკი (ნათიშვილი 1976: 71)

epi-cran-ius, a, um – ქალასზედა (ნათიშვილი 1976: 162)

epi-dermis, is f – კანზედა ფენა

epi-glottis, tidis f – ხორხისზედა (ნაწილი)

epi-thalamus, i m – მხედველობის ბორცვზედა მიდამო

epi-tympanum, i n – ყურის დაფის ღრუსზედა ნაწილი

ერთ შემთხვევაში **ზედა**-ს მაგივრად გვხვდება **ზევიდან**:

epi-cardium, i n – სეროზული გარსი, რომელიც **ზევიდან** ფარავს მიოკარდიუმს დანარჩენ ნიმუშებში ორგანოების მდებარეობაა ისეთი სხვა ორგანოს მიმართ,

რომ ზედაობა აუცილებლად იგულისხმება შინაარსში:

epi-physis, is f – გრძელი ძვლების სასახსრე დაბოლოება

epi-thelium – ეპითელური ქსოვილი, რომელიც ფარავს კანის მთელ თავისუფალ ზედაპირს

epi-ploon, i n – დიდი ბადექონი **epi-stropheus, i n** – კისრის II მალა

ep-onychium, i n – ფრჩხილის ნუნა **ep-ulis, idis f** – ღრძილების სიმსივნე

როგორც უკვე ვთქვით, **პრეფიქსი epi-** ანატომიურ ტერმინოლოგიაში **დამატების**,

თანხლების მნიშვნელობითაც გამოიყენება. ქართულში მას შეესატყვისება ვნებითი გვარის მიმღობა **დანამატი**:

epi-didymis, idis f – სათესლის **დანამატი**

ep-oophoron, i n – საკვერცხის **დანამატი**

რაც შეეხება კლინიკურ ტერმინოლოგიას, აქ ეს პრეფიქსი უფრო იშვიათად გამოიყენება. ჩვენთვის ცნობილი ნიმუშებიდან ერთ შემთხვევაში მას შეესატყვისება თანდებულები **ზედა**, მეორეში - **-ზე**, ხოლო მესამეში – **შორის**:

epi-gastralgia, ae f – ტკივილი მუცლის **ზედა** მიდამოში

epi-demia, ae f – ინფექციური დაავადების გავრცელება მასებზე ან ქვეყნებში

epi-zootia, ae f – ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიური გავრცელება ცხოველებს **შორის**

eu- პრეფიქსი მხოლოდ კლინიკურ ტერმინოლოგიაში გამოიყენება **კარგის**, **ლამაზის**, **სასიამოვნოს**, **სასარგებლოს**, **ჭეშმარიტის** მნიშვნელობით, ერთი სიტყვით, **eu-** პრეფიქსი დადებით ემოციებთან ასოცირდება, ამიტომ ქართულ თარგმანშიც დატვირთვას იღებს ამ ტიპის სიტყვები: **კარგი**, **სწორი**, **უმტკივნეულო**:

eu-phoria, ae f – მძიმე ავადმყოფობის **კარგი** განწყობილება

eu-pnoë, es f – **სწორი** (ნორმალური) სუნთქვა

eu-thymia, ae f – **სწორი** რიტმი, რიტმული პულსი

eu-thanasia, ae f – 1. **ადვილი**, **უმტკივნეულო** სიკვდილი, 2. სიკვდილის **გაადვილება** ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებით

პრეფიქსი anti- აღნიშნავს **წინააღმდეგ**, **საწინააღმდეგო**:

anti-biosis, is f – ერთი მიკროორგანიზმის მეორის **საწინააღმდეგო** (დამთრგუნველი) მოქმედება

anti-pyresis, is f – ციების **საწინააღმდეგო**

anti-sepsis, is f – ბრძოლა ინფექციის **წინააღმდეგ**

anti-corpora, orum n/pl. - **ანტისხეულები**

anti-gena, orum n/pl. – **ანტისხეულების** გამომწვევი

anti-metabolita, orum n/pl. – **ანტიმეტაბოლიტები**, ორგანიზმისთვის **უცხო** ნივთიერებები

anti-toxina, orum n/pl. – ანტიტოქსინები, სპეციფიური იმუნური ანტისხეულები
 დანარჩენი **anti-** პრეფიქსიანი ბერძნული ტერმინები ძირითადად ზედსართავი
 სახელებია, რომლებიც ლათინურ სუფიქსებსაც დაირთავენ, ამიტომ ამ საკითხს მაშინ
 შევეხებით, როცა ამგვარი ტიპის ზედსართავ სახელებს განვიხილავთ.

პრეფიქსი para- რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება. ყველაზე ხშირად
 კლინიკურ ტერმინოლოგიაში **გადახრას, დამახინჯებას, მოშლას, ანომალიას** აღნიშნავს:

par-acusis, is f – მცდარი ან დამახინჯებული აღქმა სმენითი შთაბეჭდილებების

par-aesthesia, ae f – სპონტანური უსიამოვნო შეგრძნება პერიფერიული ნერვული
 სისტემის **დარღვევის** გამო

para-geusia, ae f – გემოს შეგრძნების **მოშლა**

para-keratosis, is f – **ანომალია** გარქოვანების დროს

para-lalia, ae f – მეტყველების **მოშლა**

para-mnesia, ae f – **ცრუ, დამახინჯებული** მოგონებები

para-noia, ae f – ფსიქიური **მოშლილობა** (ხასიათდება ბოდვითი იდეებით)

para-phasia, ae f – მეტყველების **დარღვევა**

para-phrasia, ae f – ახალი სიტყვების შეთხზვა სულით ავადმყოფების მიერ,
 მეტყველების **დარღვევა**

par-apsis, ae f – შეხების შეგრძნების **დარღვევა, მოშლა**

para-trichosis, is f – **გადახრა** თმის ამოსვლისას (იზრდება არადამახასიათებელ
 ადგილებში)

par-orexia, ae f – **დამახინჯებული** გემოვნება, **დამახინჯებული** მადა

ასევე ხშირად გვხვდება **para-** პრეფიქსი მეორე მნიშვნელობით: **ახლოს, გვერდით,
 ორი მხრიდან**. ამგვარი შინაარსის გადმოსაცემად ის გამოიყენება როგორც ანატომიურ,
 ისე კლინიკურ ტერმინოლოგიაში. ქართულ თარგმანში თუ უშუალოდ ამ სიტყვებით
 არა, რალაცნაირად მაინც აისახება ამ პრეფიქსის ფუნქცია:

para-biosis, is f – სიკვდილ-სიცოცხლის **მიჯნაზე** დგომა (ე.ი. ახლოს – ნ.ა.)

para-ganglion, i n - კვანძის**ახლო**

para-plegia, ae f – **ორი** ერთი დასახელების კიდურის დამბლა

par-onychia, ae f – ფრჩხილის **გარშემო** მორგვის ნათება

para-dentium, i n = par-odontium, i n – კბილების დამჭერი აპარატი (ორივე მხრიდან – ნ.ა.)

para-metrium, i n – პარამეტრიუმი – ფაშარი შემაერთებელი ქსოვილი განიერი იოგის **ორ** ფურცელს შორის, საშვილოსნოს **გვერდებზე**

para-spasmus, i m – კიდურების **ორმხრივი** კრუნჩხვითი ჰიპერტონია

para-lysis, is f - დამბლა

para-typhus, i m – პარატიფული ბაქტერიებით გამოწვეული გადამდები დაავადება მუცლის ტიფის **მსგავსი** (ახლომდგომი – ნ.ა.)

როგორც ვხედავთ, სურათი საკმაოდ ჭრელია და უნიფიკაციის საშუალებასაც, პრაქტიკულად, არ იძლევა.

peri- და **para-** პრეფიქსების მნიშვნელობა გარკვეულ ასპექტში ძალიან უახლოვდება ერთმანეთს. **peri-**ც აღნიშნავს **ახლოს, გარშემო, ყველა მხრიდან**. (როგორც ვხედავთ, **para-** პრეფიქსის გამოყენების არეალი უფრო ფართოა, ის მეტი მნიშვნელობით იხმარება). აქაც, ისე როგორც **para-**ს შემთხვევაში, რაიმე კანონზომიერებაზე ლაპარაკი ჭირს, თუმცა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა სიტყვის შეთანხმებანი სრულად იტევს პრეფიქსის შინაარსს. ქართულ თარგმანში ზუსტი შესატყვისი სიტყვების მოძიება ძნელდება, მაგრამ ტერმინის არსის გაგებაში აუცილებლად გვეხმარება იმის ცოდნა, თუ რა ნიუანსებს გადმოსცემს **peri-**, როგორც პრეფიქსი:

peri-cardium, i n – ორი ფურცლისაგან შემდგარი ჩანთისებრი წარმონაქმნი, რომელიც გულს აკრავს

peri-cranium, i n – ქალასარქველის გარეგანი ძვალსაზრდელა

peri-metria, ae f – პერიფერიული მხედველობის არის განსაზღვრა პერიმეტრის საშუალებით

peri-metrium, i n – საშვილოსნოს სეროზული გარსი

peri-mysium, i n – კუნთის გარეთა შემაერთებელქსოვილოვანი გარსი

peri-odontium, i n – კბილის ფესვის ძვალსაზრდელა

peri-ostosis, is f - ძვალსაზრდელა

peri-pheria, ae f – პერიფერია, სხეულის გარეგანი (გარეთა) ნაწილები

peri-thelium, i n – სისხლძარღვთა და ლიმფურ სისხლძარღვთა ყველაზე გარეგანი

უჯრედული ფენა

peri-toneum, i n – სეროზული გარსი, რომელიც ფარავს მუცლის კედლის შიდა ზედაპირს

პრეფიქსი homo- რთულ სიტყვებში აღნიშნავს: **ერთნაირი, მსგავსი, იგივე**. ეს სიტყვები რელევანტურია ქართულ ტერმინებშიც, ისინი ქმნიან მის საყრდენს:

homo-genes, is – **მსგავსი წარმოშობის**

homoeo-pathia, ae f – ჰომეოპათია – **მსგავსის მსგავსით განკურნვა**

homo-logus, a, um – ჰომოლოგიური, შესაბამისი, **მსგავსი**

hom-onymus, a, um – **მსგავსი სახელიანი, იმავე სახელწოდების**

homo-plastica, ae f – 1. ერთი ადამიანის ქსოვილის ან ორგანოს მეორისათვის გადანერგვა; 2. **მსგავსი ქსოვილის გადანერგვა**

პრეფიქსი iso-ც აღნიშნავს **ერთნაირს, თანაბარს, მსგავსს** და ეს სიტყვებია ქართული ტერმინის შემადგენელი ნაწილებიც. ხშირად შეიძლება ტერმინთან **iso-** და **homo-** პრეფიქსები ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდეს ერთი და იმავე მნიშვნელობით. მაგალითად, **iso-plastica, ae f** იგივეა, რაც **homoplastica**. ქართულში ის გადმოიცემა სიტყვებით **ერთდროული, ერთნაირი, მსგავსი**:

iso-chronus, a, um – **ერთდროული, დროში თანხვედრი, დროის თანაბარ ინტერვალებში განმეორებადი**

iso-coria, ae f – სიდიდითა და ფორმით ორი გუგის **ერთნაირობა**

iso-metropia, ae f – ერთნაირი რეფრაქცია ორივე თვალში

iso-morphus, a, um – **მსგავსი ფორმის, მსგავსი სტრუქტურის, მორფოლოგიურად იდენტური**

iso-tonia, ae f – 1. ოსმოსური წნევის **ერთნაირობა**; 2. ტონუსის (კუნთის ნერვის) **მუდმივობა**

iso-topi, orum m/pl. – ერთი და იმავე ქიმიური ელემენტის ატომთა სახესხვაობა, ბირთვის **ერთნაირი მუხტითა და სხვადასხვა ატომური წონით**

პრეფიქსი hetero- თითქმის იმავე ბერძნულ სიტყვებს დაერთვის, რომელსაც **homo-** და, ფაქტობრივად, მის ანტონიმებს აწარმოებს. შესაბამისად, მისი შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენება სიტყვები: **სხვა, განსხვავებული, სხვა სახის, სხვანაირი**:

hetero-chromia, ae f – **სხვადასხვა** შეფერილობა ორი ისეთი ნაწილის, რომელთაც ჩვეულებრივ პირობებში ერთი ფერი აქვთ

hetero-genes, is – **განსხვავებული** სახის, ბუნებითა და სახით **განსხვავებული**

hetero-metropia, ae f – **განსხვავებული** რეფრაქცია ორივე თვალში

hetero-morphus, a, um – ნორმალური ტიპიდან გადახრილი, **სხვა** სახის, **სხვა** – გვარად წარმოქმნილი

heter-onymus, a, um – **სხვადასხვასახელიანი**, საწინააღმდეგო ურთიერთობებში მყოფი

ხანდახან **hetero-** ორი ან რამდენიმე სიტყვითაც გადმოიცემა:

hetero-plasia, ae f – ერთი სახის ქსოვილის მეორის ნიადაგზე წარმოქმნა და განვითარება; ნორმალურისაგან განსხვავებული განვითარება; ნორმალური ქსოვილის არანორმალურით ჩანაცვლება

hetero-plastica, ae f – ადამიანისათვის ცხოველის ქსოვილის გადანერგვა

hetero-topia, ae f – ორგანოს ან ქსოვილის ატიპიური ლოკალიზაცია არაბუნებრივ ადგილას

hetero-vaccinum, i n – სხვა ავადმყოფის ბაქტერიების კულტურისაგან დამზადებული ვაქცინა მეორისათვის

პრეფიქსი all- (allo-) მეორეს, სხვას ნიშნავს და მისგან ნაწარმოები ტერმინები **homo-** ს შემცველ სიტყვათა ანტონიმებია, თუმცა **hetero-**ს სინონიმად ის იშვიათად იხმარება (ე.ი. ერთსა და იმავე სიტყვებთან), მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შინაარსის ტერმინებს აწარმოებენ. რამდენიმე შემთხვევაში მას შეესატყვისება **სხვა, განსხვავებული**, ხოლო დანარჩენ მაგალითებში ერთი რომელიმე სიტყვა გამორჩეული არა გვაქვს:

all-ergia, ae f – ორგანიზმის საპასუხო რეაქცია **გარედან** შეჭრილ ალერგენზე

all-ergenium, i n – ალერგიის გამომწვევი ნივთიერება

allo-lalia, ae f – მეტყველების დეფექტი

allo-pathia, ae f – ალოპათია, გავრცელებული, საყოველთაოდ მიღებული მკურნალობის მეთოდები (ჰომოპათიისაგან განსხვავებული)

allo-plastica, ae f – **სხვა** სახის სხეულის გადანერგვა (სპილოს ძვალი, ოქრო,

პლასტმასი...)

allo-rhythmia, ae f – არითმია (**განსხვავებული** რითმი)

როგორც ვხედავთ, პრეფიქსის ფარდი სიტყვები იშვიათად გამოიყენება, მაგრამ მისი გავლენა ყველა ტერმინის შინაარსზე იგრძნობა.

პრეფიქსი pro- ნიშნავს **წინ, წინა, წინიდან**. შეიძლება ითარგმნოს აგრეთვე როგორც **წინასწარ**. სწორედ ეს ფორმა გვხვდება ყველაზე ხშირად ქართულ თარგმანში:

pro-dromus, i m – ავადმყოფობის **წინასწარ** მაუწყებელი

pro-genesis, is f – **ადრეული** სქესობრივი განვითარება

pro-genia, ae f – მკვეთრად **წინწამოწეული** ყბა და ნიკაპი

pro-geria, ae f – მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ერთდროულად ინფანტილიზმითა და **ადრეული** დაბერებით

pro-gnathia, ae f - მკვეთრად **წინწამოწეული** ყბები

pro-gnosis, is f – **წინასწარმეტყველება** (ავადმყოფობის სავარაუდო განვითარების ან მისი დამთავრების)

pro-myelocytus, i m – მრავალსახოვანი ბირთვული ლეიკოციტების განვითარების ფორმა

pro-phylaxis, is f – პროფილაქტიკა, ავადმყოფობის გაფრთხილება (ე.ი. **წინასწარ** ზომების მიღება – ნ.ა.), დაცვა ავადმყოფობისგან

pro-thrombinum, i n – პროთრომბინი, ფერმენტ თრომბინის **წინამორბედი**, სისხლის პლაზმაში შემავალი გლიკოპროტეიდი

პრეფიქსი pros- იხმარება იმავე მნიშვნელობით, რომლითაც pro-, ე.ი. ნიშნავს **წინ, წინა**.

მაგ., **pros-encephalon**, i n – წინა თავის ტვინი

სხვა მაგალითი არ გვხვდება.

meta- პრეფიქსს ქართულად მრავალი მნიშვნელობა აქვს. ესენია: **შორის, შუა, შემდეგ, იქით, ერთად, ცვლილება, ერთი მდგომარეობის მეორეში გადასვლა, საშუალებით, დახმარებით**. პრეფიქსი აწარმოებს როგორც ანატომიურ, ასევე კლინიკურ ტერმინებს. დავიწყოთ ანატომიური ტერმინებით:

meta-carpus, i m – ნები (მაჯის **შემდგომი** ნაწილი – ნ.ა.)

meta-physis, is f – მეტაფიზი; გრძელი ძვლის ნაწილი ეპიფიზსა და დიაფიზს შორის (ე.ი. შუა ნაწილი – ნ.ა.)

meta-tarsus, i n – წინა ტერფი (ტერფის წინა ნაწილი ქუსლსა და თითებს შორის)

ასე რომ, თარგმანში შეიძლება ყოველთვის არ შეგვხვდეს **meta-** პრეფიქსის ფარდი სიტყვები, მაგრამ მათი შინაარსი ამ წინსართის მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე გაუგებარი დარჩება. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას კლინიკური ტერმინების შესახებაც, თუმცა აქ უფრო ხშირია **meta-**ს იმ მნიშვნელობით გამოყენება, რომელიც **გარდაქმნასა და გადაადგილებაზე** მიუთითებს:

meta-morphosis, is f – **გარდაქმნა** – ფორმის ან სტრუქტურის შეცვლა

meta-myelo-cytus, i m – მიელოციტი ბირთვული **გარდაქმნის** პროცესში, შუალედური პერიოდი

meta-plasia, ae f – ერთი სახის ქსოვილის მეორედ, მონათესავე ქსოვილად **გარდაქმნა**

meta-stasis, is f – 1. პათოლოგიის ერთი ადგილიდან მეორეზე **გადატანა**
2.ავადმყოფური პროცესის კერა, რომელიც ამგვარი გადატანის შედეგად წარმოიქმნება

met-encephalon, i n – უკანა ტვინი

meso- პრეფიქსიც აღნიშნავს **შუაში მყოფს, შორის**. ის თითქმის **meta-** პრეფიქსის სინონიმია, როცა ის **შუა** ან **შორის** აღნიშნავს. **meso-** გვხვდება მხოლოდ ანატომიურ ტერმინოლოგიაში:

mes-encephalon, i n – შუა ტვინი

mes-enchyma, atis n – ცალკეული ან მორჩების დახმარებით შეერთებული უჯრედთა ერთობლიობა, რომელიც მდებარეობს სხეულის პირველად ღრუში ჩანასახოვან ფურცლებს შორის

mes-enterium, i n – ჯორჯალი

meso-colon, i n – კოლინჯის ჯორჯალი

meso-derma, atis n – შუა ჩანასახოვანი ფურცელი ექტოდერმასა და ენტოდერმას შორის

meso-gastrium, i n – კუჭის ჯორჯალი

meso-pharinx, ngis m – შუა ხახა – რბილი სასიდან ჰორიზონტალურ სიბრტყეში
meso-salpinx, ngis f – საშვილოსნოს მილის ჯორჯალი, საშვილოსნოს ფართო იოგის ნაწილი

meso-thelium, i n – ერთფენიანი ბრტყელი ეპითელიუმი

mes-ovarium, i n – საკვერცხის ჯორჯალი – საშვილოსნოს ფართო იოგის უკანა ფურცლის ნაწილი

meso-nephros, i m – შუა თირკმელი

თუ არ ჩავთვლით ჯორჯალს, რომელიც შუა ნაწილია თავისთავად და კარგად მორგებული ტერმინია, სხვა შემთხვევებში შუა და შორის მუდმივად გვხვდება **meso-**ს ზუსტ, სიტყვასიტყვით შესაბამისად ქართულ შესიტყვებაში.

ბერძნული პრეფიქსი poly- აღნიშნავს **მრავალს, ბევრს, ნორმაზე მეტს**. მისი გამოყენების არეალი კლინიკური ტერმინოლოგიაა. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ქართულ თარგმანში მუდმივად გამოიყენება მისი ეკვივალენტი **მრავალი, ბევრი, სიმრავლე, დიდი რაოდენობა**:

poly-cythaemia, ae f – ერითროციტების **სიმრავლე** სისხლში

poly-dactylia, ae f – **მრავალთითიანობა** (ხუთზე მეტი თითის ქონა)

poly-dipsia, ae f – წყურვილის პათოლოგიური **გაძლიერება**

poly-galactia, ae f – მშობიარე ქალის მიერ **ბევრი** რძის გამოყოფა

poly-morphus, a, um - **მრავალსახოვანი**

poly-nucleosis, is f – სეგმენტო-ბირთვული ლეიკოციტების **სიმრავლე** პერიფერიულ სისხლში

poly-phagia, ae f – ღორმუცელობა- **დიდი რაოდენობის** საჭმლის შთანთქმა

poly-posis, is f – **მრავალი** პოლიპის შთანთქმა

poly-pragmasia, ae f – **ბევრი და მრავალფეროვანი** წამლების მიღება ერთდროულად

poly-sialia, ae f – ნერწყვის **დიდი რაოდენობით** გამოყოფა

poly-spermia, ae f – 1. კვერცხუჯრედში **ერთზე მეტი** სპერმატოზოიდის მოხვედრა
 2. **მრავალი** სპერმის წარმოქმნა

poly-themia, ae f – **მრავალი (ორზე მეტი)** სარძვე ჯირკვლის არსებობა

poly-trichosis, is f - უხვთმიანობა

poly-uria, ae f – დღიური ნორმით გათვალისწინებული ბევრი შარდის გამოყოფა

პრეფიქსი **syn-** (**sym-**) აღნიშნავს ერთად, დაკავშირებას, კავშირში ყოფნას. როგორც წესი, იგი გამოიყენება კლინიკურ ტერმინოლოგიაში. უკვე დასახელებულ სიტყვათა გარდა ქართულ თარგმანში შეიძლება შეგვხვდეს **შეხორცება**:

sym-biosis, is f – ორი ორგანიზმის **თანაცხოვრება** ერთმანეთის სასარგებლოდ

sym-blepharon, i n – ქუთუთოს **შეხორცება** თვალის ბოლქვთან

sym-physis, is f – **შეხორცება**, ორი ძვლის **შეერთება** ხრტილოვანი ქსოვილის საშუალებით

sym-ptoma, atis n – სიმპტომი, ავადმყოფობის ნიშანი

syn-arthritis, is f – უძრავი სახსარი, ძვლების **შეერთება** შეხორცებით

syn-canthus, i m – ქუთუთოების **შეხორცება** თვალის ჭრილის კუთხეში

syn-chondrosis, is f – ძვლების **შეერთება** ხრტილოვანი ქსოვილის საშუალებით

syn-chronus, a, um – **ერთდროული**, ერთსა და იმავე დროს წარმოქმნილი

syn-dactylia, ae f – ხელის ან ფეხის თითების **შეხორცება**

syn-desmologia, ae f – ანატომიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ძვლების, სახსრებისა და იოგების **შეერთებას**

syn-desmosis, is f – ძვლების **შეერთება** ბოჭკოვან-შემაერთებელი ქსოვილის საშუალებით

syn-dromum, i n – სიმპტომთა **ერთობლიობა**

syn-echia, ae f – თვალის ფერადი გარსის **შეხორცება** რქოვანას უკანა ან ბროლის წინა ზედაპირთან

syn-ergia, ae f – ორგანოების **შეთანხმებული** მოქმედება საერთო მიმართულებით

syn-ostosis, is f – ძვლოვანი **შეერთება** ძვლოვანი ქსოვილის საშუალებით

1.3. ბერძნული რიცხვითი სახელები, რომლებიც გამოიყენებულია პრეფიქსებად

პრეფიქსი **hemi-** რთულ სიტყვებში აღნიშნავს **ნახევარს**, **ცალმხრივს**, **ერთ მხარეს**. ეს სიტყვები თითქმის ყოველთვის ფიგურირებს ქართულ თარგმანშიც:

hemi-algia, ae f – ტკივილი სხეულის ერთ ნახევარში

hemi-anaesthesia, ae f – შეგრძნების დაკარგვა სხეულის ერთ ნახევარში – ნახევრადგაუტკივარება

hemi-anopsia, ae f – ნახევრადსიბრმავე

hemi-athropia, ae f – სხეულის ერთი ნაწილის გამოფიტვა, გაღევა

hemi-azygos – ნახევრადარაწყვილი, ნახევრად არაორმაგი

hemi-chorea, ae f – ტვინის ორგანული დაავადება იძულებითი მოძრაობებით მხოლოდ სხეულის ერთ ნახევარში

hemi-crania, ae f – შაკიკი, თავის ტკივილი ძირითადად ცალ მხარეს

hemi-hypertrophia, ae f – ჰიპერტროფია სხეულის ერთ ნაწილში

hemi-opia, ae f – ნახევარმხედველობა, ბუნდოვანი მხედველობა

hemi-paraplegia, ae f – ორი ერთი დასახელების კიდურის დამბლა სხეულის ერთ მხარეს

hemi-paresis, is f – სხეულის ერთი ნაწილის პარეზი (არასრული დამბლა)

hemi-plegia, ae f – სხეულის ერთი ნახევრის დამბლა

hemi-spherium, i n – ნახევარსფერო (დიდ ტვინის)

hemi-spasmus, i m – ნახევრადკრუნჩხვა, კრუნჩხვა სხეულის ერთ ნაწილზე

რთული სიტყვების წარმოებაში პრეფიქსების სახით ბერძნული რიცხვითი სახელებიც მონაწილეობენ, როგორც რაოდენობრივი (მაგ., monos, tri-), ასევე რიგობითი (მაგ., protos-).

პრეფიქსი **mono(s)-** რთული სიტყვების შემადგენლობაში აღნიშნავს ერთს, ერთადერთს, ცალს, მარტოს. ეს სიტყვები გამოხატულებას ქართულ ტერმინებშიც პოულობს:

mono-brachia, ae f – ცალმკლავა (დაბადებისთანავე)

mono-metrum - მონომეტრი

mon-oculus, i m – დოლბანდის სახვევი ცალ თვალზე

mono-cytus, i m – ლეიკოციტების ერთ-ერთი ფორმა

mono-cytosis, ae f – მონოციტების მომატება პერიფერიულ სისხლში

mono-dacylus, is f – ცალთითა, ერთთითა

mono-graphia, ae f – ერთი საკითხისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომა

mono-nucleosis, is f – ერთბირთვიანი უჯრედების გადაჭარბება

mono-phobia, ae f – მარტოობის აკვიატებული შიში

mono-ophthalmia, ae f – ცალთვალობა (დაბადებიდანვე ან შეძენილი)

mono-plegia, ae f – მხოლოდ ერთი კიდურის ან ერთი კუნთოვანი ჯგუფის დამბლა

პრეფიქსი **protos-** აღნიშნავს პირველს. ქართულად შეიძლება ითარგმნოს აგრეთვე როგორც მარტივი, უმარტივესი:

prot-anopia, ae f – ნაწილობრივი სიბრმავე განსაკუთრებით წითელი (პირველი) ფერის მიმართ

prot-einum, i n – მარტივი ცილოვანი ნივთიერება

proto-plasma, atis n – ყველა უჯრედის სიცოცხლისუნარიანი ძირითადი ელემენტი

proto-zoa, orum n/pl. – უმარტივესი (ერთუჯრედიანი) ორგანიზმი

პრეფიქსი **di-** ნიშნავს ორს, ორჯერ, ორმაგს, ორჯერადს:

di-cephalus, i m – ორთავა **di-plegia** ae f – ორმხრივი დამბლა

di-crotia, ae f – პულსის ორმაგი ცემა (დარტემა)

di-plopia, ae f – ორმაგი მხედველობა (საგნების გაორებულიად ხედვა დამბლის დროს)

რიცხვითი სახელი **tri-** ასევე გამოიყენება პრეფიქსად რთულ სიტყვებში და აღნიშნავს სამს, ხოლო **trit-** – მესამეს:

tri-gonencephalia, ae f – სამკუთხედი ქალა ან თავი

tri-gonum, i n – სამკუთხედი **tri-plegia**, ae f – სამი კიდურის დამბლა

trit-anopia, ae f – ნაწილობრივი სიბრმავე, განსაკუთრებით ცისფერი (მესამე) ფერის მიმართ

რაც შეეხება სხვა ბერძნულ რიცხვით სახელებს, ისინი ძირითადად ნომენკლატურაში გამოიყენება და, როგორც წესი, არ ითარგმნება, პირდაპირ ლათინური სიტყვით გადმოიცემა:

Tetra-cyclinum, i n - ტეტრაციკლინი **tetra-boras**, atis m - ტეტრაბორატი

Penta-zolum, i n - პენტაზოლი

Penta-methazolum, i n - პენტამეთაზოლი

Hexa-midinum, i n - ჰექსამიდინი

Hexo-barbitalum, i n - ჰექსობარბიტალი

თავი მეორე

სუფიქსაცია

აფიქსური სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახეა სუფიქსაცია. სუფიქსის საშუალებით ერთი მეტყველების ნაწილიდან შეიძლება ვაწარმოოთ იგივე ან სხვა მეტყველების ნაწილი, მაგრამ ორივე შემთხვევაში მას, უმეტეს შემთხვევაში, შენარჩუნებული აქვს კავშირი ძირეულ სიტყვასთან (მაგ., vitrum, i n – *მინა* არსებითი სახელია, ხოლო vitr-e-us, a, um – *მინისებრი* – წარმოებული ზედსართავი სახელი, რომელსაც ძირთან კავშირი არ დაუკარგავს. vesica, ae f – *ბუშტი* არსებითი სახელია, მისგან ნაწარმოები ისევ არსებითი სახელი vesic-ul-a, ae f – *ბუშტუკი*, ასევე არ წყვეტს კავშირს თავის ძირეულ სახელთან).

თუ ძირეულ სიტყვასა და წარმოებულ სახელს შორის კავშირი ერთი შეხედვით დაკარგულია, მისი აღდგენა ისტორიის გათვალისწინებით ან ასოციაციურად მაინც ხერხდება (მაგ., clavis – გასაღები, clav-i-cul-a, ae f – ლავიწი, cella – ოთახი, cell-ul-a – უჯრედი და ა.შ.).

სუფიქსი შეიძლება დაერთოს უშუალოდ ძირს (მაგ., vesic-al-is, e), ან გამოყენებულ იქნას შემაერთებელი ხმოვანი, ძირითადად, -o- ან -i-. მაგ., canal-i-cul-us, i m). ჩვეულებრივ, ლათინურ ძირს ლათინური სუფიქსი დაერთვის, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებშია, ხოლო ბერძნულ ძირს – ბერძნული სუფიქსი (ellips-oide-us, a, um – ელიფსური). მაგრამ შეიძლება ლათინური ძირიდან ბერძნული სუფიქსით ვაწარმოოთ სხვა სახელი, ან ბერძნულ ძირზე მოხდეს ლათინური სუფიქსის დართვა (მაგ., front-itis, idis f – front- ლათინური ძირია, -itis – ბერძნული სუფიქსი, ან diaphragmat-ic-us, a, um – დიაფრაგმული, შუასაბგიდის. აქ ძირი ბერძნულია, -ic სუფიქსი კი – ლათინური).

ლათინურ ძირზე ზოგჯერ ორი ლათინური სუფიქსის დართვაც ხდება (მაგ., vesic-ul-ar-is, e), ან ერთ ძირს შეიძლება ერთდროულად დაერთოს ბერძნული ან

ლათინური სუფიქსები (მაგ., sphen-oid-al-is, e – სოლისებრი (-oid სუფიქსი ბერძნულია, -al – ლათინური). შეიძლება ერთსა და იმავე დროს პრეფიქსიც დაერთოს და სუფიქსიც (როგორც ორივე ლათინური ან ბერძნული, ისე ბერძნულ-ლათინური. მაგ., anti-dolor-os-a /remedia/ - ტკივილგამაყუჩებელი. anti- ბერძნული პრეფიქსია. os- ლათინური სუფიქსი; sub-cost-al-is, e – ნეკნქვეშა. sub-al- ლათინური პრეფიქს-სუფიქსებია და ა.შ.). ყველა ასეთი შემთხვევა ცალ-ცალკე გამოვყავით.

განვიხილოთ ის ლათინური ტერმინები, რომლებშიც ლათინურ ძირს უერთდება ლათინური სუფიქსი და ამ სუფიქსების საშუალებით იწარმოება არსებითი სახელები.

ლათინური კნინობითი სუფიქსები **-al**, **-ol**, **-cul** ქართულადაც გადმოდის კნინობითის ფორმით, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა ქართული ენა, თუ ქართული სიტყვა საერთოდ დაირთავს კნინობითი ფორმის მაწარმოებელ სუფიქსს, ხოლო როდესაც სუფიქსი უცხოა ამა თუ იმ ქართული სიტყვისათვის, მაშინ ლათინური კნინობითის ფორმა ქართულში გადმოდის კნინობითი სუფიქსის გარეშე (ეს ძირითადად ხდება, როცა ლათინურში ეს სიტყვა მხოლოდ კნინობითის ფორმით იხმარება ტერმინოლოგიაში), ანუ ქართულ სიტყვას ემატება სიტყვები: **პატარა**, **მცირე**, **მომცრო**. მათ ზოგჯერ ფრჩხილებშიც მიუთითებენ. თითოეულ შემთხვევას განვიხილავთ ცალ-ცალკე სუფიქსების მიხედვით.

2.1. არსებითი სახელების მაწარმოებელი ლათინური სუფიქსები

სუფიქსი –ul. ა) უფრო ხშირად **-ul** სუფიქსის ფუნქცია ქართულ თარგმანში არ აისახება. ამის მიზეზი ის არის, რომ ეს ქართული სიტყვები, რომლებიც ქართულ ტერმინოლოგიას ქმნიან, კნინობით სუფიქსებს არ დაირთავენ:

an-**ul**-us, i m – ბეჭედი, რგოლი fren-**ul**-um, i n – ლაგამი, საბმელი

gran-**ul**-um, i n – მარცვალი ham-**ul**-us, i n – კავი, კაუჭი

nod-**ul**-us, i n – კვანძი (nodus – ნასკვი NA-ში ასეა გარჩეული)

ბ) **-ul** სუფიქსიანი ტერმინების ქართულად გადმოსატანად გამოიყენება დამატებითი სიტყვები: **მცირე**, **პატარა**, **მომცრო**, **წვრილი**, რომლებიც ზოგჯერ ფრჩხილშია მოთავსებული:

foss-**ul**-a, ae f – **პატარა** ფოსო

duct-**ul**-us, i m – მცირე სადინარი (შელია 1979: 64), წვრილი სადინარი (NA 1979: 12)

glomer-**ul**-us, i m – გორგალი (მომცრო) (NA 1979: 12)

sept-**ul**-um, i n – ძგიდე, ტიხარი (მომცრო) (NA 1979: 17), პატარა ძგიდე (შელია 1979: 190)

capit-**ul**-um, i n – მომცრო თავი (NA 1979: 9), მცირე თავი (შელია 1979: 36)

გ) უფრო იშვიათად გვხვდება ქართულ ტერმინოლოგიაში კნინობითი სუფიქსიანი ლექსიკა –ul სუფიქსის შესაბამისად:

foss-**ul**-a, ae f – ფოკუსი (NA 1979: 11; შელია 1979: 87)

vesic-**ul**-a, ae f – ბუშტუკი (შელია 1979: 243; NA 1979: 19)

cum-**ul**-us, i m – ბორცვაკი (NA 1979: 10) ling-**ul**-a, ae f – ენაკი

duct-**ul**-us, i m – მილაკი (შელია 1979: 64) capit-**ul**-um – თავაკი

ჩვეულებრივ მეტყველებაში უფრო იოლად მოიძებნება ლათინური კნინობითის შესატყვისი სიტყვები. მაგ.:

cat-**ul**-us, i m – კნუტი

parv-**ul**-us, i m – ბავშვი

vit-**ul**-us, i m – ხბო

-**ul** სუფიქსის ქართულად თარგმნისას სამივე ვარიანტი ერთმანეთის პარალელურად არსებობს და მას ყველა ავტორი სინონიმებად იყენებს, რა თქმა უნდა, კნინობითი სუფიქსიანი ტერმინებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და მათ დამკვიდრებას უნდა შეეწყოს ხელი.

-**cul** სუფიქსი. ა) ისევე როგორც ზოგიერთი ლათინური კნინობითი სუფიქსი, ქართულად ხშირად ითარგმნება კნინობითი ფორმის გარეშე:

carun-**cul**-a, ae f – კორძი

fasc-i-**cul**-us, i m – კონა

coll-i-**cul**-us, i m – ბორცვი (შელია 1979: 71)

tuber-**cul**-um, i n – ბორცვი

orb-i-**cul**-us, i m – წრე, რგოლი (შელია 1979: 150), რკალი

ped-i-**cul**-us, i m – ფეხი (შელია 1979: 159), ფეხი, ყლორტი (NA 1979: 16)

ბ) კნინობითის ფორმით –cul სუფიქსის თარგმნა ყველაზე ხშირად გვხვდება:

canal-i-**cul**-us, i m – მილაკი (NA 1979: 8, შელია 1979: 33)

coll-i-**cul**-us, i m – გორაკი (შელია 1979: 47), ბორცვაკი (NA 1979: 9)

foll-i-**cul**-us, i m – ბუშტუკი (NA 1979: 19), ფოლიკული

corpus-**cul**-um, i m – სხეულაკი (NA 1979: 10) tuber-i-**cul**-um, i n – ბორცვაკი
 mont-i-**cul**-us, i m – ბორცვაკი (NA 1979: 14) fun-i-**cul**-us, i m – ბაგირაკი, ლარი

გ) **-cul** სუფიქსი ზოგჯერ გადმოიცემა დამხმარე სიტყვების გამოყენებით, რომლებიც აღნიშნავენ სიმცირეს:

aur-i-**cul**-a, ae f – პატარა ყური canal-i-**cul**-us, i m – პატარა არხი

cal-i-**cul**-us, i m – მცირე ფიალა, ჯამი, კვირტი

nav-i-**cul**-a, ae f – პატარა ნავი (NA 1979: 14; შელია 1979: 135)

oss-i-**cul**-um, i n – მომცრო ძვალი (NA 1979: 15), პატარა ძვალი (შელია 1979: 152)

დ) დამოუკიდებელი სიტყვებით:

font-i-**cul**-us, i m – ყიფლიბანდი (სიტყვიდან fons – წყარო)

ventr-i-**cul**-us, i m – პარკუჭი (სიტყვიდან venter – კუჭი)

pan-i-**cul**-us, i m – აფსკა, ნაფლეთი (NA 1979: 15)

tuber-**cul**-um, როგორც ვნახეთ, ორი ქართული მნიშვნელობით გადმოიცემა: ბორცვი და ბორცვაკი და ხშირად, შეიძლება, სპეციალისტისთვის ეს განსხვავება გასარჩევია, მაგრამ როცა tuberculum majus თარგმნილი გვაქვს როგორც დიდი ბორცვი, ხოლო tuberculum minus – მცირე ბორცვი (NA 1979: 37), აქ უკვე ნამდვილად იკარგება ზღვარი ორი განსხვავებული სიდიდის წარმონაქმნს შორის, როგორცაა tuber და tuberculum.

-ol სუფიქსის ქართულად გადმოცემისას ასევე გვაქვს რამდენიმე შემთხვევა:

ა) ლათინური ტერმინი გადმოდის უთარგმნელად:

alve-**ol**-us, i m – ალვეოლა (შელია 1979: 13; NA 1979: 7)

arter-i-**ol**-a, ae f – არტერიოლა (შელია 1979: 24; NA 1979: 8)

bronch-i-**ol**-us, i m – ბრონქიოლი (შელია 1979: 30; NA 1979: 8)

ბ) თარგმანში ასახულია **-ol** სუფიქსის კნინობითობა, გამოიყენება **-უკ** და **-აკ** სუფიქსები:

alve-**ol**-us, i m – ბუშტუკი (NA 1979: 7), ბუშტული (შელია 1979: 13)

fove-**ol**-a, ae f – ფოსუკი (NA 1979: 11)

nucle-**ol**-us, i m – ბირთვაკი (შელია 1979: 140; NA 1979: 15)

გ) **-ol** სუფიქსი ქართულად ითარგმნება როგორც მცირე ან პატარა. ერთ

შემთხვევაში გვხვდება **წვრილი**, რომელიც ასევე გამართლებულია შინაარსის მიხედვით:

bronch-i-**ol**-us, i m – **მცირე** ბრონქი (შელია 1979: 30), **წვრილი** ბრონქი (NA 1979: 8)

nucle-**ol**-us, i m – **პატარა** ბირთვი fove-**ol**-a, ae f – **პატარა** ორმო (შელია 1979: 88)

როგორც ვხედავთ, **-ol** სუფიქსის ქართულად თარგმნის სამივე ვარიანტიდან არცერთი არ არის გამიჯნული, ერთსა და იმავე სიტყვასთან სხვადასხვა ავტორი მათ სინონიმებად ხმარობს (მაგ.: alveola – ალვეოლა, ბუშტუკი, ბუშტული...).

დ) **-ol** სუფიქსიანი ტერმინი შეიძლება ქართულად სპეციალურად შერჩეული სიტყვითაც გადმოვიდეს:

male-**ol**-us, i m – გოჯი (NA 1979: 14 maleus – ჩაქუჩი)

modi-**ol**-us, i m – ღერძი (NA 1979: 14, შელია 1979: 134 modius – საწყაო)

სუფიქსები -ari და -ori. ლათინურ ენაში ეს სიტყვები რაიმეს თავშესაყარ ადგილზე მიუთითებენ. სუფიქსი **-ari** არსებითი სახელების ფუძისაგან, ხოლო **-ori** ზმნის ფორმიდან აწარმოებენ ამგვარ სახელებს. ქართულად ისინი ან ა) ლათინური სრული ადეკვატური სიტყვით გადმოიცემა, (1-5), ან ბ) ლათინური სიტყვით, რომელსაც არალათინური დაბოლოება აქვს (6-7), უფრო იშვიათად გ) სა-ე მაწარმოებელი სუფიქსით (8) და დ) შესაფერისად დაძებნილი ლექსიკური ერთეულით (9). მაგ.:

1. aqu-**ari**-um, i n – აქვარიუმი

5. sanat-**ori**-um, i n – სანატორიუმი

2. herb-**ari**-um, i n – ჰერბარიუმი

6. ambulat-**ori**-um, i n – ამბულატორია

3. planet-**ari**-um, i n – პლანეტარიუმი

7. audit-**ori**-um, i n – აუდიტორია

4. viv-**ari**-um, i n – ვივარიუმი

8. ov-**ari**-um, i n – საკვერცხე

9. tent-**ori**-um, i n – კარავი

სუფიქსი -io უერთდება ზმნის III ძირითადი ფორმის supinum-ის ფუძეს და აწარმოებს III ბრუნების მდედრობითი სქესის არსებით სახელებს, რომლებიც გამოხატავენ მოქმედებას ან მის შედეგს. ქართულად ისინი ხშირად გადმოიცემა უთარგმნელად, რაც, რა თქმა უნდა, არ არის იდეალური ვარიანტი და უმეტეს შემთხვევაში განპირობებული უნდა იყოს ტრადიციით, ამ სიტყვათა სხვა თანამედროვე ენებში არსებობით და ეკონომიის პრონციპიტაც, ერთი სიტყვით გადმოიცეს ტერმინი მრავალი სიტყვის ნაცვლად. მაგ.:

supinat-**io**, onis f – სუპინაცია radiat-**io**, onis f – რადიაცია

granulat-**io**, onis f – გრანულაცია amputat-**io**, onis f – ამპუტაცია

mutati-**io**, onis f – მუტაცია

არც თუ იშვიათად, იგივე ტერმინები ერთი კარგად მორგებული სიტყვითაც შეიძლება ითარგმნოს. მაგ.:

mutat-**io**, onis f – ცვლილება amputat-**io**, onis f – მოკვეთა

radiat-**io**, onis f – განსხივება ovulat-**io**, onis f – განაყოფიერება

granulat-**io**, onis f – მარცვლოვანობა

რატომდაც მაინც ლათინურ სიტყვებს ამჯობინებენ სრულფასოვანი თარგმნის მაგივრად.

სხვა შემთხვევაში **-io**-ზე დაბოლოებული ლათინური სიტყვების ქართულად გადმოსათარგმნად ძირითადად გამოიყენება სახელზმნა, კერძოდ, საწყისი, მაგ.:

transfus-**io**, onis f – გადასხმა nutrit-**io**, onis f – კვება

auscultat-**io**, onis f – მოსმენა inflammat-**io**, onis f – ანთება

terminat-**io**, onis f – დაბოლოება (NA 1979: 11)

ზოგჯერ ტერმინი გადმოიცემა რამდენიმე სიტყვის საშუალებითაც:

supinat-**io**, onis f – გარეთ ბრუნვა fomentat-**io**, onis f – ცხელი საფენის გამოყენება

უიშვიათესად შეიძლება თარგმანი ქართულად არსებითი სახელითაც გადმოიცეს:

articulat-**io**, onis f – სახსარი terminat-**io**, onis f – ბოლო

port-**io**, onis f – ნაწილი

სუფიქსები -as და -itudo. ლათინურ ენაში ეს სუფიქსები ზედსართავი სახელის

ფუძეს დაერთვის და აწარმოებს III ბრუნების მდედრობითი სქესის აბსტრაქტულ სახელებს, რომლებიც ქართულად აბსტრაქტული სახელებით გადმოიცემა. მათი თარგმნისას გამოიყენება სი-ე-თი ნაწარმოები სახელები. მაგ.:

cav-**itas**, atis f – სიღრუე

latitus-**udo**, ntis f – სიგანე

longit-**udo**, ntis f – სიგანე

magnit-**udo**, ntis, f – სიდიდე

არც თუ იშვიათად, **-as** და **-itudo** სუფიქსებით დაბოლოებული ტერმინები ქართულად **-ობა** და **-ება**-ზე დაბოლოებული განყენებული სახელებით ითარგმნება:

extremit-**as**, atis f – დაბოლოება

valet-**udo**, inis f – ჯანმრთელობა

quantit-**as**, atis f – რაოდენობა

tuberosit-**as**, atis f – ხორკლოვანობა (sacralis, NA 1979: 25)

თუმცა, სხვა შემთხვევაში tuberositas თარგმანი ძირითადად არის ხორკლი, რაც ალბათ უკეთესად გამოხატავს აღსანიშნავ საგანს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ტერმინოლოგიიდან თითქოს ამოვარდნილია.

სუფიქსი -ur დაერთვის ზმნის III სალექსიკონო ფორმის, supinum-ის, ფუძეს და აწარმოებს I ბრუნების შედეგის გამომხატველ არსებით სახელებს. სავსებით ბუნებრივია, რომ ქართულად ისინი ძირითადად სახელზმნით ითარგმნება:

fract-**ur**-a, ae f – მოტეხილობა

rupt-**ur**-a, ae f – გაპობა

signat-**ur**-a, ae f – აღნიშვნა

struct-**ur**-a, ae f – აგებულება

junct-**ur**-a, ae f – შეერთება

არანაკლებ ხშირად **-ur** სუფიქსიანი ლათინური ტერმინის თარგმანი ქართულად არის ვნებითი გვარის მიმღობა ან გაარსებითებული მიმღობა:

mixt-**ur**-a, ae f – ნარევი

fiss-**ur**-a, ae f – ნაპრალი

apert-**ur**-a, ae f – შესავალი, ხვრელი

incis-**ur**-a, ae f – ნაჭდევი

sut-**ur**-a, ae f – ნაკერი

flex-**ur**-a, ae f – ნაკეცი

მაგ.: curvat-**ur**-a – ითარგმნება როგორც სი-**მრუდ**-ე (შელია 1979: 58). ეს ur –ზე დაბოლოებული სახელებისთვის ხელოვნური ქართული შესატყვისია, თუმცა ამ საერთო სურათიდან რომ არ ამოვარდნილიყო, აქაც შეიძლებოდა გამოგვეყენებინა მრუდი ან გამრუდება.

სუფიქსი -or. ქართულთან მიმართებაში ძალიან საინტერესოა **-or** სუფიქსიანი

სახელები. ისინი ლათინურ ენაში, ჩვეულებრივ, ზმნის III სალექსიკონო ფორმის, *supinum*-ის ფუძეს დაერთვის და III ბრუნების მამრობითი სქესის სახელებს აწარმოებს. ამგვარად მიღებული სახელები აღნიშნავენ ან მოქმედ საგანს, ან მოქმედ პირს. ასეთი წარმოშობის არსებითი სახელები განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება მიოლოგიაში და იხმარება არსებით სახელ *musculus*-ის მსაზღვრელად, რაც იშვიათია. არსებითი სახელი არის არსებითი სახელის მსაზღვრელი და ის მასთან შეთანხმებულია. როგორც წესი, არსებითი სახელი მეორე არსებითი სახელის მსაზღვრელად მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით შეიძლება გამოვიყენოთ. ეს ცალკეული ნორმა ქართულად თარგმნისას ჩვეულებრივ კანონზომიერებად იქცევა, რადგან ლათინური არსებითი სახელი ქართულად მოქმედებითი გვარის **მიმღეობის** ფორმით გადმოიცემა:

flex-or, *oris m* – მომხრელი

levat-or, *oris m* – ამწევი

pronat-or, *oris m* – მარბუნებელი (NA 1979: 60), შიგნით მბრუნველი (-ავი)

rotat-or, *oris m* – მბრუნველი (ნათიშვილი 1976: 175), მარბუნებელი (NA 1979: 58)

supinat-or, *oris m* – გარეთ მბრუნველი, სუპინატორი (ნათიშვილი 1976: 206), გარეთკენ მობრუნებული (NA 1979: 61)

tens-or, *oris m* – გამჭიმავი (ნათიშვილი 1976: 206)

ქართულში კი მიმღეობა არსებით სახელთან შეთანხმებულ მსაზღვრელს ქმნის. მაგ.: ამწევი კუნთი, მომხრელი კუნთი, გამჭიმავი კუნთი და ა.შ. ამგვარ სახელთა ნაწილი პრეფიქსიანია, ამიტომ ლათინურ პრეფიქსებში განვიხილეთ, მაგრამ სუფიქსის მიხედვით ისინი თარგმნის დროს არაფრით განსხვავდება ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებისაგან:

de-press-or, *oris m* – დამწევი

e-rect-or, *oris m* – გამმართველი

როგორც ვხედავთ, ისევ მოქმედებითი გვარის მიმღეობებითაა გადმოცემული. მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ქართულად თარგმნისას გამოიყენება დამაზუსტებელი მსაზღვრელებიც გარეთ//გარეთკენ, შიგნით//შიგნითკენ, რაც ქართულში ჩვეულებრივი ამბავია: ერთსიტყვიანი ლათინური ტერმინი ქართულად ხშირად გადმოიცემა ორი ან რამდენიმე სიტყვით.

მაგ.: *musculus supinator* – სუპინატორი, წინამხრის გარეთკენ მომბრუნებელი კუნთი (NA 1979: 61). პროფ. ნათიშვილი ამ შემთხვევაში იყენებს მხოლოდ სუპინატორს

(NA 1979: 198) და სხვა შემთხვევაში, *musculus pronator* – პრონატორს (NA 1979: 194), მიუხედავად იმისა, რომ დაწვრილებით აღწერს ამ კუნთების მდგომარეობასა და ფუნქციებს, ლათინური ტერმინების ხმარება ამ შემთხვევაში სრულიად გაუმართლებლად გვეჩვენება, რადგან ისინი გავრცელებულ საერთაშორისო სიტყვებს არ მიეკუთვნება და ამიტომ მსმენელსაც ვერაფერს უხსნის: ბუდოვანი ცნება ისევ ბუნდოვანი დარჩება. ალბათ, ასეთ შემთხვევაში აღწერილობითი ქართული ტერმინი ბევრად გამართლებულია, მოსახერხებელი და მიზანსაც გვაახლოებს – ლათინურ ტერმინს მოვუძებნოთ ზუსტი ქართული შესატყვისი.

სუფიქსი –ism ლათინურ ენაში არსებითი სახელის ფუძეს უერთდება და აწარმოებს II ბრუნების –us–ზე დაბოლოებულ არსებით სახელებს. ჩვეულებრივ, ისინი რაიმე მოძღვრებას აღნიშნავენ (რეალიზმი, სიმბოლიზმი), ხოლო სამედიცინო ტერმინოლოგიაში გამოხატავენ ა) მოწამვლას, ბ) ავადმყოფურ მიდრეკილებას, ნორმიდან გადახვევას. მათ გადმოსაცემად რაიმე განსაკუთრებული წესი ქართულ ენაში არ შემოულიათ. ისინი ქართულ ენაზეც **–იზმ** სუფიქსით გადმოიცემა და ნეოლოგიზმებია. როგორც წესი, სამედიცინო ტერმინოლოგიაში მათ ხშირად ახლავს მრავალსიტყვიანი განმარტებები. როგორც სხვაგან, აქაც ეს არის მიზეზი, რომ ლათინური ტერმინი ქართულში უთარგმნელად დამკვიდრდა:

alcohol-ism-us – ალკოჰოლიზმი, ავადმყოფური მიდრეკილება ალკოჰოლური სასმელებისადმი

iod-ism-us, i m – იოდიზმი, იოდით მოწამვლა

nicotin-ism-us, i m – ნიკოტინიზმი, ქრონიკული მოწამვლა ნიკოტინით

სუფიქსი –us დაერთვის ზმნის III სალექსიკონო ფორმის, *supinum*–ის, ფუძეს და აწარმოებს IV ბრუნების არსებით სახელებს, რომელთაც ქართულ თარგმანში შეესატყვისება სახელზმნა ან, იშვიათად, მიმღეობა:

audit-us, us m – სმენა (ზმნა *audio* – ვისმენ)

curat-us, us m – მკურნალობა (ზმნა *curo* – ვკურნავ)

olfact-us, us m – ყნოსვა (ზმნა *olfacio* – ვსუნავ, ვყნოსავ)

vis-us, us m – მხედველობა (ზმნა *video* – ვხედავ)

mors-us, us m – კბენა (ზმნა *mordeo* – ვკბენ)

us-us, us m – სარგებლობა, გამოყენება (ზმნა utor – ვსარგებლობ, ვიყენებ)

2.2. I და II ბრუნების ზედსართავ სახელთა მაწარმოებელი

ლათინური სუფიქსები

ლათინური სუფიქსების საშუალებით იწარმოება როგორც I და II ბრუნების, ასევე III ბრუნების ზედსართავი სახელები.

განვიხილოთ ჯერ ის სუფიქსები, რომლებიც არსებითი სახელის ფუძიდან I და II ბრუნების ზედსართავ სახელებს აწარმოებს.

ლათინური სუფიქსები -ic, -ac, -in უერთდება არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს I და II ბრუნების ზედსართავ სახელებს, რომლებიც აღნიშნავს რომელიმე ორგანოსთან ან ადგილთან კავშირს.

სუფიქსი -ic ხშირად დაერთვის სხეულის რომელიმე ორგანოს ლათინური არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს ზედსართავ სახელებს, რომლებიც ამ ორგანოსთან კავშირზე მიუთითებენ. როგორც წესი, ქართულად ასეთი ტერმინები ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა:

aort-ic-us, a, um – აორტის

pub-ic-us, a, um – ბოქვენის

ovar-ic-us, a, um – საკვერცხის

aorticus, a, um – აორტის, აორტული (შელია 1979:

18)

-ic სუფიქსი ლათინურზე ხშირად ბერძნულ ფუძეებს უერთდება და მათგან აწარმოებს ზედსართავ სახელებს. ჩვეულებისამებრ, -ic სუფიქსი იმ არსებით სახელებს უერთდება, რომლებიც ორგანოს სახელწოდებას წარმოადგენს, ამიტომ ისინი ქართულად ნათესაობითი ბრუნვის ფორმით ითარგმნება. ამ შემთხვევაში მრავალფეროვნებას თვით ბერძნული ფუძეები ქმნის:

cephal-ic-us, a, um – თავის

cyst-ic-us, a, um – ბუშტის

dermat-ic-us, a, um – კანის

enter-ic-us, a, um – ნაწლავის

gastr-ic-us, a, um – კუჭის

hepat-ic-us, a, um – ღვიძლის

ერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც **-ic** სუფიქსი ორგანოს არ უკავშირდება და ამიტომ მას აქვს ზედსართავი სახელის დაბოლოება **-ოვანი**:

pneumat-ic-us, a, um – ჰაეროვანი

-ic სუფიქსის დართვით წარმოებული ბერძნული სახელები შედარებით ხშირად გადმოიცემა ზედსართავი სახელით, რომელიც **-ურ (-ულ)** სუფიქსებით ბოლოვდება:

anatom-**ic-us, a, um** – ანატომიური asthmat-**ic-us, a, um** – ასთმური
autonom-**ic-us, a, um** – ავტონომიური

basil-**ic-us, a, um** – მეფური, სამეფო (შელია 1979: 28)

spher-**ic-us, a, um** – სფერული, ბურთისებრი phren-**ic-us, a, um** – დიაფრაგმული

ამ სახელწოდებებიდან ერთადერთი ორგანოს სახელწოდება ითარგმნება ზედსართავი სახელით (დიაფრაგმული), ერთ-ორ სახელთან გამოჩნდა პარალელური ფორმები, რომლებიც სხვა სუფიქსებით ბოლოვდება: სა-მეფ-ო და ბურთის-ებრ-ი.

სუფიქსი -ac დაერთვის ასევე რომელიმე ორგანოს აღმნიშვნელ ლათინურ ფუძეს და ქართულად ისიც **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმით გადმოიცემა:

il-i-**ac-us, a, um** – თეძოს ძვლის ped-i-**ac-us, a, um** – ტერფის

როცა **-ac** სუფიქსი ბერძნული არსებითი სახელის ფუძიდან აწარმოებს ზედსართავ სახელს, მაშინაც **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმით ითარგმნება იმავე მიზეზის გამო – ორგანოსთან კავშირს ქართულში ყველაზე კარგად ნათესაობითი ბრუნვა გამოხატავს:

coel-i-**ac-us, a, um** – ფაშვის (NA 1979: 127; შელია 1979: 41 აგრ. მუცლის ღრუსი)

card-i-**ac-us, a, um** – გულის, კარდიის (შელია 1979: 38)

გულის პარალელურად იხმარება **საგულე** (NA 1979: 9, 154), ხოლო კარდიის პარალელურად **კარდიალური** (იქვე). ტერმინ საგულეს ხმარება ალბათ ზოგიერთ შემთხვევაში უკეთესიცაა. რაც შეეხება კარდიალურს, მის გამოყენებას გამართლება არა აქვს, გაუგებარია მისი ორმაგი სუფიქსის (-ალ და -ურ) დანიშნულებაც და მომდინარეობაც.

სუფიქსი -in ძირითადად ორგანოს აღმნიშვნელ ლათინურ ფუძეებს უერთდება და წარმოებული ზედსართავი სახელი ქართულად უმეტესად **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმით ითარგმნება:

calcar-**in-us, a, um** – დეზის palat-**in-us, a, um** – სასის

pelv-**in-us, a, um** – მენჯის uter-**in-us, a, um** – საშვილოსნოს

ამავე ლათინურ ტერმინებთან სხვადასხვა ავტორი იყენებს პარალელურ

ფორმებსაც:

palat-**in-us**, a, um – სასისმიერი (გაფრინდაშვილი 1994: 39)

pelv-**in-us**, a, um – მენჯისმხრივი (ნათიშვილი 1976: 53, NA 1979: 25), მენჯისმიერი (გაფრინდაშვილი 1994: 39)

uter-**in-us**, a, um – საშვილოსნოსკენა (NA 1979: 91)

-in სუფიქსი უერთდება სულიერი საგნის აღმნიშვნელ სახელთა ფუძეს და მიღებული ზედსართავი სახელებიც ქართულად ისევ **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმით ითარგმნება:

anser-**in-us**, a, um – ბატის

equ-**in-us**, a, um – რაშის, ცხენის

ran-**in-us**, a, um – ბაყაყის

mascul-**in-us**, a, um – მამაკაცის (NA 1979: 87)

სუფიქსი **-in** ხშირად არ მონაწილეობს ბერძნული არსებითი სახელებიდან ზედსართავის წარმოებაში, მაგრამ ამ ორიოდე მაგალითშიც ქართულად ტერმინის გადმოცემის განსხვავებული ფორმები გვაქვს: **ნათესაობითი ბრუნვა** და **სუფიქსი –ურ** ან მის პარალელურად **–ებრ**:

amygdal-**in-us**, a, um – ჯირკვლის

helic-**in-us**, a, um – სპირალური, ჭავლისებრი (შელია 1979: 100)

ლათინური სუფიქსები **-os** და **-lent** არსებითი სახელის ფუძეზე დართვით აწარმოებენ ზედსართავ სახელებს, რომლებიც რაიმეს სიუხვეს აღნიშნავენ. ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი ქართულში არის **–იანი** და **–ოვანი**, ამიტომ, ბუნებრივია, რომ **-os** სუფიქსიანი ლათინური ზედსართავი სახელები ქართულად ამ სუფიქსიანი ტერმინებით ითარგმნება:

call-**os-us**, a, um – კორძიანი, კოჟრიანი

cerumin-**os-us**, a, um – ყურის გოგირდიანი

foramin-**os-us**, a, um – ხვრელებიანი (შელია 1979: 86)

membran-**os-us**, a, um – აპკიანი, აპკოვანი (შელია 1979: 130)

pulp-**os-us**, a, um – ხორციანი, პულპოზური, რბილი (NA 1979: 123 nucleus)

vortic-**os-us**, a, um – ქოჩრიანი, ქოჩორა (ვენები (NA 1979: 121)

adip-**os-us**, a, um – ცხიმიანი, ცხიმოვანი

bulb-**os-us**, a, um – ბუმტოვანი cartilagin-**os-us**, a, um – ხრტილოვანი

fibr-**os**-us, a, um – ბოჭკოვანი, ფიბროზული (ნათიშვილი 1976: 137 anulus)

როგორც ვხედავთ, ზოგიერთ შემთხვევაში –იანი და –ოვანი სუფიქსები ერთმანეთსაც ცვლიან. ერთ შემთხვევაში ქოჩრიანს ენაცვლება ქოჩორა. ა-ც ქონების აღმნიშვნელი სუფიქსია, ამიტომ ამ ტერმინის ხმარებაც გამართლებულია. რაც შეეხება pulposus, a, um თარგმანს, როგორც რბილი, ის თვისებას უფრო გამოხატავს, ვიდრე ქონებას, ამიტომ ლათინურთან შეუსაბამობაშია. ასევე თვისებას აღნიშნავენ პულპოზური და ფიბროზული, თანაც ქართული –ურ (-ულ) სუფიქსი ლათინურ ფუძეს დაერთვის. რადგან მათი შემცვლელი სრულფასოვანი ქართული ტერმინები არსებობს, მათი ხმარებისაგან თავი უნდა შევიკავოთ.

-**os** სუფიქსის ფარდად ქართულში გვაქვს გამოყენებული თვისების გამომხატველი სუფიქსი –ურ (-ულ):

ven-**os**-us, a um – ვენური ribr-**os**-us, a um – დაცხრილული (შელია 1979: 56)

ser-**os**-us, a um – სეროზული nerv-**os**-us, a um – ნერვული (შელია 1979: 139)

ქართულად სეროზულის გამოყენება იგივეა, რაც პულპოზურის ან ფიბროზულისა. ჩვენი აზრით, სავსებით გამართლებული იქნება ser-**os**-us, a, um რომ ვთარგმნოთ შრატანი, ვენური შევცვალოთ ვენებიანით, რადგან ეს სწორედ შემადგენლობას გამოხატავს და ქართულადაც უხერხულობას არ ქმნის. ნერვულის პარალელურად გვხვდება ქართულში ნერვის, რაც ასევე გაუმართლებლად გვეჩვენება.

bili-**os**-us, a um – ნალვლის

გასაგებია, რომ ტერმინ ნალველის ორაზროვნების გამო აქ არ გამოდგება ტერმინად, მაგრამ შეიძლებოდა გვეხმარა ნალვლის შემცველი ან შეუკუმშავად – ნალველიანი.

რამდენიმე –os სუფიქსიანი ლათინური ტერმინის შინაარსი გადმოცემულია სუფიქსით –ებრ-ი, რომელიც ქართულად მსგავსებაზე მიუთითებს და არა ქონებაზე. სადაც ეს სუფიქსი პარალელურად იხმარება, იქ ალბათ სავსებით უნდა ამოვიღოთ ხმარებიდან, ხოლო სადაც ერთადერთი ფორმაა, მისი შემცვლელი უნდა მოიძებნოს, რომ –os სუფიქსის ფუნქცია ქართულ თარგმანში ზუსტად იყოს წარმოდგენილი:

cribr-**os**-us, a um – ცხავისებრი (NA 1979: 10)

racem-**os**-us, a um – მტევნისებრი (შელია 1979: 174; NA 1979: 17)

squam-**os-us**, a um – ქიცვისებრი (NA 1979: 18; ნათიშვილი 1976: 83; შელია 1979: 199), ქიცვიანი (შელია, იქვე)

spongi-**os-us**, a um – ღრუბლისებრი (NA 1979: 18,89; შელია 1979: 199), ღრუბლოვანი (შელია, იქვე)

ცხავისებრი და მტევნისებრი ალბათ იოლად შეიცვლება ლათინური ადეკვატური ტერმინებით: ცხავებიანი (დაცხავებული) და მტევნებიანი.

-**os** სუფიქსი ბერძნული წარმოშობის ფუძეებსაც უკავშირდება და აწარმოებს I და II ბრუნების ზედსართავ სახელებს. რაც შეეხება ამ ტერმინთა ქართულად თარგმნას, რაიმე თავისებურება არ შეინიშნება. ერთ შემთხვევაში სუფიქსი **-ოვან-ი** გადმოსცემს **-os** სუფიქსის შინაარსს:

gangli-**os-us**, a um – კვანძოვანი

მეორე ტერმინი კი განსხვავებულად ითარგმნება:

arteri-**os-us**, a um – არტერიული (შელია 1979: 24), არტერიებით მდიდარი

სჯობს ითარგმნოს როგორც არტერიებიანი, რომელიც ქონებასაც გამოხატავს და ერთსიტყვიანი ტერმინიცაა.

სუფიქსი **-e** დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს I და II ბრუნების ზედსართავ სახელებს, რომლებიც ნივთიერებას ახასიათებს მისი შემადგენლობის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ქართულად მათ შეესაბამება მაწარმოებელი სუფიქსი **-ოვან-ი**:

corn-**e-us**, a, um – რქოვანი

mucilagin-**e-us**, a, um – ლორწოვანი

oss-**e-us**, a, um – ძვლოვანი

tendin-**e-us**, a, um – მყესოვანი

ქონების აღსანიშნავად ქართულში გამოიყენება სუფიქსები **-იან** და **-ა**:

carn-**e-us**, a, um – ხორციანი (შელია 1979: 38)

glut-**e-us**, a, um – დუნდულა (NA 1979: 67)

ლათინური **-e** სუფიქსი მიუთითებს აგრეთვე რომელიმე ორგანოსთან კავშირზე. ასეთ შემთხვევაში მას ქართულში ნათესაობითი ბრუნვის ფორმა შეესაბამება:

glut-**e-us**, a, um – დუნდულის

sanguin-**e-us**, a, um – სისხლის

ქართული ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ქონების გაგებასაც შეიცავს, ამიტომ ლათინური **-e** სუფიქსიანი ტერმინები, რომლებიც ქონებას გამოხატავს, ქართულში

შეიძლება ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც ითარგმნოს:

argent-**e-us**, a, um – ვერცხლის

aur-**e-us**, a, um – ოქროს

oss-**e-us**, a, um – ძვლის

pectin-**e-us**, a, um – ქედის

როდესაც ლათინური **-e** სუფიქსი მსგავსებას აღნიშნავს, მაშინ ამ ნიუანსს ქართულში კარგად გამოხატავს სუფიქსი **-ებრ-ი**:

lact-**e-us**, a, um – რძისებრი

tritic-**e-us**, a, um – ხორბლისებრი

vitr-**e-us**, a, um – მინისებრი

-e სუფიქსიან ლათინურ ტერმინებს ქართულად შეიძლება **-ფერი** შეესაბამებოდეს, როგორც ქვემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს:

ciner-**e-us**, a, um – ნაცრისფერი

ros-**e-us**, a, um – ვარდისფერი

-e სუფიქსით ბერძნული ფუძეებიდანაც იწარმოება ანატომიური ტერმინები. რამდენიმე მაგალითი ბევრი მსჯელობის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ერთი უნდა ითქვას, რომ ისინი სხეულის ორგანოს ბერძნული სახელწოდებიდან აწარმოებენ კუთვნილების გამომხატველ ზედსართავ სახელებს, რომლებიც ქართულად ისევ **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმით გადმოიცემა:

ancon-**e-us**, a, um – იდაყვის

carp-**e-us**, a, um – მაჯის

esophag-**e-us**, a, um – საყლაპავის

laryng-**e-us**, a, um – ხორხის

mening-**e-us**, a, um – (თავის) ტვინის გარსის (NA 1979: 139), **მენინგოს** (NA 1979: 107)

pharyng-**e-us**, a, um – ხახის

რაც შეეხება **მენინგოს**, სიტყვაწარმოების არცერთი წესის მიხედვით ასეთი წარმოება არ შეიძლება, აქ უნდა დარჩეს მხოლოდ **თავის ტვინის გარსის**.

სუფიქსი -at ლათინურ ენაში არსებითი სახელის ფუძეს დაერთვის და აწარმოებს I და II ბრუნების ზედსართავ სახელებს, რომლებიც სხვადასხვა შინაარსს გამოხატავს. ხშირია შემთხვევები, როცა **-at** სუფიქსიანი ზედსართავი სახელები გამოხატავენ მსგავსებას. ამ ტიპის სახელებს ქართულში **-ებრ-ი** სუფიქსი შეესაბამება:

carin-**at-us**, a, um – ქათმისებრი (ნათიშვილი 1976: 61)

cune-**at-us**, a, um – სოლისებრი (ნათიშვილი 1976: 458)

digit-**at-us**, a, um – თითისებრი (impressiones ნათიშვილი 1976: 94)

lun-**at-us**, a, um – მთვარისებრი, ნახევარმთვარისებრი

radi-**at-us**, a, um – სხივისებრი (NA 1979: 50; შელია 1979: 195)

uncin-**at-us**, a, um – კავისებრი (ნათიშვილი 1976: 92), კაუჭისებრი (ნათიშვილი 1976: 172)

-**at** სუფიქსიანი ზედსართავი სახელები ლათინურ ენაში რაიმეს ქონებაზეც მიუთითებენ. ასეთ სახელებს ქართულში ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი –**იანი**-ი შეესატყვისება, რომელიც ორივე რიცხვში დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს:

al-**at-us**, a, um – ფრთებიანი

angul-**at-us**, a, um – კუთხეებიანი

barb-**at-us**, a, um – წვერიანი

capit-**at-us**, a, um – თავიანი

ham-**at-us**, a, um – კავიანი (ნათიშვილი 1976: 73 os)

ser-**at-us**, a, um – შრატანი

stri-**at-us**, a, um – ზოლიანი

ამავე ლათინური სიტყვების სათარგმნელად ზოგჯერ პარალელური ფორმებიც გამოიყენება, რომლებიც ასევე კუთვნილებაზე მიუთითებენ:

angul-**at-us**, a, um – კუთხოვანი

arcu-**at-us**, a, um – რკალოვანი

capit-**at-us**, a, um – თავდიდა (NA 1979: 39 os)

ბოლო მაგალითში ქართული –**ა** სუფიქსი კუთვნილებას კი გამოხატავს, მაგრამ დიდი ლათინურ სიტყვაში არ ჩანს, ამდენად, გაუმართლებელია მისი გამოყენება. პარალელურ ქართულ ტერმინებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც, ასე ვთქვათ, თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს და ხშირად გაუმართლებელია:

radi-**at-us**, a, um – გასხივოსნებული (corona NA 1979: 173)

stri-**at-us**, a, um – ზოლზოლი (rami NA 1979: 107)

პარალელურ თარგმანთა შორის გვხვდება კარგად მიგნებული ქართული ტერმინიც:

cruci-**at-us**, a, um – ჯვარედინი

ზოგიერთი ტერმინის გადმოსაცემად ქართულ თარგმანში ქონების გამომხატველი –**ა** სუფიქსია გამოყენებული:

pectin-**at-us**, a, um – სავარცხელა

ორი ლათინური ტერმინი

dent-**at-us**, a, um – დაკბილული

serr-**at-us**, a, um – დაკბილული

როგორც ვხედავთ, ერთნაირად არის თარგმნილი. მათი განსხვავების მიზნით

serr-**at**-us, a, um აჯობებდა გვეთარგმნა როგორც **ხერხისებრი**.

-**at** სუფიქსის ბერძნულ ფუძეებთან დაკავშირება სამედიცინო ტერმინოლოგიაში არ გვხვდება.

სუფიქსი -ari- არსებითი სახელის ფუძეს დაერთვის და აწარმოებს I და II ბრუნების იმ ზედსართავ სახელებს, რომლებიც კუთვნილებაზე მიუთითებს. ქართულად გადმოცემისას უპირატესობა ენიჭება სუფიქს **-ოვან**-ს და **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმას:

coron-**ari**-us, a, um – გვირგვინოვანი arcu-**ari**-us, a, um – რკალოვანი//რკალის

cost-**ari**-us, a, um – ნეკნოვანი (ნათიშვილი 1976: 50)

aliment-**ari**-us, a, um – საკვების (შელია 1979: 12)

pituit-**ari**-us, a, um – ლორწოვანი suspens-**ari**-us, a, um – სუსპენზიის

mamm-**ari**-us, a, um – ძუძუსი tub-**ari**-us, a, um – ლულის (NA 1979: 91)

ამ ორი ქართული ფორმის (**-ოვან**- და **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმა)

პარალელურად გვაქვს **სა-ე** აფიქსიც:

cost-**ari**-us, a, um – სანეკნე (ნათიშვილი 1976: 126)

mamm-**ari**-us, a, um – სარძევე tub-**ari**-us, a, um – სალულე

ცალკეულ შემთხვევებში **-ari** სუფიქსის ფუნქცია იტვირთა ქართულმა სუფიქმა –

ულ-ი:

solit-**ari**-us, a, um – განმარტოებული, განკერძოებული, ცალკეული (ნათიშვილი 1976: 75, 74); განცალკევებული (NA 1979: 131)

secund-**ari**-us, a, um – მეორეული

ტერმინ alimentarius-ს აქვს სხვა შესატყვისებიც: საკვები და კვებითი (NA 1979: 7), რომლებიც, ვფიქრობთ, უკეთესად გადმოსცემს მის შინაარსს.

სუფიქსი -ace დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს I და II ბრუნების ზედსართავ სახელებს, რომლებიც მსგავსებას აღნიშნავს. ქართულ ენაზე მათი მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოყენებულია სუფიქსი **-ებრ**-ი:

membran-**ace**-us, a, um – აპკისებრი (paries ნათიშვილი 1979: 287; შელია 1979: 130)

seb-**ace**-us, a, um – ქონისებრი (NA 1979: 17)

-ace სუფიქსის ბერძნულ სუფიქსთან შეერთების სულ ორი მაგალითი დაიძებნება

და ორივე განსხვავებულად ითარგმნება: ერთი - **-იან-**ი სუფიქსით, ხოლო მეორე კი – **ნათესაობითი ბრუნვის ფორმით**, მაშინ როცა ლათინურ ფუძესთან **-ace** სუფიქსი **-ებრ-**დაბოლოებით გადმოდიოდა:

amyl-**ace**-us, a, um – სახამებლიანი papyr-**ace**-us, a, um – ქაღალდის, პაპირუსის

თუ ამ თარგმანებით ვიმსჯელებთ, **-ace** სუფიქსი ამ შემთხვევაში კუთვნილებას გამოხატავს და არა მსგავსებას, როგორც ლათინურ ფუძესთან შეერთებისას.

სუფიქსი -ane-ც არსებითი სახელის ლათინურ ფუძეს დაერთვის და აწარმოებს კუთვნილების გამოხატველ I-II ბრუნვის ზედსართავ სახელებს. ამ სუფიქსის გადმოსაცემად ქართული იყენებს **ნათესაობითი ბრუნვას და -ოვან** სუფიქსს:

calc-**ane**-us, a, um – ქუსლის ძვლის, ქუსლის (NA 1979: 172)

cut-**ane**-us, a, um – კანის

limit-**ane**-us, a, um – საზღვროვანი

სუფიქსი -id ზმნის ფუძიდან აწარმოებს I და II ბრუნვის ზედსართავ სახელებს, რომლებიც ტემპერატურას გამოხატავს. ქართულ შესატყვისებში ერთი რომელიმე ფორმა არ ფიქსირდება:

cal-**id**-us, a, um – თბილი

flu-**id**-us, a, um – თხევადი, თხიერი

frig-**id**-us, a, um – ცივი

ferv-**id**-us, a, um – მდულარე

hum-**id**-us, a, um – ნესტიანი, სველი

tep-**id**-us, a, um – ცხელი

სუფიქსი -iv ზმნის III სალექსიკონო ფორმის supinum-ის ფუძიდან აწარმოებს I და II ბრუნვის ზედსართავ სახელებს, რომლებიც უფრო ხშირად გრამატიკულ ტერმინებად გამოიყენება, მაგრამ იშვიათად სამედიცინო ტერმინოლოგიაშიც გვხვდება. ქართულში ამ სუფიქსიანი ტერმინები მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით გადმოიცემა (სუფიქსი **-ით-**):

act-**iv**-us, a, um – მოქმედებითი

audit-**iv**-us, a, um – სმენითი

posit-**iv**-us, a, um – დადებითი

ქართულ თარგმანში გამოყენებულია სხვა სუფიქსებიც, რომელთა შორის რაიმე კანონზომიერება არ შეიმჩნევა:

act-**iv**-us, a, um – აქტიური, მოქმედი

audit-**iv**-us, a, um – სასმენი

germinat-**iv**-us, a, um – ჩანასახოვანი

სუფიქსი -ori ზმნის III სალექსიკონო ფორმის, supinum-ის, ფუძიდან აწარმოებს I

და II ბრუნების კუთვნილების გამომხატველ ზედსართავ სახელებს, რომლებიც ქართულად განსხვავებული აფიქსების დახმარებით გადმოდის. მათ შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება **ნათესაობითი ბრუნვა**:

gustat-ori-us a, um – გემოსი, გემოვნების

olfact-ori-us a, um – ცნოსვის (შელია 1979: 31)

respirat-ori-us a, um – სუნთქვის

ris-ori-us, a, um – ღიმილის

ქართული შესაბამისი ტერმინები ვნებითი გვარის მიმღობითაც გადმოიცემა:

respirat-ori-us a, um – სასუნთქი (შელია 1979: 30 bronchioli)

olfact-ori-us a, um – საყნოსავი (NA 1979: 79, 139)

script-ori-us a, um – საწერი

ქართულ ტერმინთა შორის გვხვდება მოქმედებითი გვარის მიმღობაც:

obturat-ori-us, a, um – დამხურავი

mot-ori-us, a, um – მამოძრავებელი (NA 1979: 132)

tect-ori-us, a, um – მფარავი (NA 1979: 18; ნათიშვილი 1976: 139), საფარველი

silvat-ori-us, a, um – ნერწყვის გამომყოფი

digest-ori-us, a, um – საჭმლის მომწელებელი

იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება ლათინური ტერმინები უთარგმნელად ქართული დაბოლოებით (-ულ-ი):

mot-ori-us a, um – მოტორული

respirat-ori-us a, um – რესპირატორული

სუფიქსი -fer დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს კუთვნილების გამომხატველ I-II ბრუნების ზედსართავ სახელებს. **-fer** სუფიქსი მომდინარეობს ზმნიდან *fero* – მომაქვს, ამიტომ კანონზომიერია, რომ ქართულად გადმოიცემა როგორც გამომტანი:

bil-i-fer, era, erum – ნაღვლის გამომტანი

2.3. III ბრუნების ზედსართავ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები

III ბრუნების ზედსართავ სახელთა შორის ყველაზე პროდუქტულია სუფიქსი **-al**, რომელიც დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს III ბრუნების

ორდაბოლოებიან ზედსართავ სახელებს. ორგანოს ან მისი რომელიმე ნაწილის ლათინური არსებითი სახელის სახელწოდებიდან **-al** სუფიქსის დართვით მიიღება კუთვნილების გამომხატველი ზედსართავი სახელები. როცა არსებითი სახელის ფუძის ბოლოს არის **-l**, ამ შემთხვევაში მაწარმოებელი სუფიქსი იქნება **-ar**.

-al(ar) სუფიქსის გადმოსაცემად ქართული რამდენიმე განსხვავებულ შესაძლებლობას იყენებს:

ა) ნათესაობითი ბრუნვის ფორმა:

angul- ar -is, e – კუთხის	apic- al -is, e – მწვერვალის, წვეროსი
axi- al -is, e – ღერძის	axill- ar -is, e – იღლის
bili- ar -is, e – ნაღვლის	bucc- al -is, e – ლოყის
cerebell- ar -is, e – ნათხემის	cili- ar -is, e – წამწამის
cochle- ar -is, e – ნიჟარის	corne- al -is, e – რქოვანასი
cost- al -is, e – ნეკნის	crani- al -is, e – ქალასი
cubit- al -is, e – იდაყვის	fibul- ar -is, e – მცირე წვივის

ბ) **-al(-ar)** სუფიქსის გადმოსაცემად ხშირად გამოიყენება ქართული სუფიქსები – **ულ-ი** (**-ურ-ი**). ამ სუფიქსის დართვა, როგორც წესი, ლათინურ, ზედსართავი სახელის სუფიქსით გავრცობილ ფუძეზე, ხდება:

centr- al -is, e – ცენტრალური	dors- al -is, e – დორზალური (NA 1979: 23)
loc- al -is, e – ლოკალური	later- al -is, e – ლატერალური (NA 1979: 22)
pariet- al -is, e – პარიეტული (შელია 1979: 158) [გამონაკლისია: ფუძე-ული]	
pol- ar -is, e – პოლარული	sagitt- al -is, e – საგიტალური (შელია 1979: 186)
spir- al -is, e – სპირალური	termin- al -is, e – ტერმინალური (NA 1979: 154)

ამ ქართული ტერმინებიდან, რა თქმა უნდა, არცერთი არ არის იდეალური, რადგან ლათინური და ქართული ზედსართავი სახელების სუფიქსები ერთდროულად დაერთვის სიტყვის ფუძეს. აქედან ზოგიერთი მათგანის ხმარება ასე თუ ისე გამართლებულია, იმიტომ, რომ საერთაშორისო ტერმინებად არის ქცეული (მაგ.: ცენტრალური, ლოკალური, სპირალური, ვერტიკალური...). გაუმართლებლად გვეჩვენება ქართულად ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორცაა დორზალური, საგიტალური, ლატერალური, პარიეტალური, ტერმინალური. ლათინურის

არმცოდნეთათვის ისინი სრულიად გაუგებარი უცხო სიტყვებია, რომელთაც ცალკე განმარტება სჭირდება, რაც დამატებით პრობლემებს ქმნის ტერმინოლოგიაში. სჯობს ამ ლათინურ ტერმინთა ქართული თარგმანები ისევ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოვიდეს, როცა ეს შესაძლებელია:

dors-**al**-is, e – ზურგის sagitt-**al**-is, e – ისრის მიმართულების (შელია 1979: 186)

რაც შეეხება ტერმინს later-**al**-is, e მასზე ცალკე გვექნება მსჯელობა:

გ) **-al** სუფიქსის ფუნქციას ქართულში არც თუ იშვიათად გამოხატავს ყოლა-ქონების მაწარმოებელი სუფიქსი **-ოვან**-ი:

cavern-**al**-is, e – მღვიმოვანი cili-**al**-is, e – წამწამოვანი

cortic-**al**-is, e – ქერქოვანი cerebr-**al**-is, e – ტვინოვანი (NA 1979: 158)

medull-**ar**-is, e – ტვინოვანი muscul-**ar**-is, e – კუნთოვანი

-ოვან სუფიქსთან ერთად ქართულში ყოლა-ქონების სუფიქსებია **-იან** და **ა**. იშვიათად, მაგრამ ქართული თარგმანი ამ მაწარმოებლებსაც იყენებს **-al(ar)** სუფიქსის ფარდად:

caud-**al**-is, e – კუდიანი margin-**al**-is, e – განაპირა

sell-**ar**-is, e – უნაგირა

დ) **-al(-ar)** სუფიქსის გადმოცემა იტვირთეს აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში **სა-ე** და **სა-ო** აფიქსებმაც:

lacrim-**al**-is, e – საცრემლე cost-**al**-is, e – სანეკნე (NA 1979: 24 focea)

let-**al**-is, e – სასიკვდილო jugul-**ar**-is, e – საულლე (NA 1979: 27 foramen)

stern-**al**-is, e – სამკერდე (ნათიშვილი 1976: 69)

termin-**al**-is, e – საბოლოო, სასაზღვრო (stria; lamina; ნათიშვილი 1976: 466, 468)

vit-**al**-is, e – სასიცოცხლო (შელია 1979: 245)

ე) **-al(-ar)** სუფიქსიანი ტერმინები ქართულად ითარგმნება აგრეთვე სუფიქსით **-ებრ**-ი. ამ დროს ის გამოხატავს მსგავსებას და არა კუთვნილებას, როგორც წინა მაგალითებში:

al-**ar**-is, e – ფრთისებრი (შელია 1979: 12) tonsill-**ar**-is, e – ნიშისებრი

papill-**ar**-is, e – დვრილისებრი (შელია 1979: 156)

ვ) ცალკე უნდა შევჩერდეთ ტერმინზე later-**al**-is, e – გვერდითი. იგი აღნიშნავს

მდებარეობას და ქართულად მოქმედებითი ბრუნვით გადმოიცემა, რაც სავსებით კარგად გამოხატავს ლათინური ტერმინის არსს. (მოქმედებითი ბრუნვით წარმოებული სხვა ტერმინები გრამატიკულია და აქ არ შევჩერდებით). გაუმართლებლად გვეჩვენება, *lateralis*, *e* ითარგმნოს როგორც გარეთა (*crista*; NA 1979: 25), ასევე არასწორია *medialis*, *e* ითარგმნოს როგორც შიგნითა (*facies*; NA 1979: 23), რადგან ის აღნიშნავს შუას:

ზ) **-al(-ar)** სუფიქსიანი ტერმინის გადმოსაცემად გვაქვს ზოგიერთი ქართული თარგმანი, რომლებიც რაიმე კანონზომიერებას არ გვიჩვენებენ:

dors-al-is, e – ზურგის**მხრივი** (NA 1979: 25); ზურგის**კენა** (შელია 1979: 64)

nas-al-is, e – ცხვირის**კენა** (NA 1979: 158)

tempor-al-is, e – საფეთქლის**კენა** (NA 1979: 158)

pariet-al-is, e – კედლის**ამყოლი** (NA 1979: 88, ნათიშვილი 1976: 102), კედლის **ამყოლი** (შელია 1979: 158)

ped-al-is, e – ფეხის კედლისათვის მიკუთვნებული (NA 1979: 15)

pulmon-al-is, e – ფილტვის**ეული** (*sulcus*; NA 1979: 27)

tegment-al-is, e – სახურავი

voc-al-is, e – მბგერავი

რამდენადაც არსებობს მათი პარალელური ქართული შესატყვისები, რომლებიც უკეთესად და მარტივად გამოხატავენ ლათინური ტერმინების არსს და ქართულ ტერმინოლოგიაშიც ბუნებრივად ჯდება, უმჯობესი იქნება მათი გამოყენება:

dors-al-is, e – ზურგის

nas-al-is, e – ცხვირის (NA 1979: 144)

ped-al-is, e – ტერფის

pariet-al-is, e – კედლის, თხემის

tempor-al-is, e – საფეთქლის (NA 1979: 158)

pulmon-al-is, e – ფილტვის (შელია 1979: 173; NA 1979: 154)

tegment-al-is, e – სახურავის, სარქველის (შელია 1979: 212)

და ბოლოს, ძალზე იშვიათია, **-al(-ar)** სუფიქსიანი ქართული ტერმინის შესატყვისი ლექსიკური ერთეული (აფიქსების გარეშე), როგორც, მაგალითად, ქვემოთმოყვანილ შემთხვევებში:

aequ-al-is, e – თანასწორი, თანაბარი, წყვილი

termin-al-is, e – ბოლო

ბერძნული ფუძეებიდან **-al(-ar)** სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები შედარებით იშვიათად გვხვდება. **-al(-ar)** სუფიქსი გადმოიცემა **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმით, -

ებრ-ი, -ურ-ი, (-ულ-ი), -ოვან-ი, ით-ად-ი სუფიქსებით:

acromi-**al-is**, e – ბეჭის თავის, აკრომიული (ნათიშვილი 1976: 68)

oment-**al-is**, e – ბადექონის

condyl-**ar-is**, e – როკის, როკისებრი (NA 1979: 45; ნათიშვილი 1976: 103)

thorac-**al-is**, e – გილმკერდის

bronchi-**al-is**, e – ბრონქიალური

horizont-**al-is**, e – ჰორიზონტალური

pyramid-**al-is**, e – პირამიდული

chondr-**al-is**, e – ხრტილოვანი

zon-**al-is**, e – სარტყლოვანი

როგორც სხვა შემთხვევებში აღვინიშნავს, აქაც უნდა ითქვას, რომ ბრონქიალურის ნაცვლად უკეთესია ვიხმაროთ **ბრონქული**, ჰორიზონტალურის ნაცვლად კი – **ჰორიზონტული**. ე.ი. ბერძნული არსებითი სახელის ფუძეს უნდა დაემატოს ქართული – **ულ (-ურ)** სუფიქსი, როგორც ეს არის ტერმინში პირამიდ-ულ-ი.

სუფიქსი -formis ემატება ლათინური არსებითი სახელის ფუძეს –i სუფიქსის დახმარებით და აღნიშნავს მსგავსებას. ქართულად ითარგმნება ძირითადად სუფიქსით –**ებრ-ი**, შეიძლება სიტყვით – **ფორმის**, მაგრამ ტერმინოლოგიაში უფრო მოსახერხებელია –**ებრ-ი** რადგან ის ერთსიტყვიან შესატყვის ფორმას აწარმოებს, ამიტომაც თითქმის ერთმნიშვნელოვნად ეს სუფიქსია გაბატონებული:

cruc-i-**formis**, e – ჯვრისებრი (შელია 1979: 57), ჯვრის **ფორმის**, ჯვარისებრი (NA 1979: 62)

arc-i-**formis**, e – რკალისებრი

bulb-i-**formis**, e – ბოლქვისებრი

cribr-i-**formis**, e – ცხავისებრი

cune-i-**formis**, e – სოლისებრი, სოლისფორმის

ens-i-**formis**, e – მახვილისებრი

embol-i-**formis**, e – საცობისებრი (ნათიშვილი 1976: 461)

falc-i-**formis**, e – ნამგლისებრი (NA 1979: 50), ნამგლის **ფორმის**

მხოლოდ იშვიათად შეიძლება ზოგიერთი –**formis** სუფიქსიანი ლათინური ტერმინი ქართულად –**ული** ან –**ა** სუფიქსებით შეგვხვდეს და ისიც, როგორც პარალელური ფორმები:

cribr-i-**formis**, e – დაცხავებული, დაცხრილული (შელია 1979: 56)

plex-i-**formis**, e – დაწნული (შელია 1979: 164)

fus-i-**formis**, e – თითისტარა (შელია 1979: 89)

როგორც ვნახეთ, სუფიქსი **-formis** ლათინურ სიტყვასთან კავშირში თითქმის ყოველთვის **-ებრ-**ი სუფიქსით გადმოიცემოდა. იმ ტერმინებში, რომლებიც ამ სუფიქსის ბერძნულ ფუძესთან შეერთებით მიიღება, **-formis** ასევე **-ებრ-**ი სუფიქსით გადმოვიდა:

cochlear-i-**formis**, e – ლოკოკინისებრი

disc-i-**formis**, e – დისკისებრი (სჯობს დისკოსებრი)

მაგრამ თარგმანში შეგვხვდა აგრეთვე **სა-ე** აფიქსიც:

myrt-i-**formis**, e – საქალწულე

-il სუფიქსი ზმნის III სალექსიკონო ფორმის, supinum-ის, ფუძიდან აწარმოებს III ბრუნების ორდაბოლოებიან ზედსართავ სახელებს.

-il სუფიქსის გადმოსაცემად ქართულში ერთი რომელიმე შესაბამისი ფორმა დაფიქსირებული არ არის. ამას აქ მოყვანილ ტერმინთა თარგმანებიც ადასტურებს:

fac-**il**-is, e – ადვილი

febr-**il**-is, e – ციების

grac-**il**-is, e – მოყვანილი, ნაზი

ster-**il**-is, e – სტერილური

თავი მესამე

ლათინური აფიქსების მონაწილეობით შედგენილი ტერმინები

3.1. ლათინურ ფუძეზე ორმაგი სუფიქსის დართვით გამოწვეული თავისებურებანი

ლათინურენოვან სამედიცინო ტერმინოლოგიაში გვხვდება ისეთი ტერმინები, რომლებიც ორი სხვადასხვა სახის სუფიქსს დაირთავს. უფრო თუ დავაზუსტებთ, ჯერ ლათინური არსებითი სახელებისგან იწარმოება მეორე არსებითი სახელი სუფიქსის საშუალებით, ხოლო შემდეგ ამ წარმოებულ სახელს დაერთვის სხვა სახის სუფიქსი და იწარმოება ზედსართავი სახელები. ჩვენ დავინტერესდით, რომელი სუფიქსებია ესენი უმთავრეს შემთხვევაში, რა კანონზომიერებას ემორჩილება მათი დართვა და რაც მთავარია, როგორ ხდება მათი ქართულ ენაზე თარგმნა. ქმნის თუ არა ეს ორმაგი სუფიქსაცია დამატებით პრობლემებს ქართულისათვის. განვიხილოთ კონკრეტული სუფიქსები.

ჩვენ მიერ ამორჩეული მაგალითებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება კნინობითსუფიქსიანი არსებითი სახელები, რომლებიც დაირთავენ **-ar** სუფიქსს (-al სუფიქსი აქ, როგორც წესი, არ გვხვდება, რადგან ამ სახელთა ფუძე *i*-ზე ბოლოვდება).

სუფიქსი – cul + ar.

clav-**i-cul-ar-is, e** – ლავიწის rad-**i-cul-ar-is, e** – ძირის, ფესვის

ren-**i-cul-ar-is, e** – თირკმლის pedun-**cul-ar-is, e** – ფეხის

ე.ი. ამ ტიპის სახელთა თარგმნისას საკმაოდ ხსირად გვხვდება **ნათესაობითი ბრუნვა**, პროცენტულად თითქმის სახელთა იმავე რაოდენობა ითარგმნება სუფიქსით – **ებრ-ი**.

orb-**i-cul-ar-is, e** – წრისებრი, რგოლისებრი lent-**i-cul-ar-is, e** – ბროლისებრი

aur-**i-cul-ar-is, e** – ყურის, ყურისებრი nav-**i-cul-ar-is, e** – ნავისებრი

ret-**i-cul-ar-is, e** – ბადისებრი (NA 1979: 130) verm-**i-cul-ar-is, e** – ჭიისებრი

როგორც მაგალითებიდან ჩანს, *auricularis, e* ორგვარად ითარგმნება: ყურის, ყურისებრი. ასევე ერთ მაგალითში შეგვხვდა თარგმანში სუფიქსი –**ოვანი**:

vas-**cul-ar-is, e** – სისხლძარღვოვანი

ყველა აქ მოყვანილი მაგალითის თარგმანს ახასიათებს ერთი კანონზომიერება: თარგმანში გამოხატულებას პოულობს მხოლოდ მეორე სუფიქსი – **ar**, ხოლო კნინობითი ფორმა არცერთ მათგანში არ აისახა, ამიტომ ქართულის მიხედვით ვერ მივხვდებით, ვთქვათ, **თირკმლის** როგორ იქნება ლათინურად: *ren-al-is, e* თუ *ren-i-cul-ar-is, e*. ასე რომ, ამ თვალსაზრისით ორმაგი სუფიქსის დართვა ქართულ თარგმანში არაფერს აკონკრეტებს. აღსანიშნავია, რომ ამგვარ თარგმანში არსად გამოიყენება პატარა, მცირე ან მომცრო, რაც გვხვდებოდა იმ მთელ რიგ ტერმინებში, რომლებიც ჩვენ ცალკე განვიხილეთ, როცა **-cul** სუფიქსის ქართულად თარგმნაზე ვსაუბრობდით. კიდევ ერთ კანონზომიერებას აღვნიშნავდით ორმაგ სუფიქსთან დაკავშირებით. თითქმის ყველა აქ მოყვანილი სიტყვის ფუძე (ორიოდე გამონაკლისის გარდა) ლათინურ ენაში **-cul** სუფიქსის გარეშე თუ ავიღებთ მათ, **-al (-ar)** დაბოლოებას ვერ დაირთავს. შეიძლება ამითაა გამოწვეული, რომ ლათინურში მათ ორმაგი ფუნქცია არა აქვთ, კნინობითობას აღარ გამოხატავენ. ამ ფიქრისაკენ გვიბიძგა ერთმა მაგალითმა: *ves-i-cul-ar-is, e* – ბუშტუკის. ეს არის ერთადერთი ნიმუში, რომელშიც ორივე სუფიქსი აისახა თარგმანში

და ამ სიტყვის ფუძე vesic – დამოუკიდებლად დაირთავს **-al** სუფიქსს და განსხვავებული მნიშვნელობით ითარგმნება, ვიდრე vesicularis: vesic-**al**-is, e – ბუშტის.

ორმაგი სუფიქსი – ul + ar ლათინური არსებითი სახელების უმრავლესობას დაერთვის, როგორც ჩანს, იმ შემთხვევაში, როცა ამ სიტყვების მარტივი ფუძე **-ul** სუფიქსის გარეშე სამედიცინო ტერმინოლოგიაში არ გვხვდება. ვნახოთ მაგალითებზე:

cell-**ul**-ar-is, e – უჯრედის

fib-**ul**-ar-is, e – მცირე წვივის

mac-**ul**-ar-is, e – ლაქის

mandib-**ul**-ar-is, e – ქვედა ყბის

vestib-**ul**-ar-is, e – კარიბჭის

gran-**ul**-ar-is, e – ჯირკვლოვანი

რაც შეეხება **-ar** სუფიქსის ქართულად თარგმნას, ამ მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართულად ისევ ტრადიციული **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმით ან ზედსართავი სახელის მაწარმოებელი **-ოვან**-ი სუფიქსით გადმოიცემა. შეგვხვდა ქართულად თარგმნის ერთი განსაკუთრებული შემთხვევა, circ-**ul**-ar-is, e – **ირველივი**, როცა მოსალოდნელი იყო თარგმანში **წრიული**, რადგანაც circus და circulus **წრეს** ნიშნავს.

ცალკე გამოვყავით ორი მაგალითი. ეს ის სიტყვებია, რომელთა ფუძეები **-ul** სუფიქსის გარეშეც გვხვდება, მაგრამ **-cul** სუფიქსის ამ ერთი მაგალითისაგან განსხვავებით (vesicularis – ბუშტუკის), **-ul** სუფიქსი აქ თარგმანში მაინც აისახა, რაც შეეხება ამ პარადიგმებში **-ar** სუფიქსის თარგმნას, ის ტრადიციულად იგივე **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმა და ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი **-ებრ**-ი ან **-ურ**-ი:

an-**ul**-ar-is, e – რგოლისებრი (NA 1979: 49, 62), ბეჭდისებრი (ნათიშვილი 1976: 279), რგოლური

ling-**ul**-ar-is, e – ენის

სუფიქსი –ol+ar. ასეთი ორმაგი სუფიქსის გამოყენების ორი ნიმუში შეგვხვდა სამედიცინო ტერმინოლოგიაში და ორივე ისეთ შემთხვევებს მიეკუთვნება, რომელიც უკვე გვქონდა **-ul** სუფიქსთან დაკავშირებით, როცა აღვნიშნავდით, რომ ეს სიტყვები **-ul** სუფიქსის გარეშე სამედიცინო ტერმინოლოგიაში სხვა მნიშვნელობით იხმარება. იგივე უნდა გავიმეოროთ **-ol** სუფიქსის შესახებაც ამ მაგალითებში. მათი ქართული თარგმანი ზუსტია, ე.ი. **-ol** და **-ar** სუფიქსები – ორივე გამოხატულებას პოულობს ქართულ

თარგმანში:

alve-ol-ar-is, e – ალვეოლური (NA 1979: 105), ალვეოლარული (alveus – დარი)

malle-ol-ar-is, e – გოჯის (malleus – ჩაქუჩი)

-ar სუფიქსის ქართულად გადმოცემის შემთხვევები ტრადიციულია – ნათესაობითი ბრუნვის ფორმა და ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი –ურ-ი. რაც შეეხება ქართულ ფორმას *ალვეოლარული*, ის, რა თქმა უნდა, შეცდომაა, და რაკი გვაქვს პარალელური სწორი ფორმა ალვეოლური, არავითარი საჭიროება არ არის ვინმართ ალვეოლარული – ლათინურის სრული ადეკვატური, ერთდროულად ლათინურ-ქართული ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსებით.

სუფიქსი –cul+at. ამგვარი ორმაგი სუფიქსის ხმარების სულ რამდენიმე მაგალითი შეგვხვდა ქართულ ტერმინოლოგიაში და აქაც უნდა აღინიშნოს, რომ სამიდან ორ მაგალითში –**at** სუფიქსის დართვის შემთხვევა *corn-* და *gen-* მარტივ ფუძეებზე არ გვხვდება. ალბათ, ამით უნდა იყოს გამოწვეული ამ ფუძეებზე ჯერ კნინობითი –**cul** სუფიქსის დართვა, რადგან სხვა შემთხვევაში გაუგებარი რჩება, რატომ არ აისახა კნინობითი ფორმა თარგმანში.

corn-i-cul-at-us, a, um – რქისებრი (ნათიშვილი 1976: 281)

gen-i-cul-at-us, a, um – დამუხვლილი (ე.ი. მუხლებად დაყოფილი)

რაც შეეხება მესამე მაგალითს: *dent-i-cul-at-us, a, um* – დაკბილული, პატარა კბილებიანი. რადგან არსებობს ფორმა *dent-at-us, a, um* და ისიც დაკბილულს ნიშნავს, გაუგებარი იქნებოდა ამ ტერმინის ხმარება, თუ მას წინ მართლაც არ დავუმატებთ პატარას, როგორც მის მეორე ქართულ მნიშვნელობაშია.

რაც შეეხება ამ მაგალითების მიხედვით –**at** სუფიქსიანი ტერმინის ქართულად თარგმნას, აქ სიახლე თითქმის არაფერია. მის ქართულად გადმოსაცემად –**ებრ**, –**ულ** ან –**იან** გამოიყენება, –**ილ** სუფიქსი კი პირველად შეგვხვდა.

დანარჩენ ჩვენ მიერ მოპოვებულ მაგალითებში სხვადასხვა ორმაგი სუფიქსის ხმარების მხოლოდ თითო-თითო შემთხვევაა, ამიტომ აქ რაიმე კანონზომიერების დადგენა შეუძლებელია. ისინი მხოლოდ ერთი მხრივ ამაგრებენ ჩვენ წინა მოსაზრებას: ორმაგი სუფიქსის ხმარება ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ამ სიტყვათა მარტივ ფუძეებზე II სუფიქსის დართვა თითქმის არ ხდება. თარგმნისას კი ძირითადად

რელევანტური ჩანს ხოლმე II სუფიქსი, რომელიც ასევე არ განსხვავდება თარგმანში იმ მაგალითებისაგან, როცა სიტყვის ფუძეს მხოლოდ ეს ერთი სუფიქსი დაერთვოდა:

vesic-**ul-os-us**, a, um – ბუმტუკოვანი (NA 1979: 92)

umbil-**ic-al-is**, e – ჭიპის

an-**ul-at-us**, a, um – რგოლისებრი, რგოლებიანი

stri-**at-ic-us**, a, um – ზოლიანი

germin-**at-iv-us**, a, um – ჩანასახოვანი

3.2. ლათინური პრეფიქსის, ძირისა და სუფიქსის გამოყენებით ნაწარმოები ტერმინები

თავ-თავის ადგილას ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილეთ ლათინური პრეფიქსებისა და სუფიქსების ქართული ეკვივალენტები. ახლა კი გვინდა გამოვყოთ ის ტერმინები, რომლებშიც ლათინური პრეფიქსისა და სუფიქსის დართვა ერთდროულად ხდება ლათინურ ძირზე. საინტერესოა, როგორ აისახება ამ აფიქსების დართვა ქართულ თარგმანში.

ამ საკითხების განხილვისას ჩვენთვის ამოსავალი იქნება ლათინური პრეფიქსები. ქვემოთ ამ პრეფიქსიან ფუძეებზე ლათინური სუფიქსების დართვის თავისებურებებს შევხებით:

პრეფიქსი a-, ab-, abs-. როგორც მოსალოდნელი იყო, პრეფიქსი **ab-** ქართულად **გან-**, **გა-** ზმნისწინებით გადმოდის. მასთან კავშირში **-or** სუფიქსი ინარჩუნებს თავის ფუნქციას და ქართულად **მოქმედებითი გვარის მიმღობით** გადმოიცემა:

ab-ductor, oris m – გამზიდველი, განმზიდველი (ნათიშვილი 1976: 197; შელია 1979: 10)

ab- პრეფიქსიანი ტერმინები ლათინურში **-io** სუფიქსითაც ბოლოვდება. **ab-** პრეფიქსი **გან-** ზმნისწინის გარდა **გადა-** ან **მო-** ზმნისწინებითაც გადმოიცემა, **-io** სუფიქსი კი როგორც სხვა შემთხვევებში გადმოდიოდა ქართულად სახელზმნით, აქაც ასე ითარგმნება:

ab-ductio, onis f – განზიდვა (ნათიშვილი 1976: 135; შელია 1979: 10)

ab-erratio, onis f – გადაცდენა, გადახრა (შელია 1979: 10)

ab-latio, onis f – სხეულის ნაწილის **მოშორება** ოპერაციის გზით, ამპუტაციის საშუალებით

ბოლო თარგმანში შინარსობრივი დატვირთვა მოდის სიტყვაზე **მოშორება**.

ab- პრეფიქსის ფუნქციებიდან ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ, რომ იგი ნორმიდან გადახვევას ან მოშორებასაც გამოხატავს. ქვემოთმოყვანილ მაგალითებში **ab-** სწორედ ამ მნიშვნელობითაა გამოყენებული. რაც შეეხება **-al** სუფიქსს, ის აქ **მიმღობის** ფორმით პოულობს გამოხატულებას:

ab-norm-al-is, e – არანორმალური, წესიდან გადახვეული

ab-or-al-is, e – პირიდან მოშორებული

პრეფიქსი **ad-** (**ac-**, **af-**, **ap-**, **as-**). ამ პრეფიქსის სხვადასხვა მნიშვნელობას შორის ჭარბობს მისი გამოყენება **შეერთების** გაგებით. ამ ნიუანსის გადმოსაცემად ქართული გამოიყენებს **შე-** ზმნისწინს, ხოლო **-io** სუფიქსს ქართულში **სახელზმნა** შეესაბამება:

ac-cumulat-io, onis f – შეკრება **ac-posit-io, onis f** – შეერთება

ac-haes-io, onis f – შეხორცება (შელია 1979: 11)

შე- ზმნისწინით გადმოიცემა აგრეთვე შეგუება, მიახლოება, შეჩვევა:

ac-commodat-io, onis f – შეგუება

ac-climatisat-io, onis f – ორგანიზმის შეჩვევა ახალ პირობებთან

და- ზმნისწინი გამოიყენება ძირითადად მიახლოების, მსგავსების გადმოსაცემად:

ap-posit-io, onis f – დაახლოება **as-similat-io, onis f** – დამსგავსება

შე- ზმნისწინს ზოგჯერ **და-** ზმნისწინი ენაცვლება, როცა **ad-** პრეფიქსით შეერთება უნდა გადმოიცეს:

ac-cumulat-io, onis f – დაგროვება

ad- პრეფიქსის მნიშვნელობათაგან თავის დროზე ყურადღება გავამახვილეთ იქიდან აქეთ მოახლოებაზე. **io-** სუფიქსიან ტერმინებშიც **ad-** პრეფიქსის ფუნქცია **მო-** ზმნისწინით გამოიხატება:

ad-duct-io, onis f – მოზიდვა, მოყვანა

ad- პრეფიქსის უპირველეს ფუნქციათა შორის **დამატების** გადმოცემა მივიჩნით. ამ წინსართს ქართულში **და-** და **მი-** ზმნისწინები მიესადაგება:

ap-posit-io, onis f – მიმატება

ac-cess-ori-us, a, um – დამატებითი

-ori სუფიქსის გადმოსაცემად მოქმედებითი ბრუნვა გამოყენებული არ ყოფილა.

ad- პრეფიქსიან ტერმინებში **-ori** სუფიქსი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა,

როგორც უსუფიქსო ტერმინებში:

ad-duct-ori-us, a, um – მომზიდველისა, მომზიდველი კუნთის

ad-olfact-ori-us, a, um – ყნოსვის წილის

ad- პრეფიქსს პირველ შემთხვევაში **მო-** ზმნისწინი შეეფარდა, მეორე სიტყვის თარგმანში კი ის საერთოდ არ აისახა.

ad- პრეფიქსიანი ძირი **-iv** სუფიქსსაც უერთდება. **-iv** სუფიქსი ქართულში ყოლა-ქონების ფუნქციის მატარებელი **-ოვან** სუფიქსით გადმოვიდა, ხოლო **ad-** პრეფიქსის მნიშვნელობა თარგმანში გამოხატული არ არის:

ad-haes-iv-us, a, um – წებოვანი (აჯობებდა ალბათ შეწებებული, რადგან **ad-haes-io** თარგმნილია როგორც შეწებება)

ad- პრეფიქსი თარგმნილია აგრეთვე როგორც **ზედა**, ხოლო **-al** სუფიქსი – ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (ბრუნვის ნიშნის გარეშე) და მიღებულია ქართული კომპოზიტი: **ad-ren-al-is, e** – თირკმელზედა

circum- პრეფიქსის ქართულად გადმოსაცემად გამოიყენება სიტყვა **წრიული**. რადგან ჩვენს მაგალითებში სუფიქსად **-io** არის გამოყენებული, მას, როგორც წესი, გრამატიკულად საწყისი შეესაბამება:

circum-ciss-io, onis f – წრიული გაჭრა

circum-duct-io, onis f – წრიული მოძრაობა (ნათიშვილი 1976: 143)

ამავე ტერმინის ასახსნელად პროფ.ნათიშვილი იყენებს მეორე მნიშვნელობასაც **კონუსისებრი მოძრაობა** (ნათიშვილი 1976: 135).

con- პრეფიქსი ყველაზე სშირად **-io** სუფიქსთან კავშირში გვხვდება. **con-** პრეფიქსი, როგორც აღვნიშნავდით, **შეერთების, კავშირის, შეთანხმების** მნიშვნელობით იხმარება, **-io** სუფიქსი კი ქართულად ძირითადად საწყისით გადმოიცემა:

con-jugat-io, onis f – შეერთება (NA 1979: 10), კავშირი

com-municat-io, onis f – შეერთება, დაკავშირება

con-ordinat-io, onis f – შეთანხმებული მოქმედება, კოორდინაცია

cor-relat-io, onis f – ურთიერთობა, ურთიერთქმედება; შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციების ურთიერთობა, ურთიერთდამოკიდებულება (დგებუაძე 1988: 151)

con-vergen-io, onis f – დაახლოება, ერთ წერტილში შეყრა

con-glomerat-io, onis f – რაიმე ნაწილების ისე შეკავშირება, როცა ისინი ინარჩუნებენ თავიანთ თვისებებს

co-aptat-io, onis f – მოტეხილი ძვლის ნაწილების მორგება

co-agulat-io, onis f – კოლოიდურ ხსნარში ნივთიერებების შედედება

con-densat-io, onis f – შედედება, შესქელება

con-stitut-io, onis f – ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთქმედებისას ჩამოყალიბებული თავისებურება

con-tract-io, onis f – შეკუმშვა (დგებუაძე 1999: 150), შემოკლება

როგორც ვხედავთ, მრავალსიტყვიან ქართულ შესატყვისში ყველგან მოიძებნება ის საკვანძო სიტყვა, რომელიც **con-** პრეფიქსის ძირითად მნიშვნელობას გადმოსცემს.

სხვა სუფიქსებიდან **con-** პრეფიქსთან კავშირში მეტად გვხვდება III ბრუნების სუფიქსი **-or**, რომელზედაც თავის დროზე აღვნიშნავდით, რომ მოქმედებითი გვარის მიმღობით გადმოიცემოდა და ამ შემთხვევაშიც ეს გრამატიკული ნორმა დაცულია:

com-press-or, oris m – მომჭერი **con-strict-or**, oris m – მომჭერი

cor-rugat-or, oris m – შემჭმუხნავი

con- პრეფიქსიან ტერმინებში, რომლებიც **-iv** სუფიქსით ბოლოვდება, ეს უკანასკნელი რაიმე სპეციფიკურ თვისებას თარგმანში ვერ ავლენს, გარდა იმისა, რომ მიმღობის დაბოლოება აქვს:

con-junct-iv-us, a, um – შემაერთებელი **cor-relat-iv-us**, a, um –

ურთიერთმოქმედი

რაც შეეხება **-ur-** სუფიქსის ფუნქციას – გამოხატოს მოქმედების შედეგი – ამას ის **con-** პრეფიქსთან კავშირშიც ახერხებს ჩვენი მაგალითის მიხედვით:

con-tract-ur-a, ae f – 1. რბილი ნაწილების განუწყვეტელი დამოკლება; 2. სახსრის მოძრაობის მეტ-ნაკლებად შეზღუდვა

ბოლოს შევჩერდებით ტერმინზე **col-later-al-is**, e. ჩვეულებრივ, მისი თარგმანი არ განსხვავდება **con-** პრეფიქსის გარეშე არსებული ტერმინის თარგმანისაგან:

later-al-is, e – გვერდითი **col-later-al-is**, e – გვერდითი

ქ-ნი რეონა დგებუაძე გვთავაზობს ამ ტერმინის სხვა თარგმანებსაც: არაძირითადი,

თანამგზავრი, დამატებითი (დგებუაძე 1999: 145). ამ თარგმანებში ალბათ უფრო გამოიკვეთება **con-** პრეფიქსის მნიშვნელობა.

პრეფიქსი de-. მისი ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა **გაუარესების** გამოხატვაა, -**io** სუფიქსი კი ამ პრეფიქსიან ტერმინებშიც საწყისით ავლენს თავის ფუნქციას:

de-struct-io, onis f – ნორმალური ანატომიური სტრუქტურის დარღვევა, დაშლა

de-format-io, onis f – დეფორმაცია, ფორმის შეცვლა

de-generat-io, onis f – დეგენერაცია, გადაგვარება

de-(s)-infect-io, onis f – დეზინფექცია, გადადების უვნებელყოფა

de-squamat-io, onis f – კანის აქერცვლა

de-sensibilisat-io, onis f – მგრძნობელობის დაქვეითება

როგორც იშვიათად ხდება ხოლმე, გვხვდება ისეთი ქართული თარგმანიც, რომელიც არ არის სიტყვასიტყვითი, მათში პრეფიქს-სუფიქსის ფუნქცია არ აისახება:

de-cussat-io, onis f – ჯვარედინი

de- პრეფიქსი **-io** სუფიქსიან ტერმინებში უარყოფასაც აღნიშნავს.

-or- სუფიქსი **de-** პრეფიქსთან კავშირშიც მოქმედებითი გვარის მიმღეობით გამოხატავს თავის ფუნქციას. **de-** პრეფიქსის გადმოსაცემად, როგორც ვწერდით, **და-** და **გამო-** ზმნისწინების ხმარება ჩვეულებრივი მოვლენაა:

de-press-or, oris m – დაძწევი **de-trus-or**, oris m – გამომდენი

dis- პრეფიქსი **-io** სუფიქსთან კომბინაციაში გვხვდება და ქართულად სხვადასხვა ზმნისწინით (**გა-**, **გან-**, **გადა-**, **და-**) გადმოიცემა, რომლებიც გავრცელებას, გამოყოფას აღნიშნავენ:

dis-seminat-io, onis f – გაბნევა, განთესვა

dis-locat-io, onis f – გადაწევა, გადანაცვლება

dis-solut-io, onis f – განცალკევება, დაშლა, გაყოფა, დარღვევა

ex- პრეფიქსი აღნიშნავს მოქმედებას შიგნიდან გარეთ. ამ ფუნქციას ქართულში კარგად გამოხატავს ზმნისწინები **გამო-**, **გადმო-**, **ამო-**. **-io** სუფიქსი კი, როგორც წესი, ამ შემთხვევებშიც საწყისით გადმოიცემა:

ex-sudat-io, onis f – სითხის გამოყოფა სისხლძარღვებიდან და ლიმფური ძარღვებიდან ანთების დროს

ex-cret-io, onis f – ნარჩენი პროდუქტების გამოყოფა

ex-sanguinotransfus-io, onis f – სისხლის გამოცვლა გადასხმის გზით

ex-cis -io, onis f – ამოკვეთა

ex-tract-io, onis f – ამოღება, ამოგლეჯა, გამოტანა

ex-fus-io, onis f – გადმოღვრა, გამოსვლა **ex-plantat-io**, onis f – გადმონერგვა

ex-spirat-io, onis f – ამოსუნთქვა **ex-pectorat-io**, onis f – ამოხველება

ex- პრეფიქსის ქართულად გადმოსაცემად გვხვდება **მო-**, **ჩა-** ზმნისწინებიც:

ex-tirpat-io, onis f – მოცილება ქირურგიული საშუალებით

ex-cavat-io, onis f – ჩაღრმავება, ორმო (ნათიშვილი 1976: 328)

ex- პრეფიქსის გადმოსაცემად იგივე ზმნისწინები გამოიყენება მაშინაც, როცა ეს პრეფიქსი სხვა სუფიქსებთან კომბინაციაში გვხვდება. რაც შეეხება სუფიქსებს (**-ori**, **-ari**, **-or**), ისინი მოქმედებითი გვარის მიმღობით გამოხატავენ თავიანთ ფუნქციას, **-iv** სუფიქსი კი – ვნებითი გვარის მიმღობით:

e-miss-ari-us, a, um – გამოსაშვები **e-jaculat-ori-us**, a, um – გამომყვანი, გამომგდები

e-rect-or, oris m – გამმართველი **e-sudat-iv-us**, a, um – გაოფლიანებული

პრეფიქსი **extra-** აღნიშნავს გარეთ, გარეთ მყოფი, გარეშე. ეს პრეფიქსი ლათინურ სამედიცინო ტერმინოლოგიაში ძირითადად **-al** (**-ar**) სუფიქსს უკავშირდება, რომელიც, თავის მხრივ, ასეთ შემთხვევებში ნათესაობითი ბრუნვის ფორმით ითარგმნება:

extra-bucc-al-is, e – ლოყის გარეთა **extra-cardi-al-is**, e – გულის გარეთა

extra-cellul-ar-is, e – უჯრედისგარეთა **extra-pulmon-al-is**, e –

ფილტვისგარეთა **extra-capsul-ar-is**, e – სასახსრე გულის გარეთა

extra-dur-al-is, e – ტვინის მაგარი გარსის გარეთა

extra-medull-ar-is, e – ზურგის ტვინის გარეთ მდებარე

extra-mur-al-is, e – ორგანოს კედლის გარეშე მდებარე

extra-genit-al-is, e – სქესობრივი ორგანოების გარეშე არსებული (წარმოქმნილი)

extra- პრეფიქსი **-ic** და **-io** სუფიქსიან ფუძეებსაც უერთდება, მაგრამ ეს ქართულ თარგმანში ცვლილებას არ იწვევს:

extra-organ-ic-us, a, um – ორგანოსგარეთა

extra-cyst-ic-us, a, um – ბუმტსგარეთა

extra-hepat-ic-us, a, um – ღვიძლსგარეთა

extra-uter-ic-us, a, um – საშვილოსნოსგარეთა

in- პრეფიქსი ორი მნიშვნელობით გამოიყენება:

1. აღნიშნავს –ში (განლაგებას რაღაცის შიგნით)

როცა **in-** პრეფიქსს –**io** სუფიქსით დაბოლოებული ფუძეები უერთდება, ქართულში ყველაზე ხშირად გამოიყენება **ჩა-** ზმნისწინი **in-** პრეფიქსის შინაარსის გადმოსაცემად – **io** სუფიქსის ფუნქციას კი აქაც საწყისი გადმოსცემს:

in-vers-io, onis f – ჩაბრუნება **in-stillat-io, onis f** – ჩაწვეთება

in-spirat-io, onis f – ჩასუნთქვა **in-sufflat-io, onis f** – ჩაბერვა (ფხვნილის)

in-halat-io, onis f – ჩაბერვა **in-capsulat-io, onis f** – ჩაპარკვა

in-plantat-io, onis f – ჩანერგვა **in-carcerat-io, onis f** – ჩაჭედვა, გაჭედვა

in-cis-io, onis f – ჩაჭრა, გაკვეთა **in-vaginat-io, onis f** – ჩაბრუნება, ჩაზრდა

in-press-io, onis f – ჩანაჭდევით (ნათიშვილი 1976: 94)

in-durat-io, onis f – ქსოვილის ან ორგანოს გამაგრება მასში შემაერთებული ქსოვილის ჩაზრდის შედეგად

ჩა- ზმნისწინის შემდეგ ყველაზე ხშირად გამოიყენება **შე-** ზმნისწინი:

in-ject-io, onis f – შეშხაპუნება

in-tubat-io, onis f – ხორხში სპეციალური მილის შეყვანა

in-vas-io, onis f – დაავადების აღმკვრელის შეჭრა ორგანიზმში

in- პრეფიქსი **შე-** ზმნისწინით გადმოიცემა აგრეთვე –**al** სუფიქსიან ტერმინშიც:

in-cis-al-is, e – შეჭრილი

სხვა შემთხვევებში **in-** პრეფიქსის შესაბამისი ზმნისწინი ქართულ თარგმანში არ შეიმჩნევა, **in-** პრეფიქსის ფუნქციას თვითონ შინაარსი იტვირთებს ხოლმე:

in-toxicat-io, onis f – ორგანიზმის მოწამვლა შხამიანი ნივთიერებებით

ir-radiat-io, onis f – 1. ტკივილის სხივისებური გავრცელება; 2. რადიოაქტიურ ნივთიერებათა მოქმედება

in-duct-io, onis f – მიზიდვა

in-clinat-io, onis f – დახრილობა

in-solat-io, onis f – დასხივება

il-lus-io, onis f – დამახინჯებული აღქმა, ილუზია

in-cis-ur-a, ae f – ნაჭდევი, ამონაჭდევი

ბოლო ტერმინში **-ur** სუფიქსის ფუნქცია ქართულად მოქმედების შედეგის გამომხატველი სახელით არის გამოხატული.

in- პრეფიქსის დართვა სახელს უარყოფით მნიშვნელობასაც ანიჭებს. ამ ფუნქციის გამოსახატად ქართული უყოლობა-უქონლობის გამომხატველ **უ-** სუფიქსს იყენებს, რაც შეეხება **-at, -ur, -id** სუფიქსებს, მათ ან არა აქვთ დატვირთვა ქართულ ტერმინში, ან ვნებითი გვარის მიმღეობით გადმოიცემა:

in-sip-id-us, a, um – უშაქრო, დაუტკობელი **in-nomin-at-us, a, um** – უსახელო **im-**

mat-ur-us, a, um – უმწიფარი, ადრეული **in-act-iv-us, a, um** – უმოქმედო

in-appetent-ia, ae f – უმადობა

in-digest-io, onis f – მოუნელებლობა (მონელების ფუნქციის დაქვეითება)

ბოლო ორ ქართულ თარგმანში **-ობა** სუფიქსი **-ia** და **_io** სუფიქსების ფუნქციას გამოხატავს.

პრეფიქსი infra- ძირათადად **-al (-ar)** სუფიქსიან ფუძეებს უკავშირდება და ქართულად ყველაზე ხშირად ითარგმნება როგორც **ქვედა**, რომელიც ფუძესიტყვასთან კომპოზიტს ქმნის:

infra-articul-ar-is, e – სახსარქვედა **infra-lob-ar-is, e** – წილქვედა

infra-orbit-al-is, e – თვალბუდისქვედა **infra-palpebr-al-is, e** – ქუთუთოსქვედა

infra-patell-ar-is, e – კვირისტავქვედა **infra-segment-al-is, e** – სეგმენტქვედა

-at და **-ic** სუფიქსიანი ტერმინები, რომლებიც **infra-** პრეფიქსს უერთდება, ზუსტად ასევე ითარგმნება:

infra-spin-at-us, a, um – ქედქვედა (ნათიშვილი 1976: 70)

infra-glott-ic-us, a, um – ყიისქვედა

infra- პრეფიქსის მეორე გავრცელებული შესატყვისი ქართულ თარგმანში არის **ქვეშ**, რომელიც ფუძესიტყვასთან ერთად ასევე ქმნის კომპოზიტს:

infra-clavicul-ar-is, e – ლავიწქვეშა **infra-patell-ar-is, e** – კვირისტავისქვეშა

infra-scapul-ar-is, e – ბეჭქვეშა **infra-stern-al-is, e** – მკერდქვეშა

სულ სხვაგვარად გადმოიცემა ქართულად ის კომპოზიტი, რომელიც პრეფიქსად იყენებს სუფიქსს **infer-**:

infer-o-later-al-is, e – ქვედა გვერდითი; **ქვემო** გვერდითი (ნათიშვილი 1976: 318)

პრეფიქსი **inter-** შორის, შუა. პრეფიქსი **inter-** სხვადასხვა სუფიქსთან ერთად მონაწილეობს ანატომიურ ტერმინთა წარმოქმნაში. განხილვას დავიწყებთ I და II ბრუნების ზედსართავ სახელთა სუფიქსებით, რომელთაგან ყველაზე ხშირად გვხვდება –**e** სუფიქსიანი ტერმინები. ისინი ითარგმნება **მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში (თან-იან მრავლობითში)** და **inter-** პრეფიქსის ქართულ მნიშვნელობასთან ერთად (შუა, შორის) ქმნის ქართულ **კომპოზიტს**. **inter-** პრეფიქსის გადმოსაცემად უფრო ხშირია ქართულში **შუა**:

inter-cartilagin-e-us, a, um – ხრტილთაშუა

inter-metacarp-e-us, a, um – ნების ძვალთაშუა

inter-oss-e-us, a, um – ძვალთაშუა

inter-metatars-e-us, a, um – წინატერფისძვალთაშუა

inter-phalang-e-us, a, um – ფალანგთაშუა (ნათიშვილი 1976: 147)

inter- პრეფიქსის გადმოსაცემად იხმარება **შორისი** ასევე კომპოზიტის ბოლო ნაწილად:

inter-tendin-e-us, a, um – მყესთაშორისი

inter-carp-e-us, a, um – ძვალთაშორისი

ქართულ თარგმანში არავითარ ცვლილებას არ იწვევს როცა **inter-** პრეფიქსი და –**e** სუფიქსი ორი ბერძნული ფუძითაა ერთმანეთთან დაკავშირებული:

inter-metatars-o-phalang-e-us, a, um – წინატერფფალანგებშორისი

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი რამდენიმე სიტყვასთან საერთოდ არ თარგმნის **inter-** პრეფიქსს გარკვეული მოსაზრებებით:

inter-carp-e-us, a, um – მაჯის ძვალთა (ნათიშვილი 1976: 146, შელია 1979: 107)

inter-tars-e-us, a, um – უკანა ტერფის ძვალთა (ნათიშვილი 1976: 156)

როცა **inter-** პრეფიქსი –**ic** სუფიქსიანი ბერძნულ-ლათინურ ფუძეებს უერთდება, ამ შემთხვევაში –**ic** პრეფიქსის შესატყვისი მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (თან-იანი მრავლობითი) და **inter-** პრეფიქსის ქართული შესაბამისი **შუა** (უფრო ხშირად) და **შორისი** (იშვიათად) ქმნიან ისეთივე კომპოზიტებს, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდით:

inter-mesenter-ic-us, a, um – ჯორჯალთაშუა

inter-pub-ic-us, a, um – ბოქვენისძვალთაშუა, ბოქვენთაშუა

inter-trochanter-ic-us, a, um – ციბრუტთაშუა (NA 1979: 41)

inter-ureter-ic-us, a, um – შარდსაწვეთთაშუა

inter-system-ic-us, a, um – სისტემათაშორისი

inter-thalam-ic-us, a, um – მხედველობის ბორცვთაშორისი (NA 1979: 135)

როცა **inter-** პრეფიქსი სხვა სუფიქსების (**-os, -ace, -oide, -ar**) საშუალებით უკავშირდება ლათინურ ან ბერძნულ ძირებს, ასეთ შემთხვევაში ქართულ თარგმანში სურათი არ იცვლება:

inter-cavern-os-us, a, um – მღვიმეთაშორისი

inter-membran-ace-us, a, um – აპკთაშორისი

inter-aryten-oide-us, a, um – ციციხეთაშუა (ნათიშვილი 1976: 283)

inter-transvers-ari-us, a, um – განივმორჩთაშუა (ნათიშვილი 1976: 137), განივ მორჩთაშუა (შელია 1979: 107). განივმორჩთაშორისი (NA 1979: 107)

inter-radicul-ari-us, a, um – კბილფესვთაშუა (NA 1979: 36)

პრეფიქსი inter- ყველაზე ხშირად **-al (-ar)** სუფიქსით დაბოლოებულ ბერძნულ ლათინურ ფუძეებს უერთდება. ამგვარ ტერმინთა ქართულად თარგმნა ისევე ხდება, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითებს. ქართულ კომპოზიტთა უმრავლესობა ბოლოვდება ზმნიზედით **შუა**, ხოლო შედარებით ნაკლებში გვხვდება **შორისი**:

inter-condyl-ar-is, e – როკთაშუა

inter-ganglion-ar-is, e – კვანძთაშუა

inter-globul-ar-is, e – ბორცვთაშუა

inter-maxill-ar-is, e – ზედაყბისძვალთაშუა

inter-muscul-ar-is, e – კუნთთაშუა

inter-atri-al-is, e – წინაგულთაშუა

inter-clavicul-ar-is, e – ლავიწთაშორისი

inter-tubercul-ar-is, e – ბორცვთაშორისი

inter-alveol-ar-is, e – კბილბუდეთაშორისი

inter-fascicul-ar-is, e – კონეზშორისი

საერთოდ, **შუა** და **შორის** რომ შინაარსით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამაზე მიუთითებს ის ქვემოთმოტანილი ტერმინები, რომელთა თარგმანში ორივე ქართული სიტყვა სინონიმებად ერთმანეთის პარალელურად

გვხვდება როგორც სხვადასხვა, ისე ერთსა და იმავე ავტორთანაც:

inter-cost-al-is, e – ნეკნთაშორისი, ნეკნთაშუა

inter-crur-al-is, e – ფეხთაშორისი, ფეხთაშუა (შელია 1979: 107)

inter-lob-ar-is, e – წილთაშორისი, წილთაშუა (ნათიშვილი 1976: 302)

inter-lobul-ar-is, e – წილაკთაშორისი (NA 1979: 77), წილაკთაშორისი (NA 1979: 78),
წილაკთაშუა (ნათიშვილი 1976: 265, შელია 1979: 107)

inter-pariet-al-is, e – კედლებსშუა, კედლებსშორისი

ჩვენი დაკვირვებით, პროფ.ლ.შელია უფრო ხშირად ხმარობს ტერმინად შუას, NA-ში გამოყენებულია უფრო მეტად შორისი, ხოლო პროფ.ნათიშვილი მონაცვლეობით იყენებს ორივე სიტყვას.

ქართული თარგმანი ზუსტად იმავე შემადგენლობითაა იმ შემთხვევაშიც, როცა **inter-** პრეფიქსი **-al** სუფიქსით დაბოლოებულ ორ ფუძეს უერთდება:

inter-cost-al-is, e – ნეკნთაშუამხრის

inter-medius, a, um – შუამდებარეს აღნიშნავს, ამიტომ როცა ეს ძირი შეერთებულია **-al** სუფიქსით დაბოლოებულ სხვა ფუძესთან, მისი პირველი ნაწილი ითარგმნება როგორც დამოუკიდებელი ტერმინი:

inter-medi-o-later-al-is, e – შუამდებარე გვერდითი, ლატერალური (NA 1979: 179)

inter-medi-o-medi-al-is, e – შუამდებარე მედიალური (NA 1979: 174)

როცა **inter-** პრეფიქსი **-formis, e** სუფიქსიან არსებითი სახელის ფუძეს უერთდება, **-formis, e** ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას და ქართულად **-ებრ** სუფიქსით გადმოიცემა, ისე როგორც მარტივ ფუძესთან:

inter-cune-i-formis, e – სოლისებრ-ძვალთაშუა (NA 1979: 56)

inter- პრეფიქსი არსებითი სახელის მაწარმოებელ **-io** სუფიქსიან ფუძესაც დაერთვის. სხვადასხვა ავტორი მას სხვადასხვაგვარად თარგმნის, მაგრამ, ვფიქრობთ, არც ერთ თარგმანში არ არის დაცული სიზუსტე:

inter-sect-io, onis f – ზღუდარი (NA 1979: 13); შუაში გამკვეთი, ძგიდე (შელია 1979: 108)

ზღუდარი რუსული *пермычка*-ს თარგმანია, ხოლო მეორე ავტორის თარგმანი შინაარსს ასახავს.

პრეფიქსი intra – შიგნით. პრეფიქსის ეს მნიშვნელობა ქართულად სხვადასხვა სიტყვით გადმოიცემა იმის მიხედვით, თუ რომელ ფუძეს და რომელ სუფიქსს უკავშირდება პრეფიქსი **intra-**. შესაბამისად იცვლება სიტყვის ადგილიც ქართულ ტერმინში, რომელიც ცდილობს, ერთსიტყვიანად დარჩეს.

თუ **intra-** პრეფიქსი **-ic** სუფიქსით დაბოლოებულ ფუძეს უკავშირდება, მაშინ ქართულ ტერმინად გამოყენებული კომპოზიტი იწყება სიტყვით **შიდა** და მთავრდება ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსით **-ულ (-ურ)**:

intra-organ-ic-us, a, um – შიდაორგანული **intra-system-ic-us, a, um - შიდასისტემური**

როცა სუფიქსად **-e** არის გამოყენებული, მაშინ ქართულ თარგმანში **შიდა** კომპოზიტის ბოლოში ექცევა:

intra-tendin-e-us, a, um – მყესშიდა

პრეფიქსი intra- ძირითადად **-al (-ar)** სუფიქსიან სახელებს უერთდება. ამგვარი ტერმინები ქართულად ყველაზე ხშირად გადმოდის **კომპოზიტით**, რომლის პირველი ნაწილი არის სიტყვის ფუძე, ხოლო მეორე **შიგა** ან **შიდა**:

intra-abdomin-al-is, e – მუცელშიდა **intra-segment-al-is, e – სეგმენტშიგა**

intra-lobul-ar-is, e – წილშიგა (შელია 1979: 108)

როცა **intra-** პრეფიქსიანი ტერმინები ქართულად ხმოვანფუძიანი სიტყვებით გადმოდის, მაშინ კომპოზიტის I ნაწილი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო მეორე სიტყვა არის კვლავ **შიგა** ან **შიდა**:

intra-alve-ol-ar-is, e – კბილისბუდისშიგა

intra-occipit-al-is, e – კეფისშიგა (NA 1979: 46)

ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში კომპოზიტის I ნაწილი მაშინაც შეგვხვდა, როცა ის ხმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი სახელია:

intra-jugul-ar-is, e – უღლისშიდა

საერთო წესი რომ არ დაირღვეს, ალბათ, შეიძლებოდა აქაც შეუკუმშავი ფუძე გვეხმარა – **უღელშიდა**.

კომპოზიტის I ნაწილად თან-იანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვაც არის გამოყენებული:

intra-lob-ar-is, e – წილთაშიგა

შიდას ან შიგას ქართულში შეიძლება შეენაცვლოს შიგნითაც, თანაც ისე, რომ კომპოზიტის I ნაწილი მიცემით ბრუნვაში იდგეს:

intra-thorac-al-is, e – მკერდსშიგნითა

ალბათ შეიძლებოდა საერთო წესი არც აქ დაგვერღვია და ქართულად ყოფილიყო გულმკერდშიდა.

ზოგიერთ ქართულ თარგმანში შიგნითა ცალკე სიტყვადაც გვხვდება:

intra-capsul-ar-is, e – სასახსრე პერკის შიგნითა (NA 1979: 45)

ერთ შემთხვევაში გვაქვს თარგმანის ორი პარალელური ფორმა, რომელთაგან ერთში შიგა კომპოზიტის II ნაწილია, ხოლო – შიდა – პირველი:

intra-articul-ar-is, e – შიდასასახსრე/სახსარშიგა (ნათიშვილი 1976: 140)

intra- პრეფიქსი შეიძლება –ში თანდებულთაც გადმოიცეს:

intra-ocul-ar-is, e – თვალში მყოფი

შეიძლებოდა აქაც გვეთარგმნა როგორც თვალშიგა.

გვინდა ცალკე გამოვყოთ რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც, ვფიქრობთ, **intra-** პრეფიქსის მნიშვნელობა არასწორად არის გაგებული (ჩვენი აზრით, **intra-** არეულია **inter-** პრეფიქსში):

intra-lamin-ar-is, e – ფირფიტათაშორისი (NA 1979: 177)

intra-pariet-al-is, e – თხემშია (NA 1979: 139)

intra-transvers-ari-us, a, um – განივმორჩთაშორისი (NA 1979: 47)

ეს თარგმანები უნდა გასწორდეს ისე, რომ **intra-**ს ისევ შიგა შეესაბამებოდეს, როგორც წინა ქართულ ტერმინებში. ე.ი. **ფირფიტისშიგა, თხემშიგა** და **განივმორჩთაშიგა**.

პრეფიქსი ob- (oc-, op-) – წინააღმდეგ, შემხვედრი მოქმედება. **ob-** პრეფიქსი ხშირად უერთდება –**io** სუფიქსით დამთავრებულ არსებითი სახელის ფუძეებს. პრეფიქსის ქართულად გადმოცემაში რაიმე კანონზომიერება არ შეიმჩნევა გარდა იმისა, რომ ეს სიტყვები დაბრკოლებას გამოხატავენ. ქართული ტერმინები ძირითადად სახელზმნებია:

oc-clus-io, onis f – დახურვა, გაუვალობა

ob-sess-io, onis f – აკვიატებული იდეა

op-posit-io, onis f – ოპოზიცია, წინააღმდეგობა

ob-struct-io, onis f – დაბრკოლება, გაუვალობა

სუფიქსები –at და **–ori** ზმნის supinum-ის ფუძიდან აწარმოებენ მიმღეობისა და ზედსართავი სახელის ფორმებს, ამიტომ ისინი ქართულად შესაბამისად ვნებითი და მოქმედებითი გვარის მიმღეობებით გადმოიცემა. **ob-** პრეფიქსის დანიშნულებას კი შინაარსი გადმოსცემს:

ob-tur-at-us, a, um – დახურული, ჩაკეტილი **ob-turat-ori-us, a, um** – დამხურავი

-al სუფიქსიანი ტერმინი **oc-** პრეფიქსთან კავშირში ვნებითი გვარის მიმღეობით გადმოდის:

oc-clus-al-is, e – დახურული (NA 1979: 70)

პრეფიქსი per-. მისი ერთი ფუნქცია სიტყვის მნიშვნელობის გაძლიერებაა. ამ შინაარსით არის იგი გამოყენებული ქვემოთმოყვანილ ტერმინში. ქართულში მის მნიშვნელობას კარგად გამოხატავს **ზე-**, რომელიც ქართულად პრეფიქსის როლში გამოდის:

per-acid-itas, atis f – კუჭის წვენის ზემოქანობა

სუფიქსი **-ობა** ლათინურ **-itas** სუფიქსს შეესაბამება.

პრეფიქსი post- – შემდეგ (დროში), უკან (სივრცეში)

როდესაც **post-** პრეფიქსი **-al** სუფიქსთან ერთად მონაწილეობს ტერმინის შექმნაში, მაშინ ქართული თარგმანი იყენებს კომპოზიტს, რომლის II ნაწილში ორივე ლათინური აფიქსის ფუნქცია აისახება:

post-nat-al-is, e – დაბადებისშემდგომი **post-centr-al-is, e** – ცენტრისუკანა

იგივე ხდება, როცა **post-** პრეფიქსი ბერძნული ძირის საშუალებით უკავშირდება **-ic** სუფიქსს:

post-haemorrhag-ic-us, a, um – სისხლდენისშემდგომი

post-necrot-ic-us, a, um – სიკვდილისშემდგომი (ქსოვილის ან სხეულის)

შესაძლოა, ქართულში ეს სიტყვები ცალ-ცალკე ვიხმაროთ (მაგ.: სიკვდილის შემდგომი და ა.შ.), მაგრამ ტერმინისათვის მათი ერთ სიტყვაში გაერთიანება უფრო მოსახერხებელია.

პრეფიქსი pre- (prae-) – წინ (დროში ან სივრცეში), -მდე

როცა **pre-** პრეფიქსი **-al (-ar)** სუფიქსიან ტერმინში გვხვდება, ქართული თარგმანი აქაც იყენებს კომპოზიტს, რომლის ბოლო ნაწილში ასახულია ორივე ლათინური აფიქსი:

pre-patell-ar-is, e – კვირისთავისწინა

სხვა შემთხვევებში ქართულ თარგმანში წინა, როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, მოსდევს ნათესაობითი დასმულ არსებით სახელს:

pre-vertebr-al-is, e – ხერხემლის წინა (NA 1979: 57)

pre-tect-al-is, e – სახურავის წინა

pre-trache-al-is, e – სასულეს წინა (NA 1979: 57; ნათიშვილი 1976: 219)

ვფიქრობთ, ზემოთჩამოთვლილ თარგმანებში კომპოზიტის ხმარება უფრო გამართლებულია.

როცა **pre-** დროში წინსწრებას გამოხატავს, წინასთან ერთად გამოიყენება **-მდეც**:

pre-mort-al-is, e – სიკვდილისწინა, სიკვდილამდელი

pre-nat-al-is, e – დაბადებისწინა, დაბადებამდელი

ზოგჯერ წინა ქართულ თარგმანში შეიძლება ტერმინის თავშიც იდგეს:

pre-centr-al-is, e – წინა ცენტრალური

pre- პრეფიქსი **-ic** სუფიქსთან კომბინაციაშიც ისეთივე ტიპის კომპოზიტებით გადმოიცემა ქართულად, როგორც **-al (-ar)** სუფიქსის შემთხვევაში:

pre-gastr-ic-us, e – კუჭისწინა **pre-opt-ic-us, e** – მხედველობისწინა

pre-pilor-ic-us, e – პრეპილორუსის (NA 1979: 123)

რა თქმა უნდა, ბოლო ტერმინის ქართული თარგმანი შესწორებას მოითხოვს. წინა ნიმუშების ანალოგიით უნდა იყოს **კუჭის გასავლის წინა**.

ქ-ნი რ.დგებუაძე **pre-** პრეფიქსის შესატყვისად კომპოზიტის მეორე ნაწილად გვთავაზობს წინარეს:

pre-cancer-os-us, e – კიბოსწინარე (დგებუაძე 1988: 222)

პრეფიქსი **re-** განმეორებადი მოქმედება, შებრუნება. **re-** პრეფიქსის შინაარსი ქართულ თარგმანში გადმოდის როგორც **განმეორებითი** (ერთ ტერმინში გვხვდება **საპასუხო**), ხოლო ამ პრეფიქსთან ერთ ტერმინში **-io** სუფიქსი **ლათინური არსებითი სახელით** ან **საწყისით** გადმოიცემა. თუმცა, შეიძლებოდა ლათინური სახელები

ქართული საწყისით შეგვეცვალა (ამპუტაცია – მოკვეთა, ინფექცია – ავადმყოფობის გადაღება):

re-amputat-io, onis f – განმეორებითი ამპუტაცია (მოკვეთა) (დგებუაძე 1988: 30)

re-infect-io, onis f – განმეორებითი ინფექცია, ხელმეორედ დასნებოვნება (დგებუაძე 1988: 234)

re-abras-io, onis f – განმეორებითი გამოფხეკა

re-vaccinat-io, onis f – განმეორებითი აცრა

re-sorbt-io, onis f – განმეორებითი შთანთქმა, შეწოვა

re-act-io, onis f – საპასუხო მოქმედება

re- პრეფიქსს ქართულში შეიძლება შეესაბამებოდეს ზმნიზედები უკან ან უკუ, რომელთა ხმარება ცალკეც ხდება და კომპოზიტის პირველ ნაწილადაც:

re-gurgitat-io, onis f – უკუდინება (სისხლის, ხსნარის და ა.შ. ღრუ ორგანოებში)

re-gress-io, onis f – უკუგანვითარება **re-gress-iv-us**, a, um – უკუსვლითი

re-curv-at-us, a, um – უკანგადახრილი

at- სუფიქსის ფუნქცია ვნებითი გვარის მიმღეობის სუფიქსით (ილ-ი) გამოიხატება, ხოლო **-iv** სუფიქსისა – მოქმედებითი ბრუნვის ფორმით.

ზოგიერთ ტერმინში კი, როგორც ადრეც აღვნიშნავდით, **re-** პრეფიქსის სპეციალურ ქართულ შესატყვისზე საუბარი ჭირს:

re-activat-io, onis f – ავადმყოფობის კვლავ გაძლიერება, გამწვავება

re-sect-io, onis f – ორგანოს ან მისი ნაწილის მოკვეთა

re-sistent-io, onis f – გარეშე ძალის მოქმედებისადმი წინააღმდეგობა

re-laxat-io, onis f – დამაბულობის შენელება

re-miss-io, onis f – ავადმყოფობის გამოვლინებათა დროებითი შენელება ან შეწყვეტა

re-posit-io, onis f – თავის ადგილას ჩასწორება

პრეფიქსი retro- ქართულად გადმოდის ზმნიზედით უკან, რომელიც ან კომპოზიტის მეორე ნაწილია, ან ცალკე იწერება. სხვადასხვაგვარი ორთოგრაფია მხოლოდ ტერმინოლოგიის მოუწესრიგებლობის შედეგია და რაიმე მეცნიერული მოსაზრებით არ არის განპირობებული. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ **retro-** პრეფიქსთან

სხვა სუფიქსები (-al, -ar, -ic, -e, -oide, -formis) ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა:

retro-auricul-ar-is, e – ყურისუკანა **retro-mandibul-ar-is, e** – ქვედაყბისუკანა
retro-oliv-al-is, e – ოლივისუკანა **retro-pub-ic-us, a, um** – ბოქვენის უკანა
retro-pharyng-e-us, a, um – ხახისუკანა **retro-hy-oide-us, a, um** – ინისუკანა

პრეფიქსი se- – გამოყოფა, გამოცალკეება. **se-** პრეფიქსი **-io** სუფიქსთან ერთად ერთი ტიპის ტერმინებს ქმნის, რომლებშიც **se-** პრეფიქსის მნიშვნელობა სიზუსტითაა გადმოცემული:

se-cret-io, onis f – გამოყოფა **se-cess-io, onis f** – გამოყოფა, გამოცალკეება

იმავე პრეფიქსთან **-ori** სუფიქსი მოქმედებითი გვარის მიმღობით გადმოიცემა:

se-cret-ori-us, a, um – გამომყოფი

პრეფიქსი semi- ნახევარ ან ნახევრად. **semi-** პრეფიქსი ქართულად ყოველთვის ზუსტი მნიშვნელობით ითარგმნება. **-al, -ar, -os** და **-ace** სუფიქსების ქართულად გადმოცემის ხერხებიც ტრადიციულია:

semi-circul-ar-is, e – ნახევარწრიული, ნახევარკალოვანი (NA1979: 164)

semi-tendin-os-us, a, um – ნახევრადმეცხოვანი

semi-membran-ace-us, a, um – ნახევრადაპკისებრი

semi-lun-ar-is, e – ნახევარმთვარისებრი **semi-ov-al-is, e** – ნახევრადოვალური

პრეფიქსი sub- ქვეშ. **-ქვეშა** ყველა ქართულ თარგმანში ფიგურირებს. უმეტესად ის ქართული არსებითი სახელის ფუძესთან კავშირში ქმნის კომპოზიტს:

sub-cortic-al-is, e – ქერქქვეშა **sub-cost-al-is, e** – ნეკნქვეშა

sub-femor-al-is, e – ბარძაყქვეშა **sub-ment-al-is, e** – ნიკაპქვეშა

sub-muscul-ar-is, e – კუნთქვეშა **sub-pariet-al-is, e** – თხემქვეშა

ზოგჯერ სუფიქსი **-ქვეშა** ქართულში მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით უერთდება. ნათესაობითი ბრუნვა **-al (-ar)** სუფიქსის გადმოსაცემადაა განკუთვნილი:

sub-apic-al-is, e – მწვერვალისქვეშა **sub-fasci-al-is, e** – ფასციისქვეშა

სუფიქსი **-ic sub-** პრეფიქსთან კავშირში ასევე ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა:

sub-hepat-ic-us, a, um – ღვიძლქვემა **sub-aponeurot-ic-us, a, um** – აპონევროზისქვემა

sub- პრეფიქსის გადმოცემა ქვედა ზმნიზებით აშკარად შეცდომაა.

სხვა სუფიქსებიც, რომლებიც **sub-** პრეფიქსიან ტერმინებში გვხვდება, მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით ითარგმნება:

sub-muc-os-us, a, um – ლორწქვემა **sub-tendin-e-us, a, um** – მყესქვემა

sub-ser-os-us, a, um – შრატქვემა; სუბსეროზული

subserosus ქართულ თარგმანში უნდა დარჩეს მხოლოდ როგორც შრატქვემა.

პრეფიქსი super-, supra- – ზედა. პრეფიქსი **super-** ქართულად ითარგმნება ზმნიზებით ზედა, რომელიც მეტწილად არსებითი სახელის ფუძესთან არის შეერთებული. ლათინურ ტერმინთა უმრავლესობა **-al (-ar)** სუფიქსით ბოლოვდება:

supra-patell-ar-is, e – კვირისტავზედა **supra-spin-al-is, e** – წვეტზედა

ფუძის გარდა ზმნიზება ზედა ზოგიერთ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმასაც უერთდება:

supra-margin-al-is, e – კიდისზედა **supra-maxill-ar-is, e** – ზედაყბისზედა

supra- პრეფიქსთან სხვა სუფიქსების არსებობა არაფერს ცვლის, ქართული ტერმინი ზუსტად იმავე შედგენილობისაა:

supra-opt-ic-us, a, um – მხედველობისზედა **supra-spin-at-us, a, um** – ქედზედა

რამდენიმე ქართულ ტერმინში ზმნიზება ზედა კომპოზიტის პირველი ნაწილია:

supra-articul-ar-is, e – ზედასასახსრე **supra-condyl-ar-is, e** – ზედაროკის

trans- – გადა-, გადაადგილება. ეს პრეფიქსი ძირითადად **-io** სუფიქსიან ტერმინებში გვხვდება, ამიტომ სახელზმნით გადმოიცემა, რომლის პირველი ნაწილია ზმნისწინი გადა- ან გადაადგილების გამომხატველი სიტყვა:

trans-fus-io, onis f – გადასხმა (სისხლის) **trans-plantat-io, onis f** – გადანერგვა

trans-format-io, onis f – შეცვლა, გარდაქმნა, სახეცვლილება (დგებუაძე 1988: 269)

trans-sudat-io, onis f – სითხეების გაჟონვა აკვებში (დგებუაძე 1988: 269)

პრეფიქსი ante- ჩვენ მიერ განხილულ წინსართებში არ ფიგურირებდა. ის როგორც წინდებული გამოიყენება წინ, -მდე მნიშვნელობით. ეს ფუნქცია შეინარჩუნა მან პრეფიქსის როლშიც. **-io** სუფიქსიანი არსებითი სახელები კი ქართულად სახელზმნით გადმოიცემა:

ante-flex-io, onis f – ანტეფლექსია, გადახრა, წინ მოხრა

ante-posit-io, onis f – ანტეპოზიცია, წინ გადაადგილება

ante-vers-io, onis f – ანტევერსია, წინ დახრა

ამრიგად, ამ მაგალითების მიხედვით ჩანს, რომ აფიქსების ორივე ფუნქცია ქართულ ტერმინშიც ზუსტად არის გამოკვეთილი.

anterior წარმოადგენს შედარებითი ხარისხის ფორმას და ცალკე ითარგმნება როგორც **წინა**. იგივე სიტყვა გამოყენებულია პრეფიქსად და ჩვენ მიერ დამუშავებულ მაგალითებში იმავე მნიშვნელობით გვხვდება. **წინა** ანატომიურ ტერმინოლოგიაში მდებარეობას აღნიშნავს, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ყველა პარადიგმაში ასევე მდებარეობის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებს უერთდება, რომლებიც, თავის მხრივ, არსებითი სახელებიდან **-al** სუფიქსის საშუალებით არიან ნაწარმოებნი და ეს ზედსართავი სახელებიც ისევე გადმოდის ქართულად ამ რთული სიტყვის შემადგენლობაში, როგორც ცალკე აღებული ითარგმნებოდა.

anter-o-dors-al-is, e – **წინა** დორზალური

anter-o-medi-al-is, e – **წინა** მედიალური (ნათიშვილი 1976: 137-176)

anter-o-later-al-is, e – **წინა-გვერდითი** **anter-o-ventr-al-is, e** – **წინა** ვენტრალური

იგივე შეიძლება ითქვას იმ ტერმინებზე, რომლებიც იყენებენ პრეფიქსებად **poster-უკანა-ს** (**poster** ასევე მიღებულია შედარებითი ხარისხის ფორმიდან **poster-ior**). ეს პრეფიქსიც მდებარეობის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებს უერთდება, რომლებშიც სუფიქსად გამოყენებულია **-al**:

poster- o-later-al-is, e – **უკანა** გვერდითი

poster- o-medi-al-is, e – **უკანა** მედიალური

როგორც ვხედავთ, ეს აფიქსიანი სიტყვები ქართულად ორი სიტყვით გადმოვიდა. რაც შეეხება ტირეს წინა-გვერდითში, ის, ალბათ, სრულიად ზედმეტია და ინერციით მოდის რუსული თარგმანიდან **передне-ноковой**. ასევე რუსულის გავლენით უნდა აიხსნას ქართულში დორზალური, მედიალური და ვერტიკალური **передне-дорсальный**, **передне-медиальный** და **передне-медиальный**. ჩვენი აზრით, აქ გაუმართლებელია მათი ხმარება. გაცილებით სჯობს, ტერმინში ორივე სიტყვა ქართული იყოს: წინა ზურგის, წინა შუა, წინა მუცლის და ა.შ.

3.3. ორი ლათინური ძირითა და ლათინური სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები

ანატომიურ ტერმინოლოგიაში ძალიან ბევრია ლათინური სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომლებიც ორ ლათინურ ძირს უერთდება. ასეთი ტერმინები ცალკე გამოვყავით და დავინტერესდით ამგვარი კომპოზიტების აგების პრინციპით როგორც ლათინურ, ისე ქართულ ენაზე. ლათინურში ისინი **-o-** კავშირით შეერთებულ კომპოზიტს წარმოადგენს, რომლებიც დაირთავს **-al, -ar, -os, -e, -ic, -in, -ac, -an, -ane, -ari, -ori, -at** სუფიქსებს. როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ქართულად ორი ლათინური ძირითა და ლათინური სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები გადმოიცემა ტირეთი შეერთებული კომპოზიტით, რომლის პირველი ნაწილი ფუძით, ან სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე ნაწილის ქართულ დაბოლოებას განსაზღვრავს ლათინური სუფიქსი, ამიტომ ჩვენც განსაკუთრებული ყურადღება ისევ სუფიქსის გადმოცემას მივაქცევით. ჩვეულებრივ, ქართულ და ლათინურ ტერმინებში სიტყვათა თანმიმდევრობა ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა არის გამონაკლისებიც, რომელთაც გზადაგზა შევხებით.

-e სუფიქსი, როცა ის მარტივ ლათინურ ფუძეს ერთვოდა, გადმოიცემოდა ქართული ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, სუფიქსებით **-ოვან-**ი და იშვიათად **-ებრ-**ი. ამ ლათინური კომპოზიტების თარგმნისას ისევ ნათესაობითი ბრუნვაა წამყვანი, გვხვდება **-ოვან-**ი, ხოლო **-ებრ-**ი საერთოდ აღარ ჩანს:

ili-o-pectin-e-us, a, um – თემო-ქედის

muscul-o-peron-e-us, a, um – კუნთ-მცირე წვივის

fibr-o-cartilagin-e-us, a, um – ბოჭკოვან-ხრტილოვანი

ლათინური სუფიქსი **-os**, როგორც ვნახეთ (ნათიშვილი 1976: 32-35), რამდენიმე ფორმით გადმოდის ქართულად, მათ შორის სუფიქსებით **-ებრ-**ი, **-ურ-**ი, **-ოვან-**ი. ამავე დაბოლოებებით გვხვდება იგი ლათინური კომპოზიტების თარგმნისასაც:

arteri-o-ven-os-us, a, um – არტერიულ-ვენური

bulb-o-spongi-os-us, a, um – ბოლქვ-ღრუბლისებრი

ser-o-muc-os-us, a, um – სეროზულ-ლორწოვანი

petr-o-squam-os-us, a, um – ქიცვ-კლდოვანი (ნათიშვილი 1976: 95)

ბოლო მაგალითში დარღვეულია ლათინურ სიტყვათა ქართულად იმავე თანმიმდევრობით გადმოცემის წესი, რისი მიზეზიც ძნელი ასახსნელია.

-at- სუფიქსის ქართულად გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა ნათესაობითი ბრუნვაა. ასევე ის დაფიქსირებული კომპოზიტში

pis-o-ham-**at**-us, a, um – ცერცვ-კავის

-ori სუფიქსი კი ქართულად **-ელ-**ი დაბოლოებით არის თარგმნილი:

ocul-o-mot-**ori**-us, a, um – თვალის მამოძრავებელი

ლათინურ სუფიქსს **-ane-**ს ნათესაობითი ბრუნვა შეესაბამება:

muscul-o-cut-**ane**-us, a, um – კუნთ-კანის tibi-o-calc-**ane**-us, a, um – წვივ-ქუსლის

tal-o-calc-**ane**-us, a, um – კოჭ-ქუსლის (ნათიშვილი 1976: 156)

როგორც მარტივი ფუძის, ასევე კომპოზიტის მაწარმოებელი ლათინური სუფიქსი – **in** ქართულად თითქმის ყოველთვის **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმით ითარგმნება . მაგ.:

salpingo-palat-**in**-us, a, um – სასა-ლულის (უნდა იყოს ლულა-სასის)

nas-o-palat-**in**-us, a, um – ცხვირ-სასის sacr-o-pelv-**in**-us, a, um – გავა-მენჯის

pariet-o-pont-**in**-us, a, um – თხემ-ხიდის tempor-o-pont-**in**-us, a, um – საფეთქელ-ხიდის

როგორც სიტყვათა თანმიმდევრობა, ასევე ნათესაობითი ბრუნვის ფორმა თარგმანისა და ორიგინალის ყველა სხვა მაგალითში მეორდება.

როგორც ერთ, ასევე კომპოზიტის ფუძეზე დართული **-ic** სუფიქსის ქართულად გადმოტანის შესაფერისი ფორმა აგრეთვე ნათესაობითი ბრუნვაა:

ile-o-col-**in**-us, a, um – თემო-კოლინჯის ili-o-pub-**in**-us, a, um – თემო-ბოქვენის

tub-o-ovar-**in**-us, a, um – მილ-საკვერცხის

-ic სუფიქსის ფარდად ქართული **-ურ** სუფიქსი მხოლოდ ერთ მაგალითში შეგვხვდა:

fibr-o-elast-**ic**-us, a, um – ფიბროზულ-ელასტიკური (ნათიშვილი 1976: 282)

ამ ქართული ტერმინის შემადგენელი არცერთი სიტყვა და დაბოლოება (**-ურ-**ი) ქართული არ არის. ალბათ არაფერი დაშავდებოდა, რომ იგი გვეთარგმნა როგორც

ბოქკოვან-ელასტური.

რაც შეეხება ლათინურ სუფიქსებს **-ar** და **-al** როგორც მარტივ ფუძესთან კავშირში გვხვდებოდა ხშირად, ასევეა კომპოზიტებთანაც. მათ ქართულად გადმოსატანად, ჩვენი დაკვირვების მიხედვით, გამოიყენება ქართული **ნათესაობითი ბრუნვა**, სუფიქსები – **ოვან-ი**, **-იან-ი**, **-ით-ი**, **-ად-ი**, **ურ-ი** (**ულ-ი**), **სა-ე**. ვნახოთ რა ვარიანტებთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში:

stern-o-cost-**al**-is, e – მკერდ-ნეკნის

palat-o-vagin-**al**-is, e – სასა-ბუდის

cortic-o-nucle-**ar**-is, e – ქერქულ-ბირთვოვანი nas-o-cili-**ar**-is, e – ცხვირ-წამწამოვანი

calcane-o-nav-i-cul-**ar**-is, e – ქუსლ-ნავისებრი cortic-o-ret-i-cul-**ar**-is, e – ქერქ-ბადისებრი

cune-o-nav-i-cul-**ar**-is, e – სოლისებრ-ნავისებრი

tibi-o-nav-i-cul-**ar**-is, e – დიდწვივ-ნავისებრი

როგორც მაგალითებიდან ჩანს, **-al** და **-ar** სუფიქსიანი კომპოზიტების ქართული თარგმანი შედარებით ერთფეროვანია. **ნათესაობითი ბრუნვის** გარდა სულ ორ სიტყვასთან შეგვხვდა სუფიქსები **-ოვან-ი** და **-ებრ-ი** და კიდევ ერთს აღვნიშნავდით: კომპოზიტის მეორე, სუფიქსიან ნაწილად თითქმის არ გვხვდება ის ლექსიკა, რომელიც სწორედ მრავალრიცხოვანი სუფიქსებით გადმოიცემოდა ქართულად.

ამგვარ კომპოზიტებში, რომლებიც ორ ლათინურ ძირსა და მასთან დაკავშირებულ ზედსართავი სახელის სუფიქსებს შეიცავს, უფრო საყყურადღებოდ სუფიქსთა ქართულად თარგმნის საკითხები გვეჩვენება, მაგრამ საკმაოდ დაგვიგროვდა მაგალითები, რომლებშიც თვითონ კომპოზიტის ქართულ ენაზე გადმოტანის საკითხებიც მოითხოვს მსჯელობას. საერთოდ, ფუძეთა შეერთებაზე ჩვენ ცალკე თავში გვექნება საუბარი, მაგრამ ამ ტიპის წარმოებული სიტყვების ქართულად თარგმნის პრობლემაზე, რაც ამ მაგალითებმა დაგვანახა, აქვე შევჩერდებით.

ცალკე დაკვირვებას მოითხოვს აღნიშნული ტიპის ტერმინები, რომლებიც ბოლოვდება სიტყვით **spinalis, e**. ჯერ მოვიყვანთ ტერმინებსა და მათ თარგმანს. მაგ.:

ა) reticul-o-**spinalis, e** – ბადისებრ-ზურგტვინოვანი, რეტიკულო-სპინალური (ნათიშვილი 1976: 174)

ბ) cortic-o-**spinalis, e** – ქერქულ-ზურგტვინის (NA 1979: 133), ქერქ-ზურგტვინის (ნათიშვილი 1976: 173)

გ) tect-o-**spinalis**, **e** – სახურავ-**ზურგტვინის** (NA 1979: 130), ტექტოსპინალური (ნათიშვილი 1976: 174)

დ) cerebr-o-**spinalis**, **e** – **ზურგტვინის** (NA 1979: 142)

ე) sacr-o-**spinalis**, **e** - გავა-**წვეტიანი**

ვ) rubr-o-**spinalis**, **e** – **წითელბირთვ-ზურგტვინის**, წითელ ბირთვისებრ-**ზურგტვინის** (NA 1979: 130 tractus)

როგორც ვხედავთ, **spinalis**, **e** სხვადასხვა ვარიანტში თარგმნილია როგორც: **ზურგტვინოვანი** (1), **ზურგტვინის** (6), **სპინალური** (2), **წვეტიანი** (1). რა თქმა უნდა, სჯობს ყველა შემთხვევაში ითარგმნოს როგორც *ზურგტვინის* ან, უფრო ზუსტად, *ზურგის ტვინის*, რასაც ნამდვილად აღნიშნავს **spinalis**. გარდა ამისა, ბ მაგალითში cortic-, არის არსებითი სახელის ფუძე (cortex, cortic-is), ამიტომ მისი შესაბამისი თარგმანი იქნება ქერქ- და არა ქერქული (შეცდომა გამოიწვია, ეტყობა, -ic დაბოლოებამ, რომელიც ამ შემთხვევაში ფუძისაა და არა ზედსართავი სახელის მაწარმოებელი). ამავე შეცდომის გასწორებას მოითხოვს შემდეგი ორი ტერმინის თარგმანიც:

cortic-o-nuclearis, **e** – **ქერქულ-ბირთვოვანი**, **ქერქ-ბირთვთა** (NA 1979: 133)

cortic-o-spinalis, **e** – **ქერქულ-ზურგტვინის**, **ქერქ-ზურგტვინის** (ნათიშვილი 1976: 173).

ალბათ, მხარი უნდა დავუჭიროთ ბოლო ვარიანტს, რომელსაც პროფ.ნათიშვილი გვთავაზობს.

შეიძლება, ამავე ტიპის შეცდომებთან გვაქვს საქმე ქვემოთმოყვანილ ტერმინებში:

aort-ic-o-renalisis – **აორტა-თირკმლის**

petr-o-occipitalis, **e** – **კლდოვან-კეფის** (ნათიშვილი 1976: 123 fissura)

Aortica ზედსართავი სახელია, ამიტომ უნდა ითარგმნოს როგორც **აორტული**, ხოლო **petra** – არსებითი სახელი, და მას შეესაბამება **კლდე** და არა **კლდოვანი**. დ მაგალითში უთარგმნელია კომპოზიტის პირველი ნაწილი, ასე რომ, სწორი თარგმანი, ალბათ, იქნება **თავის ტვინ-ზურგის ტვინის**. **rubr** – ფუძე წითელს ნიშნავს, მაგრამ ქვემოთმოყვანილ კომპოზიტებში წითელ ბირთვად არის ნათარგმნი, ოღონდ სხვა დაბოლოებით, ტერმინი წითელბირთვისებრი კი უადგილოა და ლათინურთან კავშირი არა აქვს:

rubro-o-reticularis – **წითელბირთვა-ბადისებრი**

არსებობს ამ ტერმინის სხვაგვარი თარგმანიც – **რუბრო-რეტიკულური** (ნათიშვილი 1976: 174), რაც სრულიად გაუმართლებელია. სხვა შემთხვევაში კი, როცა **rubr-** ფუძე ბოლოშია, ისევ წითელ ბირთვად არის თარგმნილი:

cerebell-o-rubr-al-is, e – ნათხემ-წითელბირთვის (NB. წითელბირთვის ერთ სიტყვადაა გადმოტანილი ქართულად)

ერთი თარგმანი არ არის დადგენილი **Atlas, ntis m**-ის გადმოსაცემად

atlant-o-axi-al-is, e – ატლანტ-ღერძის, ატლას-აქსისის (ნათიშვილი 1976: 138)

atlant-o-occipit-al-is, e – ატლანტ-კეფის

სწორი ტერმინი ალბათ ატლას-ი იქნება, **axis**-ი კი ღერძად უნდა ითარგმნოს. ასევე სჯობს ქართული სიტყვებით შეიცვალოს ლათინური სიტყვები ქვემოთმოყვანილ ტერმინებში:

dors-o-medi-al-is, e – დორზომედიალური (ნათიშვილი 1976: 136 nucl.)

dors-o-later-al-is, e – დორზო-ლატერალური

ventro-o-medi-al-is, e – ვენტრომედიალური (ნათიშვილი 1976: 136- 175)

ასევე უნდა დაზუსტდეს, რომ ტირე სიტყვებს შორის აუცილებელია. ტერმინი **clav-i-pector-al-is, e** სხვადასხვანაირად არის თარგმნილი: ა) ლავიწ-მკერდის (NA); ბ) მკერდ-ლავიწის (ნათიშვილი 1976: 220). რა თქმა უნდა, სწორია ა ვარიანტი. სიტყვათა თანმიმდევრობას შინაარსის გასაგებად რომ მნიშვნელობა აქვს, ამას ადასტურებს პროფ. ნათიშვილის სახელმძღვანელოში ერთ გვერდზე (ნათიშვილი 1976: 174) ორი ასეთი ტერმინი თავისი თარგმანით

tect-o-spinalis, e – სახურავ-ზურგტვინის **spin-o-tectalis, e** – ზურგტვინ-სახურავის

ასევე შეცვლილია სიტყვათა თანმიმდევრობა ქართულ და ლათინურ ტერმინებს შორის და ალბათ უნდა გასწორდეს:

medi-o-clavicularis, e – ლავიწშუა

tibi-o-talaris, e – წვივ-კოჭის, დიდწვივ-კოჭის (ნათიშვილი 1976: 155 pars)

აქ, რა თქმა უნდა, პროფ. ნათიშვილის თარგმანია სწორი, რადგან წვივ-კოჭის არის **tal-o-cruralis, e** და ეს იმავე გვერდიდანვე ჩანს.

septo-marginalis, e – ძგიდე-სანაპირო, ძგიდე-განაპირა (ნათიშვილი 1976: 175)

რადგან სანაპიროს ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ აჯობებს **marginalis**

ითარგმნოს როგორც განაპირა.

vestibul-o-cochlearis, e – წონასწორობა-სმენის (NA 1979: 133 nucleus nervi)

ეს თარგმანი არის არა სიტყვების, არამედ ფუნქციისა, რაც გაუმართლებელია. ნათიშვილი გვთავაზობს ზუსტ თარგმანს კარიბჭე-ლოკოკინას (ნათიშვილი 1976: 176), რაც კორექტულია. და ბოლოს, როგორც NA-ში, ისე ნათიშვილის სახელმძღვანელოში (ნათიშვილი 1976: 154) საინტერესო თარგმანია მოცემული ტერმინისა tibi-o-fibul-aris, e – წვივთა (და არა სიტყვასიტყვითი: დიდწვივ-მცირე წვივის, რასაც გვთავაზობდა, სხვათაშორის, რუსული თარგმანი *большеберцо-малоберцовый, большеберцово-малоберцовый*, ხოლო კაზახონოკის *Анатомический словарь*-ში, იგივე თარგმანი ტირეს გარემეა).

3.4. ლათინურ-ბერძნულ ძირებზე ლათინურ სუფიქსდართული ტერმინები

ლათინური სუფიქსები, რომლებიც ლათინურ ძირს დაერთვის, დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ სუფიქსებიდან, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ერთი ნაწილი ერთვის ორ ლათინურ ფუძეს, ხოლო კიდევ უფრო მცირდება სუფიქსთა რაოდენობა, რომლებიც ლათინურ-ბერძნულ კომპოზიტებს უერთდება. ეს სიმცირე მხოლოდ იმის ბრალი არ არის, რომ პროცენტულად ლათინურ-ბერძნული კომპოზიტი უფრო ცოტაა. ეტყობა, ბერძნულ ძირებს (ამ კომპოზიტში ხომ მეორე ბერძნული ძირია) უფრო ნაკლები ლათინური სუფიქსის მიერთება შეუძლიათ. ძალზე უმნიშვნელოა რაოდენობა თვით ბერძნული სიტყვებისაც, რომლებიც ლათინურ სუფიქსებს დაირთავენ. ვნახოთ ეს მაგალითებზე:

nas-o-**pharyng-e-us**, a, um - ცხვირ-ხახის

palat-o-**pharyng-e-us**, a, um - სასა-ხახის

bucc-o-**pharyng-e-us**, a, um - ლოყა-ხახის

sacr-o-**coccyg-e-us**, a, um - გავა-

კუდუსუნის

an-o-**coccyg-e-us**, a, um - ყითა კუდუსუნის

uln-o-**carp-e-us**, a, um - იდაყვ-მაჯის

radi-o-**carp-e-us**, a, um - სხივ-მაჯის

carp-o-**metacarp-e-us**, a, um - მაჯა-ნების

medi-o-**carp-e-us**, a, um - მაჯის შუა ან მაჯის შუა (ნათიშვილი 1976: 145)

tars-o-**metacarp-e-us**, a, um - ტერფთაშუა

როგორც ვხედავთ, ყველაზე ხშირად ბერძნული სიტყვის ფუძე (**pharyng-**, **coccyg-**,

carp-, metacarp-) იერთებს ლათინურ **-e** სუფიქსს და ძირითადად ის ქართულად **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმით ითარგმნება, მაშინ როცა **-e** სუფიქსის თარგმნის სხვა შემთხვევებიც გვქონდა (**-ოვანი** და **-ებრი**, გვ. 35–36). რაც შეეხება ბოლო ტერმინის თარგმნას, ეს კარგი ვარიანტია იმ თვალსაზრისით, რომ თავიდან აცილებულია სიტყვასიტყვითი გადმოცემა შინაარსისა – ტერფ–წინა ტერფის, როგორც **tibio-fibularis, e** იყო – წვივთა. აქაც, როგორც ადრე ვთქვით, რუსული თარგმანი სიტყვასიტყვითია – *предплюсне-плюсневый*, თანაც სიტყვათა თანმიმდევრობა გადანაცვლებულია, რაც შეცდომაა და შინაარსს ცვლის. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინში ტერფთაშუა **შუა** ზედმეტია. ის არც ლათინურშია და არც ტერმინის შინაარსს შეესაბამება. ასე რომ, უნდა იყოს **ტერფთა**.

რაც შეეხება ტერმინს **medi-o-carp-e-us, a, um** – **მაჯისშუა** ან **მაჯის შუა**, აქ სიტყვათა თანმიმდევრობა ლათინურ მიმდევრობას არ ემთხვევა **articulatio mediocarpea** – მაჯის შუა სახსარი. შუა წინ რომ გადმოგვეტანა, ტერმინი სულ სხვა მნიშვნელობას შეიძენდა – **შუა მაჯის სახსარი**. ამან განაპირობა სიტყვათა რიგის შეცვლა ქართულ თარგმანში.

cune-o-metatarsus-ის თარგმანი უნდა იყოს **სოლ–წინატერფის**, რადგან **cune-** არის არსებითი სახელის ფუძე და არა ზედსართავისა (**ceneus, cune-i**). შეიძლება შეცდომა გამოიწვიოს **e-**მ, რომელიც ზედსართავი სახელის მაწარმოებელ სუფიქსად იქნა მიჩნეული, როგორც **metatars-e-us**-ში – **e**).

სუფიქსი **-ic** თითქმის ისეთსავე ერთფეროვნებას გვიჩვენებს ლათინურ-ბერძნულ ფუძესთან შეერთებისას, როგორსაც **-e**. უფრო კონკრეტული დასკვნებისათვის განვიხილოთ მაგალითები:

mamill-o-thalam-ic-us, a, um – დვრილ–მხედველობის ბორცვის

lenticul-o-thalam-ic-us, a, um – ბროლ–მხედველობის ბორცვის

cerebell-o-thalam-ic-us, a, um – ნათხემ–მხედველობის ბორცვის

petr-o-tympan-ic-us, a, um – **დაფ–კლდოვანი** (ნათიშვილი 1976: 96 fissura)

jugul-o-digastr-ic-us, a, um – საუღლე–ორმუცელა

როგორც გამოჩნდა, **-ic** სუფიქსიანი ლათინურ-ბერძნული კომპოზიტის ქართულად გადმოცემის ძირითადი ფორმაა **ნათესაობითი ბრუნვა**. რაც შეეხება **დაფ–კლდოვანს**, აქ ლათინური ტერმინის სიტყვათა წყობა შეცვლილია, რაც, როგორც ადრე

ვნახეთ, შინაარსის გაგებაში შეცდომას იწვევს. გადანაცვლება არც აქ გვეჩვენება გამართლებულად. ამგვარად, აქაც უნდა იყოს **კლდე-დაფის**, ე.ი. **ნათესაობითი ბრუნვა**. digastricus კი ორმუცელას ნიშნავს, ამიტომაც მთლიანი ტერმინიც ასე დაბოლოვდა.

ბერძნულ ფუძეებს თუ გადავხედავთ, მათი გამოყენების არეალიც ძალზე შეზღუდულია. დაბოლოების ერთგვაროვანი ქართული თარგმანი ალბათ ამითაც აიხსნება.

ლათინური **-al** სუფიქსი ძალზე იშვიათად აბოლოებს ლათინურ-ბერძნული კომპოზიტს, ხოლო **-ar** სუფიქსი კი საერთოდ არ გვხვდება. ყველა შემთხვევაში ქართულში აქაც **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმაა გამოყენებული:

corac-o-**acromi-al-is**, e - ნისკარტ-აკრომიონის cost-o-**chondr-al-is**, e - ნეკნ-ხრტილის

bulb-o-**urethr-al-is**, e - ბოლქვ-შარდსაწვეთის lacrim-o-**conch-al-is**, e - ცრემლ-ნიჟარის

3.5. ბერძნულ-ლათინურ ძირებზე ლათინურ სუფიქსდართული ტერმინები

იმ კომპოზიტებს, რომლებშიც თანმიმდევრობით იყო შეერთებული ლათინურ-ბერძნული ფუძეები, **-al** სუფიქსი იშვიათად დაერთვოდა. სამაგიეროდ, თითო-თითო გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, **-al (-ar)** სუფიქსი ძალზე ხშირად უერთდება ბერძნულ-ლათინურ რთულ სიტყვებს. ეს, ალბათ, იმითაც არის გამოწვეული, რომ **-al** სუფიქსი უშუალოდ ლათინურ სიტყვას დაერთვის. ის ხომ ლათინურ ზედსართავ სახელთა ძირითადი მაწარმოებელი დაბოლოებაა. მაგალითებიდან გამოჩნდება, რომ ბერძნულ ძირს საკმაოდ დიდი რაოდენობის ლათინური ძირი უკავშირდება. ამ თავისებურებით ის განსხვავდება ლათინურ-ბერძნულ ძირთა ნაერთისაგან. ბერძნული და ლათინური ფუძეები აქაც **-o-** კავშირის მეშვეობით უკავშირდება ერთმანეთს (გამონაკლისია bas-i).

thorac-o-lumb-al-is, e - **წელ-გულმკერდის** (NA), გულმკერდ-წელის(ნათიშვილი1976: 175)

pteryg-o-spin-**al-is**, e - **ფრაწვეტის** gastr-o-duoden-**al-is**, e - **კუჭ-თორმეტგოჯას**

hepat-o-ren -**al-is**, e - **ღვიძლ-თირკმლის** menisc-o-femor-**al-is**, e - **მენისკო-ბარძაყის**

gastr-o-lien-**al-is**, e - **კუჭ-ელენთის** sphen-o-front-**al-is**, e - **ძირითად-შუბლის**

sphen-o-maxill-**ar-is**, e - **ძირითად-ზედაყბის**

pteryg-o-maxill-**ar-is**, e - **ფრთა-ზედაყბის**

pteryg-o-mandibul-**ar-is**, e - **ფრთა-ქვედაყბის**

sphen-o-mandibul-**al**-is, e - ძირითად-ქვედაყბის

zygomatic-o-maxill-**ar**-is, e - ყვრიმალ-ზედაყბის

cardi-o-vascul-**ar**-is, e - გულ-სისხლძარღვთა

acromi-o-clavicul-ar**-is, e** - აკრომიონის (ნათიშვილი 1976: 142)

chori-o-capill-**ar**-is, e - სისხლძარღვ-კაპილარული

ეს მრავალრიცხოვანი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ბერძნულ-ლათინური კომპოზიტი **-al** (**-ar**) სუფიქსით გადმოიცემა ტირეთი შეერთებული ორი სიტყვით, რომელთაგან პირველი არის არსებითი სახელი ფუძით, რომელიც ბერძნული სიტყვის თარგმანია (გამონაკლისია **ძირითად** – ზედსართავი სახელი), ხოლო მეორე ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი, რომელიც მთლიანობაში არსებითი სახელის მსაზღვრელია. ზემოთ ნათქვამს თუ მივიღებთ მხედველობაში, ფრთაწვეტის პირველ მაგალითში ტირეთი უნდა დაიწეროს, ხოლო thoracolumbalis თარგმანიდან სწორი აღმოჩნდება პროფ. ნათიშვილის ვარიანტი – გულმკერდ-წელის. acromio-clavicularis კი შესწორდება როგორც აკრომიონ-ლავიწის. **სისხლძარღვთა** – თანხანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვაა. ერთადერთი მაგალითი, როცა მეორე სიტყვა ზედსართავი სახელია, არის კაპილარული. როგორც ამ ქვეთავის შესავალშივე ვთქვით, **-al** (**-ar**)-ის გარდა სხვა სუფიქსები იშვიათად უკავშირდება ბერძნულ-ლათინური ფუძეებით შეერთებულ რთულ სიტყვებს:

sphen-o-squam-**os**-us, a, um - ძირითად-ქიცვის

sphen-o-spinos-**os**-us, a, um - ძირითად-წვეტიანი

pteryg-o-palat-**in**-us, a, um - ფრთა-სასის

sphen-o-petr-**os**-us, a, um - ძირითად-კლდოვანი

sphen-o-palat-**in**-us, a, um - სოლისებრ-სასის (ნათიშვილი 1976: 101)

gastr-o-pancreat-**ic**-us, a, um - კუჭ-პანკრეასის

ამრიგად, **-in-** **-ic** და **-os** სუფიქსებიც ქართულად ძირითადად ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა. ზედსართავ სახელთა ფორმები *წვეტიანი* და *კლდოვანი* იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. sphen – ბერძნული ფუძე სოლისებრსაც ნიშნავს და ძირითადად, ამიტომ განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება.

თავი მეოთხე

ბერძნული აფიქსების მონაწილეობით შედგენილი ტერმინები

4.1. ბერძნული პრეფიქსით, ლათინური ძირითა და ლათინური სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები

ბერძნული პრეფიქსი შეიძლება შეუერთდეს ლათინურ ძირს, რომელიც, თავის მხრივ, ლათინური სუფიქსით არის ნაწარმოები. ჩვენი ინტერესების სფეროში შედის, თუ რამდენად აისახება ქართულ ტერმინში როგორც ბერძნული წინსართის, ასევე ლათინური ბოლოსართის მნიშვნელობა, ინარჩუნებს თუ არა ეს პრეფიქსები და სუფიქსები თავის ძირითად მნიშვნელობას ან გამოხატვის ფორმას იმასთან მიმართებაში, რა დატვირთვაც ჰქონდათ ამ აფიქსებს, როცა მხოლოდ თითოეული მათგანი ცალ–ცალკე მონაწილეობდა რთული სიტყვის წარმოებაში.

ბერძნული **a-** (**an-**) პრეფიქსი ლათინური ძირის საშუალებით სულ სხვადასხვა ლათინურ სუფიქსს უერთდება, თვითონ პრეფიქსი ყველგან ინარჩუნებს თავის ძირითად ფუნქციას და ითარგმნება **უ-** პრეფიქსით, ან სიტყვებით: **უქონლობა, მოცილება (მოშორება)**. სუფიქსების ფუნქციებს განვიხილავთ ცალ–ცალკე:

an-acid-itas, *atis f* - მარილმჟავას უქონლობა კუჭის წვენში (სუფიქსმა **-itas** გამოიწვია უქონლ–ობა–ში **-ობა** სუფიქსი, ასე რომ, მან თავისი დატვირთვა გაამართლა)

a-mot-io, *onis f* - მოცილება, მოშორება (**-io** სუფიქსის გამო ტერმინი ითარგმნება სახელზმნით, რაც **-io** სუფიქსის ქართულად გადმოცემის ძირითადი ფორმაა)

a-febr-il-is, *e* - უციებო, არაციების, რაც ციებით არ ხასიათდება (ცალკე **febr-il-is** ითარგმნებოდა როგორც ციების, **უ-** პრეფიქსმა გამოიწვია **-ო** სუფიქსის დართვა **უ-** ციებ–ო) ე.ი. ზედსართავი სახელი გადმოიცა ზედსართავით. სხვა სპეციფიური ფუნქცია **-il** სუფიქსს არა აქვს).

a-ptyal-ismus, *i m* - ნერწყვის გამოყოფის შეწყვეტა (**a-** პრეფიქსის ფუნქცია სრულად გამოჩნდა, **-ismus** კი აქ უბრალოდ დაავადებას ნიშნავს და მიდრეკილებას).

ბერძნული პრეფიქსი **anti-** ასევე სხვადასხვა სუფიქსიან ზედსართავ სახელებს უერთდება. მისი ძირითადი მნიშვნელობა **საწინააღმდეგო** ყველა თარგმანში

შენარჩუნებულია, ხოლო რაც შეეხება ლათინურ სუფიქსებს, ამ შემთხვევაში ისინი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ ტერმინის თარგმნისას:

anti-dolor-os-a /remedia/ n/pl. - ტკივილის **საწინააღმდეგო** (ტკივილგამაყუჩებელი – ალბათ ეს ფორმა სჯობს) საშუალებები

anti-scabi-os-a /remedia/ n/pl. - ქეცის **საწინააღმდეგო**

anti-convuls-iv-a /remedia/ n/pl. - კრუნჩხვის, ეპილევსიის **საწინააღმდეგო**

anti-bacteri-al-is - ანტიმიკრობული, მიკრობსაწინააღმდეგო

ბერძნული პრეფიქსი epi- ანატომიურ ტერმინოლოგიაში აღნიშნავს **ზედას** და ქართულ ტერმინშიც ხშირადაა ასახული. ასევე მისი ლათინურსუფიქსიან ფუძესთან შეერთებისას:

epi-dur-al-is, e - ტვინის მაგარი გარსის **ზემოთ** მდებარე (მოთავსებული შელია)

epi-fasci-al-is, e - ფასციის **ზემოთ** მდებარე

ლათინური სუფიქსები ამ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოდის. რაც შეეხება პრეფიქსს, როცა გამოიყენება **ზემოთ**, ცალკე იწერება, ხოლო **ზედა** წინა სიტყვასთან ერთად რთულ სიტყვას ქმნის.

ბერძნული პრეფიქსი hyper- აღნიშნავდა **გაძლიერებას, გაზრდას, მომატებას**. ამავე ფუნქციით მონაწილეობს ის ლათინურსუფიქსიან ტერმინშიც. ამ პრეფიქსის **-io** სუფიქსით დაბოლოებულ სახელთან შეერთების ორი შემთხვევა გვაქვს: 1. როცა ორივე აფიქსის ფუნქცია ტერმინში შენარჩუნებულია:

hyper-secret-io, onis f - სეკრეტის გაძლიერებული გამოყოფა ლორწოვანი გარსის მიერ (გაძლიერებული შეესაბამება **hyper-**ს, ხოლო სახელზემნა გამოყოფა **-io** სუფიქსს)

hyper-ventilat-io, onis f - ფილტვების გაძლიერებული ვენტილაცია (**hyper-**ითარგმნა როგორც **გაძლიერებული**, **-io** სუფიქსი კი – როგორც **ვენტილაცია**)

2. როცა ორივე აფიქსის ფუნქციის ზუსტი გადმოცემა ერთმა სიტყვამ, კერძოდ, სახელზემნამ იტვირთა:

hyper-pigmentat-io, onis f - ნორმალური პიგმენტის შემცველობის მომატება (მომატება **hyper-**საც შეესაბამება შინაარსით, ხოლო ფორმით **-io** სუფიქსს, როგორც სახელზემნა)

hyper-salivat-io, onis f - სანერწყვე ჯირკვლების სეკრეციის გაზრდა (ასევე გაზრდაც, **hyper-** პრეფიქსის ფუნქციას გამოხატავს შინაარსობრივად, ხოლო **io-** სუფიქსისას – ფორმით – სახელზმნით)

ამ ტერმინში კი **hyper-acid-itas**, atis f - კუჭის წვენის აწეული მჟავიანობა, ორივე აფიქსის ფუნქციები დაკონკრეტებულია: **აწეული hyper-**ის შესაბამისია, ხოლო მჟავიანობა – თავისი აბსტრაქტული სახელის მაწარმოებელი **-ობა** სუფიქსით **-itas** ფარდია.

ახლა ვნახოთ, როგორ არის საქმე იმ **hyper-** პრეფიქსიან ტერმინებში, რომლებიც – **ismus** სუფიქსით ბოლოვდება. **-ismus**-ის 2 მნიშვნელობიდან აქ იგი ავადმყოფურ მდგომარეობას გამოხატავს, მაგრამ როგორ აისახება ეს ქართულ თარგმანში:

hyper-adrenal-ismus, i m - ავადმყოფური მდგომარეობა, გამოწვეული ადრენალინის **გაძლიერებული** გამოყოფით

hyper-insulin-ismus, i n - ინსულინის **გადაჭარბებული** წარმოქმნა

hyper- პრეფიქსის ფუნქცია ორივე ტერმინში სრულყოფილად არის გამოხატული, **-ismus** კი უბრალოდ ავადმყოფობას აღნიშნავს და არა ავადმყოფურ მიდრეკილებას.

hypo- პრეფიქსით ნაწარმოები ტერმინიც, როცა **-ismus** სუფიქსით ბოლოვდება, ავადმყოფურ მდგომარეობას გამოხატავს:

hypo-pituitar-ismus, i m - ჰიპოფიზის წინა წილის ფუნქციის მოშლით გამოწვეული მდგომარეობა

მეორე ტერმინში კი **hypo-** პრეფიქსისა და **-io** სუფიქსის ფუნქცია ერთი სიტყვით გამოიხატება – **დაწევა** – ე.ი. შინაარსითა და ფორმით

hypo-tens-io, onis f - წნევის დაწევა

mes- პრეფიქსი, ისე როგორც ბერძნულ სიტყვასთან, აქაც იხმარება როგორც ჯორჯალი

mes-ov-ari-um, i n - საკვერცხის ჯორჯალი

poly- მრავალს ნაშნავს, **nucle-ar-is**, e კი – ბირთვიანს, ასე რომ, ახალი ტერმინი ზუსტად მათი უშუალო შეერთებით მიიღება

poly-nucle-ar-is, e - მრავალბირთვიანი

ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ორივე აფიქსის მნიშვნელობა სწორხაზობრივად

არის გამოხატული ქართულ თარგმანში: ქართული ტერმინიც ერთსიტყვიანი და მტვირთველია ყველა ფუნქციისა, რასაც ლათინური გადმოსცემს – მასავით მოხერხებულია.

პრეფიქსი **para-** ლათინურ ძირთან შეერთებისას ანატომიურ ტერმინოლოგიაში მხოლოდ მის ერთადერთ (მრავალთაგან) ფუნქციას გამოხატავს – **ახლო**, რომელიც წინა ქართულ სიტყვასთან კომპოზიტს ქმნის:

para-aort-ic-us, a, um - აორტის**ახლო** **para-col-ic-us, a, um** - კოლინჯის**ახლო**

para-duoden-al-is, e - თორმეტგოჯას**ახლო**

para-stern-al-is, e - მკერდის**ახლო**, მკერდის ძვლის **გვერდით** მდებარე (შელია 1979: 157)

para-umbil-ic-al-is, e - ჭიპის**ახლო**, ჭიპის **ახლოს** მდებარე (შელია 1979: 157)

para-ventr-i-cul-ar-is, e - პარკუჭ**ახლო** (პარავენტრიკულური ნათიშვილი 1976: 177)

para-centr-al-is, e - პარაცენტრალური

ბოლო ტერმინებთან ლათინური სიტყვების ხმარება ალბათ, ზედმეტია: პარაცენტრალური შეიძლება შეიცვალოს სიტყვით *ცენტრთანახლო*. რაც შეეხება ლათინურ სუფიქსებს **-ic, -al, -ar**, ისინი აქ ნათესაობითი ბრუნვით გადმოიცემა სიტყვის პირველი ნაწილით.

ტერმინი **para-termin-al-is, e** თარგმნილია როგორც *განაპირა*. განაპირა არის **termin-al-is, e**, ამიტომ აუცილებლად უნდა იყოს ასახული **para-** პრეფიქსის მნიშვნელობა – **ახლო**. ასე რომ, **para-termin-al-is** იქნება *ნაპირთანახლო* (იმავეს გამოხატავს რუსული თარგმანი *ОКОЛОКОНЕЧНЫЙ*).

4.2. ბერძნული პრეფიქსით, ბერძნული ძირითა და ლათინური სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები

ბერძნული პრეფიქსით შეერთებულ ბერძნულ ძირს ხშირად უკავშირდება ლათინური სუფიქსი. როგორ აისახება ერთ ტერმინში ორი განსხვავებული ენის აფიქსები, რომლის მნიშვნელობაა დომინანტური და როგორ სჯობს გადმოვიდეს ის ქართულად, რა საშუალებებს გვთავაზობს ქართული ტერმინი ამის გამოსახატავად. აი, ეს გვინდა ვაჩვენოთ ქვემოთმოყვანილი მაგალითებით.

ერთ–ერთი ხშირად ხმარებული პრეფიქსი, რომელიც ლათინურსუფიქსიან ბერძნულ ძირს უკავშირდება, არის **anti-**, რომელიც წინათ განხილულ შემთხვევებში გადმოიცემოდა, როგორც **საწინააღმდეგო**. ის მაგალითები, რომლებსაც ახლა წარმოვადგენთ, ლათინურში **-ic** სუფიქსით ბოლოვდება. ქართულში კი ის ნათესაობითი ბრუნვით გადმოიცემა, ან პირველი სიტყვა ფუძით უერთდება **საწინააღმდეგოს** და მიიღება რთული სიტყვა:

anti-asthat-ic-a, orum /remedia/ n/pl. - ასთმის **საწინააღმდეგო** საშუალებები

anti-diabet-ic-a, orum /remedia/ n/pl. - დიაბეტის **საწინააღმდეგო** საშუალებები

anti-alg-ic-a, orum /remedia/ n/pl. - ტკივილ**საწინააღმდეგო** საშუალებები, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები

anti-neuralg-ic-a, orum /remedia/ n/pl. - ნევრალგიის **საწინააღმდეგო** საშუალებები, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები

რა თქმა უნდა, ტკივილგამაყუჩებელის ხმარება სჯობს, ვიდრე მათი პირველი ვარიანტებისა.

ყველა ტერმინი, რომლებშიც **peri-** პრეფიქსი შეერთებულია ბერძნულდაბოლოებიან ლათინურ ფუძესთან, ანატომიურია. **peri-**ს პირდაპირი თარგმანი, როგორც **ირგვლივი**, მხოლოდ სამ ტერმინში ჩანს:

peri-ventricul-ar-is, e - კუჭის **ირგვლივი** (**ირგვლივ** მდებარე – შელია 1979: 162)

peri-arteri-al-is, e - არტერიის **ირგვლივი** (**-al** სუფიქსის მნიშვნელობას ამ შემთხვევაში პირველი სიტყვა – არტერიის – გამოხატავს)

peri-vascul-ar-is, e - სისხლძარღვის **ირგვლივი** (**ირგვლივ** მდებარე – შელია)

სხვა შემთხვევებში **peri-** პირდაპირ ლათინურად გადმოდის:

peri-cardiaco-phren-ic-us, a, um - პერიკარდიუმ–შუასაძგიდის

peri-cardi-ac-us, a, um - პერიკარდიუმი (გულის პერანგის)

peri-labyrinth-ic-us, a, um - პერილაბირინთული

peri-tendin-e-um, i n - პერიტენდინეუმი, მყესის საერთო შემაერთებელქსოვილოვანი გარსი (შელია 1979: 162)

peri-ventricul-ar-is, e - პერივენტრიკულური (ნათიშვილი 1976: 136).

რა თქმა უნდა, როგორც ეს ბოლო მაგალითიდან ჩანს, სხვა ტერმინებიც შეიძლება

ქართული სიტყვებით გადმოიცეს. ქვემოთმოყვანილი მაგალითებიც ამას გვიდასტურებს:

peri-ne-al-is, e - შორისული **peri-toneo-peri-neal-is, e** - პერიტონეუმ-შორისულის

(როცა ლათინურ სიტყვას **-ic, -ac** და **-al** სუფიქსები დაერთვის, მათ **ნათესაობითი ბრუნვა** ან **-ულ** სუფიქსი გამოხატავს).

როგორც წინა მაგალითებიდან დავნახეთ, **hyper-** პრეფიქსი ყველა შემთხვევაში ინარჩუნებდა თავის გამოხატვის შინაარსსა და ფორმას. ასე იქნება იმ ნიმუშებშიც, რომლებსაც ქვემოთ მოვიყვანთ:

hyper-ton-ic-us, a, um - ჰიპერტონიული, მაღალი წნევის

hyper-troph-ic-us, a, um - ჰიპერტროფული, მოცულობაში გაზრდილი ქსოვილი ან ორგანო

hyper-aem-ic-us, a, um - ჰიპერემიული, სისხლჭარბი, ჭარბსისხლიანი, სისხლით გადავსებული

ყველა შემთხვევაში ფიგურირებს ლათინური **-ic** სუფიქსი, რომელიც პირველ მაგალითში **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმით გამოიხატა, ხოლო შემდეგ მაგალითებში **გაზრდილი, ჭარბი, სისხლიანი, გადავსებული** იტვირთავს მისი შინაარსის გადმოცემას.

პრეფიქსი hypo- ჩვენ მიერ განხილული მაგალითების უმრავლესობაში გამოიყენება მისი მეორე მნიშვნელობით, რომელიც აღნიშნავს **ქვეშ, ქვედა**:

hypo-chondri-ac-us, a, um - ფერდქვეშა **hypo-derm-ic-us, a, um** - კანქვეშა

hypo-thalam-ic-us, a, um - ბორცვქვეშა **hypo-gastr-ic-us, a, um** - მუცლის ქვედა მიდამო

-ic და **-ac** სუფიქსები ნათესაობითი ბრუნვის ფორმით უნდა იყოს გადმოცემული, მაგრამ არ ჩანს (გარდა ბოლო შემთხვევისა). ამ სიტუაციაში ეს რთული სიტყვები უფრო მოსახერხებელია ტერმინისათვის, ვიდრე ასეთი ფორმები: ფერდის ქვეშა, რომელშიც სუფიქსის ფუნქციაც კონკრეტულად დაფიქსირდებოდა:

hypo-phys-ari-us, a, um - ჰიპოფიზის **hypo-phys-i-al-is, e** -ჰიპოფიზის

hypo-stat-ic-us, a, um - ჰიპოსტატიკური (ჰიპოსტაზით გამოწვეული. **hypo-** ამ ტერმინებში ლათინურად მეორდება, ხოლო **-ari** და **-al** სუფიქსები ქართულად ნათესაობითი ბრუნვით გადმოიცემა, **-ic** სუფიქსი კი _ ქართული **-ურით**)

hypo-ton-ic-us, a, um - დაბალი წნევის

ამ მაგალითში **hypo-** თავისი ძირითადი ფუნქციით ითარგმნება, ხოლო **-ic** სუფიქსი ასევე ჩვეული ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.

პრეფიქსი mes- ითარგმნება როგორც **შუა** ან **ჯორჯალი**, ხოლო **ic-** სუფიქსი – ისევე **ნათესაობითი ბრუნვის** საშუალებით:

mes-en-cephal-ic-us, a, um - **შუა ტვინის (შუატვინის ნათიშვილი 1976: 174)**

meso-neph-ic-us, a, um - **შუათირკმლის (თირკმელებსშუა)**

mes-enter-ic-us, a, um - **ნაწლავის ჯორჯალის**

ტერმინ **meta-tarsus**-ზე უკვე გვექონდა საუბარი, ხოლო როცა მას **-al** სუფიქსი დაერთვის, ნათესაობითი ბრუნვის ფორმით ითარგმნება.

პრეფიქსი sym- ქვემოთმოყვანილ ტერმინებში პირდაპირ გადმოდის, **-ic** და **-al** სუფიქსები კი – ქართული – **ურ** დაბოლოებით:

sym-path -ic-us, a, um - **სიმპათიკური**

sym-physi-al-is, e - **სიმფიზური (NA 1976: 41 შეზრდის)**

პრეფიქსი ec-, რომელიც **გამოყოფას, მოცილებას** ნიშნავს, კარგად ავლენს ამ მნიშვნელობას ტერმინში

ec-top-ic-us, a, um - **თავისი ადგილიდან გადაადგილებული**

დაბოლოება **-ული** კი **-ic** სუფიქსს შეესაბამება.

ბერძნული პრეფიქსებიდან **epi-** ყველაზე ხშირად უერთდება ლათინურსუფიქსიან ბერძნულ ფუძეს. როგორც ლათინურ ფუძესთან შეერთებისას, აქაც ხშირად იხმარება თავისი პირდაპირი შინაარსით – **ზედა**, რომელიც, წინა მაგალითების მსგავსად, ქართულ სიტყვასთან კომპოზიტს ქმნის):

epi-gastr-ic-us, a, um - **მუცელზედა** **epi-tympan-ic-us, a, um** – **დაფისზედა**

epi-scler-al-is, e - **სკლერისზედა, ეპისკლერული**

სუფიქსები ამ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოდის. რაც შეეხება ქვემოთმოყვანილ მაგალითებს, იქ **epi-**ს მნიშვნელობა არ ჩანს, რადგანაც თვითონ ლათინურ სიტყვას დაერთვის, **-al** და **-ic** სუფიქსების შესაბამისი დაბოლოება კი არის **-ური (-ული)**, როგორც ბოლო ტერმინის მეორე თარგმანი იყო:

epi-dem-ic-us, a, um - **ეპიდემიური** **epi-theli-al-is, e** - **ეპითელური**

ბოლოს მოვიტოვეთ ის მაგალითები, რომლებშიც **epi-**ს მნიშვნელობა გამოკვეთილი არ არის, **-ic** და **-al** სუფიქსები კი ნათესაობითი ბრუნვის ფორმებითაა გადმოცემული:

epi-glott-ic-us, a, um - ხორხსარქველის, ხორხსარქველის (შელია 1979: 72)

epi-plo-ic-us, a, um - დიდი ბადექონის **epi-phys-i-al-is**, e - ეპიფიზის

meta-carpus-, როგორც **meta-** პრეფიქსით წარმოებულ სიტყვებთან აღვნიშნეთ, ნიშნავს **ნებს**. მისგან **-e** სუფიქსი აწარმოებს ზედსართავ სახელს, რომელიც ქართულად ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა:

meta-carp-e-us, a, um - ნების

პრეფიქსი **meta-** ორ ბერძნულ ფუძესაც უერთდება, მაგრამ აქაც, ზემოთმოყვანილი მაგალითის მსგავსად, **meta-**ს ფუნქცია ქართულ თარგმანში პირდაპირ არ აისახება, **e-** სუფიქსი კი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა:

meta-carp-o-phalang-e-us, a, um - ნებ-ფალანგის (ნათიშვილი 1976: 146)

meta-tars-o-phalang-e-us, a, um - წინატერფ-ფალანგის

პრეფიქსი **a-** (**an-**) ბერძნული ფუძის საშუალებით **-ic** სუფიქსს უერთდება და ორივე აფიქსის გადმოცემის ფორმები ქართულში დაცულია (**a-** პრეფიქსი **უ-**, **არა** – პრეფიქსებით და ნაკლებობით გამოიხატება, **-ic** სუფიქსი კი **-ური** (**-ული**) ან **უ-ო** დაბოლოებით):

an-hydr-ic-us, a, um - უწყლო

an-plast-ic-us, a, um - არაპლასტიკური

an-aem-ic-us, a, um - ანემიური, სისხლნაკლები

პრეფიქსი **par-** ისეთ ბერძნულ სიტყვებს უკავშირდება, რომ მისი პირდაპირი მნიშვნელობა თარგმანში არ ჩანს, **-ic** და **-e** სუფიქსები ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა, ერთ შემთხვევაში კი **ic-** სუფიქსს **სა-ი** მაწარმოებელი შეესაბამება:

par-otid-e-us, a, um - ყბაყურა ჯირკვლის

par-otide-o-masseter-ic-us, a, um - ყბაყურა-სადეჭი

აღსანიშნავია, რომ აქ ბერძნულ პრეფიქსს 2 ლათინური სიტყვა უკავშირდება, რაც შეეხება მესამე მაგალითს, აქ **para-** თავისი უშუალო მნიშვნელობით ითარგმნება – **გარშემო**:

para-mesonephr-ic-us, a, um - შუათირკმლის (მეზონეფროსის) **გარშემო**

პრეფიქსი **endo-** ნიშნავს **შიგნით**. იმავე მნიშვნელობით გადმოიცემა ამჯერადაც, **-ic**

სუფიქსი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითა და **-ური** სუფიქსით:

endo-thorac-ic-us, a, um - გულმკერდის შიგნითა (ნათიშვილი 1976: 220),
გულმკერდის შიგნით მდებარე (შელია 1979: 71)

endo-lymphat-ic-us, a, um - ენდოლიმფური, შიგნითა ყურის აპკისებრი
ლაბირინთის შიგთავსი

dia- პრეფიქსის მნიშვნელობა ქვემოთმოყვანილი ტერმინების ქართულ თარგმანში არ ჩანს, **-ic** სუფიქსი კი თავის ფუნქციას ან **-ული** სუფიქსით, ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გამოხატავს:

dia-phragmat-ic-us, a, um - დიაფრაგმული, შუასაძგიდის

dia-phoret-ic-a, orum /remedia/ n.pl. - ოფლმდენი საშუალებები

apo-neurosis, is f - მეეს ნიშნავს. როცა მას **-ic** სუფიქსი დაერთვის, აწარმოებს ზედსართავ სახელს **-ოვანი** ქონების აღმნიშვნელი დაბოლოებით:

apo-neurot-ic-us, a um - მეესოვანი

iso- პრეფიქსი თანაბარს აღნიშნავს, ან ერთნაირს, **ic-** სუფიქსი კი ტერმინს ზედსართავი სახელის ფორმას აძლევს:

iso-ton-ic-us, a um - ერთნაირწნევიანი (ნ.ა.)

ასევე diastole-ს მნიშვნელობას მხოლოდ ნიუანსობრივად ცვლიან პრეფიქსი **protos** – პირველი და სუფიქსი **-ic**, რომელიც თარგმანს ზედსართავი სახელის ფორმას აძლევს:

proto-diastol-ic-us, a, um - პროტოდიასტოლური, დიასტოლის პირველი ფაზისთვის დამახასიათებელი

idio- საკუთარს ნიშნავს და მთლიანი ტერმინიც ასე ითარგმნება, ზედსართავი სახელის ფორმით:

idio-path-ic-us, a, um - საკუთარი, დამოუკიდებელი, გარეგანი მიზეზების გარეშე წარმოშობილი

auto- ნიშნავს თვითონ, **-io** სუფიქსით ნაწარმოები არსებითი სახელები კი ქართულად სახელზმნით გადმოდის ისე, რომ ერთ ქართულ ტერმინში ორივე აფიქსისა და ფუძის მნიშვნელობა ძალიან მოხერხებულად გამოიხატა:

auto-intoxicat-io, onis f - თვითმოწამვლა

ამრიგად, ბერძნულ პრეფიქსთან ბერძნული ფუძისა და სუფიქსის შეერთებით

არაერთგვაროვან სურათს ვიღებთ. ძირითადი დატვირთვა მაინც პრეფიქსზე მოდის, ის უმრავლეს შემთხვევაში თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს.

4.3. ბერძნული ძირითა და ბერძნული სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები

ბერძნულ პრეფიქსებთან შედარებით, ბერძნულ სუფიქსთა რაოდენობა, რომლებიც ტერმინთა წარმოქმნაში მონაწილეობენ, ძალიან მცირეა, სულ ხუთი სუფიქსი. აქედან ოთხი არსებით სახელს წარმოქმნის, ერთი კი – ზედსართავს.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინების საწარმოებლად გამოყენებულ სუფიქსებს მეტი აზრობრივი მნიშვნელობა ეძლევათ, ვიდრე სუფიქსებს ზოგადსალიტერატურო ენაში, ისინი მცირე გამონაკლისის გარდა, არასაკმარის ინფორმაციას შეიცავს და კლინიკურ ტერმინოლოგიაში ხშირად არ შეუძლიათ შეასრულონ ტერმინის განმაზოგადებელი კომპონენტების როლი, კომპონენტებისა, რომლებიც განსაზღვრავენ ტერმინის ადგილს ტერმინოლოგიურ სისტემაში. სუფიქსების უმეტესობა მრავალმნიშვნელოვანია: ისინი ინარჩუნებენ იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვთ ზოგადსალიტერატურო ენაში, და, გარდა ამისა, ზოგჯერ ვიწრო სპეციფიურ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობასაც შეიცავს. ხშირ შემთხვევაში სუფიქსის ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას არაფერი აქვს საერთო ზოგადსალიტერატურო სიტყვის მნიშვნელობასთან. ასე მაგალითად, სიტყვიდან *morbis, i m* - დაავადება, კნინობითი სუფიქსის - *ill*-ის მეშვეობით იწარმოება ინფექციური დაავადების სახელწოდება *morbilli, orum m* - წითელა, *Pupa, ae f* ნიშნავს თოჯინას, კნინობითი სუფიქსის -*ill*-ის მეშვეობით იწარმოება სიტყვა *pupilla, ae f* - პატარა თოჯინა. ასე უწოდებენ პატარა ჩაცმულ თოჯინას, რომელსაც რომელი ქალიშვილის სრულწლოვანების ასაკის მიღწევისას სიყვარულის ქალღმერთ ვენერას მიუძღვნიდნენ ხოლმე. ეს სიტყვა ეწოდა თვალის გუგას, ვინაიდან მასში მცირე ზომით აისახება ჩვენი თანამოსაუბრე. ამგვარად, სუფიქსი სიტყვაში არსებობდა მის ტერმინად ქცევამდე და ამიტომ მისთვის სპეციფიური მნიშვნელობა არ მიუცია.

ის სუფიქსები, რომლებიც მხოლოდ კლინიკური ტერმინოლოგიისათვისაა სპეციფიური და მკაფიოდ გამოხატული ტერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვთ,

საკმაოდ იშვიათად გვხვდება, მაგრამ სიტყვაწარმოებისათვის დიდად პერსპექტიულია. კლინიკური ტერმინოლოგიის ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული სუფიქსია – **itis**, **itidis f**. ფრანგმა ექიმმა ფრანსუა სოვაჟმა მე–18 საუკუნის შუა ხანებში ეს ბერძნული წარმოშობის მდებრობითი სქესის ზედსართავი სახელების სუფიქსი გამოიყენა ტერმინ **peritonitis**–ის შესაქმნელად. შემდეგ 1800 წელს აწარმოეს ტერმინი **bronchitis**. მას შემდეგ ეს სუფიქსი ყველაზე პროდუქტიული გახდა კლინიკურ ტერმინოლოგიაში, მან წარმოქმნა ანთებით დაავადებათა სახელწოდებების მიკროსისტემა.

თანამედროვე კლინიკური ტერმინოლოგიის სუფიქსთა უმეტესობა მოითხოვს მათი აზრობრივი დატვირთვის სისტემატიზაციისა და თანმიმდევრულობის შესწავლას.

სუფიქსი –itis უერთდება არსებითი სახელის ფუძეს, კერძოდ, რომელიმე ორგანოს სახელწოდებას და აწარმოებს III ბრუნების მდებრობითი სქესის არათანაბარმარცვლოვან არსებით სახელებს, რომლებიც ანთებით პროცესებს აღნიშნავენ, როგორც წესი, **-itis** სუფიქსი ორგანოების ბერძნულ სახელწოდებებს დაერთვის და ქართულად ითარგმნება როგორც სხეულის ამ ნაწილის ანთება:

angi-itis, tidis f - სისხლძარღვის ანთება **arteri-itis, tidis f** - არტერიის ანთება

arthr-itis, tidis f - სახსრების ანთება **bronch-itis, tidis f** - ბრონქების ანთება

cheil-itis, tidis f - ბაგის ანთება **chondr-itis, tidis f** - ხრტილის ანთება

dermat-itis, tidis f - კანის ანთება **encephal-itis, tidis f** - თავის ტვინის ანთება

ზოგჯერ ორგანოს სახელწოდება ბერძნულ ტერმინში სრულად არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ქართულად მაინც სრული სახით ხდება მისი წარმოდგენა:

amygdal-itis, tidis f - ნუშისებრი ჯირკვლის ანთება /**amygdala** – ნუში/

coronar-itis, tidis f - გვირგვინოვანი არტერიის ანთება /**coronarius** – გვირგვინოვანი/

cycl-itis, tidis f - თვალის წამწამოვანი სხეულის ანთება /**cyclus** – წრე; თვალი/

ethmoid-itis, tidis f - ცხავისებრი ძვლების ლორწოვანი გარსის ანთება /**ethmoidalis** – ცხავისებრი/

იშვიათ შემთხვევაში **–itis** სუფიქსი ორგანოს ლათინურ სახელწოდებასაც შეიძლება შეუერთდეს და იმავე ტიპის ტერმინი აწარმოოს:

front-itis, tidis f - შუბლის ანთება

pector-itis, tidis f - მკერდის ანთება

სუფიქსი **-იტის** უერთდება აგრეთვე ორ ბერძნულ ფუძეს, რომლებიც, როგორც წესი, ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებული შინაარსობრივად:

dacry-o-aden-**itis**, tidis f - საცრემლე ჯირკვლების **ანთება**

hidr-aden-**itis**, tidis f - საოფლე ჯირკვლების **ანთება**

chole-cyst-**itis**, tidis f - ნაღვლის ბუშტის **ანთება**

poly-o-myel-**itis**, tidis f - ზურგის ტვინის რუხი ნივთიერებების **ანთება**

angi-o-chole-cyst-**itis**, tidis f - ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების **ანთება**

ბოლო ტერმინში სამი ბერძნული ფუძეა შეერთებული.

ბერძნული სუფიქსი –osis უკავშირდება არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს III ბრუნების მდებარეობითი სქესის თანაბარმარცვლოვან არსებით სახელებს, რომლებიც არაანთებითი ხასიათის დაავადებებს აღნიშნავს. თუ **-itis** სუფიქსი მარტივად გადმოიცემოდა ქართული სიტყვით **ანთება**, აქ ერთიანი ქართული ტერმინი არ არსებობს. ხშირად გამოიყენება სიტყვები **დაავადება**, **ავადმყოფობა**, **პათოლოგია** და სხვა ისეთი სიტყვები, რომლებიც დაავადების კონკრეტულ ფორმაზე მიუთითებს:

myc-**osis**, is f - სოკოვანი **დაავადება**

nephr-**osis**, is f - თირკმლის მილაკების დეგენერაციული **დაავადება**

cirr-**osis**, is f - ციროზი, ღვიძლის **დაავადება**

ornith-**osis**, is f - ვირუსული **ავადმყოფობა**, რომელსაც ჩიტები ავრცელებენ

cheil-**osis**, is f - პათოლოგიური **დაავადება** ბაგის არეში

lim-**osis**, is f - არანორმალური მადა

hyalin-**osis**, is f - მინისებური სხეულის გადაგვარება

scoli-**osis**, is f - ხერხემლის გვერდული გამრუდება

ზოგიერთ შემთხვევაში –ოსის სუფიქსიანი ბერძნული სახელი პირდაპირ ლათინური ან ერთი ქართული სიტყვითაც შეიძლება გადმოვიდეს:

narc-**osis**, is f - ნარკოზი, ჩაძინება

necr-**osis**, is f - ნეკროზი, კვდომა

-osis სუფიქსით თავდება ბევრი ისეთი ბერძნული სიტყვა, რომლებიც თვითონ გამოიყენება ტერმინოლემენტებად, ამიტომ მათ ცალკე შევსებით.

3. **სუფიქსი –oma** ასევე ორგანოს აღმნიშვნელ ბერძნული არსებითი სახელის ფუძეს

დაერთვის და მისგან აწარმოებს III ბრუნების საშუალო სქესის არსებით სახელს, რომელიც აღნიშნავს **სიმსივნეს**. ამ სიტყვას ორგანოს სახელწოდების გარდა ხშირად ახლავს ზედსართავი **კეთილთვისებიანი** ან **ავთვისებიანი**, მიუხედავად იმისა, რომ –**oma** სუფიქსი კონკრეტულად ამ თვისებას არ განასხვავებს:

aden-oma, atis n - **სიმსივნე** (ძირითადად კეთილთვისებიანი), რომელიც ჯირკვლის ეპითელიუმიდან მომდინარეობს

carcin-oma, atis n - ათვისებიანი **სიმსივნე**

cyst-oma, atis n - შარდის ბუშტის **სიმსივნე**

dermat-oma, atis n - კანის **სიმსივნე**

aden-o-carcin-oma, atis n - ჯირკვლოვანი **სიმსივნე**

–**oma** სუფიქსი ბოლო მაგალითში ორ ბერძნულ ფუძესთან არის შეერთებული. ამ სუფიქსმა ზოგჯერ შეიძლება აღნიშნოს არა სიმსივნე, არამედ კისტა ან სხვა დაავადება:

dacry-oma, atis n - საცრემლე ჯირკვალში განვითარებული კისტა

steat-oma, atis n - ცხიმოვანი მასა, ცხიმოვანი კისტა ცხიმოვან ჯირკვალში

glauco-oma, atis n - შიდათვალის წნევის აწევა

ბერძნული სუფიქსი –iasis უერთდება არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს III ბრუნების მდედრობითი სქესის თანაბარმარცვლიან არსებით სახელებს, რომლებიც აღნიშნავს არაანთებითი ხასიათის დაავადებებს, ან ავადმყოფობის ნიშნებს. სუფიქსი უერთდება როგორც ერთ, ისე ორ ბერძნულ ფუძეს:

amoeb-iasis, is f - მსხვილი ნაწლავის დაავადება

chole-lith-iasis, is f - ნაღვლის ბუშტში ქვების არსებობა

psor-iasis, is f - პსორიაზი, კანის ქრონიკული დაავადება, რომელიც ხასიათდება ქავილით და წვრილი ვარდისფერი კვანძებით

leont-iasis, is f - ლომის სახე (კეთრის ნიშანი)

ბერძნული სუფიქსი –oide დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და აწარმოებს I და II ბრუნების ზედსართავ სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ მსგავსებას. როგორც წესი, აღნიშნული სუფიქსი ბერძნულ ფუძეებს დაერთვის და ქართულად მას ყველაზე ხშირად გადმოსცემს სუფიქსი –**ებრი**, რომელიც ზუსტად ბერძნული დაბოლოების ადეკვატურია და **მსგავსებას** ნიშნავს:

aden-**oide**-us, a, um - ჯირკვლისებრი amygdal-**oide**-us, a, um - ნუშისებრი

arachn-**oide**-us, a, um - აბლაბუდისებრი aryten-**oide**-us, a, um - ციცხვისებრი

condyl-**oide**-us, a, um - როკისებრი con-**oide**-us, a, um - კონუსისებრი

ასევეა გადმოტანილი ეს სუფიქსი ლათინურ სიტყვასთანაც bulb-**oide**-us, a, um - ბოლქვისებრი.

გარდა ამ ზუსტად შერჩეული ქართული ეკვივალენტისა –ებრი, გამოიყება სხვა ქართული სუფიქსებიც, ზოგჯერ ერთსა და იმავე ლათინურ სიტყვასთან. ესენია: –ური, –ოიდური, –ილი და ნათესაობითი ბრუნვაც კი. ეს ვარიანტები ზოგჯერ იმავე ავტორებთანაც კი გვხვდება:

cub-**oide**-us, a, um - კუბური sessam-**oide**-us, a, um - სესამური (NA 1979: 39)

ellips-**oide**-us, a, um - ელიფსური (ნათიშვილი 1976: 136), ელიფსოიდური (ნათიშვილი 1976: 137)

sigm-**oide**-us, a, um - სიგმოიდური lambd-**oide**-us, a, um - ლამბდოიდური

chori-**oide**-us, a, um - სისხლძარღვთა წნულის (ნათიშვილი 1976: 107)

clin-**oide**-us, a, um - დახრილი (ნათიშვილი 1976: 86; შელია 1979: 46)

ალბათ ყველა ამ ტერმინის თარგმანში შეგვეძლო გვეხმარა ქართული –ებრ სუფიქსი. განსაკუთრებით გასასწორებელია ის ქართული ვარიანტი, რომლებშიც ბერძნული სუფიქსი –oid და ქართული –ური ერთდროულად დაერთვის ფუძეს. რა თქმა უნდა, ეს აშკარა შეცდომაა და არც მის გამამართლებელ რაიმე საბუთსაც ვერ ვხედავთ, გარდა გაუგებრობისა.

oide სუფიქსი უერთდება აგრეთვე ორ ბერძნულ ფუძეს. რა ვითარება გვაქვს ამ შემთხვევაში? უნდა ითქვას, რომ თუ ერთი ბერძნული ფუძიდან ნაწარმოები ზედსართავი ძირითადად –ებრ სუფიქსით გადმოიცემოდა და განსხვავებული ქართული ვარიანტი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გვქონდა (ამითაა გამოწვეული ჩვენ მიერ მრავალრიცხოვანი მაგალითების მოხმობა, რომ პროცენტულ თანაფარდობაზე საუბარი შეგვძლებოდა), ორ ბერძნულ ფუძესთან –oide სუფიქსის შეერთებისას ქართულ სუფიქსთა ვარიანტები რიცხობრივად თანაბრდება:

cric-o-aryten-**oide**-us, a, um - ბექდ–ციცხვისებრი (ნათიშვილი 1976: 283)

cric-o-thyr-**oide**-us, a, um - ბექდ–ფარისებრი (ნათიშვილი 1976: 283)

sterno-thyr-**oide**-us, a, um - მკერდ-ფარისებრი (ნათიშვილი 1976: 167)

ქვემოთჩამოთვლილ მაგალითებში კი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა დომინირებს ქართულ თარგმანში:

cerat-o-cric-**oide**-us, a, um - ბეჭდ-რქოვანას

genio-hy-**oide**-us, a, um - ნიკაპ-ინის (ნათიშვილი 1976: 167)

omo-hy-**oide**-us, a, um - ბეჭ-ინის (ნათიშვილი 1976: 167)

thyr-o-aryten-**oide**-us, a, um - ფარ-ციცხვის

გვაქვს პარალელური ფორმებიც, როცა ერთი და იგივე ლათინური ტერმინი ქართულად სხვადასხვანაირად იხმარება თვით ერთსა და იმავე ავტორთანაც კი:

myl-o-hy-**oide**-us, a, um - ქვედაყბა-ინისებრი (linea), ყბა-ინისებრი (NA 1979: 36-57, ნათიშვილი 1976: 167), ქვედაყბა-ინისებრი (ნათიშვილი 1976: 103 linea)

tympan-o-mast-**oide**-us, a, um - დაფ-დვრილის, დაფ-დვრილისებრი (ნათიშვილი 1976: 96 fissura)

ასევე ორი ვარიანტი გვხვდება თარგმანში, როცა **-oide** სუფიქსი სამ ბერძნულ ფუძესთან არის შეერთებული:

sterno-cleido-mast-**oide**-us, a, um - მკერდ-ლავიწ-დვრილის, მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი (ნათიშვილი 1976: 166)

-oide სუფიქსიანი ბერძნული ტერმინი ზოგჯერ ლათინურ ძირსაც უერთდება. ამ შემთხვევაში **-oide** სუფიქსის ფუნქცია, მართალია, არ იცვლება, მაგრამ მის გადმოსაცემად თითქმის თანაბრად გამოიყენება (როგორც მაგალითებიდან ჩანს) **ნათესაობითი ბრუნვის ფორმა**, სუფიქსები **-ებრი** და **-ური**:

squam-os-o-mast-**oide**-us, a, um - ქიცვ-დვრილის

occipit-o-mast-**oide**-us, a, um - კეფ-დვრილის

cune-o-cub-**oide**-us, a, um - სოლისებრ-კუბური

მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა **-ებრი**:

cost-o-xiph-**oide**-us, a, um - ნეკნ-მახვილისებრი

აქვე მოვიყვანთ იმ მაგალითებსაც, როცა ამგვარ ტერმინებს **-oid** ბერძნული სუფიქსის შემდეგ კიდევ ემატება ლათინურისუფიქსი **-al**, მაგრამ მიუხედავად ორმაგი ბერძნულ-ლათინურისუფიქსისა (რისი საჭიროებაც აგრეთვე გაუგებარია), ქართული

თარგმანი მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას გამოიყენებს. იგივე უნდა ითქვას ორ ბერძნულ ფუძესთან დაკავშირებულ ორმაგ სუფიქსზედაც:

sphen-o-ethm-**oid**-al-is, e - ძირითად-ცხავის

front-o-ethm-**oid**-al-is, e - შუბლ-ცხავის

palat-o-ethm-**oid**-al-is, e - სასა-ცხავის

ასევე ლათინურ სიტყვასთან (ერთადერთი შემთხვევა):

ov-**oid**-al-is, e - კვერცხუჯრედის

მხოლოდ ბერძნული ფუძეც დაირთავს ერთდროულად **-oid** ბერძნულ და **-al** ლათინურ სუფიქსებს. იმ თითო მაგალითიდან, რომელსაც ახლა მოვიყვანთ, რაიმე კანონზომიერება არ ჩანს და არც მოსალოდნელი იყო. გაუგებარია თვითონ ლათინურშიც ორი ერთნაირი მნიშვნელობის სუფიქსის ფუნქცია:

ethm-**oid**-al-is, e - ცხავის (ნათიშვილი 1976: 90 foveola)

arachn-**oide**-al-is, e - ქსელისებრი გარსისა, არაქნოიდული

sphen-**oid**-al-is, e - სოლისებრი

haem-o-rrh-**oid**-al-is, e - ჰემოროიდალური (zona)

ბოლო ტერმინის ქართულ ვარიანტში ორივე უცხოური სუფიქსი და მათზე დამატებული ქართული ზედსართავი სახელის მაწარმოებელი –ური მონაწილეობს. რა თქმა უნდა, ეს არაფრით გამართლებული არ არის. შეიძლებოდა ჰემორული, მაგრამ ყველას აჯობებს ქართული ტერმინი. haemorrhagia სისხლდენას ნიშნავს, ასე რომ, სისხლდენის ზონა სავსებით ჩამოყალიბებული ქართული ტერმინი იქნებოდა.

4.4. ბერძნული პრეფიქსით, ბერძნული ძირითა და ბერძნული სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები

პრეფიქსისა და სუფიქსის ერთდროული დართვისას, საინტერესოა, როგორ აისახება ორივე მათგანი ქართულ თარგმანში. ვნახოთ ცალკეულ მაგალითებზე:

პრეფიქსი para- სუფიქსი -oide:

para-mast-**oide**-us, a, um - დვრილისახლო

para-thyr-**oide**-us, a, um - ფარისებრი ჯირკვლის ირგვლივ მდებარე

ამ მაგალითების ქართული თარგმანი ამჟღავნებს, რომ ორივე აფიქსის ფუნქცია

წარმოდგენილია, ასევე შემდგომ ნიმუშებშიც:

პრეფიქსი peri- სუფიქსი –it-is:

peri-arteri-itis, tidis f - არტერიის გარეთა კედლის ფენის ანთება

peri-nephri-itis, tidis f - თირკმლის ფიბროზული კაფსულის ანთება

დანარჩენი პრეფიქსების გამოყენების თითო შემთხვევა გვაქვს, მაგრამ აქედანაც ცხადი ხდება, რომ ორივე აფიქსის ფუნქცია ქართულ თარგმანში შენარჩუნებულია ყველა შემთხვევაში:

endo-card-itis, tidis f - გულის შიგნითა გარსის ანთება

mes-arteri-itis, tidis f - არტერიის შუა ფენის ანთება

para-nephri-itis, tidis f - თირკმლისირგვლივი ფაშარი შემაერთებელი ქსოვილის ანთება

poly-arthr-itis, tidis f - სახსრების (მრავალი სახსრის) ანთება

4.5. ორი ბერძნული ძირითა და ლათინური სუფიქსით ნაწარმოები ტერმინები

ორ ბერძნულ ფუძეს მხოლოდ რამდენიმე ლათინური სუფიქსი უკავშირდება. დავინტერესდით, ჯდება თუ არა ეს კავშირი იმავე კანონზომიერებაში, რაც ლათინურ სუფიქსებთან დაკავშირებით აღმოჩნდა მის ლათინურ, ორ ლათინურ, ლათინურ-ბერძნულ, ბერძნულ–ლათინურ ან ერთ ბერძნულ ფუძესთან შეერთებისას. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ორ ბერძნულ ფუძესთან შეერთებულ ლათინურ სუფიქსთა რაოდენობა კიდევ უფრო იკლებს (სულ 5 სუფიქსი უერთდება ორ ბერძნულ ფუძეს, საერთოდ კი, ძირითადი სამია **-ic**, **-e** და **-al (-ar)**. **-ic** სუფიქსი გამოიყენება როგორც ანატომიურ, ისე კლინიკურ ტერმინოლოგიაში. ანატომიურ ტერმინოლოგიაში ორი ბერძნული ფუძე –**o-** კავშირის საშუალებით უერთდება ერთმანეთს. ქართულად, როგორც წესი, ფუძეები თანმიმდევრობით ითარგმნება, ხოლო **-ic** სუფიქსი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. **-ic** სუფიქსი სხვადასხვა ბერძნულ ფუძეს უერთდება:

hepat-o-col-ic-us, a, um - ღვიძლ–კოლინჯის

gastr-o-col-ic-us, a, um - კუჭ–კოლინჯის

phrenic-o-col-ic-us, a, um - შუასაბგიდ–კოლინჯის

ary-epiglott-ic-us, a, um - ციცხვ–ხორხსარქველის

thyre-o-epiglott-ic-us, a, um - ფარ-ხორხსარქველის
 -ic სუფიქსიანი ანატომიური ტერმინებიდან ცალკე გამოვყავით მაგალითები, რომლებშიც **ბერძნულ სიტყვათა თანმიმდევრობა გადანაცვლებულია**. სიტყვათა თავისუფალი ცვლა რთულ სიტყვაში მის შინაარსზე მოქმედებს. ასე რომ, ქვემოთჩამოთვლილ მაგალითებში ქართულ ტერმინში სიტყვები უნდა გადანაცვლდეს. გაუგებრობის წუარო ზოგჯერ რუსული თარგმანი ხდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ისიც სიტყვათა პირდაპირ რიგს უჭერს მხარს. რაც შეეხება -ic სუფიქსს, ის აქაც ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოდის:

carot-ic-o-tympan-ic-us, a, um - დაფ-სადილე (უნდა იყოს სადილე-დაფის – რუს.*сонно-барабанный*)

gastr-o-phen-ic-us, a, um - ხორხსარქველ ენის (ნათიშვილი 1976: 245, უნდა იყოს ენა-ხორხსარქველის – რუს.*язычно-подгортанный* მით უმეტეს, სხვა ტერმინებში epiglotticus-ის ადგილი სწორად იყო განსაზღვრული)

my-enter-ic-us, a, um - ნაწლავ-კუნთის (უნდა იყოს კუნთ-ნაწლავის – რუს.*мышечно-кишечный*)

gastr-o-phen-ic-us, a, um - შუასაბგიდ-კუჭის (ნათიშვილი 1976: 182 გვხვდება სწორი ვარიანტი კუჭ-შუასაბგიდის – რუს.*желудочно-диафрагмальный*)

-ic სუფიქსი ხშირად დაერთვის **კლინიკურ ტერმინებს**, რომლებიც ორი ბერძნული ფუძის შეერთებითაა წარმოქმნილი. -ic სუფიქსი სულ სხვადასხვა ბერძნულ ფუძეს დაერთვის და ქართულადაც თითქმის ყველა განსხვავებულად ითარგმნება ზედსართავი სახელის ფორმით. ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვა ქართულ თარგმანში არის **დაკავშირებული**:

neur-o-path-ic-us, a, um - ნერვულ დაავადებასთან დაკავშირებული

neur-o-troph-ic-us, a, um - ნერვის კვების რეგულირებასთან დაკავშირებული

haem-o-stat-ic-us, a, um - სისხლის შემაჩერებელი

haem-o-poët-ic-us, a, um - სისხლის წარმომქმნელი

path-o-log-ic-us, a, um - პათოლოგიური, ავადმყოფური

rhiz-o-mel-ic-us, a, um - ის, რაც კიდურების ძირს, დაბოლოებას მიეკუთვნება

-al (-ar) **სუფიქსი** აქ განსხვავებული მაგალითების მიხედვით მხოლოდ ანატომიურ

ტერმინოლოგიაში გვხვდება, ე.ი. ორგანოს ბერძნულ სახელწოდებებს დაერთვის და ნათესაობითი ბრუნვის ფორმას მიიღებს ქართულ თარგმანში:

gastr-o-cardi-**al**-is, e - კუჭ-გულის ირიდ-ო-კორნე-**al**-is, e - ფერად-რქოვანას

neur-o-epithel-**al**-is, e - ნეიროეპითელური zygap-o-physe-**al**-is, e - რკალ-მორჩების -**al** სუფიქსიან ტერმინებშიც გვხვდება ბერძნულ სიტყვათა გადანაცვლება ქართულ თარგმანში, რაც, ალბათ, ისევე უნდა გასწორდეს, როგორც წინა ასეთი თარგმანები:

glen-o-humer-**al**-is, e - მხარ-სასახსრე (უნდა იყოს სახსარ-მხრის)

pharyng-o-basil-**ar**-is, e - ძირითად-ხახის (უნდა იყოს ხახა-ძირითადის)

trache-o-bronch-i-**al**-is, e - ბრონქ-სასულეს (უნდა იყოს სასულე-ბრონქის)

-**e** სუფიქსიც მხოლოდ ანატომიური ტერმინების შემადგენლობაში გვხვდება, ისიც ორგანოს ბერძნულ სახელწოდებებს დაერთვის და ქართულად ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა. აღსანიშნავია, რომ სულ ორ სახელწოდებასთან გვხვდება -**e** სუფიქსი. ესენია: pharynx, ngis m - ხახა და esophagus, i m - საყლაპავი. რაც შეეხება სიტყვათა თანმიმდევრობის გადმოცემას, აქ ყველაფერი წესრიგშია - მიმდევრობა დაცულია:

chondr-o-pharyng-**e**-us, a, um - ხრტილ-ხახის

cric-o-pharyng-**e**-us, a, um - ბეჭდ-ხახის

gloss-o-pharyng-**e**-us, a, um - ენა-ხახის

myel-o-pharyng-**e**-us, a, um - ყბა-ხახის

სხვა სუფიქსები იშვიათად გვხვდება და საერთო კანონზომიერებიდან არ უხვევს:

gastr-o-crem-**i**-us, a, um - კანჭის (musculus NA 1979: 63)

tympan-o-staped-**i**-us, a, um - დაფ-უზანგის

stern-o-cardi-**ac**-us, a, um - მკერდ-კარდიის

დასკვნები

1. ლათინური სამედიცინო ტერმინები, რომლებიც ლათინური პრეფიქსებით არის ნაწარმოები, ქართულ თარგმანში პრეფიქსის ძირითად მნიშვნელობას თითქმის

- ყოველთვის ინარჩუნებს. როცა ქართული ენის ბუნება ამის საშუალებას არ იძლევა, მაშინ გამოყენებულია ამ პრეფიქსების მნიშვნელობასთან მიახლოებული სიტყვები. განსაკუთრებულ შემთხვევებში არის ცდები, შინაარსი მაინც იყოს ზუსტად გადმოცემული.
2. ბერძნული პრეფიქსებით წარმოებული ლათინური სამედიცინო ტერმინები ქართულად თარგმნისას დიდ მრავალფეროვნებას ავლენს. ტერმინოლოგიის ძირითადი პრობლემა – სინონიმია სწორედ ამ შემთხვევაში იჩენს თავს უარყოფითად. ეს მეტად აძნელებს ერთგვაროვანი თარგმანის დამკვიდრებას. ამიტომ ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურია.
 3. პრეფიქსებად გამოყენებული ლათინური და ბერძნული რიცხვითი სახელები თითქმის ყოველთვის ინარჩუნებს თავიანთ კონკრეტულ მნიშვნელობას და ყველაზე კარგად ერგებათ ქართული თარგმანი.
 4. ლათინურ ფუძეზე დართული ლათინური არსებითი სახელის მაწარმოებელი სუფიქსები თავიანთი ზუსტი მნიშვნელობით იშვიათად ითარგმნება. გავრცელებულია ლათინური ეკვივალენტები. ზოგიერთი სუფიქსი მეტად იძლევა საშუალებას, ქართულ ტერმინს მივანიჭოთ უპირატესობა.
 5. სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელების ქართულად გადმოცემის ძირითადი საშუალება ნათესაობითი ბრუნვაა, რაც ზედსართავი სახელის ფუნქციის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ეს წესი ვრცელდება როგორც I და II ბრუნების, ასევე III ბრუნების ზედსართავი სახელთა ძირითად სუფიქსებზე. რა თქმა უნდა, მხარი უნდა დავუჭიროთ იშვიათ გამონაკლისებს, როცა ზედსართავი სახელის სუფიქსებს ყოლა-ქონების (ანუ ლათინური დაბოლოებების ფუნქციის მქონე) სუფიქსები შეესაბამება.
 6. დაუშვებლად მიგვაჩნია ქართულ თარგმანში –ის და –ებრი დაბოლოებების ერთმანეთში აღრევა ერთი და იმავე სუფიქსების გადმოსაცემად, რადგან პირველი კუთვნილებას აღნიშნავს და მეორე – მსგავსებას. ასევე არა აქვს გამართლება III ბრუნების ზედსართავ სახელთა სუფიქსების გადმოტანისას დამატებითი სიტყვების და სხვა თანდებულების ხმარებას.
 7. ლათინურ ფუძეზე ორმაგი სუფიქსების დართვით წარმოებული ტერმინების

- ზუსტი თარგმანი კიდევ მეტ სიძნელეებს ქმნის. ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მეორე სუფიქსი აისახება თარგმანში.
8. გაცილებით სრულყოფილია ლათინური პრეფიქსის, ძირითა და სუფიქსის მეშვეობით ნაწარმოები ტერმინების ქართული ვარიანტი. მუშაობა, სწორედ, ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს. რაც შეეხება პარალელურ ფორმებს, ამაზე აუცილებლად უნდა მოხდეს შეთანხმება და დამკვიდრდეს ერთი მათგანი.
 9. ბერძნულ-ლათინურ კომპოზიტს ძირითადად -al (-ar) სუფიქსი უერთდება და ქართულად გადმოიცემა ტირეთი შეერთებული ორი სიტყვით, რომელთაგან პირველი არის არსებითი სახელის ფუძე, ხოლო მეორე – ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი, რომელიც მსაზღვრელადაა გამოყენებული.
 10. ორი ბერძნული ძირითა და ლათინური სუფიქსით ნაწარმოები ტერმინების ფუძეები ქართულად, როგორც წესი, თანმიმდევრობით ითარგმნება, ხოლო სუფიქსი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოდის. ბერძნულ სიტყვათა თანმიმდევრობის გადანაცვლება ქართულ თარგმანში მის შინაარსზე მოქმედებს, ამიტომ მიმდევრობის დაცვა აუცილებელია.
 11. ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიის ის ნაწილი, რომელიც ბერძნული პრეფიქსით, ლათინური ძირითა და ლათინური სუფიქსით არის ნაწარმოები, თარგმანში ინარჩუნებს პრეფიქსის მნიშვნელობას, სუფიქსის ფუნქციას კი ნათესაობითი ბრუნვა იტვირთებს. იგივე შეიძლება ითქვას ბერძნული პრეფიქსით, ბერძნული ძირითა და ლათინური სუფიქსით წარმოებულ ტერმინებზე.
 12. თუ ტერმინი ბერძნული პრეფიქსით, ბერძნული ძირითა და ბერძნული სუფიქსით არის შედგენილი, როგორც წესი, ორივე აფიქსის ფუნქცია შენარჩუნებულია.
 13. ბერძნული ძირითა და ბერძნული სუფიქსით წარმოებულ მცირერიცხოვან ტერმინებში სუფიქსების ქართული თარგმანი ზუსტია.
 14. ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის სისტემატიზაცია და ლათინურთან შესაბამისობაში მოყვანა მეტად საშური საქმეა. იმ პრობლემათა დაძლევა, რომლებიც ჩვენ გამოვყავით, მრავალი დარგის სპეციალისტთა ერთობლივ

ძალისხმევას მოითხოვს.

ბიბლიოგრაფია

აბალაკი მ.

2006. სინონიმის ზოგადი საკითხები და ენობრივი სისტემის სემანტიკური უწყვეტობა. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.

აირივანეცი მ.

ქრონოლოგიური ისტორია, თბილისი: “მეცნიერება”

ალექსიძე ა.

2003. ოფთალმოლოგიის მრავალენოვანი განმარტებითი ლექსიკონი (ქართულ-რუსულ – ინგლისურ – ფრანგულ – გერმანულ – იტალიურ - ლათინური). თბილისი, 976 გვ.

ალინეი მ. (Alinei M.)

1974. La struttura del lessico, Bologna: “Il Mulino”

ალშიბაია ე.

1914. ცოტა რამ ქიმიურ ტერმინებზე, ჟ. „განათლება”, №6, გვ.466

ამირანაშვილი ნ.

2000. წარმოებულ ლათინურ სამედიცინო ტერმინთა ქართულად გადმოცემისათვის, ისტორია-ფილოლოგია II, თბილისი, გვ. 863-869

2002. თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში ტერმინთა წარმოების ზოგადი პრინციპები: ლათინურ-ბერძნულ კომპოზიტებზე სუფიქსდართული ტერმინების ქართული შესატყვისები, საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბ., 2002, გვ. 3-8

2003. ტერმინთა შედგენის საკითხები თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში: ორმაგსუფიქსიან ლათინურ სამედიცინო ტერმინთა ქართულ ენაზე თარგმნის თავისებურებანი, ქართველურ ენათა სტრუქტურა, VII, გვ. 10-14

ამირანაშვილი ნ., მგალობლიშვილი ც., ერისთავი ლ. და სხვ.

1996. ფარმაცევტული ლექსიკონი, ლათინურ-ქართული, ქართულ-ლათინური, თბ., გამომც.: “მერიდიანი“, 200 გვ.

ამირანაშვილი ნ., ქუთელია მ., მაგალობლიშვილი ც. და სხვ.

2000. ქართულ-გერმანულ-ინგლისურ-ფრანგულ-რუსული ფარმაცევტული ლექსიკონი, თბ., გამომც.: “ცოდნა“, 200 გვ.

ამირანაშვილი ნ., მაგალობლიშვილი ც.

2002. ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლები. თბილისი, გვ.188-196, გვ.197

არნაუდოვი გ. (Арнаутов Г.Д.)

1979. Медицинская терминология на пяти языках. София., Изд-во «Медицина и физкультура». 944 с.

ახვლედიანი გ. (რედ.)

1972. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 360 გვ.

ბარხუდაროვი ს. (Бархударов С.Г.)

1970. О значении и задачах научных исследований в области терминологии. В кн.: Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., с.9

ბერიძე ვუკ.

1952. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის, ჟ.”მეცნიერება და ტექნიკა,” №7, გვ.30 გვ.32

ბოდუენ დე კურტენე ი. (Бодуен де Куртене И.А.)

1963. О смешанном характере всех языков. Избранные труды по общему языкознанию. М., т.1, 390 стр.

ბორტნიჩუკი ე., ვასილენკო ი., პასტუმენკო ლ. (Бортничук Е., Василенко И.В., Пастушенко Л.П.)

1988. Словообразование современного английского языка. Киев. 261 стр.

ბრეგაძე ლ.

1997. გუგა, ბაია და... არისტოტელე. გაზ. „კვირის ფოსტა“, №33, გვ.5

ბაკი ვ. (Гак В.Г.)

1977. Сопоставительная лексикология. М., Международные отношения, с.264

გამყრელიძე თ., კვიციანი ზ., შადური ი., შენგელაია ნ.

2003. თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

გაფრინდაშვილი ნ., კახიანი ი.

1994. ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლები, ქუთაისი

გაჩეჩილაძე პ.

1959. ქართული ლექსიკოგრაფია – ლექსიკოლოგიის ისტორიისათვის (XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის მასალების მიხედვით, ტ. XI, გვ. 194 გვ. 202 გვ. 208-210

გელენიძე ლ.

1974. ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი: “მეცნიერება”

დანილენკო ვ. (Даниленко В.П.)

1970. Лингвистическое изучение терминологии и культура речи. – Актуальные проблемы культуры речи. М., с.308

1971. Лексико-семантические и грамматические особенности слов-терминов. В кн.: Исследования по русской терминологии. М., Наука, с.7-67

1977. Русская терминология. Опыт лингвистического описания. М., Наука, с.52 с.59 с.64 с.66-69 с.73

დგებუაძე რ., აბესაძე ა.

1988. ქართულ-რუსულ-ლათინური მოკლე სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი

დვორეცკი ი. (Дворецкий И.Х.)

1986. Латинско-русский словарь. изд. 3-е, исправленное, М., Изд-во «Русский язык», 846с.
დროება, №258, გვ.2

ერისთავი რ.

1880. რაოდენათ მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს? დროება, №204-6, 208-9, 212 გვ.109 გვ.111 საარქივო ფონდი, №124

ელეგარდი ა. (Ellegard A.)

1963. English, latin and morphemic anaalysis. Goteborg. p. 115

ვინოგრადოვი ვ. (Виноградов В.В.)

1947. Русский язык. М., с.12-13

ვინოგრადოვი ვ. (Виноградов В.В.)

1952. Словообразование и его отношение к грамматике и лексикологии. В сб.: Вопросы теории и истории языка. М., 496 с.

ვინოკური გ. (Винокур Г.О.)

1939. О некоторых явлениях словообразования в русской технической терминологии, - Труды МИФЛИ, т.V, с.21 с.38

ვინოკური გ. (Винокур Г.О.)

1968. Заметки по русскому словообразованию. Изд.-во АН СССР, отд. мет. и яз. т.5. вып. 5. с.53-59

ზექალაშვილი რ.

2000. ქართული ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 255გვ.

თოფურია გ., ჭყონია ე.

1982. ლათინურ-ქართულ-რუსული ოფთალმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა “განათლება”, 163 გვ.

ივერია, 1900, №79-80

იორდანიშვილი ლ.

1968. რ.ერისთავის ტერმინოლოგიური შრომები, იბერიულ-კავკასიური მეცნიერება, XVI, გვ.106 გვ.109, 111, 113

კაგეურა კ. (Kageura K.)

2002. The Dynamics of Terminology: A Discriptive Theory of Term Formation and Terminological Growth, Amsterdam: “John Benjamins”.

კაზაჩონოვი თ. (Казаченок Е.Г.)

1990. Анатомический словарь (Латино-русский, русско-латинский). Минск, «Высшая школа», 512 с.

კანდელაკი ტ. (Канделаки Т.Л.)

1970. Значение терминов и системы в значении научно-технической терминологии. В кн.: Проблемы языка науки и техники. М., Наука, с.5

1970. Работа по упорядочению научно-техноческой терминологии и некоторые лингвистические проблемы, возникающие при этом. В кн.: Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., с.40

კაპანაძე ლ. (Капанაძე Л.А.)

1965. О понятиях «термин» и «терминология». В кн.: развитие лексики современного русского языка. М., Наука, с.81-82

კოვტუნი ლ. (Ковтун Л.С.)

1955. О значении слова. Вопросы языкознания. N5, с.69-74

კომაროვა ზ. (Комарова З.И.)

1979. О сущности термина. В кн.: Термин и слово. Горьковский университет, с.3-13

კორძაია მ. (შემდგენელი)

1979. საერთაშორისო ემბრიოლოგიური ნომენკლატურა (ლათინურ-ქართულ ენებზე). თბილისი, “მეცნიერება”, 127 გვ.

კრაკოვეცკაია გ. (Краковецкая Г.Е.)

1979. Метафоризация как средство формирования медицинской терминологии. Автореф. дис. ... канд. фил. наук. Киев, с.9

კუბრიაკოვა ე. (Кубрякова Е.С.)

1965. Что такое словообразование? Изд.-во «Наука». М., 78 с.

კუბრიაკოვა ე. (Кубрякова Е.С.)

1981. Типы языковых значений. Семантика производного слова. М., Наука, 200с.

კუზკინი ნ. (Кузькин Н.П.)

1962. К вопросу о сущности термина, Вестник ЛГУ, N20, с.136-146

კუმელი ვ, ზიიფერტი ჰ. (Kümmel W, Siefert H.)

1992. Kursus der medizinischen Terminologie. Stuttgart; New York

კუტინა ლ. (Кутина Л.Л.)

1970. Языковые процессы, возникающие при становлении научных терминологических систем. В кн.: Лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., Наука, с.83-84 с.85

ლევკოვსკაია კ. (Левковская К.А.)

1962. Теория слова. Принципы его построения и аспекты изучения лексического материала. М., с.196-197

ლოტე დ. (Лотте Д.С.)

1961. Основы построения научно-технической терминологии. М., с.18 с.19 გვ.28 61 ს.73

1968. Как работать над терминологией. Основы и методы. Пособие составлено по трудам Д.С.Лотте и комитета научно-технической терминологии АН СССР, М., Наука, с.9-10

ნათიშვილი ალ.

1976. ადამიანის ნორმალური ანატომია, თბილისი

ნებიერიძე გ.

1991. ენათმეცნიერების შესავალი. გამომც.: "განათლება". თბილისი, 328 გვ.

ნიდა ე. (Nida E.)

1948. The identification of morphemes. Language. v. 24. p. 35

ნიუმანი ს. (Neuman S.)

1948. English suffixation: a decriptive approach. Word. v. 4. #1. p.61

1970. NOMINA HISTOLOGICA. Москва., Изд-во «Медицина», 112 с.

ოვჩარენკო ვ. (Овчаренко В.М.)

1969. Термин, аналитическое наименование и номинативное определение. В кн.:
Современные проблемы терминологии в науке и технике. М., с.110-113

1971. Онтологические аспекты мотивированности языковых знаков, в том числе терминов.
В кн.: Семиотические проблемы языков науки, терминологии и информатики. ч. II, М.,
МГУ, с.417-423

პიოტროვსკი რ. (Пиотровский Р.Г.)

1952. К вопросу об изучении термина. Ученые записи. ЛГУ, серия филол.наук, в.18, №161,
с.23

პროხოროვა ვ. (Прохорова В.Н.)

1981. Семантика термина. Вестник МГУ, сер.9. – филология, N3, с.23-31

1983. Лексико-семантическое образование русской терминологии. – Автореф. дис. ... канд.
фил. наук. М., с.8 გვ.9

ჟღენტა ვლ., გელბახიანი პ., ტატიშვილი ირ.

1971. მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები, თბილისი, გვ.201

რამიშვილი ბ.

2000. დედაენის თეორია (დედაენა, მისი ფუნქციები და მისი სწავლება) თბილისი:
“ქრონოგრაფი”

რეფორმატსკი ა. (Реформатский А.А.)

1961. Что такое термин и терминология. В кн.: Вопросы терминологии. М., АН СССР, с.51
с.52

რეფორმატსკი ა. (Реформатский А.А.)

1967. Введение в языкознание. М., Просвещение, с.110

რეფორმატსკი ა. (Реформатский А.А.)

1967. Термин как член лексической системы языка. В кн.: Проблемы структурной лингвистики. М., Наука, с.121-122

როსტომაშვილი ვ.

1897. ცნობის ფურცელი, №1

1915. საართმეტიკო ტერმინები, რედაქციის წერილი, ხელმოწერელი, ქ. "განათლება", №7, გვ.473

1976. საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურა ლათინურ-ქართულ-რუსულ ენებზე. თბილისი. განათლება.

1979. საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურა (NA), ლათინურ-რუსულ-ქართული, თბილისი

სარაჯიშვილი ა.

1888. ივერია, 152

სახოკია თ.

1897. ცნობის ფურცელი. 12 ივნისი

სირაძე ნ.

2003. ლათინური სამედიცინო (ანატომიური) ტერმინოლოგიის სწავლების მეთოდური ასპექტები. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი

სირაძე ნ., ამირანაშვილი ნ.

2005. დარგობრივ სამედიცინო უმაღლეს სასწავლებელში ლათინური ენის სწავლებისათვის, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის ინსტიტუტის სამეცნ. შრომათა კრებული "საზრისი", 16, თბ., გვ.103-106

სმირნოვა ა. (Смирнова А.Г.)

1985. Функционирование терминов медицинской науки в современном русском языке. Автореф. дис. ... канд. фил. наук. Алма-Ата, с.4 с.6-7 с.9

სოსიური ფ. (Сосюра Ф.)

1933. Курс общей лингвистики. М., Соцэкгиз, 271с.

ტოლიკინა ე. (Толикина Е.Н.)

1970. Некоторые лингвистические проблемы научно-технической терминологии. М., Наука, с.58
1971. Синонимы или Дуплеты? В кн.: Исследования по русской терминологии. М., Наука, с.78-89

ტუსკია მ.

1999. მაწარმოებელ ელემენტთა განაწილებისათვის წარმოქმნილ სახელებში. სკოლა და ცხოვრება. № 9-10, გვ.61-67

ფოჩუა ბ.

1974. ქართული ენის ლექსიკოლოგია. გვ.107-112

ქუთელია მ.

2002. სპეციალური სამედიცინო უცხოური ენის კომუნიკაციურად ორიენტირებული სწავლების შინაარსი და მეთოდები (გერმანული ენის მასალაზე). სადოქტორო დისერტ. ავტორეფ. თბილისი.

ქურდიანი მ.

1983. ტერმინოლოგიური სიზუსტისათვის (ალმანახი “კრიტიკა”, №2 (43): 74-84
1996. ენათა სოციოლინგვისტური კლასიფიკაცია (არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 55-ე სამეცნიერო სესია, თბილისი: 31-32
1997. “დიდი ტრადიციის” ხსოვნა და ტერმინთქმნადობის ერთი შემთხვევა დიგლოსიური ბილინგვიზმის პირობებში (არნ. ჩიქობავას საკითხავები VIII, თბილისი: 25-26)
- 1999-2001. ტერმინი ქართველი და მისი მართებული არეების მიხედვით ცვლადი მნიშვნელობები, I-II: (არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 58-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1999: 52-55, II (არნ. ჩიქობავას საკითხავები XII, თბილისი, 2001: 102-106)
2000. საერთო-ქართველური საზოგადოების სოციალური სტრუქტურისა და სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი ენობრივი მონაცემების მიხედვით. V. (“ქართველური მემკვიდრეობა”, IV, ქუთაისი: 338-349).

ქურდიანი მ., ჭირაქაძე მ.

1997. ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ნორმალიზაციის საკითხისათვის (ჟურნალი “სამხედრო ტექნიკა” №1 (4); 97-101)

ლამბაშიძე ვ.

1892. მწყემსი, №15, 16, 20

ლამბაშიძე რ.

1972. ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში, კრ. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ.I, თბილისი, გვ.18

1981. პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში, კრ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი, ტ.V, გვ.2 გვ.104, 105 გვ.160 გვ.162

1986. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, გვ.102 გვ.104

1987. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, დისერტ. ფილ მეცნ. დოქტ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, გვ.20 გვ.23 გვ.24-25 გვ.51 გვ.52-56

ღულაძე ა., მრევლიშვილი ი.

1882. დროება, №225, გვ.2-3; გვ.33

ღლონტი ა.

1988. ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი: “განათლება”

ყაუხჩიშვილი ს. (რედ.)

1955-1973. ქართლის ცხოვრება. ტ. I-III, თბილისი: ტ. I- 1955

ყაუხჩიშვილი ს.

1961. ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 495 გვ.

ყიფიანი კ.

1897. ცნობის ფურცელი, №206

შანიძე ა.

1980. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 3, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 656 გვ.

შელია ლ.

1979. ანატომიის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი.

შელია მ.

2005. სიტყვაწარმოების თავისებურებანი თანამედროვე ინგლისურ ენაში და მათი სწავლება სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

შუბოვი ი. (Шубов И.Я.)

1973. Словарь-справочник по медицинской терминологии. М., Советская энциклопедия, с.19

ჩიქობავა არნ.

1952. ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

1983. ზოგადი ენათმეცნიერება, II (ძირითადი პრობლემები), თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჩიჩუა გ.

2000. სავარჯიშო დავალებები სამედიცინო ლათინურ ტერმინოლოგიაში. სამედიცინო და ფარმაცევტული ინსტიტუტების სტუდენტებისათვის, (ნაწილი I), ქუთაისი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჩუპილინა ე. (Чупилина Е.Н.)

1967. Структурно-семантические особенности общеупотребительных слов в медицинской терминологии современного английского языка. Автореф. дис. ... канд. фил. наук. Л., с.5

ჩხუბიანიშვილი დ.

1980. ქართული ტერმინოლოგიის შესწავლის ისტორიიდან, იკე, ტ. XXII, გვ.146

ცაგარელი ლ.

1914. ანატომიურ, პსიხოლოგიურ ტერმინების და სხვა და სხვა დარგის სიტყვების შესახებ, განათლება, №6, გვ.469 გვ 472

ჭელიძე სპ.

1897. ცნობის ფურცელი, №910

ჭირაქაძე მ.

1995. ტერმინის ზოგადლინგვისტური თეორია და არქეოლოგიური სისტემატიკა, თბილისი

1999. ტერმინის ზოგადლინგვისტური თეორია და არქეოლოგიური სისტემატიკა, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი

ხატიაშვილი ნ., ამირანაშვილი ნ., ქუთელია მ., ჭელიძე რ.

2005. გერმანულ-ლათინური სინონიმების შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი სამედიცინო ტერმინოლოგიაში, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის ინსტიტუტის სამეცნ. შრომათა კრებული “საზრისი”, 16, თბ., გვ.82-88

ხომერიკი ა. (Хомерики А.А.)

1986. Семантический анализ медицинской терминологии в русском и грузинском языках (К проблеме национального и межнационального в терминологии). Дис. ... канд. фил. наук. Тбилиси, с.13 გვ.16

ხუნდაძე ს.

1895. კვალი, №8

ჯავახიშვილი ივ.

არქივი №456

ფონდი №1495, ხელნაწ. ინსტიტუტი

ჯავახიშვილი ივ., კეკელიძე კ., აბულაძე იუსტ., ყიფშიძე ი., გორგაძე ს., ღამბაშიძე ვ.,

ბერიძე ვუკ., ინგოროყვა პ., შანიძე ა.

1915. ქართული ლექსიკონების შესახებ, გაზ. “სახალხო ფურცელი”, 1305

ჯავახიშვილი ივ. წერილი, გვ.9

ჯავახიშვილი ნ.

1979. ქართული ლექსიკოლოგიური მუშაობის ისტორიისათვის, ივ.ჯავახიშვილის მიმოწერიდან, „მნათობი“, №6, გვ.179

ჯანაშვილი მ.

1895. ივერია, №206

ჰაბელი ს. (Habbel S.)

1996. Praktisches Übungsbuch zur Kommunikation im Krankenhaus. Hagen. Brigitte Kunz Verlag. 114 S.

ჰელბიგი გ. (Helbig G.)

1970. Geschichte der neueren Sprachwissenschaft. Leipzig. Veb Bibliographisches Institut. 392p.